

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

დამანა მელიქიშვილი

ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური
ანალიზი

სავალდებულო სალექციო კურსი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის
ქართველური ენათმეცნიერების სპეციალობის
მაგისტრატურის სტუდენტებისათვის

2014

დაკაბადონება და ტექნიკური რედაქცია:
დოქტორანტები ნათია მიროტაძე და ნათია ფუტკარაძე,
მაგისტრი სოფია შამუგია
ყდის დიზაინი ალექსანდრე ჯიქურიძე

წინამდებარე სალექციო კურსი მთლიანად ემყარება და აგებულია დიდი ქართველი ენათმეცნიერის, აკად. არნოლდ ჩიქობავას მეთოდოლოგიური იმანანტიზმის მოთხოვნების საფუძველზე და ამ პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებას წარმოადგენს.

ლექცია №1

ცვლადი და მუდმივი ქართული ენის მორფოსინტაქსურ სისტემაში

დღევანდელი ლექცია მინდა დავიწყო ჩემი მასწავლებლის, აკადემიკოს ვარლამ თოფურის ერთი ნაშრომის გახსენებით, რომელიც ჩვენს დღევანდელ თემას ეხება: ესაა ცვლადი მოვლენები ქართული ენის ისტორიაში, რომელთა შესწავლა ენის განვითარების შინაგანი კანონების წვდომას შეგვამძლეობინებს და მის სისტემურ სურათს დაგვანახვებს.

ვარლამ თოფურის ერთ-ერთი, ჩემთვის მეტად საინტერესო და საყვარელი სტატია, 'გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში', იწყება სწორედ იმის ხაზგასმით, რომ 'ენა ისტორიულად ცვალებადი მოვლენაა და ცვლა ხდება განუწყვეტლივ', რომ ეს ცვლილებები წარმოადგენს ცოცხალი ენის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, განვითარების საფუძველს. ენის განვითარება კი, თავის მხრივ, შეპირობებულია მისი შემქმნელი და მატარებელი საზოგადოების განვითარებით. ცვალებადობას განიცდის ენის ყველა მხარე: ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა, ოღონდ ცვლის ტემპები ნაირგვარია. ენის ცვლის პროცესში ქრება ესა თუ ის ძველი მოვლენა და წარმოიქმნება ახალი. ერთიც და მეორეც წარმოებს ... ერთსა და იმავე ენაში ერთდროულად ან სხვადასხვა დროს ..."(ვ. თოფურია, შრომები, III, გვ.173).

ძველი ქართული სამწერლობო ენის განვითარების ცოცხალი სურათი შემონახულია ჩვენს მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, რაც საშუალებას გვამძლევს თვალი გავადევნოთ ამ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მომხდარ ცვლილებებს ქართული ენის გრამატიკულ სისტემაში და, ამავე დროს, დავინახოთ, თუ რა არის ამ სისტემის მდგრადობის საფუძველი მუდმივი ცვლილებების მიუხედავად.

1. ქართული სახელისა და ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ძირითადად აგლუტინაციური ტიპისაა: ყოველ გრამატიკულ კატეგორიას საკუთარი მორფოლოგიური ფორმანტი შეესაბამება და მთლიანად ფორმა ადვილად იშლება გამჭვირვალე მნიშვნელობების მქონე მორფემებად თვით ძირეულ მორფემამდე (მაგ. *აღამ-იან-ებ-ი, მ-ეგრ-ელ-ებ-მა, ა-მ-ა-შენ-ებ-ინ-ებ-დ-ეს, მ-ი-შენ-დ-ებ-ა, ა-მ-შენ-ებ-ი-ა...*). ამ მხრივ სახელთა ბრუნებისა და დერივაციის აგლუტინაციური სისტემა მოწესრიგებული და სტაბილურია, თუმცა ე.წ. 'ნართანიანი' მრავლობითი რიცხვის წრმოებისას აგლუტინაციის პრინციპი დაცულია მხოლოდ სახელობით ბრუნვასა (*მეგრელ-ნი*) და მისი ვარიანტის, (*მო*)წოდებითი ფუნქციის (*მეგრელ-ნი-ო*)მქონე ფორმაში (რომელიც ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში წოდებით ბრუნვადაა მიჩნეული), მაგრამ ყველა დანარჩენ

ბრუნვაში დაირღვა ფონეტიკური ცვლილებების შედეგად: *კაც-თა, მეგრელ-თა* ტიპის ფორმებში, სადაც მრავლობითის სუფიქსი *-თ-ა* ემფატიკური ა ხმოვნით, რომელიც ნაცვალსახელოვანი ართრონის (*ა-მ-ას, ა-მ-ის, ა-მ-ით, ა-მ-ად*) გაცვეთის შედეგად დარჩენილი ნაშთია, ვეღარ ასრულებდა ბრუნვის ფუნქციას: 5 ბრუნვაში მრავლობითი რიცხვის მარკერის შემდეგ დარჩენილმა დეიქტურმა *-ა* ნაწილაკმა ცხადია, ვერ შეძლო ბრუნვის ფორმათა დიფერენცირება, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია ე.წ. თანიანი მრავლობითის გადაშენება (იგი დღეს ძირითადად ნათესაობით ბრუნვის სიტყვაწარმოებითი, დერივაციული ფუნქციით გამოიყენება: *მწერალ-თ-ა კავშირი, ბავშვ-თ-ა ბაგა*) ტიპის სახელდების შესიტყვებებში). ასე რომ „თანიანი“ მრავლობითი შეიძლება ითქვას, „მოჩვენებითი, ცრუ“ ფლექსიური ფორმაა.

ქართული ენის გრამატიკულ სისტემაში საკმაოდაა ფლექსიის მაგალითები, რაც სხვადასხვა მიზეზებით შეიძლება აიხსნას.

2. ცნობილია, რომ გრამატიკული კლასის კატეგორია და მისი მორფოლოგიური გამოხატვა ახასიათებდა იბერიულ-კავკასიური ენების გრამატიკულ სტრუქტურას (იხ. არნ. ჩიქობავა, *სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში*, თბ., 1942. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა იმას, გავიზიარებთ თუ არა ქართული ენის ჩრდილო კავკასიურ ენებთან გენეტიკური კავშირის თეორიას), მათ შორის ქართულსაც მაგრამ სახელისა და ზმნის გრამატიკული კლასის მიხედვით ფორმის მიმოხრას თანდათან შეენაცვლა სახელის ბრუნებისა და ზმნის პირების მიხედვით ცვლის სისტემა, რაც დასტურდება კლასის ნიშნების ნაკვალევით როგორც სახელთა ბრუნებისა და დერივაციის სფეროში, ასევე ზმნის პირების მიხედვით უღლების სისტემაში (რასაც სათანადო ადგილას ვრცლად განვიხილავთ); პირის ნაცვალსახელთა ფუძეების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ სახელის ბრუნების სისტემის ისტორიული განვითარების სურათი.

ზმნის უღლების სისტემა გაცილებით რთულია, მრავალფეროვანი და მდიდარია ფორმაცვალების თვალსაზრისით. ზმნის უღლების კატეგორიათა შესწავლისა და აღწერისას სირთულეს ქმნის მთელი რიგი გარემოებებისა: პირველ რიგში, კვლევისას წამოჭრილი კითხვებისათვის პასუხის გასაცემად საჭიროა მასალის შესწავლა და განხილვა სისტემურად, ამავე დროს, არა მხოლოდ სინქრონიული, არამედ დიაქრონიული თვალსაზრისითაც (რის ფართო საშუალებასაც იძლევა ძველი ქართული მწერლობის უმდიდრესი მემკვიდრეობა): დიაქრონიული ცვლილებების გათვალისწინება აუცილებლად მიგვაჩნია ენობრივი მოვლენების ასახსნელად და სინქრონიამში მათი სწორი გრამატიკული კვალიფიკაციისათვის.

3. ქართული ზმნის უმთავრეს თავისებურებად, განსხვავებით ევროპული ენებისაგან, ზმნის პირის გამოხატვის სისტემაში სუბიექტურის გარდა ობიექტური

პირიც აისახება (ქართული ზმნა „პოლიპერსონალურია“), რაც, თავის მხრივ, იწვევს ქართული სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის (სახელსა და ზმნას შორის პირისა და ბრუნვების მიხედვით მართვისა და რიცხვში შეთანხმების მექანიზმის) განსხვავებას ევროპული ენების ზმნასა და სახელს შორის სინტაქსური ურთიერთობის სტრუქტურა-მექანიზმისაგან. აქედანვე გამომდინარეობს კონვერსიისა და ინვერსიის სპეციფიკური მორფოლოგიური გამოვლინება ერთმანეთისაგან განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციებით, რაც განსაზღვრავს კიდევ ქართული ზმნის უღლების ტიპების განსხვავებას.

4. ქართული ზმნის მორფოლოგია ძირითადად აგლუტინაციური ტიპისაა: ზმნაში გამოხატვის თვალსაზრისით სუბიექტური და ობიექტური პირები თანასწორუფლებიანია და, აქედან გამომდინარე, ქართულ ზმნაში შესაძლებელია სამივე მონაწილე პირის (პარტიციპანტის) აღნიშვნა - ერთდროულად ორი პირისა სათანადო პირის მარკერებით, ხოლო მესამე პირისა - პირთა საკორელაციო, „სამიმართებო“ (გ. როგავა) ხმოვანპრეფიქსებით; ამავე დროს, განსხვავებით ევროპული ენების ზმნისაგან, სადაც მხოლოდ სუბიექტური პირია მარკირებული და მისი ნიშნები საზიაროა დროის, კილოს, გვარისა თუ მრავლობითი რიცხვის კატეგორიებთან, ქართულ ზმნაში I და II პირის მარკერები ყველა დროის, კილოსა და გვარის, ასევე მრავლობითი რიცხვის ფორმების მიხედვით უცვლელია. მაგრამ ხშირია ფლექსიური ტიპის ფაქტებიც – ზმნის უღლების სისტემაში არქაული მოვლენების ნაშთები: მაგალითად, ფუძის ხმოვნის აბლაუტი: *ვგრებ – ვგრიბე, ვდრეგ – ვდრიკე*; მესამე სუბიექტური პირის სუფიქსური გამოხატვა და დიფერენცირება დრო-კილოთა ფორმების მიხედვით: *წერ-ს – დაწერ-ა*; ამავე პირის ფლექსიური ტიპის წარმოება, როდესაც მრავლობითი რიცხვისა და პირის მარკერი ერთი და იგივეა: *წერ-ენ ისინი, წერ-ეს მათ*; ასევე ფლექსიისაკენ მიდრეკილი მორფოლოგიური ინოვაციები (მაგ. **R- th.suf.-ებ+ი სტრუქტურის ზმნათა აწმყოს მესამე პირის -ა სუფიქსით გაფორმება** (*იმალეზ-ა, შენდეზ-ა, თბეზ-ა*), ნაცვლად ძველი -ს სუფიქსისა, რომელიც არ განასხვავებდა ზმნური ფუძის სტრუქტურას (*იმალვ-ი-ს, შენდები-ს, ტფები-ს*); ამავე დროს, ფუძის ხმოვნის ფუნქციური მონაცვლეობიდან, ე.ი. ფლექსიური ტიპიდან თანდათან სუფიქსურ სისტემაზე გადასვლის ტენდენცია (*გლეჯს>გლიჯ-ავ-ს – დაგლიჯა*) და სხვა.

ამგვარად, ქართული ზმნის ფორმათა განვითარება სისტემის სხვადასხვა რგოლებში ერთდროულად ორ საპირისპირო ტენდენციას გვიჩვენებს: ერთი მხრივ, ფლექსიური ტიპის (ფუძის ხმოვნის აბლაუტის) მოშლის ტენდენციას (აწმყო-წყვეტილის თემებში) და, მეორე მხრივ, კი აგლუტინაციიდან ფლექსიისაკენ გადასვლის ტენდენციებს (II დიათეზის, R-th.suf.+ი მოდელის, ზმნების უნიფიკაციის პროცესი);

5. ქართული ზმნა შეიცავს აზრის გამოხატვის ისეთ მორფოლოგიურ საშუალებებს, რომლებიც უცხოა ევროპული ენებისათვის. ევროპული ზმნისათვის

ნაცნობი და დამახასიათებელი მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიების გარდა (დრო, კილო, გვარი, გარდამავლობა), რომ არაფერი ვთქვათ თვით ამ კატეგორიების ფორმალური გამოხატვისა თუ სემანტიკური თვალსაზრისით განსხვავების შესახებ ევროპული ენის ზმნის ამავე კატეგორიებისაგან, ქართულ ზმნას შეუძლია მორფოლოგიურად გამოხატოს პირთა შორის კორელაციების სხვადასხვა სახე: დესტინაციური რელაცია ანუ ვერსია (მაგ. კუთვნილება-დანიშნულებითი შინაარსისა სუბიექტსა და ობიექტს ან ობიექტებს შორის (*ვიშენებ მე მას, იშენებს ის მას; ვუშენებ მე მას მას, მიშენებს ის მე მას*); ლოკატიური რელაცია (*აზის, ახტება, აწერს*), კაუზაციური რელაცია (*აშენებინებს ის მას მას*), პირთა შორის ნეიტრალური რელაცია (*აშრობს ის მას*). ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ზმნა მთელი წინადადების შინაარსის შემცველია, წინადადებაა მინიატურაში.

6. ქართული ზმნის უღლება ძირითადად მწყობრსა და სიმეტრიულ სისტემაში თავსდება, არსებითად გაწონასწორებული და უნიფიცირებულია (რაც ანალოგიის ძლიერი მოქმედების შედეგია). მაგრამ ამ სისტემაში შემოჭრილია არქაული, ნაკლული (დეფექტური) უღლების ანომალიური ტიპები, რომლებიც სისტემის გარეთ რჩებიან. მათგან დიდი ნაწილი სიცოცხლის შესანარჩუნებლად ანალოგიის გავლენით ზოგადი სისტემის რგოლებში ექცევა და სიცოცხლისუნარიანი და პროდუქტიული ხდება.

7. **ზმნის უღლების სისტემის სიმეტრიისაკენ მიდრეკილება ამ სისტემის მდგრადობის ძირითადი პირობაა, რასაც ანალოგიის პროცესი აწესრიგებს და, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ენის გამძლეობას – თვითარსებობას:** მაგ. III სერიის I რეზულტატივში ('თურმეობითში') -ავ თემისნიშნიანი ზმნების -ია დაბოლოებაზე გადასვლის ტენდენცია, რაც -ებ თემატურნიშნიანებთან ანალოგიის პროცესითაა განპირობებული და რასაც ხელს უწყობს მყოფადის ომონიმურ ფორმათაგან გამიჯვნის მოთხოვნა (*დაუხატავს ის მას მას - დაუხატავს მას ის*) და, ასევე, პარადიგმის უნიფიცირება - გასწორების ტენდენცია (*დაუხატ-ო-ვარ - დაუხატ-ო-ხარ - დაუხატ-ო-ა*);

მაგრამ სისტემის შიგნით მოქმედებს საპირისპირო პროცესებიც, რომლებიც არღვევენ სისტემის რგოლებს, ესენი კი ენის განვითარების მანძილზე კვლავ და კვლავ სიმეტრიისაკენ მისწრაფვიან და სწორედ ეს დაუსრულებელი პროცესი სისტემის უნიფიცირების, რღვევისა და კვლავ გაწონასწორებისა, არის ენის მაცოცხლებელი ძალა. ეს პროცესი აქტუალურია ქართული ზმნის უღლების თანამედროვე, სინქრონიული სისტემის შიგნითაც, რომელშიც ხშირად თანაარსებობენ ძველი და ახალი ლიტერატურულ-ნორმირებული და დიალექტურ-ხალხური ფორმები.

8. ამავე დროს, ქართული ზმნის მრავალმხრივი ფორმალურ-სემანტიკური გენერაციისა და რეგენერაციის უზარმაზარი პოტენცია ბადებს ახალ-ახალ

სემანტიკური ხასიათის ნიუანსებს, რაც, თავის მხრივ, ფორმათა გადააზრიანებას (რეინტერპრეტაციას) და ფორმანტიების ისტორიულად ჩამოყალიბებული ფუნქციების შეცვლას იწვევს. ძველიდან ახალი ქართულისაკენ მიმდინარე ეს პროცესები, თუ შეიძლება ითქვას, ჩვენ თვალწინ ხდება: ზოგი კატეგორია იკარგება და მისი ნიშანი სხვა ფუნქციას იძენს (მაგალითად, ინკლუზივის კატეგორიის გუ- პრეფიქსმა I ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ფუნქცია შეიძინა; რეფლექსივის ი- პრეფიქსს ავტოაქტიურ ზმნებში უსრული ასპექტის აორისტ-ფუტურუმის გამოხატვის ფუნქცია დაეკისრა: წუხს ის - ი-წუხებს ის; ი-წუხა მან; სტატიკურ ზმნებში ინვერსიის პროცესის შედეგად მ-ს რიგის პრეფიქსები სუბიექტური პირის მარკერებად იქნა გაგებული, ხოლო ვ-ს რიგისა - ობიექტური პირისად, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა დრო-კილოთა ახალი ჯგუფი - III სერია; I დიათეზის კაუზატიური წარმოების 'მაკანკალებს, მაზრიალებს' ტიპის ზმნებში მაკაუზირებელი პირის დაკარგვის ('ცნობიერებაში ჩადირვის') შედეგად ინვერსიული შინაარსის ფორმების ჩამოყალიბება, ასევე, II დიათეზის R-th.suf.+ი მოდელის უსულო სუბიექტის შემცველი ზმნების ინვერსიისაკენ მიდრეკილება და სხვ.

9. ზოგი კატეგორია განაგრძობს არსებობას, მაგრამ მისი ნიშანი სხვა პარადიგმულ ოპოზიციაში ახალ ფუნქციას იძენს და, ამგვარად, ერთი მორფემა ზმნის უღლების თანამედროვე სისტემაში რამდენიმე ფუნქციით იტვირთება: მაგალითად, R-ი სტრუქტურის ერთპირიან „ტირის, კანკალებს“ ტიპის ზმნათა ი-პრეფიქსის ძირითადი რეფლექსივური შინაარსიდან განვითარდა აქტივის სასუბიექტო ვერსიის (ორიენტაციის) ფუნქცია; დაიმალა მან (დედამ) ის (ბავშვი), საიდანაც კონვერსიით მიღებულია R-ი სტრუქტურის ერთპირიანი რეფლექსივის ფუნქციის: დაიმალა იგი (ბავშვი). ანუ აქტივის სასუბიექტო ვერსიის კონვერსიით მიღებულია რეფლექსივის (ავტოაქტივის) და არა პასივის სემანტიკის ფორმა, რომელიც II სერიაში საზიაროა აქტივის სასუბიექტო ვერსიასთან (და-ი-მალა მან ის // დაიმალა ის). სუბიექტი თვითმოქმედია, ავტოაქტიურია როდესაც სულიერია, ადამიანია, მაგრამ, როდესაც უსულოა, პასიური სემანტიკისაა: დაიმალა მან (დედამ - S) ის (ჩანთა - O) > დაიმალა = დამალულ იქნა (ჩანთა ვიღაცის მიერ). სულიერი სუბიექტის შემთხვევაში, ზოგჯერ კი უსულოს შემთხვევაშიც კი კონვერსიული ფორმა (განსაკუთრებით II სერიაში, სადაც იგი ომონიმურია აქტივის სასუბიექტო ვერსიის ფორმასთან) პასივის შინაარსს ვერ გადმოსცემს: ეს სტრუქტურა პოლისემიურია, გრამატიკულ ომონიმიას კი ენა დიდხანს ვერ იტანს, მისი დაძლევის გზებს ეძებს და, ჩვეულებრივ, ადრე თუ გვიან პოულობს კიდევაც როგორც ლექსიკურ დონეზე, მით უფრო გრამატიკულ სისტემაში და ამ შინაარსის გადმოსაცემად მას უკვე ძველსავე ქართულში ენაცვლება აღწერითი წარმოების ფორმა: 'შეიწირე (შენ) ვითარცა ცხოვარი' (=შეწირულ იქმენ შენ); 'საღმრთოა კური ცხორებისა ... შეიცხო და დაიცვა

უვნებელად" (= დაცვულ იქმნა იგი) რა^ათა არა განგდებულ ვიქმნნეთ უღებებითა, არამედ რა^ათა მღ^აძარედ ვიპოვნნეთ (=პოვნილ ვიქმნნეთ), რაც დღეს იფართოვებს გამოყენების არეს: აღწერითი, „პერიფრასტული“ ვნებითის ფორმები განსაკუთრებით სამეცნიერო ენას ახასიათებს.

ამგვარად, ახალი მორფოლოგიური კატეგორიების ფორმირება, ერთი მხრივ, აფიქსთა ფუნქციების გადააზრიანებას და, მეორე მხრივ, აფიქსთა პოლისემანტიზმს იწვევს. ყოველივე ეს ართულებს ქართული ზმნის უღლებადი ფორმების ერთ მთლიან სისტემაში მოქცევას, მის აღწერას და აქედან - სწავლბასაც, რადგანაც იგი ქმნადობის პროცესშია და მისი სხვადასხვა რგოლები ტრანსფორმაციას განიცდიან. მაგრამ ამ დუღილში მაინც გამოიყოფა მდგრადი და სტაბილური, მყარი და სიმეტრიული ფორმალურ-სემანტიკური სისტემა, რომელიც ენის იგივეობის განმსაზღვრელია და, რომლის აღწერაც ჩვენი სალექციო კურსის მიზანს წარმოადგენს.

ლექცია № 2

ქართული ენის გრამატიკული სისტემის ანალიზისა და კვლევის მეთოდოლოგიისათვის (მეთოდოლოგიური პრობლემები ქართული ენის გრამატიკულ ლიტერატურაში)

სანამ დავიწყებდეთ ქართული სახელისა და ზმნის ფორმაცვალების სისტემურ ანალიზს, აუცილებელია ვისაუბროთ მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიურ საკითხებზე ზოგადად და, კერძოდ, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მეთოდოლოგიური ხასიათის პრობლემების, დაბრკოლებებისა და დარღვევების თაობაზე, რაც ძირითადად გამოწვეულია სემანტიკური / ლოგიკური და გრამატიკული კატეგორიების აღრევითა (ლოგიკის „ექსპანსიით“ გრამატიკაში) და ცნების დაყოფის ლოგიკური წესის დარღვევით და სათავეს იღებს ჯერ კიდევ დიონისე თრაკიელის გრამატიკიდან.

ლოგიკისა და ფსიქოლოგიზმის „ექსპანსიამ“ გრამატიკაში შეიძლება ითქვას, რომ ათეული წლების განმავლობაში დააბრკოლა ენათმეცნიერული (გრამატიკული) აზრის განვითარება საბჭოთა კავშირის სივრცეში, რომელშიც ქართული ენათმეცნიერული სკოლაც მოიაზრება, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ქართველმა ენათმეცნიერმა, კავკასიოლოგიური ენათმეცნიერების სკოლის ფუძემდებელმა, არნოლდ ჩიქობავამ გაილაშქრა ამ „ექსპანსიის“ წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1928 წელს გამოქვეყნებულ თავის სადოქტორო ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ და შემდგომ სხვადასხვა წელს ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ მთელ რიგ მეთოდოლოგიური ხასიათის ნაშრომებში (რაზედაც თავის ადგილას გვექნება საუბარი).

თუ რა გაუგებრობა შეიძლება მოიტანოს სხვა დარგის ცნება-ტერმინების შემოჭრამ და ამ პოლისემიური ტერმინებით ოპერირება-კვალიფიცირებამ ენათმეცნიერებაში, ეს კარგად გამოაჩინა სოციო-ლინგვისტური თვალსაზრისის „ექსპანსიამ“ ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში „ქართველური ენების“ ლინგვისტური კვალიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით, რაზედაც აქ საუბარს არ გავაგრძელებთ.

როგორც უკვე ვთქვით, მორფოლოგია და სინტაქსი გრამატიკის, როგორც საენათმეცნიერო ცოდნის, დარგებია. ორივე დარგის შესწავლის საგანი სიტყვაა: მორფოლოგია სწავლობს სიტყვის ფორმას, სტრუქტურას, ხოლო სინტაქსი - სიტყვათა ფორმების შეკავშირების წესებს, ანუ შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმს, სინტაქსურ კონსტრუქციებს. არ არსებობს ენათა უნივერსალური გრამატიკა - მორფოლოგია და სინტაქსი. ყოველ ენაში აზრის გამოხატვის საკუთარი ფორმები - სტრუქტურები და კონსტრუქციები

არსებობს (თუმცა არც თეორიულად და არც პრაქტიკულად, გამორიცხული არ არის, რომ გარკვეულ შემთხვევებში ტიპოლოგიური თვალსაზრისით გრამატიკული კატეგორიები, ანუ სემანტიკური კატეგორიების გამოხატვის ფორმები - სტრუქტურები და კონსტრუქციები სხვადასხვა ენაში ერთმანეთის მსგავსი იყოს). ამიტომ ყოველი კონკრეტული ენის გრამატიკული კატეგორიების კლასიფიკაცია და კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ამ ენის სპეციფიკიდან ამოსვლით. ამავე დროს, სწორი დასკვნების მისაღებად აუცილებელია ცნების დაყოფისა და არგუმენტაციის ლოგიკური წესების დაცვა, რაც, პირველ ყოვლისა, გულისხმობს იმას, რომ ამოსავალი დებულება, რომელსაც ეყრდნობა დასაბუთება, ჭეშმარიტი იყოს, ხოლო, ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს შესასწავლი ობიექტის საკვლევი და შესასწავლი სიმრავლის კლასიფიკაცია ემყარებოდეს სტატისტიკურად აუცილებელი და საკმარისი მონაცემების გრამატიკულ, მორფო-სინტაქსურ ანალიზს, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მასალის კლასიფიკაციასა და კვალიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს მორფო-სინტაქსური კრიტერიუმი, ანუ სახელისა და ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა და სინტაქსური კონსტრუქცია.

მოკლედ ჩამოვთვლით მეთოდოლოგიური პრობლემებს და იმ პასუხგაუცემელ კითხვებს, რომლებსაც ვხვდებით ქართული ენის გრამატიკულ ლიტერატურაში და რომლებიც მოითხოვენ პასუხს, ახსნასა და გადაწყვეტას.

1. შესასწავლი მასალის, კერძოდ, ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისას ხშირად არ არის დაცული ცნების დაყოფის ლოგიკური წესი, რაც გულისხმობს გვარეობითი ცნების სწორად განსაზღვრას და ამ კლასიფიკაციის ფარგლებში მიღებული კრიტერიუმის ბოლომდე დაცვას;

2.1. კვლევისას გრამატიკული კატეგორიების გამოვლენა არ ემყარება საკვლევი ენის სპეციფიკას, ამ ენის საკვლევი მასალის სტატისტიკური და სისტემური ანალიზის შედეგებს;

2.2. საკლასიფიკაციო პრინციპი არ ემყარება მორფოლოგიურ და სინტაქსურ კრიტერიუმებს.

2.3. კვლევისას გამოყენებული უნდა იყოს დარგის შესაბამისი ცნება-ტერმინები: მართალია, ენათმეცნიერება სწავლობს ენის ფორმასთან ერთად შინაარსსაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გრამატიკაში ოპერირება ხდებოდეს ლოგიკური (სემანტიკური) ტერმინოლოგიით: გრამატიკული სტრუქტურა და კონსტრუქცია უნდა აღიწეროს გრამატიკულ (მორფო-სინტაქსურ) და არა ლოგიკურ (/უნივერსალურ) ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინებით, რაც ხშირად დარღვეულია და იწვევს გაუგებრობას.

3. დასკვნების სისწორე-მცდარობა დამოკიდებულია:

3.1. წანამძღვრის, ამოსავალი დებულების სისწორე-მცდარობაზე (რასაც ემპირია/სტატისტიკა ამოწმებს და ხშირად დამოკიდებულია ახალი მასალის მოკვლევასა თუ აღმოჩენებზე),

3.2. ანდა ლოგიკური არგუმენტაციის სიმტკიცე-სისუსტეზე. მეორე პირობა ხშირად დაცულია, მაგრამ, თუ ემპირიული მასალა სტატისტიკურად საკმარისად არ არის შესწავლილი და არგუმენტაცია ეყრდნობა არასწორ

წანამძღვარს, დანასკვი მცდარი იქნება. კლასიფიკაცია უნდა ამოდიოდეს და ეყრდნობოდეს **ემპირიულ მასალას** (ინდუქციიდან >დედუქციისკენ და არა პირიქით) ტრადიციულად დამკვიდრებულ აპრიორულად მიღებულ დებულებას, რომელიც კვლევის პროცესში შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. ამგვარად, გრამატიკული კატეგორიის, თუ მისი მარკერის კვალიფიკაციისას აუცილებელია საკვლევი მასალის სტატისტიკური (მათ შორის მონათესავე ენების) მონაცემების გათვალისწინება;

4. კვლევისას აუცილებელია სინქრონიისა და დიაქრონიის მონაცემების გამიჯნვა: სინქრონიულ დონეზე ენობრივი ფაქტის კვალიფიკაციისას დიაქრონიული ანალიზის შედეგების, მაგ., მორფო-სინტაქსური მოვლენების რეინტერპრეტაციის ფაქტების გამომჟღავნება და მომარჯვება საჭირო ხდება ფაქტის ახსნის მიზნით, მაგრამ არა სინქრონიულ ჭრილში ამ ფაქტის კვალიფიკაციისთვის: დიაქრონიული ანალიზის შედეგად მათი სათანადო კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სინქრონიულ ჭრილში;

5. დგას მორფო-სინტაქსური ფაქტებისა და კატეგორიების ტერმინოლოგიური დახასიათების პრობლემა: მაგ. ა) ზოგადად “მწკრივთა” სახელწოდებების საკითხი (კერძოდ, ძველი ქართული ენის გრამატიკაში ტერმინის „კავშირებითის მწკრივ/ებ/ი“ გამოყენების შეუსაბამობა, III სერიის მწკრივთათვის ტერმინ „თურმეობითების“ მიზანშეწონილობის საკითხი როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში და სხვ.); გ) გარდამავლობის, როგორც გრამატიკული კატეგორიის საკითხი “პოლიპერსონალურ” ქართულ ზმნაში; დ) ინვერსიის პრობლემა და ამასთან დაკავშირებით პირის გრამატიკული მარკერების ლოგიკურ-სემანტიკური ფუნქციების განსაზღვრა დიაქრონიულ და სიქრონიულ ჭრილში და სხვა.

ამ სრულიად ნათელი და ობიექტური პრინციპისათვის ხაზგასმა გვჭირდება იმის გამო, რომ გრამატიკულ ლიტერატურაში დღესაც ხშირად ხდება ოპერირება ლოგიკურ-სემანტიკური ცნება-ტერმინებით, გრამატიკული მოვლენების დეფინიცია სემანტიკური ნიშნით, რაც, ბუნებრივია, შედეგად იწვევს შეუსაბამობებს შესასწავლი ფაქტის ფორმასა და შინაარსს შორის; ზოგჯერ ეს გამოწვეულია იმით, რომ მისდევენ ტრადიციას და ევროპული ენების გრამატიკებში მიღებულ კლასიფიკაციის პრინციპებს (მაგ.: ქართული ენისათვის სპეციფიკური ბრუნვის, მოთხრობითის გრამატიკული ფუნქციის აღიარებას და ბრუნვათა მის რიგში ჩასმას მთელი საუკუნე დასჭირდა; წოდებითი ბრუნვის საკითხი დღესაც არ არის გადაწყვეტილი; ქართული ზმნის ფორმათა კილოების მიხედვით ევროპული კლასიფიკაციიდან გადახვევას და ნიკო მარისა და აკაკი შანიძისეული ქართული ზმნისათვის მისაღები სერიებისა და მწკრივების მორფო-სინტაქსური კრიტერიუმით კლასიფიკაციის შემოღებასაც გარკვეული დრო დასჭირდა ლოგიკის „ექჰანსია“ გრამატიკაში დღესაც არ არის დაძლეული...)

ხშირად შესწავლილი და გათვალისწინებული არ არის ემპირიული, სტატისტიკური მონაცემები და გამონაკლისად და ანომალიებადაა ჩათვლილი სისტემური მოვლენები. რაც მთავარია, ხშირად მასალის კვლევას სისტემური

ხასიათი არა აქვს, ენობრივი მოვლენების შესწავლა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, „ამოგლეჯით“ ხდება და მხედველობაში არ არის მიღებული ის, რომ ენა სისტემაა და ამ სისტემის რგოლები ერთმანეთთან ორგანულადაა დაკავშირებული და სწორედ ამ ორგანული კავშირების ურთიერთმიმართებაა აღმოსაჩენი და შესასწავლი.

ამგვარად, გრამატიკული მოვლენის კვალიფიკაციისას უნდა გაიმიჯნოს ლოგიკისა და გრამატიკის სფეროები: გრამატიკული კატეგორიების კვალიფიკაცია უნდა ხდებოდეს მასალის მორფო-სინტაქსური ანალიზის საფუძველზე, რის შედეგადაც გაირკვევა გამოვლენილი ფორმების/სტრუქტურების ლოგიკურ-სემანტიკური ფუნქციები, ანუ დადგინდება სემანტიკური მარკირების მიმართების ტიპი მორფოლოგიაში; ასევე, გაირკვევა, საერთოდ, მარკირებულია თუ არა გრამატიკულად (მორფოლოგიურად) ესა თუ ის უნივერსალური სემანტიკური კატეგორია კონრეტულ ენაში.

გრამატიკულ ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინები სუბიექტი (ὑποκείμενον), პრედიკატი (κατηγορημα) ბერძნულიდან ლათინურად თარგმნილი ლოგიკური ცნება-ტერმინებია და არა გრამატიკული. ეს ტერმინები გრამატიკაში ლოგიკიდანაა ნასესხები, არისტოტელეს „კატეგორიებიდანაა“ შესული. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ერთი უცნაურობაც: ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მორფოლოგიური ანალიზისას გამოიყენება ბერძნულიდან კალკირებული ლათინური ტერმინი სუბიექტი, ხოლო სინტაქსური ანალიზისას - იმავე მნიშვნელობის ქვემდებარე, რომელიც ასევე, ბერძნული ὑποκείμενον - ის კალკს წარმოადგენს.

შენიშვნა: ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ არნ. ჩიქობავას „შენიშვნები სინტაქსის შესახებ“, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ნაწილს 1929 წლებში გამოქვეყნებული წერილების სერიისა. ეს წერილები 1998 წელს მისივე სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ცალკე ბროშურად გამოსცა, მათი ავტორის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად. მაგრამ, მით უფრო უცნაურია, რომ გამოცემის ანოტაციაში აღიარებული დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ამ ნაშრომისა, „როგორც ენის აღწერითი ანალიზის თვალსაზრისით, ისე საშუალო სკოლისა და უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის კურსის აგებისათვის“, დღემდე არ არის სათანადოდ გააზრებული და გათვალისწინებული ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობაში (რაც გამოვლინდა კიდევაც ამ ინსტიტუტის მიერ გამოცემულ სქელტანიან კოლექტიურ ნაშრომში „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“, რომელშიც დიდძალი შრომაა ჩადებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად დარღვეულია არნ. ჩიქობავას ერთ-ერთი მთავრი მეთოდოლოგიური ხასიათის მოთხოვნა: ლოგიკურ-სემანტიკური და გრამატიკული ცნება-ტერმინები ერთმანეთშია აღრეული, გრამატიკული კატეგორიის კვალიფიკაცია ეძლევა ლოგიკურ-სემანტიკური კრიტერიუმით კლასიფიცირებულ (დაჯგუფებულ) ფორმებს, რის შედეგადაც აღწერისას დარღვეულია შესაბამისობა ფორმასა და შინაარსს შორის.

აღსანიშნავია, რომ თამაზ გამყრელიძემ (თ. გამყრელიძე, „ზმნის პირიანობა და ვალენტობა“, იხ. „რჩეული ქართველოლოგიური შრომები“, თბილისი, 2000) გარკვეული წესრიგი შეიტანა ლოგიკურ და გრამატიკულ ცნება-ტერმინთა დიფერენცირებაში (თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა“ და ვალენტობა, რჩეული

ქართველოლოგიური შრომები, თბ. 2000; ირ. მელიქიშვილმა ქართული ზმნის სემანტიკური მარკირების მიხედვით მოახდინა ვინისა და მანის რიგის მარკერების ლოგიკური (ფუნქციური) კლასიფიკაცია და გამოყო ერთი მხრივ - ვინის რიგით გამოხატული აქტიური აქტანტებისა და მეორე მხრივ - მანის რიგით გამოხატული ინაქტიური აქტანტების (სუბიექტის) ქვეჯგუფები; ასევე, მანის რიგით მარკირებული აქტანტების (ობიექტების) ქვეჯგუფები (ამასთან დაკავშირებით განვიხილავთ მის ნაშრომს 'სემანტიკური მარკირება მორფოლოგიაში და პასიურობა-აქტიურობის კატეგორია ქართველურ ენებში': იხ. კრებ. 'ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, ბათუმი, 2011, გვ. 325-334). მის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად წარმოდგენილი სურათი აქტიურობა-ინაქტიურობის კატეგორიის მიხედვით პირის ნიშანთა განაწილებისა ადეკვატურად ასახავს ქართული 'წინადადების ბირთვის' პარტიციპანტების ზმნასთან სემანტიკური მიმართება-მარკირების წესს ისე, რომ არ არის აღრეული გრამატიკულ პრინციპში (თუმცა, აღვნიშნავ, რომ ლოგიკური ტერმინი 'სუბიექტი' მასაც, ტრადიციისამებრ, არა ლოგიკური, არამედ გრამატიკული მნიშვნელობით აქვს ნახმარი და ამიტომ იგი უნივერსალურ კატეგორიად არ მიაჩნია, რაც არის მიზეზი „ინვერსიის" პროცესის ჩვენგან განსხვავებული ინტერპრეტაციისა, რაზედაც თავის ადგილას ვისაუბრებთ).

ქართული ზმნის უღლების სისტემასთან დაკავშირებით მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომია შექმნილი, რომლებშიც ბევრი საკითხი სხვადასხვაგვარადაა მოწოდებული და გადაწყვეტილი. ყველა თვალსაზრისს (ეხება ეს გრამატიკულ კატეგორიათა კვალიფიკაციასა თუ კლასიფიკაციას) თავისი საფუძველი და არგუმენტაცია ახლავს და უფლება აქვს მეცნიერული აზრის მიმოქცევაში არსებობისა, მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერ ემპირიულ მეცნიერებაში და, კერძოდ, ენათმეცნიერებაშიც, აღსაწერი და შესასწავლი მასალის, მოვლენის ან საგნის მეცნიერულ კლასიფიკაციას საფუძვლად, პრინციპად, კრიტერიუმად უნდა დაედოს კონკრეტული ენისა და კონკრეტული დარგის (გრამატიკის, შესასწავლი ობიექტის (საგნის) სპეციფიკა, შინაგანი ბუნება. ენათმეცნიერების კვლევისა და შესწავლის საგანი ენაა. ენას ორი მხარე აქვს: შინაარსი (ფუნქცია) და ფორმა, რომელიც ამ ფუნქციას გამოხატავს. ცხადია, ენის შესწავლა გულისხმობს როგორც ფუნქციის (სემანტიკის, მნიშვნელობის), ისე სტრუქტურის (ფორმის) შესწავლას, მაგრამ სრულიად დაუშვებელია, რომ 'სტრუქტურა (სტრუქტურული კატეგორიები) აღიწეროს ფუნქციის (ფუნქციონალურ კატეგორიათა) მიხედვით და პირუკუ' (არნ. ჩიქობავა, 1968, გვ. 010). არნ. ჩიქობავამ ამ საკითხების გარკვევას მიუძღვნა არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი: 'მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში' (1928, 1968), 'ენათმეცნიერების შესავალი' (1953) 'Проблема языка как предмета языкознания' (1959), სპეციალური სტატიები (იხ. ბიბლიოგრაფია).

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ:

ნებისმიერ ემპირიულ მეცნიერებაში კვლევა უნდა ეფუძნებოდეს შესასწავლი მასალის სტატისტიკურად სანდო და საკმარისი რაოდენობის ანალიზს; მოცემული მეცნიერების დარგის შესასწავლი საგანი ან მოვლენა მისი იმანენტური, შინაგანი ბუნებიდან ამოსვლით უნდა იქნას განსაზღვრული, კლასიფიცირებული და კვალიფიცირებული; დაცული უნდა იყოს ცნების დაყოფის ლოგიკური წესები, კლასიფიკაციის პრინციპის ერთიანობა (უცვლელობა).

ენათმეცნიერების, როგორც მეცნიერების დარგის შესწავლის საგანი ენაა, კერძოდ, მისი ფორმა და შინაარსი; ლოგიკის სფერო - შინაარსი, სემანტიკა, სიღრმისეული სრუქტურების სფეროა და უნივერსალურია ნებისმიერ ენაზე მოლაპარაკე პირისათვის. ერთი და იმავე შინაარსის გადმოსაცემად კი ზედაპირულ სტრუქტურებში სხვადასხვა ენას შეიძლება განსხვავებული ფორმები, სტრუქტურა-კონსტრუქციები ახასიათებდეს, რაც ამ კონკრეტული ენის სპეციფიკას წარმოადგენს; კონკრეტული ენების კვლევისას მეთოდოლოგიური იმანენტიზმი აუცილებლობით გულისხმობს ამ ენის შესასწავლი მასალის აღწერის პრინციპების ამ კონკრეტული ენის სპეციფიკიდან ამოსვლით; მაგრამ ეს უკანასკნელი (კონკრეტული ენის სპეციფიკა) გამოვლინდება ენათმეცნიერების შესაბამისი დარგის - გრამატიკის, შესასწავლი საგნის, ობიექტის იმანენტური სპეციფიკიდან ამოსვლით, კერძოდ: რამდენადაც გრამატიკის შესასწავლი ობიექტი სიტყვის ფორმაა (სტრუქტურა), და სიტყვათა შეკავშირების მექანიზმი (კონსტრუქცია), შესასწავლი მასალის აღწერა და კლასიფიკაცია უნდა ემყარებოდეს მორფო-სინტაქსურ კრიტერიუმს. ამგვარად, კვლევის პროცესში ყველა ამ შემთხვევაში პირველი რიგის ამოცანაა შესასწავლი სიმრავლის სტატისტიკურად აუცილებელი და საკმარისი რაოდენობის მასალის ანალიზი მეთოდოლოგიური იმანენტიზმის პოზიციიდან, რაც ნიშნავს (გულისხმობს) საკვლევი მასალიდან, ემპირიიდან ამოსვლით, ინდუქციური და არა დედუქციური კვლევის გზით მისვლას ჭეშმარიტად სწორ დანასკვამდე და არა პირიქით, თეორიულად, აპრიორი, წინასწარ, დოგმად მიღებული, ემპირიულად (სტატისტიკურად) შეუმოწმებელი და დაუსაბუთებელი დებულებიდან, რაც ლოგიკაში იწოდება „წრედ დასაბუთებაში“ და „საგიობელ არს ფილოსოფოსთაგან“, როგორც არისტოტელეს „კატეგორიების“ ერთ-ერთი კომენტატორი, ალექსანდრიის ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენელი, ამონიოს ერმიასი წერს არისტორელეს კატეგორიების გამხილვაში (იხ. „ამონიოს ერმიასის თხზულებანი ქართულ მწერლობაში“, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნ. კეჭყაყაძემ და მ. რაფაევამ; გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. რაფაევამ, თბილისი, 1983წ.).

რადგანაც ცოცხალი ენა მუდმივ განვითარებას განიცდის, კითხვაზე „რატომ“ სინქრონია ყოველთვის ვერ უპასუხებს, ამიტომ ცვლადი ენობრივი მოვლენების ახსნისათვის საჭირო ხდება დიაქრონიული ანალიზის მოშველიება, მაგრამ ამ მოვლენათა გრამატიკული კვალიფიკაციისას ამ ორი დონის აღრევა არ უნდა ხდებოდეს: გრამატიკული კატეგორიებისა და მათი შესაბამისი ნიშნების (მარკერების) კვალიფიკაცია უნდა ეყრდნობოდეს შესასწავლი ენის სინქრონიული მონაკვეთის მასალის ანალიზს.

კლასიფიკაციის ამ, თავისთავად ცხადი პრინციპების გაუთვალისწინებლობა და დარღვევა ენობრივი ფორმებისა თუ მოვლენების გრამატიკული კლასიფიკაციის, კვალიფიკაციისა და დეფინიციის გაურკვევლობას, ხშირ შემთხვევაში კი მცდარობასა და დეზინფორმაციასაც იწვევს.

ჩვენი სალექციო კურსის მიზანია ვიპოვოთ პასუხები იმ პრობლემებსა და კითხვებზე, რომლებიც ხშირად ჩნდება ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, მაგრამ ტრადიციულად დამკვიდრებული კლასიფიკაციის ჩარჩოებში ამ კითხვებს პასუხი ვერ ეძებნება.

ლექცია №3

პრობლემების დაძლევის გზები

ენის ფორმოზრივი და ფუნქციური კვლევის სფეროები; გრამატიკის შესწავლის საგანი; გრამატიკულ ფორმათა საკლასიფიკაციო პრინციპი (ქართული ზმნის მაგალითზე)

ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სერიებად და მწკრივებად დაყოფის აკაკი შანიძისეული პრინციპი იდეალური მაგალითია იმისა, როდესაც დაცულია იმანენტური კვლევის პრინციპები: ზმნური ფორმები კლასიფიცირებულია გრამატიკული - მორფო-სინტაქსური კრიტერიუმით, რამაც გამოავლინა ქართული ენის ზმნური შესიტყვების სპეციფიკა სხვა ტიპის ენებთან მიმართებით (ამ საკითხს ცალკე ლექციას დავუთმობთ).

მაგრამ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში რთული მდგომარეობაა ქართული ზმნის ისეთი მნიშვნელოვანი კატეგორიების კვალიფიკაციის სფეროში, როგორცაა გვარისა და ქცევის კატეგორიების დეფინიციის საკითხი და ამასთან დაკავშირებით ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრობლემა, ზმნის პირის გამოხატვის სისტემა და ამასთან დაკავშირებული „ინვერსიის“ საკითხი და სხვ.

ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფისას იმანენტიზმის პრინციპის უგულვებელყოფამ, გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) კრიტერიუმების დარღვევამ, ლოგიკური ცნება-ტერმინების ექსპანსიამ გრამატიკასში, კლასიფიკაციის პრინციპად ევროპული ენების მსგავსად გვარის კატეგორიის მიღებამ (რაც ევროპული ზმნური ფორმებისა და შესიტყვების სტრუქტურის აღწერისასაც კი იწვევს გარკვეულ კითხვებს) ქართული ზმნის უღლების უაღრესად ლოგიკური სისტემის დეფორმირებული სურათი მოგვცა, რამაც გამოავლინა შეუსაბამობა გვარისა და „ქცევის“ (ვერსიის) „გრამატიკული კატეგორიების“ სემანტიკურ დეფინიციასა და ფორმალურ კლასიფიკაციას შორის და, შესაბამისად, ზმნის ხმოვანპრეფიქსთა გრამატიკული ფუნქციების არაადეკვატური განსაზღვრა გამოიწვია; ქართულ ზმნაში ინვერსიის მოვლენისადმი დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტით მიდგომის აღრევამ, ისტორიული მოვლენის სინქრონიული თვალსაზრისით კვალიფიკაციამ, ამავე დროს, ლოგიკური ცნება-ტერმინებით (სუბიექტი-

ობიექტი) ოპერირებამ შედეგად მოგვცა თანამედროვე ქართული ზმნის პირის ნიშანთა ცხრილში ამ ნიშნების რეალური ფუნქციის არაადეკვატური ასახვა.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მეთოდოლოგიური ხასიათის საკითხებზე ყურადღება გაამახვილა არნ. ჩიქობავამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში, თავის სადოქტორო დისერტაციაში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, რომლის პირველი გამოცემა 1928 წელს გამოქვეყნდა, ხოლო მეორე - 40 წლის შემდეგ, 1968 წელს. ამ ფუძემდებლურ ნაშრომში, რომელშიც თეორიული დებულებები ემპირიული მასალის სამაგალითო დიაქრონიული ანალიზით იყო გამაგრებული, ავტორმა დასვა პრინციპული საკითხი ენათმეცნიერებაში „მეთოდოლოგიური იმანანტიზმის“ შესახებ, რაც გულისხმობს და მოითხოვს, რომ განსახილველი მასალისა და გრამატიკული მოვლენების აღწერითი ანალიზისას ენობრივი მასალისა და მოვლენების სისტემატიზაცია, კლასიფიკაცია და კვალიფიკაცია ხდებოდეს შესასწავლი ობიექტიდან, კონკრეტული ენის ბუნებიდან და მასალიდან ამოსვლით (ეს მოთხოვნა არა მხოლოდ გრამატიკულ, არამედ ნებისმიერ ემპირიულ მეცნიერებას უნდა ედოს საფუძვლად).

ამ მეთოდოლოგიური საკითხის წამოწევა საჭირო გახდა იმის გამო, რომ აღწერითი გრამატიკების “სხვადასხვა მიმდინარეობა სტრუქტურულ ცნებათა ჩამოყალიბებისას ემყარება ფუნქციის ნიშან-თვისებებს. ამ მიმართულებებში (იგულისხმება ლოგიციზმი, ფსიქოლოგიზმი) ანგარიში არ ეწევა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ძირითად დასკვნას: ერთი და იგივე აღსანიშნი სხვადასხვა ენაში (ერთსა და იმავე ენაშიც მისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში) შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვაგვარად: ფუნქციის ერთგვარობა სტრუქტურის ერთგვარობას ვერ განსაზღვრავს. ერთი სიტყვით. ვერ გამართლდა რაციონალური გრამატიკის (რესპ. ფილოსოფიური გრამატიკის) ძირითადი დებულება, თითქოს ლოგიკურ კატეგორიათა ერთიანობა შესაძლებელს ხდიდეს “უნივერსალურ” (“ზოგად”) გრამატიკას: “უნივერსალურად” (“ზოგადად”) ეს გრამატიკა მიაჩნდათ იმიტომ, რომ იგი “რაციონალური” იყო, ლოგიკურ კატეგორიებს ემყარებოდა” (არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ.09).

არნ. ჩიქობავამ აჩვენა, თუ რა შეუსაბამობანი მოსდევს იმანენტიზმის პრინციპის დარღვევას (უგულვებელყოფას) გრამატიკაში: ეს არის პრინციპული მეთოდოლოგიური საკითხი, რომლის ანალიზსაც ეძღვნება მისი ფუძემდებლური ნაშრომი - „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ (1928, 1968).

1959 წელს, მოსკოვში, რუსულ ენაზე გამოქვეყნდა მისი ასევე ფუძემდებლური ზოგადენათმეცნიერული ნაშრომი „Проблема языка как предмета языкознания“, რომელშიც უცხოური ენათმეცნიერული აზროვნების ანალიზის საფუძველზე გამოტანილია დასკვნები ზოგად ენათმეცნიერებაში არსებული ამ უძირითადესი პრობლემების თაობაზე და დასმულია მომავალში განსახორციელებელი ამოცანები. სამწუხაროდ, არც ერთი ამ ნაშრომთაგან არ გასცდენია „საბჭოთა კავშირის“ სა(ენათ)მეცნიერო წრეების ფარგლებს. მეტიც, ამ ნაშრომების თეორიულად თუ პრაქტიკულად სახელმძღვანელო და უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნები და დებულებები (მიუხედავად არნ. ჩიქობავას დიდი მეცნიერული ავტორიტეტისა), სათანადოდ არ ყოფილა გააზრებული, გათვალისწინებული და გამოყენებული არც ქართულ სასწავლო თუ სამეცნიერო ლიტერატურაში. სამწუხაროდ, 60-70-იან წლებში სამეცნიერო ასპარეზზე გამოსული ახალი თაობის უაღრესად ნიჭიერი, ერუდირებული და ნაყოფიერი მკვლევარების ნაწილი, რომელიც გატაცებული იყო იმ დროს ჩვენში ახლად შემოსული „დესკრიფციული ენათმეცნიერებით“, ამ ნაშრომების ავტორს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მოძველებული მეთოდოლოგიის მიმდევრად თვლიდა. ვფიქრობ, ამ პრობლემებს დღესაც არ ეთმობა სათანადო ყურადღება, რადგანაც კვლევის პროცესში ხშირად არ არის გამიჯნული ენის ფუნქციური და ფორმოზრივი (ლოგიკურ-სემანტიკური და გრამატიკული) ანალიზის სფეროები.

ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, გავიხსენოთ არნოდ ჩიქობავას რამდენიმე პრინციპული დებულება მისი ფუძემდებლური ნაშრომის - „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ - მეორე, 1968 წლის გამოცემის წინასიტყვაობიდან:

1. „**უნივერსალური გრამატიკა**“ შეუძლებელია იმიტომ, რომ არ არსებობს უნივერსალური გრამატიკული სტრუქტურა (თუმცა სხვადასხვა ენების სტრუქტურაში გამორიცხული არაა გვეყონდეს ცალკეული საერთო სტრუქტურული ნიშნები).

2. ენის მცნიერული შესწავლა.. გულისხმობს როგორც **სტრუქტურის**, ისე **ფუნქციის** შესწავლას, მაგრამ შეუძლებელი ხდება სტრუქტურა (სტრუქტურული კატეგორიები) **აღწერით** ფუნქციის (ფუნქციონალურ კატეგორიათა) მიხედვით და პირუკუ.

3. **სტრუქტურული ცნებები სტრუქტურული ნიშნების მიხედვით უნდა ჩამოვყალიბოთ, ფუნქციონალურიც, შესაბამისად - ფუნქციონალური ნიშნების მიხედვით: მანძილი არ გაიზომება წონის ერთეულებში (კილოგრამებით).**

4. ენის აღწერისას ჩვენთვის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს **ჰომოგენურობის პრინციპი**, როგორც საფუძველი „მეთოდოლოგიური იმანენტურობისა“: ცნება უნდა შეიცავდეს ნიშნებს, რომლებიც იმანენტურია

აღსაწერი ობიექტისათვის, შესასწავლი ობიექტისათვის შინაგანად დამახასიათებელია, ერთი ენის გრამატიკა ვერ იქნება მეორე ენის გრამატიკის „თარგმანი“: ერთი ქალაქის გეგმის მიხედვით ვერ დავათვალიერებთ (ვერ გავვეცნობით) მეორეს (იქვე, გვ. 010).

არნოლდ ჩიქობავა პრინციპულად იცავდა თავის დებულებებს, ლოგიციზმისა და ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ გრამატიკაში (რაც დიონისე თრაკიელის "Τέχνη γραμματική"-დან მოყოლებული, დანერგილი იყო აღწერითს გრამატიკებში), რადგანაც ეს პოზიცია მეცნიერულად სწორად მიაჩნდა.

ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმის თაობაზე, თუ როგორ წინააღმდეგობას წააწყდა მისი ეს დებულებები იმ დროში, როდესაც ენის სტრუქტურის (ფორმის) შესწავლა „ითვლებოდა „ფორმალიზმად“ ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით, ე.ი. ითვლებოდა იდეოლოგიურად მავნე საქმიანობად“ და არც იმის თაობაზე, რომ „ტერმინ „იმანენტის“ ხმარება საკმარისად მიიჩნეის იმისათვის, რომ ავტორი იმანენტური ფილოსოფიის დამცველად გამოეცხადებინათ, თუმცა, ცნობილია, რომ „იმანენტურ ფილოსოფიას“, როგორც გნოსეოლოგიურ მოძღვრებას შემეცნების პროცესში სიმბიომის ცენტრი გადააქვს სუბიექტზე, მეთოდოლოგიური იმანენტისმი კი ენის შესაწავლისას მოითხოვს ობიექტის თვისებებიდან ამოსვლას, მოითხოვს გამოვავლინოთ ის ნიშან-თვისებები, რაც ობიექტს შინაგანად ახასიათებს, რაც ობიექტისთვისაა იმანენტური“ (იქვე, გვ. 012).

ეს, თითქოს სრულიად ნათელი, გასაგები, მტკიცედ არგუმენტირებული და უცილობელი პრინციპები დავას არ უნდა იწვევდეს, მაგრამ ისინი ქართული ზმნის კატეგორიების განსაზღვრისას და კვალიფიკაციისას, ასევე, ზმნური ფორმების ანალიზისა და სისტემატიზაციისას ხშირადაა დარღვეული, რასაც ბევრი აუხსნელი შეუსაბამობა და ენობრივი ფაქტების მცდარი შეფასება მოსდევს. სამწუხაროდ, არნ. ჩიქობავა აღარ მიბრუნებია ამ თეორიული დებულებების საფუძველზე ქართული ემპირიული მასალის ანალიზს. მან თავისი მეცნიერული ენერგიისა და უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობის დიდი წილი დაუთმო თეორიული ენათმეცნიერებისა და ჩრდილო კავკასიური ენების მეცნიერული კვლევის სკოლის ჩამოყალიბებას...

გასული საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ქართულ საენათმეცნიერო წრეებში დაცხრა კამათი და დისკუსიები ენაში ფორმისა და ფუნქციის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, რომელიც ცხარედ მიმდინარეობდა 60-70-იან წლებში ერთი მხრივ სრუქტურული (დესკრიფციული) ენათმეცნიერებისა და მეორე მხრივ კი ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მომხრეთა შორის, ენობრივი ფორმისა და ფუნქციის ანალიზის მეთოდოლოგიური საკითხები კვლავ დასვა **ბესარიონ ჯორბენაძემ**. მან ეს პრობლემები საფუძვლიანად დაამუშავა

როგორც ზოგადი, თეორიული თვალსაზრისით, ასევე ქართული ენობრივი მასალის სამაგალითო ფორმოზრივი და ფუნქციური შეპირისპირებითი ანალიზის გზით თავის სადოქტორო ნაშრომში „ქართული ზმნის ფორმოზრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები“, რომელიც გამოქვეყნდა 1980 წელს. ამ ნაშრომით მან გააგრძელა არნ. ჩიქობავას მეთოდოლოგიური ძიებანი, რომელთა შორის პირველ რიგში გათვალისწინებული იყო შექმნა ნაშრომისა, რომელშიც განხილული უნდა ყოფილიყო *„ენის ანალიზის მეთოდები: ერთი მხრივ - ენის ისტორიის შესწავლის მეთოდები, ხოლო მეორე მხრივ - ენის სისტემის აღწერის მეთოდები“* (ჩიქობავა, 1959, გვ.3). ბ. ჯორბენაძემ წინ წამოსწია სწორედ ეს პრობლემები, რომელთა განხილვასაც ალბათ აპირებდა არნ. ჩიქობავა ზემოთ დასახელებული თეორიული ხასიათის ზოგადენათმეცნიერული ნაშრომის მეორე ნაკვეთში: კერძოდ, XX საუკუნის ენათმეცნიერული აზროვნების პერიპეტეების საფუძვლიანი განხილვის შემდგომ ბ. ჯორბენაძე კვლავ მიუბრუნდა *ენის ფორმოზრივი და ფუნქციური კვლევის სფეროების შემოსაზღვრის საკითხს*: „ფორმოზრივი კვლევა გულისხმობს ენობრივი ფორმის იმანენტური თვისებების, ფორმოზრივ ელემენტებს შორის მიზეზ-შედეგოზრივი კავშირის შესწავლას... შესაბამისად, ფუნქციური კვლევა ვარაუდობს ენობრივი ფუნქციების (მნიშვნელობების) სტრუქტურის, მათი ურთიერთმიმართებების განხილვას... ცალკე პრობლემაა ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობა.“ (ბ. ჯორბენაძე, 1980, გვ.115). ამ საკითხების კვლევას ეძღვნება მისი ნაშრომის შემდგომი ნაკვეთები. მისი კვლევის პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: როდესაც კვლევა ენობრივი ფუნქციიდან ამოსვლით ხდება, კვლევის ამოცანაა გარკვეული ენობრივი ფუნქციის სხვა ფუნქციებთან მიმართებების შესაწავლა და ფორმოზრივი რეალიზაციის ყველა შესაძლებლობის გამოვლენა და არა განსაზღვრული ფორმის განსაზღვრული ფუნქციით არსებობის კონსტატაცია. ხოლო, როდესაც კვლევა ფორმიდან ამოსვლით წარიმართება, *„ფორმა ჯერ იმანენტური მონაცემების საფუძველზე შეისწავლება, როგორც ელემენტი გარკვეული ფორმოზრივი სისტემისა, მისი სხვა ფორმებთან მიმართების გათვალისწინებით. შემდეგ კი ისიც უნდა დადგინდეს, თუ რომელი ფუნქციით ხერხდება მისი აღჭურვა და ამის რა საფუძველს იძლევა თვით ეს ფორმოზრივი სტრუქტურა.“* (იქვე, გვ.116). იგი თვლის, რომ ანალიზის ამგვარი კრიტერიუმების მოხმარების საკითხი დეტალურ დამუშავებას მოითხოვს, მაგრამ *„თავისთავად ასეთ კვლევაზე იმედის დამყარება მართებულად გვეჩვენება. ყოველ შემთხვევაში, იგი შესაძლებლობას მოგვცემს, ყოველგვარი გამონაკლისებისა და ანომალიების გარეშე ვილაპარაკოთ ენობრივ მოვლენებზე და გლობალურად მოვიცვათ ამა თუ იმ კატეგორიასთან დაკავშირებული საკითხები“* (იქვე, გვ.116-117). განსაკუთრებით ყურადსაღებია მისი ამ მსჯელობის დასკვნითი სიტყვები: *„რისამე უგულვებელყოფა მისი თავიდან აცილების მიზნით წინასწარ დაგეგმილ*

ხიფათს ჰგავს: უგულვებელყოფილი ფაქტი ხშირხშირად შეგვახსენებს ხოლმე თავს კვლევის დროს და, რაც უფრო ღრმად ვცდილობთ ენობრივ სამყაროში შეჭრას, მით უფრო მძიმე საზღაურს მოითხოვს” (გვ. 117). მე მინდა, რომ ყურადღება მივაქცევინოთ ამავე ნაშრომის წინასიტყვაობაზე, რომელშიც ავტორი არნ. ჩიქობავას მიერ 1928 წელს დასმული მეთოდოლოგიური საკითხების აქტუალიზაციას ახდენს და კვლავ წამოჭრის ენობრივი ფორმისა და ენობრივი ფუნქციის იმანენტური რაობის განსაზღვრის საკითხს და მიზნად ისახავს ფორმოზრივი და ფუნქციური სისტემებისა და სტრუქტურების ძირითადი პრინციპების გამოვლინების საფუძველზე ფორმოზრივი და ფუნქციური კვლევის კრიტერიუმების დადგენას. იგი კვლავ უბრუნდება უნივერსალურისა და კონკრეტულის ურთიერთმიმართების საკითხს კონკრეტული ენის კვლევისას და გახაზავს, რომ *„ენობრივი ფუნქციებისა და ზოგადი (იგულისხმება ლოგიკური) ცნებების ურთიერთკავშირი უეჭველია „მაგრამ მათი გაიგივება ყოვლად შეუძლებელია. სწორედ ეს მომენტი იყო გაუთვალისწინებელი და ფაქტიურად ასევე რჩება დღემდე. სწორედ ეს გაუთვალისწინებლობა გახდა მიზეზი ენის ლოგიცისტური პოზიციებიდან განხილვისა”* (იქვე, გვ. 90)

სამწუხაროა, რომ ბესიკ ჯორბენაძის ამ ნაშრომის მნიშვნელობაც არ არის დღემდე სათანადოდ გაგებულნი და გაცნობიერებული და ამ კვლევის შედეგებიც არ არის გათვალისწინებული და გამოყენებული ქართულ ენათმეცნიერულ წრეებში. დასაანანია, რომ თვითონ მასაც, მიუხედავად იმისა, რომ ხედავდა ამ პრობლემებსა და დაბრკოლებებს, **თეორიულად** განიხილავდა და ამახვილებდა ყურადღებას მათზე, მაგრამ, მის მიერვე აღიარებული ამ პრინციპებით პრაქტიკული, **სტატისტიკური კვლევის გაგრძელება** არ დასცალდა: მართალია, მის მონოგრაფიაში „ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში” (1983წ.) მორფოსინტაქსური მეთოდის სამაგალითო კვლევის საფუძველზე დადგენილია ზმნური ხმოვანპრეფიქსების მორფოლოგიური და სინტაქსური ფუნქციები ზმნაში (ირიბი ობიექტის „პოვნირებაზე” მინიშნება ზმნაში, ი- პრეფიქსის უკუქცევითობის კატეგორიასთან დაკავშირება და სხვ.) და სემანტიკური მიმართებები ადრესატებთან; ასევე, საყურადღებო წინასწარი დასკვნებია გამოტანილი მოქმედებითისა და ვნებითის ფორმათა დაპირისპირების პრინციპის თაობაზე, რაზედაც ვრცლად სათანადო ადგილას გვექნება მსჯელობა.

ახლა კი იმაზე გავამახვილებ ყურადღებას, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მთლიანი ზმნური ბაზის სტატისტიკურმა მორფო-სინტაქსურმა ანალიზმა ნათლად აჩვენა, რომ: ქართულში **„პასივად”** კვალიფიცირებული ზმნები **სისტემურად** აქტიურ სუბიექტს შეიცავენ, მაგრამ ამ შემთხვევებს გამონაკლისად თვლიან, ხოლო, ვინც ამ საკითხს განიხილავს როგორც სისტემურ მოვლენას, მაგ. ბ. ჯორბენაძე, კვლევის იმ ეტაპზე, როდესაც არ იყო გამოვლენილი ემპირიული კვლევის შედეგები, გამოსავალს იმაში პოულობს,

რომ შესაძლებლად თვლის, ტერმინი „**ვნებითი**“ პირობითად იქნას გამოყენებული „-ები“ ყალიბის ზმნებისათვის (მაგრამ „პირობითობა“ ტერმინის შემთხვევაში დაუშვებელია, რადგანაც ტერმინის ძირითადი მახასიათებელია მისი ცალსახა დამოკიდებულება აღსანიშნთან). არნ. ჩიქობავაც კი, რომელიც, როგორც ცნობლია, „**თბება**“ ტიპის ფორმებს ისტორიულად „**უგვარო დინამიკურ ზმნებს**“ უწოდებს, თანამდროვე ქართულში ვნებითთა ჯგუფში ათავსებს სწორედ იმის გამო, რომ მასაც „-ები“ ყალიბი ვნებითის მახასიათებლად მიაჩნია: კრიტერიუმი თითქოს გრამატიკულია, მაგრამ ემპირიულ მასალასთან წინმააღმდეგობაშია.

ჩვენი ამოცანაა ვიპოვოთ მიზეზი ამ წინააღმდეგობისა და „აპორიისა“, მაგრამ წინასწარ შევნიშნავთ, რომ ამ კითხვაზე პასუხს მხოლოდ ემპირიული მასალის ამომწურავი ინდუქციური კვლევა მოგვცემს.

გარდა ამისა, ამ პრობლემაში გასარკვევად საჭიროა განვიხილოთ ზმნურ ფორმათა კონვერსიის საკითხი ქართულ ენაში: ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა აკაკი შანიძის კლასიკური ნაშრომი „აქტივი და პასივი ერთურთის მიმართ მრავალპირიანი ზმნის ჩვენების მიხედვით“ (იხ. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, IV(4), თბ., 1942), აპრიორი მიღებულია დებულება, რომლის მიხედვითაც აქტივის კონვერსია ქართულში პასივის ფორმებს იძლევა, ამიტომ ის შემთხვევები, როდესაც ეს ყოველთვის (და უფრო ხშირადაც) ასე არ არის და კონვერსიული ფორმის სუბიექტი აქტიური პირია, ამავე დროს, აქტივის და პასივის ფორმები II სერიაში ემთხვევა ერთმანეთს (ომონიმურია), გამონაკლისადაა მიჩნეული. ეს წინააღმდეგობები ფორმასა და შინაარსს შორის შემჩნეულია და აღნიშნულიც გრამატიკულ ლიტერატურაში, მაგრამ, როგორც ვთქვით, მსგავსი მაგალითები გამონაკლისებადაა მიჩნეული.

მაგრამ სტატისტიკა, ემპირიული მასალა ამ დასკვნას მხარს არ უჭერს და აჩვენებს, რომ ეს უბრალო „შემთხვევები“, „დამთხვევები“ და „გამონაკლისები“ კი არ არის, არამედ ეს მოვლენა სისტემური ხასიათისაა და ჩვენ ვნახავთ, რომ ებ-ი სტრუქტურის ათასობით ზმნა სისტემურად აქტიურსუბიექტიანია: ერთპირიანის შემთხვევაში თვითმოქმედია, აქტიურსუბიექტიანია (იმალება, იგრიხება, ილოცება..., თბება, შრება, ცხრება..., წითლდება, ფითრდება... ის თვითონ), ორპირიანის შემთხვევაში კი ირიბობიექტიანი აქტიურსუბიექტიანია (ემალება, ელაპარაკება, ეჭურჩულება, ეტმასნება, ეალერსება, ეჯაჯგურება, ეჩხუბება, ეჯახება, ეხლება, ეწევა, ახტება, აცხრება... ის მას). მიზეზი ამ მცდარი კვალიფიკაციისა ერთადერთია: ამოსავლად აღებულია a priori, წინასწარვე ჭეშმარიტად აღიარებული წანამდვარი, რომლის მცდარობა სტატისტიკამ აჩვენა და დაადასტურა. სამწუხაროდ, ეს სტატისტიკური კვლევა არ ყოფილა ჩატერებული, დასკვნები გამოტანილი იყო წინასწარვე ჭეშმარიტად აღიარებული დებულებიდან (წანამდვრიდან), რომ: აქტივის კონვერსია იძლევა პასივს. ქართული ზმნის მორფო-სინტაქსურმა სისტემურმა და სტატისტიკურმა

ანალიზმა აჩვენა, რომ ქართული მრავალპირიანი (ორ და სამპირიანი) ზმნის კონვერსიული ფორმა უფრო ხშირად აქტიურსუბიექტიანია (რეფლექსივ-ავტოაქტივი და აქტივია) და არა პასიურსუბიექტიანი.

ამ საკითხზე შემდგომ საგანგებოდ გვექნება მსჯელობა, მაგრამ აქ მასზე იმისათვის გავამახვილეთ ყურადღება, რომ გვეჩვენებინა, თუ როგორი არსებითი მნიშვნელობა აქვს სწორი დასკვნების გამოტანისათვის ემპირიულ მონაცემებს: ემპირიულ მეცნიერებებში და, მათ შორის ენათმეცნიერებაში, კვლევას წინ უნდა უძღოდეს სტატისტიკური მონაცემების აღწერა და შესწავლა: შესასწავლი მასალის (სიმრავლის) კლასიფიკაციის კრიტერიუმს კი უნდა განსაზღვრავდეს ამ მეცნიერების შესასწავლი საგანი, ჩვენს შემთხვევაში – გრამატიკის საგანი (მორფოლოგია და სინტაქსი). მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი გრამატიკული კატეგორიის სწორი კვალიფიკაცია.

„პირველსავე სიტყუას“ რომ მივუბრუნდეთ, მას მერე, რაც გამოქვეყნდა მეთოდოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული არნ. ჩიქობავას ზემოხსენებული ნაშრომები, გავიდა ათეული წლები, მაგრამ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში „ლოგიკის ექსპანსიის“ პრობლემა დამლეული არ არის და იგი განსაკუთრებით ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორიების კვალიფიკაციისა და უღლებადი ფორმების სისტემატიზაცია-კლასიფიკაციისას იჩენს თავს: გრამატიკულ ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრის გადაღხვა ჭირს და ხშირად მასალის მოწმობის უგულვებელყოფა, ბ. ჯორბენამის სიტყვები რომ დავიმოწმოთ, „მისი თავიდან აცილების მიზნით“ ახალი დასაბუთებული აზრის მიღებას აბრკოლებს და გზას უკეტავს „შესაძლებლობას, რომ ყოველგვარი გამონაკლისებისა და ანომალიების გარეშე ვილაპარაკოთ ენობრივ მოვლენებზე“ და შესასწავლი საგნის, გრამატიკის შესატყვისი მეთოდოლოგიით განვიხილოთ ამა თუ იმ გრამატიკულ კატეგორიასთან დაკავშირებული საკითხები.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში არსებული პრობლემები და დაბრკოლებები ძირითადად გამოწვეულია სწორი დასკვნის გამოტანისათვის აუცილებელი და საკმარისი ემპირიული მასალის გაუთვალისწინებლობით, სემანტიკური (//ლოგიკური) და გრამატიკული კატეგორიების აღრევითა და ცნების დაყოფის ლოგიკური წესის დარღვევით, რაც სათავეს იღებს ჯერ კიდევ დიონისე თრაკიელის გრამატიკიდან. ჯერ კიდევ არ არის დამლეული დიონისე თრაკიელიდან გამოსული ევროპული გრამატიკული ლიტერატურის გავლენა: ამ გრამატიკების თვალთახედვითაა გააზრებული და კვალიფიცირებული ქართულ ზმნასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები. ამ „გაუხსნელი წრისა“ და აპორიების დაუძლეველობის დადასტურებაა ცოტა ხნის წინ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ავტორთა კოლექტივის მიერ გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით გამოცემული დიდტანიანი წიგნი - „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“

(2011), რომელიც ავტორთა მრავალწლიანი შრომატევადი მუშაობის შედეგია და თავისთავად ქართული ენათმეცნიერული აზროვნების დღევანდელ ეტაპს წარმოადგენს: „ზმნის მორფოლოგიის“ ნაკვეთში კარგად შემჩნეული დაბრკოლებები და ფორმასა და შინაარსს შორის შეუსაბამობები ხშირად „გამონაკლისითაა“ ახსნილი, რაც უნებურად მახსენებს ბატონი ვარლამის ერთ-ერთ სემინარზე თავშეკავებული ღიმილით ნათქვამ სიტყვებს, რომ დასაბუთების გზაზე „გამონაკლისის“ მოშველიება „გაჭირვების“ ახსნაა.

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ეს შეცდომები, ვიპოვოთ მიზეზები ამ შეცდომებისა და „მეთოდოლოგიური იმანემტიზმის“ პრინციპიდან გამომდინარე, მოვახდინოთ ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სისტემატიზაცია გრამატიკული კლასიფიკაციის საფუძველზე, მასალის ანალიზისას შემოვსაზღვროთ ენის ფორმოზრივი და ფუნქციური კვლევის სფეროები; ასევე, ერთი მხრივ, ენის ისტორიის შესწავლის მეთოდები, ხოლო მეორე მხრივ - ენის სისტემის აღწერის მეთოდები, რაც, თავის მხრივ, ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორიების სწორი კვალიფიკაციის საშუალებას მოგვცემს.

პირველ რიგში პასუხი უნდა გავცეთ კითხვას, რომელიც მუდმივად ისმის ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში: რა არის გრამატიკის შესწავლის საგანი და შესაბამისად, ამ საგნიდან გამომდინარე, ვიპოვოთ შესასწავლი ობიექტის - სიტყვათა სიმრავლის (იქნება ეს სახელი თუ ზმნა) სწორი საკლასიფიკაციო კრიტერიუმი.

გრამატიკის დარგებია მორფოლოგია და სინტაქსი. მორფოლოგიის შესწავლის საგანია სიტყვის ფორმა ანუ სტრუქტურა, ხოლო სინტაქსისა - შესიტყვების ანუ სინტაგმის წევრების სტრუქტურა-მექანიზმის შესწავლა.

თუ ამ საკითხში ვთანხმდებით, მაშინ ზმნის უღლების ტიპებად დაყოფას საფუძვლად უნდა დაედოს ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია.

ლექცია №4

სტატიკა და დინამიკა ქართული ზმნის ძირითადი სტრუქტურები

სანამ შევუდგებით ქართული ზმნის მორფო-სინტაქსურ ანალიზს, შევხებით სტატიკისა და დინამიკის საკითხს: ქართულ ზმნას შეუძლია გამოხატოს 1) პირის / საგნის ფიზიკური ან სულიერი მდგომარეობა; 2) პირის/საგნის მოქმედება, მოქმედების პროცესი.

მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით ორივე ჯგუფის ზმნები აწმყოს ორ ძირითად მოდელს ეყრდნობა:

I. R-Ø (R+th.suf. - Ø და R-[ე/ი] - Ø ვარიანტებით)

II. R-ი (R+th.suf. -ი ვარიანტით)

1. სტატიკა:

ქართული ზმნის ფორმებს შეუძლიათ გამოხატონ სტატიკის სამგვარი შინაარსი:

1) სუბიექტის **ფიზიკური მდგომარეობა (აბსოლუტური სტატიკა):** ვ-ხატ-ი-ვარ - ხატია, ვ-გდ-ი-ვარ - გდია, აფენ-ი-ა... ვ-უხატ-ი-ვარ - მიხატია, ვ-უგდ-ი-ვარ - მი-გდ-ი-ა... - სუბიექტის გრამატიკული მარკერია ვ-ს რიგის აფიქსი;

2) სუბიექტის **სულიერი მდგომარეობა:** გრძნობა-აღქმასთან, მენტალობა-აზროვნებასთან დაკავშირებული სემანტიკის ზმნები: მიყვარს მე - უყვარს-მას, მ-ძულს, მო-მ-წონს, მიხარია-ა, მ-ესმის, მ-ჯერ-ა... - სუბიექტი მიცემით ბრუნვაშია, მისი გრამატიკული მარკერია მ-ს რიგის აფიქსი; ამ ტიპის ზმნებს „აფექტურ ზმნებს“ უწოდებენ)

3) სუბიექტის **უკუქცევითი მოქმედების მდგომარეობა (ნაწილობრივი სტატიკა):** ვტირი - ტირი-ს, ვ-გოდებ - გოდებს, ვ-კანკალებ - კანკალებ-ს, ვ-გორავ - გორავ-ს, ვ-შრომობ - შრომობს (ის) - სუბიექტი თვითმოქმედი, დგას სახელობით ბრუნვაში, ზმნაში მისი გრამატიკული მარკერია ვ-ს რიგის აფიქსი;

ცალკე გამოიყოფა მ-ა-ხველებ-ს - ხველებ-ს, მ-ა-მცხიკვებს - ამცხიკვებს, მ-აკანკალებს - აკანკალებ-ს, მ-აჟრჟოლებს - აჟრჟოლებ-ს, მ-ემცხიკვება - ემცხიკვება-ა, მ-ემძინება-ა - ემძინება-ა, მ-ენატრება-ა მ-აგონდება-ა მე - აგონდება-ა მას... ტიპის ზმნათა ჯგუფი, რომელიც კაუზატიური (ა- - -ებ) წარმოების მქონე ზმნების კონვერსიითაა მიღებული (ემძინებს ის მას > ემძინება მას), რის შედეგადაც მიცემითში დასმული ობიექტური პირი (ეგზეკუტორი), რომლის მარკერი მ-ს რიგის პრეფიქსია, გაგებულ იქნა სუბიექტად, ოღონდ არა

აგენსად, ანუ მოქმედების საკუთარი ნებით ჩამდენად, არამედ მოქმედების უნებლიედ განმცდელ/მოქმედ, სუსტი ნებელობის, განმცდელი (დ. მელიქიშვილი, 2001, III დიათეზა, გვ.225-255), „ინაქტიური“ (ირ. მელიქიშვილი, 2011, გვ.319-334) სუბიექტად. შესაბამისად, ამ ტიპის ზმნებში სუბიექტის მორფოლოგიური მარკერია მ-ს რიგის პრეფიქსი (რომელიც სახელობითთან კომბინაციაში მიცემით ბრუნვას მიემართება. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კაუზატიური წარმოების აქტიური სემანტიკის (ფიზიკური, სივრცული მოქმედების გამომხატველ) ზმნებში ზემოთ დასახელებულ ზმნათა ჯგუფისგან განსხვავებით, კონვერსიულ ფორმებში გაუჩინარებული აგენსური სუბიექტის (სამპირიანი ზმნის შემთხვევაში მაკაუზირებელი პირის) ადგილს იჭერს სახელობითბრუნვიანი ობიექტი, რომელიც სემანტიკურად აქტიური ნებელობის გამომხატველი (ავტოაქტიური ან აქტიური) სუბიექტია (*მალავს ის მას > იმალება ის; ასახლებს ის მას > სახლდება ის, უმალავს ის მას მას > ემალება ის მას, ჩაუსახლებს ის მას მას > ჩაუსახლდება ის მას...*)

1. **სტატიკური ზმნების R-ი სტრუქტურით გამოიხატება** საგნის მდგომარეობა რაიმე ტოპოსთან, ადგილთან ან ზმნაში მონაწილე პირთან მიმართებით. ეს ლოკალური ან პირთა შორის მიმართება ხშირად გამოხატულია პირის ნიშნით ან პირთა მიმართების (კორელაციის) ა-, ი-, უ-ხმოვანპრეფიქსებით: *ჰ-გიე-ს, ჰ-მოსი-ა, ა-გდია - უ-გდ-ი-ა, (ს)წერ-ი-ა/ა-წერ-ი-ა - უ-წერია, ა-ხატ-ი-ა, ა-ფენ-ი-ა*, და მისთ. ეს ზმნები გამოხატავენ საგნის არსებულ მდგომარეობას, **სრულ, აბსოლუტურ** უძრაობას: ამიტომ ამგვარ სტატიკას **აბსოლუტურ სტატიკას** ვუწოდებთ. რადგანაც აქ აბსოლუტურ უძრაობასთან გვაქვს საქმე, იგი გრაფიკულად შეიძლება წერტილით გამოიხატოს [.]. წინასწარვე უნდა ითქვას, რომ ამგვარი ზმნების არც ერთპირიანი (*ხატია ის ფურცელზე, გდია ის მიწაზე*) და არც რელატიური, ანუ ორპირიანი ფორმები (*მიხატია ის მე, მიგდია ის მე*) არ შეიცავენ ლოგიკური სუბიექტისა თუ ობიექტის გაგებას, რადგანაც აქ საქმე გვაქვს უძრაობასთან და, ამდენად, არ არსებობს მოქმედი და სამოქმედო პირი, არამედ ორივე ზმნაში **მონაწილე** პირები - **პარტიციპანტებია**. მაგრამ ცნობიერებაში აქტიურდება მფლობელი, განმცდელი პარტიციპანტი, პერსონალური პირი, რის შედეგადაც ზმნა დინამიკურ შინაარსს იძენს და, შესაბამისად, დინამიკურობის გრამატიკული ატრიბუტებით (ე.წ. „თემის ნიშნებით“) ფორმდება, რამაც წარმოშვა კიდევ დატიურსუბიექტიანი კონსტრუქციის **III სერიის ზმნისწინიანი და „თემისნიშნისანი“ დინამიკური „ინვერსიული“** შინაარსის ფორმები (ამ საგანგებოდ განვიხილავთ შემდგომ).

აბსოლუტურ-სტატიკური ზმნები ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის არქაულ ნაწილს და ქართული ზმნის ფორმაწარმოების უძველეს საფეხურს წარმოადგენენ. ეს ზმნები უძველესი ფორმაციისაა, მათი ამოსავალი

სტრუქტურა არ შეიცავს მადინამიკურებელ, ე.წ. „თემატურ“ სუფიქსებს (რომლებიც I სერიის ჯგუფს ახასიათებს). დროის სამწევრა სისტემის ჩამოყალიბების პროცესში მოფადის მოდელად გაფორმებულ ე- - ებ კონფიქსის -ებ სუფიქსს დაკარგული აქვს მადინამიკურებელი ფუნქცია.

სტატიკური ზმნა, პრინციპში, თავისი შინაარსიდან გამომდინარე (რამდენადაც იგი მდგომარეობას აღნიშნავს), დროის მიხედვით უცვლელი უნდა იყოს, მაგრამ მათ დინამიკური ზმნების უღლების განვითარებული სისტემის ანალოგიით აწარმოეს დრო-კილოთა თავისებური, საკუთარი ფორმები, რომლებიც, როგორც მოსალოდნელიც იყო, განსხვავდება დინამიკური ზმნების რეგულარული წარმოებისაგან.

სტატიკური ზმნები - დგას, ზის, წევს - არქაული, სისტემის გარეთ დარჩენილი, ირეგულარული ძირმონაცვლე ზმნებია, რომელთაც ცალკე განვიხილავთ.

2. მეორე ტიპის სტატიკა R-Ø სტრუქტურისაა და ძირითადად განმცდელი, სუსტი, ინაქტიური სუბიექტის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს. ასეთებია უძველესი ფორმაციის ე.წ. „აფექტური“ ზმნები: *მიყვარს, მძულს, მომწონს...* ეს ზმნები უღლების არქაულ ვითარებას გვიჩვენებენ: მათი დამახასიათებელია მარტივი სტრუქტურა და დატიური კონსტრუქცია. სინტაქსური კონსტრუქციის თვალსაზრისით უპირისპირდებიან ფიზიკური მდგომარეობისა და მოქმედების გამომხატველ როგორც სტატიკურ, ასევე დინამიკურ ზმნებს: მათი სუბიექტის ბრუნვა მიცემითია, რომელიც ზმნაში გამოხატულია მანის რიგის მარკერით (ვრცლად იხ. ლექცია № 9-10-11).

„*მიყვარს*“ ტიპის აფექტური, სულიერი მდგომარეობის გამომხატველი ზმნებიც, ასევე, ქართული ენის ძირითადი, არქაული ლექსიკური ფონდის ნაწილია და ქართული ზმნის ფორმაწარმოების უძველეს სტრუქტურასა და არქაულ დატიურ კონსტრუქციას გვიჩვენებენ. ეს მოდელი გახდა R-th.suf.[-ებ/-ეგ/-ობ/-ემ]-Ø და R-th.suf.-ი სტრუქტურის დინამიკური ზმნებისაგან III დიათეზის ახალი ქვეჯგუფის (ინვერსიისა და კონვერსიის გზით მიღებული დატიური კონსტრუქციის) ჩამოყალიბების წყარო.

3) მესამე ტიპის სტატიკა R-th.suf.-Ø სტრუქტურისაა. R-ი სტრუქტურის სტატიკურ ზმნებთან მიმართებით, ამ, R-th.suf.-Ø სტრუქტურის - ყვირის, კანკალ-ებ-ს, ჟრიალ-ებ-ს, გორ-ავ-ს, ყვირ-ი-ს, ბობოქრ-ობ-ს, მეფ-ობ-ს და მისთანა ზმნათა სტატიკურობა მიმართებითია, შეფარდებითია და ამგვარ სტატიკას შეიძლება არასრული, ნაწილობრივი, რელატიური ანუ შეფარდებითი სტატიკა ვუწოდოთ, რადგანაც ეს ზმნები, თუ შეიძლება ითქვას, მოქმედების მდგომარეობას გამოხატავენ და არა მოქმედების დინამიკას. ამ ტიპის ზმნებს არნ. ჩიქობავა უგვარო სტატიკურ ზმნებს უწოდებს. ასეთი სტატიკა გრაფიკულად შეიძლება წრეწირით [O]

გამოვხატოთ, რადგანაც ამგვარ ზმნათა ერთპირიანი ფორმების სუბიექტის მოქმედება რეფლექსიურია, უკუქცევითია, არ გამოდის მისი მოქმედების წრიდან, სფეროდან : რომელი წერტილიდანაც იწყება, იმავე წერტილში სრულდება (მთავრდება), სუბიექტი თავის თავზე მოქმედებს, ანუ ამ ტიპის ზმნა პირდაპირ ობიექტს შინაგანად შეიცავს. მისი სუბიექტი თვითმოქმედია, ანუ ავტოაქტიურია, ამიტომ ამ ტიპის ერთპირიან ზმნებს შეიძლება ავტოაქტივები ვუწოდოთ. მათი ფუძის საკუთარი მახასიათებელი რეფლექსივის ი- პრეფიქსია, რომელიც სასუბიექტო მიმართების, სუბიექტისკენ მიმართული მოქმედების მარკერად გვევლინება „პირდაპირი ობიექტის“ მდგომარეობა-მოქმედების წრიდან გამოსვლის შემთხვევაში. ამ ზმნებს ეს -ი პრეფიქსი გარდა წყვეტილისა და მისგან ნაწარმოები მყოფადისა, ძველ ქართულში აწმყოს ჯგუფშიც ერთვოდა და დღესაც შემონახულია გარკვეული ტიპის ზმნებში: ძვ. ხ-ი-მოთხვიდეს, ი-სტუნეს, ი-ნადირობს, ი-ლოცავს, ი-ტყვს... ახ. ი-ძინებს, ი-ღვიძებს, ი-ბანაკებს, ი-სმენს, ი-ძენს, ი-ნატრის, ი-მღერის, ი-ჩქარის, ი-ხარის და სხვ... (ვრცლად ამის შესახებ იხ. დ. მელიქიშვილი. 2001, II ნაწ., I დიათეზა, გვ. 83 და შმდ., ინდექსი: პარადიგმები; №3, №11).

ამ ტიპის ზმნათა სუბიექტი ბრუნვაცვალებადაა, ისევე, როგორც პირდაპირი ობიექტის შემცველი დინამიკური ზმნებისა: სახელობითი - I სერიაში; მოთხრობითი - II სერიაში; ხოლო მიცემითი ბრუნვა - III სერიაში. სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვა ზმნაში აღინიშნება ვინის რიგის, ხოლო მიცემითი - მანის რიგის მარკერით. ევროპული ენების გრამატიკებში ამ ტიპის ზმნები მედიუმის ჯგუფში განიხილება. როგორც ვნახავთ, ამ ტიპის ზმნებს ა. შანიძეც მედიუმის ჯგუფში ათავსებს. ბოლო დროს მათ „ატელიკურ“ ზმნებად მოიხსენებენ, განსხვავებით ბრუნვაცვალებადი (ე.წ. „პირდაპირი“) ობიექტის შემცველი აქტიურსუბიექტიანი დინამიკური ზმნებისაგან, რომელთაც „ტელიკურ“ (ანუ სასრული მიზნის მქონე) ზმნებს უწოდებენ (D. Melikishvili, J. D. Humphries, M. Kupunia, The Georgian Verb: A Morphosyntactic Analysis, Dunwoody Press, 2008).

როგორც აბსოლუტურ-სტატიკური, ისე ნაწილობრივ, შეფარდებითი, ნაწილობრივ-სტატიკური (ავტოაქტიური) ზმნები ბაზაა, ამოსავალია დინამიკური ზმნების საწარმოებლად ე.წ. კაუზატიური წესით: გდ-ი-ა (ძვ. კ-გდ-ი-ე-ს) - ა-გდ-ებ-ს; წუხ-ს - ა-წუხ-ებ-ს, დგას - ა-დგ-ენ-ს, ტირ-ი-ს - ა-ტირ-ებ-ს, გორ-ავ-ს - ა-გორ-ებ-ს). სტატიკური ზმნები, როგორც უძველესი ფორმაციისა, ღარიბია მორფოლოგიური კატეგორიებით და ხშირად ირეგულარულია.

2. დინამიკა

დინამიკური ზმნა აღნიშნავს მოქმედების პროცესს, რომელიც ერთი პირიდან მეორეს (და შეიძლება მესამესაც) მიემართება პირდაპირ ან ირიბად: *მაღავს ის მას - უმაღავს ის მას მას - ემალება ის მას; შლის - იშლება ათეთრებს ის მას - უთეთრებს ის მას მას, აშრობს ის მას - უშრობს ის მას მას...* ეს რელაცია გრაფიკულად შეიძლება წრფეწირით გამოიხატოს: (S---->O).

დინამიკურ ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობის აწმყოს სტრუქტურაა **R-th.suf.-Ø** და **R-th.suf.-ი**. იშვიათია **R-Ø** სტრუქტურის უსუფიქსო, „წერს“ ტიპის ზმნები (15-იოდე ზმნაა შემორჩენილი). **R[ე/ი]-Ø** სტრუქტურის ფუძედრეკადი (ხმოვანმონაცვლე) ზმნების რაოდენობა (დიალექტური ფორმების ჩათვლით) 240-400-მდე მერყეობს.

დინამიკურ ზმნათა რიგში გამოიყოფა **R-th.suf.-Ø** სტრუქტურის ორპირიან ზმნათაგან კონვერსიით მიღებული **R-th.suf.-ი** სტრუქტურის ერთპირიანი „*მაღავს ის მას > იმაღ-ვ-ი-ს > ი-მაღ-ებ-ი-ს > იმაღ-ებ-ა ის*“ ტიპის ი- პრეფიქსიანი რეგულარული ფორმები, რომელთაც სულირი სუბიექტის შემთხვევაში უკუქვევითი, რეფლექსივის (ავტოაქტივის) შინაარსი აქვთ. ასეთივე, ავტოაქტივის შინაარსი აქვთ **R-th.suf.-ი** სტრუქტურის ნასახელარ -დ სუფიქსიან „*თეთრდება*“ და „*თბება*“ ტიპის ზმნებს, მაგრამ განსხვავებით ი- პრეფიქსიანი კონვერსიული (ავტოაქტივის / რეფლექსივის) ერთპირიან ფორმათაგან, ეს ფორმები, როგორც შემდგომ ვნახავთ, კონვერსიის შედეგად კი არ არის მიღებული, არამედ ძირეული ზმნებია და კაუზაციური ფორმები მათგანაა ნაწარმოები ა--ობ კონფიქსის საშუალებით: *ტფ-ებ-ის > ა-ტფ-ობ-ს* (იხ. ლექცია №9-10).

დინამიკური ზმნისთვის დამახასიათებელი მადინამიკურებელი, ე.წ. „თემატური“ სუფიქსის მქონე სტრუქტურა I და III სერიის ფორმებს აქვთ. II სერიის ფორმები („აორისტის“ ჯგუფი) სტატიკური სტრუქტურისაა, მათ მრტივი ფუძე აქვთ, არა აქვთ მადინამიკურებელი, პროცესის გამომომხატველი ფორმანტები, რაც პირდაპირი მოწმობაა იმისი, რომ II სერიის, აორისტის ფუძე ამოსავალია, ძირითადი ფორმაა აწმყოს დინამიკური ფორმების საწარმოებლად (ამ საკითხის შესახებ ვრცლად იხ. ლექცია №6).

დინამიკური ზმნები ქართული ენის ზმნური ლექსიკური ფონდის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ, მათ ძირითადად რეგულარული წარმოება აქვთ, მორფოლოგიური კატეგორიებით მდიდარია და მათი უღლების სისტემა ლოგიკურად მკაცრადაა გამართული.

ლექცია №5

ქართული ზმნის დრო-კილოთა ფორმების სერიებად და მწკრივებად გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) კლასიფიკაციის პრინციპი

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, გრამატიკის დარგებია მორფოლოგია და სინტაქსი.

1. მორფოლოგიის საგანია სიტყვის ფორმის ანუ სტრუქტურის აღწერა-შესწავლა;

2. სინტაქსის საგანს წარმოადგენს ზმნის კონსტრუქციის შესწავლა: შესიტყვების, სინტაგმის წევრების ურიერთმიმართების მექანიზმის აღწერა.

თუ ეს ასეა, და ამ საკითხში შეთანხმებულნი ვართ, მაშინ ზმნის უღლებადი ფორმების შესწავლისას ამ ფორმათა საკლასიფიკაციო კრიტერიუმად უნდა ავიღოთ ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია.

ასე მოიქცა ქართული გრამატიკული აზრის სისემატიზატორი, აკაკი შანიძე, როდესაც მან გადაუხვია ევროპული ენების გრამატიკებში დამკვიდრებულ პრინციპს (რომლის მიხედვითაც ზმნის დრო-კილოთა ფორმების საკლასიფიკაციო ნიშნად, ანუ გვარეობით ცნებად კილოს კატეგორიაა მიღებული, დროის ფორმები კი თითოეული კილოს შიგნით სახეობით ქვეჯგუფებადაა დალაგებული) და ქართული ზმნის უღლებადი ფორმები მორფო-სინტაქსური კრიტერიუმით გამოყოფილ ჯგუფებად (რომელთაც სერიები უწოდა) დაალაგა.

უფრო ადრე, ნიკო მარმა, ფორმაწარმოების პრინციპიდან გამომდინარე, გამოყო ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სამი ჯგუფი „აწმყოს, აორისტისა და პერფექტული დროების" სახელწოდებით (იხ. Marr H.Я., Основные таблицы к грамматике древнелитературного грузинского языка, СПб, 1908; Marr H.Я., Грамматика древнелитературного грузинского языка,ю Материалы по яфетическому языкознанию, XII, Ленинград, 1925; Marr N., Brière M., La langue Georgienne, Paris, 1931).

რადგანაც ძველ ქართულში თხრობითი კილოს მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ფორმები ომონიმური იყო და გვარეობით ჯგუფად კილოს კატეგორიის მიღების შემთხვევაში ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა ჯგუფში მოხვდებოდა, ამიტომ ნიკო მარმა ჯერ კიდევ 1908 წელს გამოცემულ შესანიშნავ „ტაბულებში", შემდეგ კი, „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკასა" (1925წ.) და მორის ბრიერის თანაავტორობით გამოცემულ (1931წ.) ფუნდამენტურ ნაშრომში "ქართული ენა", გამოყო 8 ძირითადი დრო ("основные времена"): რომლებიც იყოფა 2 „მთავარ დროდ": 1. აწმყო (რომელიც ძვ. ქართულში შეიძლება მომავალსაც გამოხატავდეს) და 2. აორისტი (настоящее и аорист). ამათგან ნაწარმოები

„დროება“: აწმყოს ფორმიდან: ნამყო უსრული: -დ-ი, -ოდ-ი და ნატვრითი -დ-ე, -ოდ-ე (прошедшее несоверш. и желательное; imparfait premier, imparfait second) და აორისტიდან კავშირებითი (оно-же сослагательное); თუმცა გამოტოვებული აქვს „პერმანსივი“ (II ხოლმეობითი) რომელიც ძველ ქართულში საკმაოდ აქტიურად ხმარებული ფორმაა. ამავე დროს, I (აწმყოსა) და II (აორისტის) ჯგუფის ფორმებს იგი უპირისპირებს ერთმანეთს, როგორც აქტიურ და პასიურ ფუძეებს და შსაბამისად, აორისტიში მოთხრობით ბრუნვას მიცემითის ფარდად განიხილავს. რაც შეეხება III ჯგუფს, I დრო - შედეგობითი (заочное, parfait) ეყრდნობა აწმყოს ფუძეს, ხოლო II და III დროები თხრობითი კილოს ნამყო-წინარეწარსული (plus-que parfait de l'indicatif) გამოჰყავს პასივის აორისტისაგან (მაგ.: მეხსნა), ხოლო კავშირებითი-სრული (parfait de subjonctif) - პასივის მოფადისაგან (მაგ. მეხსნას) (იხ. Marr, Brière, აქტივის უღლება კლასების მიხედვით: იხ. §§ 161-180).

* მარის ამ გენიალურ ნაშრომებში ჩამოყალიბებულია მწყობრი, სისტემური სურათი ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფის თვალსაზრისით: მის სისტემაში გათვალისწინებულია ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქციაც (აქტანტების ბრუნვების პირის ნიშნებთან მიმართება), გამოყოფილია ზმნების ჯგუფები თემატური სუფიქსებისა და ფუძის ხმოვნის აბლაუტის მიხედვით, ზმნის 4 კლასები ა-, ო-, უ- ხმოვანპრეფიქსების მიხედვით („порядки“), რომელთა შორის განიხილავს ა- პრეფიქსიან კაუზატივსაც, და სხვა უმნიშვნელოვანესი გრამატიკული საკითხები, რომლებიც დღესაც მოსაგვარებელია, მაგრამ იმ დროისათვის სრული სტატისტიკური მონაცემების სიმწირის გამო ეს სისტემა სრული არ არის და ხარვეზებს შეიცავს, გასაკუთრებით კლასიფიკაციის პრინციპად გვარის სემანტიკური კატეგორიის მიღების გამო. თავის დროზე არნ. ჩიქობავამ მისი ნაშრომი „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკა“ აღიარა, როგორც „პირველი მეცნიერული გრამატიკა ქართული ენის, არა მხოლოდ ძველი სამწერლობოსი, არამედ საერთოდ, ქართულისა“, გამოყო ზმნის შესწავლის დადებითი შედეგებიც (სუბიექტური და ობიექტური წყობის გამოყოფა, დროთა სისტემა აგებული გენეტური მეთოდით...), თუმცა კი გააკრიტიკა ლოგიციზმისა და აპრიორიზმის გამო (წინასწარ მიღებული დებულება ქართველური ენების სემიტურთან ნათესაობის შესახებ). საერთოდ ნიკო მარის ამ ნაშრომების განხილვას ლექციების მთელი ციკლი დასჭირდება და, ეს საჭიროცაა, რადგან ნიკო მარის ნააზრევმა ენათმეცნიერული აზრის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი კვალი დატოვა.

ძველ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაშიც იყო ცდა საუღლებელი ფორმების საწარმოებელი ფუძის მიხედვით კლასიფიკაციისა, მაგრამ აკაკი შანიძემ კიდევ უფრო დახვეწა საუღლებელ ფორმათა კლასიფიკაციის პრინციპი და ამ კლასიფიკაციას მორფოლოგიურთან ერთად სინტაქსური კრიტერიუმიც დაუდო საფუძვლად: მან ეს ჯგუფები გარდამავალი, ერგატიული კონსტრუქციის ზმნის ფუძის (თემის) სტრუქტურისა და კონსტრუქციის მიხედვით გააერთიანა და სამ სერიად დაყო: ქართული ზმნის დრო-კილოთა სისტემატიზაციისას საკლასიფიკაციო ნიშნად (კრიტერიუმად)

მან ზმნის ფუძის სტრუქტურა მიიღო, რასაც სინტაქსური კონსტრუქციაც უჭერს მხარს: I სერიაში ერთიანდება რთულთემიანი (ე. წ. თემისნიშნაანი) და ფუძედრეკადი ზმნები ე გახმოვანებით, გარდამავალი ზმნებისათვის ნომინატიური კონსტრუქციით, რომლებიც უპირისპირდებიან ამავე ზმნების II სერიაში გაერთიანებულ მარტივთემიან და ფუძედრეკადთა ფორმებს ი გახმოვანებით და გარდამავალი ზმნების ერგატიული კონსტრუქციით. III სერია გვიანდელი ჩამოყალიბებულია და აერთიანებს I და II სერიის სტრუქტურის გარდამავალი ზმნების დატიური (ინვერსიული) კონსტრუქციის ფორმებს.

სერიების და მწკრივების სქემა

ა) თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში

I სერია	
სტრუქტურა: R-[th.suf.]-Ø; კონსტრუქცია ნომინატიური	
აწმყოს წრე	მყოფადის წრე
აწმყო ვ-/აშენებ/-ს მე მას /ის მას	მყოფადი ა-/ვ-/აშენებ/-ს
უწყვეტელი ვ-/აშენებდ/-ო/-ა	პირობ.-ხოლმეობ. ა-/აშენებდ/-ო/-ა
აწმყოს კავშირებითი ვ-/აშენებდე/-ს	მყოფ. კავშირ. ა/ვ-/აშენებდ/-ე/-ს

II სერია	
სტრუქტურა ძირეული: R-Ø; კონსტრუქცია ერგატიული	
წყვეტილი	II კავშირებითი
ა-ვ-/აშენე/-ა მე ის / მან ის	ა-ვ-/აშენ/-ო/-ს მე ის/ მან ის

III სერია	
სტრუქტურა ნარევი, კონსტრუქცია დატიური	
I რეზულტატივი	II რეზულტატივი
ამიშენებია მე ის -ავუშენები-ვარ მას მე /აუშენებია მას ის	ამეშენებინა მე ის -ავეშენებინე მას მე /აეშენებინა მას ის//ის მას
ამშენებია ის მე /ავშენებივარ მე მას / აშენებია ის მას //მას/ ის	ამშენებოდა ის მე - ავშენებოდი მე მას აშენებოდა ის მას
ა/ვ-შენებულ-ვარ / აშენებულ-ა	//ავშენებულ-(ვ)იყავი /აშენებულ-იყო
	III კავშირებითი
	ამეშენებინოს მე ის-ავეშენებინო/მას მე
	აეშენებინოს მას ის//ის მას
	ამშენებოდეს ის მე / ავშენებოდე მე მას
	აშენებოდეს ის მას
	ავშენებულ(ვ)-იყო მე /აშენებულიყოს ის

ბ) ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში

I სერია	
სტრუქტურა: R-th.suf.-Ø, R[ე]-Ø; კონსტრუქცია ნომინატიური	
<p>აწმყოს წრე</p> <p>1. აწმყო // მყოფადი <i>(ბ)-ი-მოთხევ/-ს, (ბ)-ი-ტყუ/-ს, ი-სწავებ/ს, აღ-ვ-აშენებ/-ს, და-ვ-იძალავი/-ს.</i></p> <p>2. აწმყოს ხოლმეობითი <i>სუამ-ნ/სუმ-ედ, წერ-ნ/-ედ</i></p> <p>3. (აწმყო//მყოფადის) უწყვეტელი <i>(ბ)-ი-მოთხ-ევ-დ-ი/-ა, (ბ)-ი-ტყ-ოდ-ი/-ა, ი-სიძ-ვ-იდ-ა, აღ-ვ-აშენებ-დ-ი/-ა.</i></p> <p>4. უწყვეტლის ხოლმეობითი <i>აღ-//აშენებ-დ-ი-ს, (ბ)-ი-მოთხ-ვ-იდ-ი-ს, (ბ)-ი-ტყ-ოდ-ი-ს, ი-სიძ-ვ-იდ-ი-ს.</i></p> <p>5. I (აწმყო/ მყოფადის) კავშირებითი <i>(ბ)-ი-მოთხ-ევ-დ-ე-ს, (ბ)-ი-ტყ-ოდ-ე-ს, და- /ვ-წერ-დ-ე-ს, აღ-ვ-აშენებ-დ-ე-ს.</i></p> <p>6. I ბრძანებითი <i>წერ-დ-ი / თ, წერდ-ი-ნ / წერ-დ-ედ</i></p>	<p>XI საუკუნიდან</p> <p>6. მყოფადი <i>აღ-ვ-ა-შენ-ებ/-ს, აღ-შენ-დ-ებ-ის, გან-ვ-ატფობ/-ს, გან-ვ/ ტფებ-ი/-ს, გან-ვ-აბნევ/-ს, გან-იბნევი/-ს, აღ-უთქუამ/-ს, შე-ეწევი/-ს.</i></p>

II სერია			
სტრუქტურა მარტივი, კონსტრუქცია ერგატიული			
<p>1. II ხოლმეობითი (დიურატ.) <i>ისწავი</i> <i>(აღ)აშენი</i> <i>(და)იძალი</i></p>	<p>2. წყვეტილი: <i>ისწავე</i> <i>(აღ)აშენე</i> <i>(და)იძალე</i></p>	<p>3. II მყოფადი: <i>ისწავო</i> <i>(აღ)აშენო</i> <i>(და)იძალო</i></p>	<p>4. II კავშირებითი <i>რადთა ისწავო</i> <i>რადთა (აღ)აშენო</i> <i>რადთა (და)იძალო</i></p>

III სერია	
სტრუქტურა ნარევი, კონსტრუქცია დატიური	
<p>1. I რეზულტატივი <i>გან-მ-ი-ზრდ-ი-ე-ს მე /იგი</i> <i>გა-უ-ზრდ-ი-ე მას მე</i> <i>გა-მ-ზრდ-ი-ე-ს მე იგი</i> <i>გა-ვ-ზრდ-ი-ე მას მე</i> <i>გა-ზრდ-ილ ვარ /-ხარ/ -არს მე/ შენ/ იგი</i></p> <p>2. III ხოლმეობითი <i>გან-მ-ე-ბნი-ი-ს, და-მ-ე-თეს-ი-ს</i> <i>მ-ე-ბრძან-ი-ს</i></p>	<p>2. II რეზულტატივი <i>გან-მ-ე-ზარდ-ა მე იგი</i> <i>გან-ვ-ე-ზარდ/ე მას მე</i> <i>გან-მ-ზრდ-ოდ-ა მე იგი</i> <i>გან-ვ-ზრდ-ოდ-ი მას მე</i> <i>განზრდილ ვიყავ /-იყავ -იყო მე/ შენ/ იგი</i></p> <p>3. III კავშირებითი <i>გან-მ-ე-ზარდ-ო-ს მე იგი</i> <i>გან-ვ-ე-ზარდ/ო მას მე</i> <i>გან-მ-ზრდ-ოდ-ე-ს მე იგი</i> <i>გან-ვ-ზრდ-ოდ-ე მას მე</i> <i>განზრდილ ვიყო /-იყო -იყო-ს მე/ შენ/ იგი</i></p>

სამი სერიის გამოყოფა ისტორიული თვალსაზრისითაც გამართლებულია: ასეთი კლასიფიკაცია ქართული ზმნის დრო-კილოთა ფორმირების, დიაქრონიული განვითარების სურათს ემთხვევა და ადეკვატურად წარმოაჩენს. ზემოთ წარმოდგენილი სქემებიდან კარგად ჩანს ცვლილებები ძველიდან ახალი ქართულისაკენ, ნათლად ჩანს ქართული ზმნის უღლებადი ფორმების მორფო-სინტაქსური სისტემის ისტორიული განვითარების რთული, მაგრამ უაღრესად ლოგიკური გზა.

ქართული ზმნის ფორმების **სერიებად დაჯგუფების** მორფო-სინტაქსური კრიტერიუმი, რომელიც ჯერ კიდევ ნიკო მარმა და შემდეგ აკად. აკაკი შანიძემ შემოიღო და დაამკვიდრა, როგორც ერთი, ჩვენში ნაკლებად ცნობილი ამერიკელი ენათმეცნიერი, დენიელ ჰამფრისი აღნიშნავს, თავის დროზე „რევოლუციური გარდატეხა“ გახლდათ არა მხოლოდ ქართულ, არამედ, საერთოდ, გრამატიკულ აზროვნებაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკაკი შანიძემ ქართული ზმნის სპეციფიკიდან ამოსვლით, ქართული ზმნის დრო-კილოთა ფორმები სამ ჯგუფად, სამ სერიად დაყო ერგატიული კონსტრუქციის ზმნების სტრუქტურისა და კონსტრუქციის ოპოზიციის მიხედვით. ანუ კლასიფიკაციის საფუძვლად აიღო გრამატიკული, **მორფო-სინტაქსური პრინციპი**, რადგანაც არც ძველ და არც ახალ ქართულში ზმნის ფორმებში დროისა და კილოს გრამატიკული ოპოზიცია გამოკვეთილი არ არის. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომაც, რომ **დრო-კილოთა მიხედვით გაერთიანებულ** თითოეულ სერიაში შემავალ „მწკრივებს“ (ნ. მარის მიხედვით, „დროებს“) სხვადასხვა შინაარსის მიხედვით დაერქვა სახელები: დროის, კილოს, ასპექტის თუ წყვეტილობა-უწყვეტელობის, მრავალგზისობისა თუ „ხოლმეობითობისა და „უნახაობის“ მიხედვით, რაც ხშირად დეზინფორმაციას იწვევს და, რაც დღემდე განსჯის საგანია. მაგრამ მაინც, ა. შანიძის დამსახურებაა „დროისა“ და „მწკრივის“ კატეგორიების გამიჯვნა და „თანამდევრობის“ კატეგორიის ცნების შემოტანა ქართული ზმნის დრო-კილოთას ფორმების კვალიფიკაციისას: დროის კატეგორია განსაზღვრულია უბნობის მომენტთან მიმართებით, რის საფუძველზეც, განსხვავებით ევროპული ენების გრამატიკებისაგან გამოყოფილია სამი დრო, ხოლო „თანამდევრობა“ დროის ქვეკატეგორიაა, რომელიც „დროის“ კატეგორიასთან მიმართებით განისაზღვრება (იხ.ა. შანიძე, „საფუძვლები“)

მაგრამ, ვფიქრობ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ მორფო-სინტაქსურ კლასიფიკაციაში ბოლომდე არ არის დაცული მიღებული საკლასიფიკაციო (მორფო-სინტაქსური) კრიტერიუმი. კერძოდ, ეს პრინციპი დარღვეულია **R-ი** სტრუქტურის აბსოლუტურ-სტატიკური „**ჰგეის**“ ტიპის (/ა/გდია, /ა/ყრია, /ა/ფენია, /ა/წერია, /ა/ხატია, ცვხია, არტყია, აბია, ანთია, აფარია...) ზმნების მიმართ: საქმე ისაა, რომ ეს არქაული, უგვარო სტატიკური ზმნები ფუძის

სტრუქტურის მიხედვით II სერიის მარტივ თემას მიეკუთვნებიან, მაგრამ სერიების სისტემაში I სერიის აწმყოს წრეში აქვთ მიჩენილი ადგილი აწმყოს დინამიკური ზმნების გვერდით: მათი თემის -ი სუფიქსი წარმოშობით დიურატივის (განგრძობითი) ასპექტის ნიშანია, ხოლო -ე სუფიქსი კი წყვეტილი ასპექტისა. ეს მრჩობლი -ი-ე სუფიქსი კარგად გამოხატავს ერთდროულად წყვეტილ შედეგსა და მუდმივ მდგომარეობას, სტატიკას, რაც შინაარსის მიხედვით აწმყო დროის გაგებას შეესაბამება. ამგვარად, ამ ფორმების სერიაში გაერთიანება არღვევს მორფოლოგიურ პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს სერიებად დაყოფას: სერიებად დაყოფის საფუძველი არ არის დროის კატეგორია. დროის თვალსაზრისით სერიების ფარგლებში შეზღუდვა არ არის: I სერია შეიცავს როგორც ახლანდელი (აწმყო) დროის, ასევე მომავალი და წარსული დროის მწკრივებს, II სერიის მარტივი ფუძე (თემა) გამოხატავს როგორც წარსულ („წყვეტილის“ მწკრივი), ისე მომავალ („II კავშირებითის“ მწკრივი) დროს; III სერიის „I თურმეობითის“ (რეზულტატივის) მწკრივი გამოხატავს წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს აწმყოში; II „თურმეობითის მწკრივი - წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს წარსულში (= „ნამყოწინარეწარსული - „პლიუსკვამპერფექტი“), ხოლო „III კავშირებითის“ მწკრივის დრო კი მომავალია.

სერიებად კლასიფიკაციის პრინციპი მორფო-სინტაქსურია: ზმნის სტრუქტურა და სინტაქსური კონსტრუქციაა და არა დროის კატეგორია, რომელიც სერიების ფარგლებში კილოსთან ერთად წარმოადგენს სემანტიკურ და არა გრამატიკულ კატეგორიას.

ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარი უფრო ვრცლად შემდგომ გვექნება.


როგორც დავინახეთ, საუკუნეების განმავლობაში ქართული ზმნის დრო-კილოთა სისტემა თანდათან დაიხვეწა, ჭარბი სინონიმური ფორმები (გრამატიკული დუბლეტები, არქაული, დიურატივიდან მომდინარე II ხოლმეობითის ფორმები, აწმყოს ხოლმეობითი, უწყვეტლის ხოლმეობითი, III ხოლმეობითი, შერეული კავშირებითი, I ბრძანებითი) გადაშენდა, სამაგიეროდ, თანდათან ჩამოყალიბდა დრო-კილოთა სრულიად ახალი, III სერიის დატიური კონსტრუქციის მქონე ინაქტიური სუბიექტის ჯგუფი (ე.წ. „თურმეობითების“ ჯგუფი), რომელიც პერფექტულ-რეზულტატიურობითა და სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსებით (უნახავი აქტი // უნებლიე მოქმედება, მრავალგზისობა...) ხასიათდება. როგორც დავინახავთ, ეს ჯგუფი მიღებულია ორპირიანი სტატიკური ზმნების მ-ს რიგით მარკირებული მიცემითში დასმული „მფლობელი“ პირის გააქტიურებისა და სუბიექტად გაგების შედეგად (*მ-ი-კეთიეს > გამიკეთიეს > გამიკეთებიეს > გამიკეთებია მე ის*). III სერიის ფორმებმა, რომელთა სუბიექტი მ-ს რიგის მარკერითაა აღნიშნული, გააგრძელეს I სერიის

პარადიგმა, რომელშიც დინამიკური ზმნის სუბიექტი ვინის რიგის მარკერთაა წარმოდგენილი, ამიტომ მიიჩნევა ა.შანიძე მათ I სერიის „ინვერსიულ“ ფორმებად (ამ საკითხს დაწვრილებით განვიხილავთ მომდევნო ლექციებში).

ასევე, ე.წ. აფექტური ზმნების, არამატერიალური სულიერი მდგომარეობის //მოქმედების („მიყვარს, მომწონს, მძულს“) ზმნათა ანალოგიით ჩამოყალიბდა „მაცეიბს, მაცემინებს, მეცემინება, მამცხიკვებს, მემცხიკვება“ ტიპის სუსტი, ინაქტიური სუბიექტის მქონე დატიური კონსტრუქციის „ინვერსიული“ ზმნების ინტენსიურად ზრდადი ჯგუფი, გამოიკვეთა დრო-კილოთა ფორმების სემანტიკა.

ამ კლასიფიკაციამ მოაწესრიგა ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სისტემის აღწერა, აჩვენა, რომ სერიების შიგნით ფორმების მარკირება სხვადასხვა სემანტიკური მიმართებით ხდება (სხვათა შორის, ისევე, როგორც სამი დიათეზის ფარგლებში, რასაც შემდგომ ვნახავთ) და წარმოაჩინა როგორც რეგულარული, სისტემურად გამართული სურათი, ისე ირეგულარული, სისტემიდან ამოვარდნილი ჯგუფები არქაული ზმნებისა, რომლებმაც სიცოცხლის შესანარჩუნებლად ამ სისტემის ზმნების ანალოგიით, „მიბამვით“ გაიჩინეს დრო-კილოთა ფორმები. ჩვენ დავინახავთ, რომ დიათეზების გრამატიკული, მორფო-სინტაქსური კატეგორიის მიხედვით კლასიფიკაციაც, ისევე, როგორც სერიების მიხედვით მორფო-სინტაქსური კლასიფიკაცია, შესაძლებლობას იძლევა ქართული ზმნის როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური ქვეჯგუფების სისტემურ შესაწავლას როგორც დიაქრონიაში, ასევე სინქრონიულ ჭრილში.

სერიების ისტორიული ურთიერთმიმართების სქემა



ლექცია №6

III სერიის ფორმათა დიაქონიული და სინქრონიული ანალიზი

საჭიროა საგანგებოდ შევჩერდეთ III სერიის მწკრივთა წარმოების წესზე, რადგანაც, მართალია, დრო-კილოთა ეს ჯგუფი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გვიანდელ ეტაპზეა ჩამოყალიბებული და მის ფორმირებას წერილობითი ძეგლების მიხედვით ადვილად შეგვიძლია თვალი გავადევნოთ, მაგრამ ფორმაწარმოების თუ ფუნქციის მრავალფეროვნების თვალსაზრისით ბევრ ნიუანსს და სირთულეს შეიცავს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, III სერიის ფორმები წარმოშობით რელატიური (საობიექტო ვერსიის) სტატიკურ ზმნათა უძველესი დიურატივის (ა. შანიძემ ისინი I სერიის აწმყოს ჯგუფში განათავსა), აორისტის ჯგუფის ზმნური ფუძის ინვერსიული ფორმებია და ქმნიან სამ მწკრივს: I რეზულტატივს, II რეზულტატივს (ა. შანიძის ტერმინით I და II თურმეობითი), და III კავშირებითს. ამიტომ წინასწარ საჭიროა გავეცნოთ სტატიკური ზმნების (ა. შანიძის მიხედვით - 'სტატიკური ვნებითის') უღლების წესს.

ძველ ქართულში პირთა მიმართების - მფლობელისკენ ორიენტაციის სემანტიკის სტატიკურ ზმნათა პარადიგმები ასეთია:

L-S₁₋₂₋₃ L-O₃

L-S₃ L-O₁₋₂₋₃

(ვ)უწერიე¹ მე მას

მიწერიე-ს იგი მე

უწერიე შენ მას

გიწერიე-ს იგი შენ

უწერიე-ს იგი მას

უწერიე-ს იგი მას

იგივე ფორმებია გარდამავალ ზმნათა (გარდა -ავ და -ამ თემისნიშნისა) I თურმეობითშიც. განსხვავება მხოლოდ ზმნისწინის დართვაშია: და-უწერიე მას მე – და-მიწერიე-ს მე იგი.

ძველსავე ქართულში (უკვე XI-XII ს.დან) S₃ პირში თავს იჩენს ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი -ი-ა (დამიწერი-ი-ა) დაბოლოება. სტატიკურ ზმნებთან -ია ჯერ კიდევ 864 წლის ხელნაწერ კრებულში 'სინურ მრავალთავში' იჩენს თავს, ხოლო (პირდაპირ)გარდამავალ ზმნათა I რეზულტატივში იგი ჰაემეტ ტექსტებშიაც დასტურდება.

რაც შეეხება S₁ და O₂ პირის მეშველზმნიან ფორმებს (დავუწერი+ვარ, დაუწერი+ხარ), სალიტერატურო ენის ძეგლებში ისინი უფრო გვიან, X საუკუნის

¹ ძველ ქართულში უ- ხმოვნის წინ ვ- პრეფიქსი, როგორც წესი, იკარგებოდა.

წერილობით ძეგლებში ჩნდებიან, თუმცა სალაპარაკო ენაში გაცილებით ადრე არიან საგულველები.

ამგვარად, ახალ ქართულში მივიღეთ ფორმები:

სტატიკური აწმყო (პირდაპირ)გარდამავალი I რეზულტატივი

ვ-უ-წერ-ი-ვარ ---> *და-/ჩა-ვ-უ-წერი-ვარ* *მ-ი-წერია* ---> *ჩა-/მ-ი-წერ-ი-ა*

უ-წერ-ი-ხარ ---> *და-/ჩა-უ-წერი-ხარ* *გ-ი-წერია* ---> *და-/ჩა-გ-ი-წერ-ი-ა*

უ-წერ-ი-ა ---> *და-/ჩა-უ-წერი-ა* *უ-წერია* ---> *და-/ჩა-უ-წერი-ა*

-ა სუფიქსი მესამე პირის რეალური, ლოგიკური სუბიექტის (R/LS) ნიშანია და გარკვეული კავშირი აქვს **R-th.suf.-ი** (II დიათეზის) სტრუქტურის ირიბგარდამავალი დინამიკური ზმნების აწმყოს ფორმებში -ს სუფიქსის -ა სუფიქსით შეცვლასთან. მართლაც, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ სტრუქტურის ყველა ზმნაში **S₃** -ის -ს სუფიქსი შეცვალა -ა სუფიქსმა. ეს პროცესი ჩვენ ასე წარმოგვიდგება: მას შემდეგ, რაც სტატიკურ ზმნათა აწმყოს ინვერსიაქმნილმა ფორმებმა დინამიკური გაგება მიიღეს (ზმნისწინი დაირთეს და გააგრძელეს პირდაპირგარდამავალი დინამიკური ზმნების პარადიგმა), მათ წარსული (პერფექტი-რეზულტატივის) დროის გაგება შეიძინეს (გამოხატავენ მოქმედების პროცესს წარსულში), ხოლო, რადგანაც წარსული დროის ყველა ფორმაში **S₃** პირის ნიშანი არის -ა (-ს - აწმყოს, მომავალს და II კავშირებითს ახასიათებს), ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ყველაზე ადრე სწორედ I რეზულტატივის ფორმებში (*დაუპყრია*) გვხვდება **S₃** პირის ნიშნად -ა სუფიქსი. შემდეგ, როგორც ჩანს, ანალოგიით, იგი გავრცელდა **R-ი** სტრუქტურის სტატიკური ზმნების აწმყოზე და აქედან - საერთოდ **R-th.suf.-ი** სტრუქტურის, დინამიკური ზმნების აწმყოზეც (*იმალვის*> *იმალების*> *იმალება*). თუმცა არ არის გამორიცხული ვიფიქროთ, რომ **S₃** პირში -ა სუფიქსი ამ სტრუქტურის ზმნებში -ს სუფიქსის ის დიალექტური ვარიანტი ყოფილიყო, რომელიც სალიტერატურო ენის ძეგლებში ადრე იშვიათად იჩენს თავს, შემდეგ კი, გარდამავალი პერიოდიდან, ამ დიალექტური წრის სალიტერატურო ენაში გაბატონებასთან ერთად მთლიანად აძევებს -ს სუფიქსს და უკვე ახალ ქართულში განუყოფლად ბატონობს.

რაც შეეხება მეშველზმნიანი ფორმების გაჩენას I და II პირში, ეს პროცესიც თავდაპირველად I რეზულტატივის ფორმებში უნდა ჩასახულიყო: მეშველი ზმნის დართვამ ხელი შეუწყო ამ ფორმათა გადინამიკურებას. შემდეგ, უფრო გვიან, 'ყოფნა' (არს) მეშველი ზმნის დართვის ტენდენცია შეეხო სტატიკური ზმნების I და II პირსაც, რამაც ამ სტატიკურ ფორმებს დამატებით შესძინა ზმნური ნიშნები (შდრ.: *ვუპყრით* - *ვუპყრი-ვარ*; *უპყრით* - *უპყრი-ხარ*). ამავე წესს დაექვემდებარა სისტემის გარეთ დარჩენილი სამი სტატიკური ზმნაც: *ვზი*> *ვზივარ*; *ჰზი* - *ზიხარ*; *ვდგა*>*ვდგავარ*; *ვწევ*>*ვწე(ვ)ვარ*. მესამე პირს მეშველზმნიანი წარმოება არ შეჰხებია,

ყველა შემთხვევაში III პირის ფორმებს ერთვის -ა/ -ს სუფიქსი (*უპყრი-ა, ზი-ს, დგა-ს*)

ამკარაა, რომ შინაარსით მემველზმნიანი ფორმები უმემველზმნო ფორმებს უპირისპირდებიან სტატუსის კატეგორიის მიხედვით. მართალია, ორივე რიგის ფორმა *ვზი - ვზივარ* მდგომარეობას გამოხატავს, მაგრამ *ვარ/ხარ* მემველი ზმნის დართვამ, თუ შეიძლება ითქვას, სტატიკურ *ვზი* ფორმას მობილური შინაარსი შესძინა. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვახსენდეს, რომ წყვეტილის *იჯდა, იდგა* ფორმები (ძვ. *ჯდა, დგა*) დღეს შინაარსით გამოხატავენ არა აორისტის გაგებას (სადაც აქტიურობა, დინამიკა შედარებით აწმყოს ფორმებთან მიჩქმალულია), არამედ უწყვეტლის გაგებას (რომელიც ნორმალურ ზმნებში აგრძელებს აწმყოს თემას - *ვაკეთებ - ვაკეთებდი*), რომელშიც დინამიკა, მოქმედების პროცესი ხელშესახებია. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ისინი შერწყმულ წინადადებაში იხმარებიან არა მოსალოდნელი წყვეტილის ფორმასთან (*იდგა და გააკეთა*), არამედ უწყვეტლის ფორმასთან ერთად: *იდგნენ და ელოდნენ, იჯდა და ტიროდა* და სხვ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, აბსოლუტურ-სტატიკური ზმნების პარტიციპანტთა ლოგიკური ფუნქციების რეინტერპრეტაციის შედეგად ჩამოყალიბდა ახალი შინაარსის შემცველი დინამიკური ფორმები, რომლებიც დღეს III სერიის სახელწოდებითაა ცნობილი. მისი შემადგენელი მწკრივების ფორმები დღეს იმ დინამიკური ზმნების ინვერსიულ ფორმებად გაიაზრებიან, რომელთა პარადიგმასაც აგრძელებენ (*ვაშენებ მე მას /აშენებს ის მას - ავაშენე მე ის/ ააშენა მან ის - ამიშენებია მე ის / აუშენებია მას ის*). ამიტომ ისინი თანდათან გაემიჯნენ თავიანთ ოდინდელ სინონიმებს და დაემსგავსნენ უღლების პარადიგმის საწყის, კერძოდ - I დიათეზის პირდაპირგარდამავალი აქტივის აწმყოს თემისნიშნის ფორმას. ანალოგიის გავლენა გამოიხატა იმაში, რომ იმ ზმნათა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, რომელთაც აწმყოში თემატური სუფიქსი აქვთ (*ებ-* იან ზმნათა მცირე გამონაკლისისა, იხ. დ. მელიქიშვილი, 2001, პარადიგმა № 2[29]) და *ობ-*იან ზმნათა გარდა), დრო-კილოთა III ჯგუფშიც დაირთეს იგივე თემატური სუფიქსები, რომლებიც საწყის ფორმებს აქვთ აწმყოში.

თავდაპირველად ეს მოხდა I რეზულტატივში (სტატიკური აწმყო ძვ. ქ. *მიკეთიეს* --> გარდამავალი დინამიკური I რეზულტატივი *გამიკეთიეს*-->*გამიკეთებ-იეს*)¹, ხოლო შემდეგ კი ანალოგია გავრცელდა II რეზულტატივსა და III კავშირებითზეც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წარმოშობით წყვეტილისა და II კავშირებითის (და არა აწმყოს) ფორმებია (სტატიკური წყვეტილი ძველი და ახალი ქართული *მეკეთა* --> დინამიკური, გარდამავალი, II რეზულტატივი, ძვ.

¹ გარდამავალ ზმნათა III სერიის ყველა ფორმას არ მოეპოვება შესაბამისი სტატიკური ზმნა. სტატიკურ ზმნათა რიცხვი გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე აქტივთა რიცხვი, ამ უკანასკნელთაგან კი III სერიის ფორმებს ყველა აწარმოებს, ცხადია, უნდა ვივარაუდოთ, რომ გარდამავალ ზმნათა უმეტესობამ საერთო ყალიბის, (მოდელის) მიხედვით აწარმოა III სერიის ფორმები.

ქართული //დიალექტ. (გა)მეკეთა--> ახალი ქართული: გამეკეთ-ებ-ი-ა-->გამეკეთ-ებ-ი-ნ-ა; ასევე: სტატიკური II კავშირებითი ძვ.ქ. და ახ.ქ. მეკეთოს --> დინამიკ. გარდამ. III კავშ. ძვ.ქ.//დიალექტ. (გა)მეკეთოს--> ახ.ქ. გამეკეთ-ებ-იოს --> გამეკეთ-ებ-ინოს).

-ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნები ხმოლოდ I რეზულტატივში დაირთავენ ამ სუფიქსებს და ისიც უფრო III პირის ფორმებში: დამიბამს, დამიხატავს, რაც შეეხება I და II პირის ფორმებს, ნორმის მიხედვით უნდა იყოს დავუბამვარ, დაუბამხარ, დავუხატავვარ, დაუხატავხარ, მაგრამ სალაპარაკო ენაში ძირითადად გავრცელებულია უთემისნიშნო ფორმები დავუბივარ, დაუბიხარ, დავუხატივარ, დაუხატიხარ. ასე რომ, მიღებულია სამგვარი პარადიგმა: ორი სიმეტრიული და ერთი ნარევი:

1. დავუბამვარ დაუბამხარ დაუბამს	2. დავუბივარ დაუბიხარ დაუბია	3. დავუბივარ დაუბიხარ დაუბამს
---------------------------------------	------------------------------------	-------------------------------------

ამგვარად, ერთი მხრივ, S₃ პირის ფორმათა მყოფადის (დაუბამს ის მას მას) სამპირიან ფორმებისაგან განსხვავების ტენდენცია და, მეორე მხრივ, ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობის -ია დაბოლოებიან ფორმათა ანალოგია და, ასევე, ნარევი პარადიგმის I-II პირის ფორმების გავრცელებულობა მოქმედებს მეორე პარადიგმის პერსპექტივის სასარგებლოდ.

რაც შეეხება -ობ თემატურნიშნიან და ებიანი ზმნების ვაქებ – მიქია, ვაგდებ - გადამიგდია ტიპის (უმარცვლო ძირიან) ფორმებს, მათ ჩვეულებრივ, წყვეტილის R/LS₃ პირში ნიშნად აქვთ -ო სუფიქსი და არა -ა სუფიქსი, რომლებზეც ანალოგია არ გავრცელებულა, ერთი შეხედვით, ისინი თითქოს წყვეტილის თემას ეყრდნობიან, რადგანაც აწმყოს თემატური ნიშნები (-ებ და -ობ) არა აქვთ. მაგრამ ეს მოჩვენებითია. ისინიც, ცხადია, სტატიკური აწმყოს ფორმათა ანალოგიითაა მიღებული. ამიტომ III სერიის მწკრივთა წარმოებაში თემისნიშნიან ზმნებში დღეს სტატიკური ზმნების კვალი ყოველთვის არ ჩანს. მაგალითად, I რეზულტატივში სტატიკურ ზმნებთან ნათესაობაზე მიგვანიშნებს I და II პირის S პირის ფორმების მეშველზმნიანი წარმოება: რადგანაც მეშველზმნიანი წარმოება სწორედ სტატიკური ზმნებისთვისაა დამახასიათებელი.

რაც შეეხება ერთთემიან ზმნებს, აქ ანალოგია საობიექტო ვერსიის სტატისკური ზმნების აწმყოსთან აშკარაა ყველა პირში:

ერთთემიანები	
სტატისკური აწმყო	
ვინის რიგი	მანის რიგი
<i>ვ-უწერი+ვარ მე მას</i> <i>უწერი-ხარ შენ მას</i> <i>უწერი-ა ის მას</i>	<i>უწერი-ა ის მას</i> <i>გიწერი-ა ის შენ</i> <i>მიწერი-ა ის მე</i>
დინამისკური I რეზულტატისვი:	
<i>(და)ვ-უწერი-ვარ მას მე</i> <i>(და)უწერი-ხარ მას შენ</i> <i>(და)უწერი-ა მას ის</i>	<i>და-მ-იწერი-ა მე ის</i> <i>და-გ-იწერი-ა შენ ის</i> <i>და-უწერი-ა მას ის</i>
ორთემიანები, რომლებიც განივითარებენ თემის ნიშანს:	
<i>ავუშენებვარ მას მე</i> <i>აუშენებხარ მას შენ</i> <i>აუშენებია მას ის</i>	<i>ამიშენებია მე ის</i> <i>აგიშენებია შენ ის</i> <i>აუშენებია მას ის</i>
ორთემიანები, რომლებიც არ განივითარებენ თემის ნიშანს:	
<i>ვუქივარ მას მე</i> <i>უქიხარ მას შენ</i> <i>უქია მას ის</i>	<i>მიქია მე ის</i> <i>გიქია შენ ის</i> <i>უქია მას ის</i>

ფუძედრეკადი და ფუძეკუმშვადი ზმნები I სერიის თემით არიან წარმოდგენილნი:

R/L-S ₃ O ₁₋₂₋₃	R/L-S ₁₋₂₋₃ O ₃
მოვუდრეკივარ მას მე	გაუშლია მას ის
მოუდრეკიხარ მას შენ	გაგიშლია შენ ის
მოუდრეკია მას ის	გამიშლია მე ის
გავუშლივარ მას მე	მოუდრეკია მას ის
გაუშლიხარ მას შენ	მოგიდრეკია შენ ის
გაუშლია მას ის	მომიდრეკია მე ის

ცალკე უნდა შევჩერდეთ -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა ფორმებზე I რეზულტატივში. სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით ეს სუფიქსები შენარჩუნებულია I რეზულტატივში:

R/L-S ₃ O ₁₋₂₋₃	R/L-S ₁₋₂₋₃ O ₃
დავუხატავ-ვარ//ი-ვარ მას მე	დამიხატავს მე ის
დაუხატავ-ხარ//ი-ხარ მას შენ	დაგიხატავს შენ ის
დაუხატავ-ს//ი-ა მას ის	დაუხატავს მას ის
დავუბამვარ მას მე	დამიბამს მე ის
დაუბამხარ მას შენ	დაგიბამს შენ ის
დაუბამს მას ის	დაუბამს მას ის

მაგრამ, როგორც ზემოთაც ვაჩვენეთ, ზეპირ მეტყველებაში ამ ფორმებს S₁O₃ - შემთხვევაში ტენდენცია აქვთ -ია დაბოლოებაზე გადასვლისა: **დამიხატია, დამიბია**. ხოლო, რაც შეეხება O₁₋₂S₃ „**დავუხატავვარ.. დავუბამვარ**“ ფორმებს, ისინი ამ სახით თითქმის აღარ გვხვდება. უფრო გავრცელებული და გაბატონებული ფორმაა **დავუხატი+ვარ, დავუბი+ვარ**, რომლის კანონზომიერი გაგრძელებაა **დაუხატია, დაუბია** ფორმები. -ია-ზე დაბოლოებულ ფორმებს ჩანს, დამკვიდრების პერსპექტივა აქვთ, რადგანაც აქ მოქმედებს, ერთი მხრივ, მყოფადის ომონიმური ფორმებისაგან (**დამიხატავს ის მე მას, დამიბამს ის მე მას**) განსხვავების ტენდენცია და, მეორე მხრივ, I რეზულტატივში -ია-ზე დაბოლოებულ ზმნათა აბსოლუტურ უმრავლესობასთან ანალოგიის პროცესი, რაც სისტემის გაწონასწორებისა და უნიფიკაციისადმი ენის შინაგანი კანონითაა განპირობებული.

როგორც ვთქვით, I რეზულტატივის ფორმები წარმოშობით სტატიკურ ზმნათა საობიექტო მიმართების (ვერსიის) ფორმებია. საობიექტო მიმართების ნიშანი შენარჩუნებულია (**დამ-ი-წერია, დაგ-ი-წერია, და-უ-წერია**). მაგრამ, ცხადია, მას ეს გაგება დაკარგული აქვს, რადგანაც ინვერსიის შედეგად პირთა შორის მიმართება დაირღვა: საობიექტო ქცევის სტატიკურ ზმნაში **სახელობითში დასმული პირი** ეკუთვნის ან დანიშნულია **მიცემითში დასმული მფლობელი**

პირისათვის, გარდამავალი ზმნის I რეზულტატივის ფორმაში კი სტატიკური ზმნის მიცემითში დასმული მფლობელი (პოსესორი) პირი ინვერსიის შედეგად სუბიექტადაა გააზრებული, ხოლო სახელობითში დასმული პირი ფლობის საგანია, ობიექტია.

II რეზულტატივი რელატიური სტატიკური ზმნის წყვეტილის ინვერსიულია:

აბსოლუტური სტატიკა		
აწმყო	ნამყო	მყოფადი
<i>მიკეთია / მიხატია მე ის</i>	<i>მეკეთა / მეხატა მე ის</i>	<i>მეკეთება / მეხატება (მე ის)</i>
<i>უკეთია / უხატია მას ის</i>	<i>ეკეთა / ეხატა მე მას</i>	<i>ეკეთება / ეხატება (მას მე)</i>

დინამიკა		
I რეზულტატივი	II რეზულტატივი	III კავშირებით
<i>*(გა)მიკეთ-ი-ა → (გა)მიკეთ-ებ-ი-ა</i>	<i>(გა)მეკეთა → (გა)მეკეთ-ებ-ი-ა → (გა)მეკეთ-ებ-ი-ნ-ა</i>	<i>(გა)მეკეთო-ს → (გა)მეკეთ-ებ-ი-ო-ს → (გა)მეკეთ-ებ-ი-ნ-ო-ს</i>

მართლაც, ყველა ტიპის პირდაპირგარდამავალი ზმნის II რეზულტატივისა და III კავშირებითის ფორმები ემთხვევა შესაბამისი დინამიკური **R-th.suf.-ი** სტრუქტურის ირიბი მიმართების ე- პრეფიქსიანი წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმებს, ოღონდ კონსტრუქციაა ინვერსიული (პირველ რიგში ვ- სუბიექტის ნიშანია, მ- - ობიექტისა, მეორე რიგში კი – პირიქით: ვ- ობიექტის ნიშანია, მ- კი სუბიექტისა):

ირიბგარდამავალი ზმნა	პირდაპირგარდამავალი ზმნა
წყვეტილი	II რეზულტატივი
<i>დავემალე მე მას - დამემალა ის მე</i> <i>დაემალე შენ მას - დაგემალა ის შენ</i> <i>დაემალა ის მას - დაემალა ის მას</i>	<i>(ნეტავ/ უნდა) დავემალე მას მე – დამემალა მე ის</i> <i>(ნეტავ/ უნდა) დაემალე მას შენ - დაგემალა შენ ის</i> <i>(ნეტავ/ უნდა) დაემალა მას ის - დაემალა მას ის</i>

გამონაკლისს წარმოადგენენ -ებ თემისნიშნისანი ზმნები (გარდა 17 უმარცვლო ძირის მქონე ზმნისა იხ. დ. მელიქიშვილი, 2001, ინდექსი, პარადიგმა 12(29): რადგანაც მათი შესაბამისი **R-th.suf.-ი** სტრუქტურის დინამიკური ზმნები ძირითადად და უფრო ხშირად -დ სუფიქსიანი ნასახელარი ზმნებია და არა კონვერსიული ი-ე- პრეფიქსიანი ფორმები. ხოლო II რეზულტატივი კი ამათაც ე- პრეფიქსიანი აქვთ, მსგავსად ყველა სხვა ზმნისა, რაც გამორიცხავს ფორმათა დამთხვევას. ასეც რომ არ იყოს, ებ-იანმა ზმნებმა II რეზულტატივისა და III

კავშირებითი I რეზულტატივის მსგავსად დაირთეს **-ებ** თემისნიშანი (რაც პარადიგმის უნიფიცირების კანონზომიერი პროცესია), რამაც კიდევ უფრო განასხვავა მათი ფუძე ირიბი მიმართების წყვეტილისა და II კავშირებითის ფუძეებისაგან (**-ებ** სუფიქსის დართვა აქ გვიანდელი მოვლენაა. კიდევ უფრო გვიანდელია **-ნ-ს** ჩართვა აღმოსავლურ კილოებში და აქედან – ლიტერატურულში: *გამეკეთ-ებ-ი-ა* → *გამეკეთ-ებ-ი-ნ-ა*).

ძველ ქართულში II რეზულტატივისა და III კავშირებითის ფორმებს **-ებ** სუფიქსი არ დაერთვოდა: *გამეკეთა, ამეშენა...* ამგვარი „მოკლე“ ფორმები დღესაცაა შემორჩენილი ქართული ენის დიალექტებში. II რეზულტატივის ფორმათა განვითარების სამივე ეტაპია დადასტურებული: კახურ-ქიზიყურში, მოხეურში – *გამეკეთ-ა*, იმერულში – *გამეკეთ-ებ-ი-ა*, ქართლურსა და ლიტერატურულში – *გამეკეთ-ებ-ი-ნ-ა*.

-ებ სუფიქსს ამ მწკრივებში, როგორც მოსალოდნელია, არ დაირთავენ ის ზმნები, რომელთაც იგი არა აქვთ I რეზულტატივში (*მიქია – მექო – მექოს*).

უნდა აღვნიშნოთ, რომ III სერიის მწკრივთაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში III კავშირებითის ზოგი ფუნქცია (კერძოდ, ნატვრითი კილოს და მომავლის გამოხატვა წარსულში **უნდა** მოდალურნაწილაკიან და **რათა/რომ** კავშირიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში) II რეზულტატივმა იტვირთა: *ნეტავი / უნდა / რათა / რომ გამეკეთებინა, წამელო, მომეტანა...* III კავშირებითის ფორმებს კი ძირითადად ოპტატივის (სურვილის, ნატვრის) ფუნქცია შერჩათ. მაგ. დალოცვის სურვილის ფორმულებში: *გაგეკეთებინოს, შეგაძლებინოს, შეგძლებოდეს, აგსრულებოდეს* და სხვ.

სტატიკური :	დინამიკური:
აწმყო:	I რეზულტატივი:
<i>ვ-უ-წერ-ი-ვარ – მიწერ-ი-ა;</i> <i>ვ-უ-კეთ-ი-ვარ – მ-ი-კეთ-ი-ა;</i> <i>ვ-უ-გდ-ი-ვარ – მ-ი-გდ-ი-ა.</i>	<i>და ვ-უ-წერ-ი-ვარ – და-მიწერ-ი-ა;</i> <i>გა-ვუკეთ-ებ-ი-ვარ – გა-მიკეთ-ებ-ი-ა</i> <i>და-ვუგდ-ი-ვარ – და-მიგდ-ი-ა.</i>
წვეტილი:	II რეზულტატივი:
<i>ვ-ე-წერ-ე – მ-ე-წერ-ა;</i> <i>ვ-ე-კეთ-ე – მ-ე-კეთ-ა;</i> <i>ვ-ე-გდ-ე – მ-ე-გდ-ო</i>	<i>და-ვ-ე-წერ-ე – და-მ-ე-წერ-ა;</i> <i>გა-ვ-ე-კეთ-ებ-ი-ნ-ე – გა-მ-ე-კეთ-ებ-ი-ნ-ა</i> <i>და-ვ-ე-გდ-ე – და-მ-ე-გდ-ო</i>
II კავშირებითი:	III კავშირებითი:
<i>ვ-ე-წერ-ო – მ-ე-წერ-ო-ს;</i> <i>ვ-ე-კეთ-ო – მ-ე-კეთ-ო-ს;</i> <i>ვ-ე-გდ-ო – მ-ე-გდ-ო-ს</i>	<i>და-ვ-ე-წერ-ო – და-მეწერ-ო-ს;</i> <i>გა-ვ-ე-კეთ-ებ-ი-ნ-ო – გა-მ-ე-კეთ-ებ-ი-ნ-ო-ს</i> <i>და-ვ-ე-გდ-ო – და-მ-ე-გდ-ო-ს.</i>

ლექცია № 7

დრო-კილოთა სამწევრა სისტემის ჩამოყალიბების ისტორიისათვის ქართულში

ახლა შევხვით დროის გრამატიკული გამოხატვის საკითხს ქართული ზმნის მორფო-სინტაქსური სისტემის განვითარების გზაზე.

დროის სამწევრა სისტემის ჩამოყალიბება და მისი გრამატიკული, ფორმალური დიფერენციაცია, ანუ **დროის გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბება** დაკავშირებულია სუბიექტური აღქმის ობიექტივაციის იმ საერთო ტენდენციასთან, რომელიც საზოგადოდ ადამიანის აზროვნების განვითარებას ახასიათებს. რაც შეეხება იმას, რომ ამ კატეგორიის კონკრეტული გამოვლინებები სხვადასხვა ენობრივ სისტემებში სხვადასხვაგვარია, ამას, როგორც ჩანს, ლინგვისტურ ფაქტორებთან ერთად ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც განაპირობებს, როგორცაა, მაგ. კონტაქტები სხვა ენებთან, ამა თუ იმ ეთნიკურ-ენობრივი ჯგუფის (კოლექტივის) ცხოვრების პირობების შედეგად ჩამოყალიბებული აზროვნების სისტემა, ფსიქიკური წარმოდგენები, გეოგრაფიული გარემო და სხვ. დროის ეს სამწევროვანი გაგება რომ იმთავითვე არ ყოფილა გამოკვეთილი ადამიანის აზროვნებაში, ამაზე იმ ენების გრამატიკული სისტემებიც მეტყველებენ, რომლებშიც არათუ ზმნურ კატეგორიებში, არამედ ლექსიკაშიც კი არ არის გარჩეული დროის სამი სახე: მაგ., სემიტურ ენებში და ამერიკის ინდიელთა ზოგ ენაში დროის სამწევროვანი სისტემა დღესაც არ არის ჩამოყალიბებული: ზმნების ფორმაცვალებადობა ხდება არა ნამყო-აწმყო-მყოფადის ფორმათა მიხედვით, არამედ ასპექტური ოპოზიციით, ორწევრა სისტემით: „უწინარესობისა“ და „შემდგომობის“ წყვეტილობისა და განგრძობითობის (მომენტობრივისა და დიურატიულის) ოპოზიციით. ამ უკანასკნელში კი მოიაზრება **ახლა** და **შემდეგ**).

ადამიანის აზროვნების//მეტყველების განვითარების ადრეულ ეტაპზე, მანამ, სანამ ადამიანი კმაყოფილდებოდა **სტატიკის, მდგომარეობის** კონსტატაცია-აღწერითა და მინიმალური, მარტივი მიმართებების – ფლობა-ქონების, ჩვენებისა თუ სიახლოვე-სიშორის მითითება-დეიქსისის საჭიროებით, საფიქრებელია, რომ ზმნური ფორმები შემოისაზღვრებოდა ფაქტის კონსტატაციისათვის საკმარისი, სახელისაგან მინიმალურად განსხვავებული მარტივი თემით (*წით-ს, თოვ-ს*), რომელიც მოიცავდა მხოლოდ ორ ოპოზიციურ ფორმას: ამ ფორმათა ფუნქცია უნდა ყოფილიყო დიურატიულობისა (განგრძობითობისა, გაუდიფერენცირებელი დენადობისა)

და მომენტობრიობის (წყვეტილობა-დასრულებულობის, შედეგობრიობის) ჩვენება. სათანადო მარკერებით აღნიშნული დინამიკური ფორმების გაჩენა ენაში დაკავშირებული უნდა იყოს აზრის მატერიალიზაცია-სეკულარიზაციასთან, ცნებათა დიფერენციაციასთან, მოვლენათა შეფასებასთან....

ქართული ენის ისტორიის სიღრმეებს თუ გავყვებით, მისი ზმნური სისტემის „არქეოლოგია“ ამასვე დაგვიდასტურებს: ქართული ზმნის უღლების განვითარების უადრეს ეტაპზე არ უნდა არსებულიყო დროის სამწევროვანი სისტემა, არამედ მაშინ აწმყო-მყოფადი ერთ დენად მთლიანობას წარმოადგენდა, რომელსაც გრამატიკულ ლიტერატურაში „განგრძობით“ ანუ „დიურატიულ“ ასპექტს უწოდებენ. ალბათ საუკუნეები დასჭირდა, სანამ სხვა ენობრივ კოლექტივებთან კონტაქტებისა თუ გავლენების შედეგად, თუ ზემოთ დასახელებული ექსტრალინგვისტური მიზეზების გამო ქართულ აზროვნებაში მომხდარი ცვლილება აისახებოდა ენის ქსოვილში და სტატიკისა და დინამიკის მკვეთრი, ფორმალური დაპირისპირების ნიადაგზე მადინამიკურებელი, მათქტივებელი სუფიქსების, -ავ, -ოვ, -ებ, -ობ... დართვის შედეგად წარმოიშობოდა დროთა სამწევროვანი სისტემა დრო-კილოთა მთელი თავისი თანმიმდევრული რიგებით.

თავის ერთ-ერთ ფუძემდებლურ ნაშრომში „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“ (არნ. ჩიქობავა, 1948), არნ. ჩიქობავამ ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა ღრმა ანალიზის საფუძველზე ლოგიკურად სრულიად ნათლად და დამაჯერებლად დაასაბუთა თავისი წინასწარი მოსაზრება ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთმიმართების თაობაზე და იმის შესახებ, რომ „დროთა წარმოება ქართულში, თუ მას ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, გარდამავალ ზმნათათვის ამოსავლად ვარაუდობს ნამყო ძირითადის (აორისტის) ჯგუფს, /ხოლო/ აწმყოს ჯგუფი მეორეულია.“ და, რომ „ამ პერსპექტივის უძველეს მომენტებს მივყავართ იმ კატეგორიებამდის, რომლებიც დროის კატეგორიებს წინ უძღოდა.“ ეს დებულება მან წამოაყენა ჯერ კიდევ 1939 წელს საქართველოს მეცნ. აკადემიის I სესიაზე. ჩვენი მიზანია მოვახდინოთ მისი ამ თვალსაზრისის აქტუალიზაცია და შევეცდებით ვაჩვენოთ დროთა სამწევრა სისტემის ჩამოყალიბების პროცესი ძველი და თანამედროვე ქართული ზმნური სისტემის ანალიზის საფუძველზე.

როგორც უკვე ვთქვით, ქართული ენის განვითარების უძველეს საფეხურებზე გრამატიკული დროის კატეგორიის ჩამოყალიბებამდე მოვლენათა შორის დროული მიმართების ნაცვლად ასპექტური მიმართება უნდა ყოფილიყო გამოხატული, კერძოდ: წყვეტილი (მომენტობრივი) და განგრძობითი (დიურატიული) სახე მდგომარეობისა თუ მოქმედებისა აქედან - მომენტობრივი მოიცავდა უკვე მომხდარს, მახსოვრობაში აღბეჭდილს, რაც

თავისთავად წარსულს გულისხმობს, ხოლო დიურატივი იმას, რაც განგრძობითია, ჩვეულებითია (ე.წ. „ზოგადი აწმყო“), განუსაზღვრელი, გაუდიფერენცირებელი მდინარეაა, რომელიც შეიცავს უშუალოდ აღქმადს, იმას, რაც ახლაცაა და იმასაც, რასაც დასასრული არა აქვს, ე.ი. მომავალშიცაა შესაძლებელი. ამ მნიშვნელობებს შესაბამისად გამოხატავდა ნამყო ძირითადისა, ანუ „წყვეტილისა“ და ე.წ. II ხოლმეობითის (ჩვეულებითის) ფორმები (ამიტომაც, რომ ძველ ქართულში ე.წ. II ხოლმეობითის ფორმები გადმონაშთის სახით აწმყოსაც და მომავალსაც გამოხატავენ). ამ ვარაუდს მოწმობს სტატიკური ზმნების ჩვენამდე მოღწეული ფორმები (მათი რაოდენობა 130-მდეა), რომელთაც დიურატივის (განგრძობითის, ჩვეულებითის) -ი სუფიქსი დღემდე აქვთ შემორჩენილი, ხოლო მომენტობრივი (წყვეტილი) ასპექტის მარკერი -ე თანამედროვე ქართულში მოკვეცილი აქვთ მეშველი ზმნის დართვის გამო: ძვ.: ვსწერ-ი-ე – სწერ-ი-ე – სწერ-ი-ე-ს; ახ.: ვწერ-ი-ვარ – (ს)წერ-ი-ხარ – (ს)წერ-ი-ა. (უკანასკნელ ფორმაში -ა სუფიქსის წარმომავლობა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს: ზოგი მკვლევარი, (ნ. ნათამე, ლ. ბარამიძე, ც. ქურციკიძე) მას არს მეშველი ზმნის ნაშთად მიიჩნევენ, მაგრამ ჩვენი აზრით, იგი III პირის -ა მარკერია, რომელიც II დიათეზის ყველანაირ, როგორც სტატიკურ, ისე დინამიკურ ზმნებში შეენაცვლა ამავე პირის -ს მარკერს და ამით გაემიჯნა I დიათეზის III პირის ფორმებს, ამავე დროს, ისიც აღსანიშნავია, რომ წერილობითს ძეგლებში ამ ტიპის ზმნების III პირის ფორმებში მეშველი ზმნის დართვის არც ერთი შემთხვევა არ არის დადსტურებული. ამავე აზრისაა ივ. იმნაიშვილი, რომელიც ამ საკითხზე საგანგებოდ მსჯელობს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში ძველი ქართული ზმნის შესახებ და შესაბამისი (იხ. ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ძველი ქართული ზმნა, ნაწ. I, გვ.234).

ზმნური ფორმების განვითარების პირველ ეტაპზე მომენტობრივი ასპექტი მარტივი

R-Ø თემით (ფუძით) უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, რაც ძველსა და თანამედროვე ქართულშიც სისტემურადაა შემორჩენილი ფუძედრეკად, -ავ და -ამ სუფიქსიან არქაულ ზმნებში, როგორებიცაა: (და)დეგ, (და)წეგ, (და)ჯედ; (მო)კალ, დაჰკარ (და)კაშ, (და)ძარ (შე)ხუაბ, შეირატყ...; ასევე, ძველ ქართულში - „თბება“ ტიპის ზმნებში: განტეგ, (შე)დერგ, განკემ, დაადგერ...; დიურატივი მასთან ოპოზიციას -ი სუფიქსით ქმნიდა. დინამიკური ფორმების თანდათან განვითარებასთან ერთად ოპოზიცია წყვეტილი ასპექტის ფომაშიც უნდა გამოხატულიყო ზემოთ მითითებული -ევ → -ე სუფიქსით. აღსანიშნავია და ნიშანდობლივი, რომ ეს -ე სუფიქსი წყვეტილში I დიათეზის არქაული ტიპის -ი სუფიქსიან ავტოაქტივებს (ტირ-ი, კივ-ი, ყვირ-ი, წივ-ი... ტიპის) ზმნებს

დაერთვის. ეს -ი აშკარად არ არის ე. წ. თემატური, -ავ, -ამ, -ებ, -ობ მადინამიკურებული ფუნქციის მქონე სუფიქსების ტიპისა (ამიტომაც ა. შანიძე მას თემის ტოლფარდ ნიშანად არც თვლის), რომელთაც წყვეტილის მარტივ თემაზე დართვით შეძლეს ახლანდელი დროის დინამიკური, პროცესის გამომხატველი ფორმის წარმოება. ეს -ი სუფიქსი აშკარად დიურატიული ასპექტის მარკერი ჩანს, რომელმაც იტვირთა ახლანდელი დროის შინაარსის გადმოცემა, მაგრამ ვერ შეძლო დინამიკური პროცესის გამოხატვა (ამიტომაც ამ ზმნებს არნ. ჩიქობავა „(უგვარო) სტატიკურ ზმნებს” უწოდებს) და ძველ ქართულში იგი ძირითადად ხოლმეობითის შინაარსს გადმოსცემს. მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ნამყო ძირითადის (წყვეტილის), ანუ II სერიის მარტივი თემის მქონე ოდინდელი დიურატივის -ი სუფიქსიანი ფორმები, რომლებიც ე.წ. „II ხოლმეობითის” სახელითაა ცნობილი, ბერძნული აწმყოს შესატყვისადაა გამოყენებული: ეს ფორმები „ზოგადი აწმყოს” შინაარსს გადმოსცემენ, ისევე, როგორც დღეს იგ-ის და უწყ-ის ზმნები, რომელთაც ასევე, II სერიის მარტივი, R-Ø სტრუქტურა და ერგატიული კონსტრუქცია აქვთ.

რატომ გახდა შესაძლებელი, რომ II ხოლმეობითის ფორმას, რომლის ძირითადი ფუნქცია ძველ ქართულში თითქოს ნამყო ხოლმეობითის გადმოცემაა, ახლანდელი დროის შინაარსი გადმოეცა?

ოდინდელი მომენტობრივი ასპექტის მარკერი, -ე (← ევ) სუფიქსი, ქართულშიც და დღესაც ნამყო ძირითადის (ე.წ. „წყვეტილის”) ძირითადი მაწარმოებელია (ნამყო ძირითადის, ანუ უძველესი წყვეტილი ასპექტის ფორმა უნიშნო უნდა ყოფილიყო, ამგვარი უძველესი ტიპის წარმოება დღესაცაა შემორჩენილი არქაულ ზმნებში არქაული ტიპის ზმნებში საერთოდ ნულოვანი ხოლო -ი სუფიქსი ოდინდელი დიურატივის მაწარმოებელი, ძველ ქართულში ე.წ. II ხოლმეობითის მწკრივის მარკერადაა კვალიფიცირებული.

ძველი ქართულის დონეზე დროთა სამწევრა სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია. ამ პროცესს შეიძლება თვალი გავადევნოთ წმ. წერილის ბერძნულიდან (სეპტუაგინტადან) პარალელური თარგმანების სათანადო მასალაზე დაკვირვებით. ეს მასალა ფართოდაა წარმოდგენილი არნ. ჩიქობავას ფუნდამენტურ ნაშრომში, რომელიც ეხება ერგატიული კონსტრუქციის პრობლემას იბერიულ-კავკასიურ ენებში (არნ. ჩიქობავა, 1948). ამ ნაშრომის მთელ რიგ პარაგრაფებში (§§ 4,5,6,7; გვ.გვ. 11-47) წარმოდგენილი მასალა გვიჩვენებს, რომ ე.წ. II ხოლმეობითის ფორმებით ხშირად გადმოცემულია ბერძნული ტექსტის ახლანდელი და მომავალი დროის მნიშვნელობის მქონე ფორმები. პარალელურ რედაქციებში ზოგჯერ მათ I სერიის თემის ფორმები შეესაბამება: ამგვარი შემთხვევებიდან სამაგალითოდ მოვიყვანოთ რამდენიმე: ჯრუჭ-პარხლისა და ადიშის ოთხთავში, ასევე, ურბნისის ოთხთავში II

ხოლმეობითის (დიურატივის) (3)სთქვთ ფორმითაა ბერძნულის შესაბამისად აწმყოს ფორმითაა თარგმნილი ბერძნული აწმყოს – λέγετε ფორმა: „თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: შე-რად მწუხრდის, სთქვთ, ყუდრო იყოს, რამეთუ წითს ცაჲ, და განთიად სთქვთ: ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარედ ცაჲ" (მთ.16,2-4); **სთქვთ** აქ აწმყოს (ახ. ქართ. ამზობთ) მნიშვნელობით რომ არის ნახმარი, ამას, გარდა ბერძნული წყაროს მონაცემისა, მოწმობენ სხვა ენებზე (ლათინურ, სომხურ, სლავურ) თარგმანებიცა და თვით ძველი ქართული ოთხთავის ტექსტის სხვა ვარიანტებიც, რომლებშიც **თქვს** ფორმის შესატყვისად **იტყვს** ფორმა გამოყენებული მაგ.: ვითარ-მე **თქვან** მწიგნობართა: ჰელიადა მოსულად არს პირველად? მრკ., 9,11 ადიშის ოთხთ.). მაგრამ: ვითარ-მე **იტყვან** მწიგნობარნი: ელიაჲსი პირველად ჯერ-არს მოსლვაჲ? (ჯრუჭ-პარხლის, ოპიზა-ტბეთის, ქსნის, ურზნისის, ექვთიმე და გიორგი ათონელებისა); რადთა აღესრულოს თქუმული უფლისა მიერ წინარმეტყუელისაგან, რომელ **თქვს**: ეგუპტით უწოდი ძესა ჩემსა (მთ. 2,15). ამ უკანასკნელი მაგალითის მიხედვით აშკარაა, რომ **თქვს (მან)** ფორმის ამ მნიშვნელობით გამოყენება უფრო ადრინდელია, ხოლო **იტყვს (იგი)** ფორმისა – მერმინდელი: ამ მოვლენის არქაულობაზე მიუთითებს ის, რომ **რომელ** ნაცვალსახელი, რომელიც სუბიექტის-მოთხრობითს ბრუნვაში უნდა იდგეს, განუსაზღვრელ ბრუნვაშია.

ნამყო ძირითადის (II სერიის) მარტივი **თქუ-** თემისა და ერგატიული კონსტრუქციის **თქუ-ი-ს (მან იგი) - თქუ-ი-ან (მათ იგი)**, ფორმები მოცემულ კონტექსტებში აშკარად ჩვეულებითი, ზოგადი აწმყოს შინაარსს გამოხატავენ, რაც ძალიან ახლოსაა დიურატივის (განგრძობითი მდგომარეობის) შინაარსთან. მაგრამ ამ ტიპის მაგალითებთან ერთად ადიშის ოთხთავში **იტყვს** ფორმაც ჩვეულებრივ ახლანდელი დროის გაგებითაც იხმარება, ისევე, როგორც **იტყვს (იგი)** ფორმის ნაცვლად **თქვს (მან)** ფორმა და დასკვნაც შესაბამისია: „**თქვს ზმნის (ხოლმეობითის) აწმყოს ნაცვლად გამოყენება ჰადიშის ოთხთავში უფრო ნარჩენია, ვინემ ძირითადი ნორმა**“ (არნ. ჩიქობავა, 1948, გვ. 42-47).

თქვს- ზმნისა და მასთან ერთად ე.წ. „ხოლმეობითის“ მწკრივის ფორმების გამოყენება აწმყოს ფუნქციით გარდამავალ და გარდუვალ ზმნებთანაც „მთელი ოთხთავის მასალაზეა გასინჯული“ (არნ. ჩიქობავა, 1948, §5, §6, გვ.28-420, ასევე, განხილულია ერთისა და იმავე რედაქციის ერთსა და იმავე კონტექსტში II ხოლმეობითისა და აწმყოს პარალელური ხმარების ნიმუშებიც შემასმენლების მიხედვით შერწყმულ წინადადებაში: როგორიცაა, მაგ.: **ყოველი რომელი ითხოვნ - მოიღის** და **რომელი ეძიებნ - პოის**, და **რომელი ირევნ - განელის** (მთ. 7,8, ადიში); ან: **დადვის, არნ, არიედ, იხილის**,

დაუტევენის, ივლიტინ, წარიტაცნის, განაზნინის, ჰჰირნ (ი.,10,11-14) და სხვ. (ჩიქობავა, 1948, §7, გვ. 42-47)

ამგვარად, ძველი ქართულის კლასიკური პერიოდის ადრინდელ ეტაპზე წმ. წერილის ბერძნულიდან თარგმანებში ორიგინალის აწმყოს ფორმები ხშირად ე.წ. II ხოლმეობითის ფორმებითაა გადმოცემული. ამავე ფორმების ხმარება მომავალი დროის მნიშვნელობითაც იმის მაჩვენებელია, რომ ყოფილი დიურატივის ფორმა ჯერ კიდევ არ არის დაცლილი ასპექტური გაგებისაგან და არ არის დატვირთული გამოკვეთილი „დროული“ შინაარსით. მაგრამ მაინც, მისი ძირითადი ფუნქცია **ზოგადი, ჩვეულებითი აწმყოს გამოხატვაა და არა ხოლმეობითი მოქმედებისა**. ამგვარად, საკმაოდ ვრცელი ანალიზის შემდეგ არნ. ჩიქობავა, სრულიად ლოგიკურად დაასკვნის, რომ „ზმნის უღვლილების დასაწყის ეტაპებზე გარდამავალი ზმნის ორი ასპექტი გაირჩეოდა (განგრძობითი და ერთბაში) და ორი „ნაკვთი“ გვეჩვენდა: ხოლმეობითი და ნამყო ძირითადი. ხოლმეობითი ასრულებდა იმ როლს, რაც შემდეგში აწმყოს დაეკისრა. ნამყო ძირითადი ხოლმეობითს უპირისპირდებოდა ასპექტის მიხედვით. ხოლმეობითი აწმყოს ჩამოყალიბების შემდეგაც კარგა ხანს გამოდიოდა აწმყოს მონაცვლედ: „ერთი მეორის გვერდით არსებობდა არქაული და მერმინდელი ნაკვთები თავ-თავისი ფუნქციით.“ (არნ. ჩიქობავა, 1948, §17, გვ.80).

მაგრამ საბოლოოდ ამ მარტივთემიანმა დიურატივის (ძვ. „II ხოლმეობითის“ ფორმამ მაინც ვერ შეძლო ახლანდელი დროისათვის დამახასიათებელი დინამიკის, მოქმედების პროცესის გამოხატვა და ამისათვის საჭირო გახდა **წყვეტილი ასპექტის მარტივი, სტატიკური თემისათვის მადინამიკურებელი (მაინტენსივებელი) ნიშნების (-ენ, -ეგ, -ოგ, -ავ, -ემ, -ომ, -ამ, -ებ, -ობ სუფიქსების)** დართვა, რომელთაგან დღეს სალიტერატურო ენაში შემოგვრჩა -ებ, -ობ, -ავ, -ამ. მათ საბოლოოდ გააფორმეს სტატიკური ზმნის გაუდიფერენცირებელი თემა და ამგვარად, ჩამოყალიბდა ამ თემის ოპოზიციური დინამიკური ე.წ. „აწმყოს ჯგუფის“, I სერიის რთული თემა, რომელმაც შემდგომ ეტაპებზე წარმოშვა წარსულის დინამიკური, ინტენსიური მოქმედების გამომხატველი ე.წ. „აწმყოს ხოლმეობითის“ (სინამდვილეში კი ნამყოს ხოლმეობითის) -ოდ/-დ მაინტენსივებელი ფორმანტებით გაძლიერებული თემა. ხოლო, რაც შეეხება **დიურატივისაგან მომდინარე -ი** მარკერს, რომელიც თავისი აგებულებით სრულიად განსხვავდება დანარჩენი სუფიქსებისაგან და, რომლითაც ძველშიც და თანამედროვე ქართულშიც გაფორმებულია I დიათეზის (როგორც აქტიური, ისე ავტოაქტიური შინაარსის მქონე) მთელი რიგი ზმნების აწმყოს თემა (როგორცაა, მაგ. *ტირის, კივის, წივის, მკის, ცდის, ცრის, ზრდის, ყიდის...*) - ამ სუფიქსის წარმომავლობის შესახებ ვრცელი და ნათელი მსჯელობაა წარმოდგენილი არნ. ჩიქობავას

ზემოთ არაერთგზის მითითებული გენიალური ნაშრომის მე-16 პარაგრაფში. აქ მხოლოდ იმას დავამატებდით, რომ მას მერე, რაც ჩამოყალიბდა „აწმყოს“, ანუ I სერიის რთულთემიანი ჯგუფი თავისი განშტოებებით და სემანტიკური ნიუანსებით, რომელიც ხოლმეობითის შინაარსსაც გადმოსცემდა, ეს უძველესი ფორმა ჭარბი აღმოჩნდა და სალიტერატურო ენაში თანდათან დაიკარგა.

ამგვარად, მივიღეთ აწმყო-წყვეტილის მორფოლოგიურად ოპოზიციური თემები: *ვადგ-ენ* – *დავადგ-ინ-ე*; *(გან)ვაბნ-ევ* – *განვაბნ-ივ-ე*; *გორ-ავ* – *იგორ-ე*; *იძინ-ებ* – *იძინ-ე*; *(აღ)აშენ-ებ* – *(აღ)აშენ-ე*; *აცხ-ობ* – *და-აცხვ-ე*; *ატფ-ობ* – *გან-ატფ-ე*...

მაგრამ ფორმათა განვითარებისა და სემანტიკური (შინაარსობრივი) დიფერენციაციის პროცესი ამით არ დასრულებულა. ახლანდელი დროის თანდათანობითმა კონკრეტიზაციამ და განსაზღვრამ გამოკვეთა და გამოყო მესამე მიმართება: შემდგომისა, მომავლისა:

1. წყვეტილი ასპექტის - ნამყო ძირითადის ფორმა განაგრძობდა არსებობას;

2. დიურატივის დაშლის შემდეგ მისი ფორმა (ბერძნულიდან თარგმანებისა და პარალელური რედაქციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) აწმყოსთან ერთად ნამყო უსრულისა და იშვიათად **მომავალი დროის** მნიშვნელობითაც იხმარებოდა (იხ. არნ ჩიქობავა 1948, §8, გვ.53-54). მაგრამ პოლისემანტიზმს (მით უფრო გრამატიკულს) ენა დიდხანს ვერ იტანს და ახლანდელი დროისათვის, როგორც ვნახეთ, თანდათან მადინამიკურებელი სუფიქსების დართვით დინამიკური ფორმები ჩამოყალიბდა;

3. მაგრამ მომავალი დრო, განსხვავებით წარსულისა და ახლანდელისაგან, რომლებიც მომხდარ ან არსებულ რეალურ ფაქტს გადმოსცემენ, გულისხმობს ისეთ ირეალურ მოქმედებას, რომელიც, როგორც ჯერ არარსებული, მომავალში შესასრულებელი და არა ფაქტი, შესაძლებელია, სავარაუდოა, სათუოა, საეჭვოა. ამდენად, მომავალი დრო საფუძველშივე შეიცავს შესაძლებელ-სავარაუდო, „თუობითი“ შინაარსის, ანუ კილოს ელემენტს, ნიუანსს. ამგვარად, **მომავალი დროის გაგებას თან უნდა მოჰყოლოდა შესაძლებელის, სათუო, საეჭვო, თუ სასურველობის შინაარსი, ანუ კილოს გაგება.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, კილოს გაგება ჩაისახა მომავალი დროის წიაღში მისი დიურატიული მდინარებიდან გამოყოფასთან ერთად. „უბნობის“ მომენტთან ამ მესამე მიმართების გამოხატვა და დიფერენცირება დიურატივისაგან, რომელმაც ძირითადად ზოგადი აწმყოსა და ჩვეულებითობა-ხოლმეობითობის შინაარსის გადმოცემა შეძლო, უნდა მომხდარიყო წყვეტილი ასპექტის არსებული ყალიბის, გამოყენებით, მარტივ თემაზე სათანადო სუფიქსის დართვით: *დადეგ* >*დადეგ-ე*> *დადეგე*; *წახუედ* >*წახუედ-ე*>*წახუიდ-ე*; *განტეგ* >*განტეგ-ე*; *მოჰკალ* >*მოჰკალ-ა*; *დაჰვალ* >*დაჰვალ-ა*;

კრავ>შეკრ-ა; -ევ>ე სუფიქსიანი წყვეტილის სემთხვევაში: შესწირ-ევ>შესწირ-ევ-ე>შესწირ-ე>შესწირ-ო; დაადგინ-ევ-ე> დაადგინ-ე>დაადგინ-ო...

თავიდან ამ ფორმებში დომინირებდა დროის სემანტიკა: კილოს კატეგორიას მისი გაჩენა-ჩამოყალიბების მომენტისათვის სუსტი, დროის სემანტიკაზე დაქვემდებარებული ბუნდოვანი შინაარსი უნდა ჰქონოდა. მან თანდათან შეიძინა გამოკვეთილი ფუნქციები: ზმნით გამოხატული მოქმედებისადმი სუბიექტის, მოქმედი პირის დამოკიდებულებისა თუ ნება-სურვილის გამოხატვისა, ამას უნდა მოჰყოლოდა აზრის დანაწევრებულ მონაკვეთებად პირობისა და შედეგის მიზეზისა და მიზნის გამოხატვის საჭიროება, რაც წინადადებათა დაქვემდებარების, ანუ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის გაჩენა-ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული. ამგვარად, კილოს სემანტიკური კატეგორია რთული კატეგორიაა, რომელიც ფორმალურადაც რთული აგებულებისაა და მორფოლოგიური გამოხატვის გარდა სინტაქსური კომპონენტების ჩართვასაც მოითხოვს (მასთანაა დაკავშირებული დაქვემდებარებული წინადადებების კავშირთა სისტემის ჩამოყალიბება და სახელიც, „კონიუნკტივი“, ანუ „კავშირებითი კილო“ აქედანაა). ამდენად, კილოს კატეგორია ენის განვითარების გვიანდელ ეტაპთან, მწიგნობრული და მეცნიერული ენის ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მისი ყველა სემანტიკური ქვესახისათვის წამყვანი მომავალი დროის კომპონენტია.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში (XI საუკუნემდე) ძირითადად თხრობითი კილოს მომავალი დროისა და კავშირებითი კილოსათვის ომონიმური ფორმებია გამოყენებული. ამ ფორმების აღსანიშნავად ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში როგორც ძველი, ასევე თანამედროვე ქართულისათვის ტერმინი „კავშირებითის“ მწკრივები (//ნაკვთები) დამკვიდრდა (ე. წ. II კავშირებითი, აწმყოს კავშირებითი...), როგორც ჩანს, თანამედროვე ქართულში ამ ფორმათა ფუნქციიდან ამოსვლით, რაც ხშირად გაუგებრობას იწვევს, რადგანაც ამ ფორმათა ძირითადი ფუნქცია ძველ ქართულში თხრობითი კილოს მომავლის გამოხატვაა, ხოლო საკუთრივ კავშირებითი კილოს შინაარსით ეს ფორმები მხოლოდ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება (რადგან, რომ და სხვა მაქვემდებარებელ კავშირებთან), რაც მათი ამ ფუნქციით გამოყენების მეორეულობაზე მიუთითებს. ქართული ზმნის უღლების სისტემის განვითარების ამ საფეხურზე კავშირებითი კილოს გააზრება მკვეთრად ემიჯნება მომავალ დროს, თუმცა კი ეს უკანასკნელი მაინც რჩება მისი სემანტიკის წამყვან ელემენტად (დ. მელიქიშვილი, 1961; 1980). როგორც არაერთხელ გამოჩნდა, ენა ვერ იტანს ომონიმიას (და პოლისემანტიზმს) ვერც ლექსიკურ და, მით უფრო, გრამატიკულ დონეზე. მეტყველების დონეზე ენა

მუდამ ეძებს და პოულობს კიდევაც ომონიმია-პოლისემიის დაძლევის გზას, პოტენციას თავისსავე წიაღში, რაშიც არაერთხელ დავრწმუნებულვართ ქართული სახელისა თუ ზმნის სისტემის დიაქრონიული ანალიზისას. ამ შემთხვევაშიც, ძველი ქართული თარგმანებისა თუ ორიგინალური წერილობითი ძეგლების მიხედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ, თუ როგორ ისახება და ვითარდება კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის ფორმალური გამიჯვნის ძლიერი ტენდენცია, რომელიც მეტყველებაში გაცილებით ადრე ჩაისახა, ხოლო სალიტერატურო ენაში XI ს.-ის ბოლოსკენ ძლიერდება და ნორმად XII ს.-ში იქცევა. ფორმათა დიფერენცირების სხვადასხვა საშუალებების ძიებაში კავშირებითი კილოს შინაარსის გადმოსაცემად მოისინჯა -**მცა** ნაწილაკის თხრობითი კილოს ფორმებთან გამოყენება (*არამცა ცხოვნდა ყოველი ჯორციელი მრკ.13,20*), რაც დღესაც გვხვდება დალოცვისა თუ წყევლის ფორმულებში, მყარ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში, როგორცაა, მაგ. „*ღმეთიმც გიშველის*” ტიპის შესიტყვებები). საკუთრივ მომავალი დროის, კილოსაგან დაცლილი მნიშვნელობის გადმოცემას კი თარგმანებში ჯერ აღწერთი, მეშველზმნიანი კონსტრუქციით ცდილობენ (მასდარი ვითარებით ბრუნვაში + *არს* მეშველი ზმნა: *მოსლვად არს, ყოფად არს, შესუმად არს*), მაგრამ ეს ფორმა ფეხს ვეღარ იკიდებს, რადგანაც ფორმათა გამიჯვნის პროცესი დააჩქარა და საბოლოოდ დაასრულა ასპექტის კატეგორიის გამოხატვის სისტემის შეცვლამ, რის შედეგადაც აწმყოს ზმნისწინიანმა ფორმებმა, რომლებიც კლასიკური ძველი ქართულის პერიოდში უზმნისწინო ფორმებთან ერთად ახლანდელ დროს გამოხატავდნენ, სრული ასპექტის გამოხატვის ფუნქცია შეიძინეს, და შესაბამისად დაკარგეს ახლანდელი დროის გაგება და მექანიკურად მომავალი დროის ჯგუფში გადაირიცხნენ (ისევე, როგორც საუკუნეების წინ **o**- პრეფიქსიანი ავტოაქტივის ფორმები გამოეყვნენ უპრეფიქსო ფორმებს და უსრულასპექტიანი თხრობითი კილოს მომავლის ფუნქციით დაიტვირთნენ). ამგვარად, ისტორიული მყოფადის ფორმებში საბოლოოდ დროის გაგება დაიჩრდილა და წამყვანი გახდა კავშირებითი კილოს ფუნქცია.

თანამედროვე ქართულში თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემა ისტორიული აწმყოს ზმნისწინიან ფორმებს აკისრია და, თუ არა ძველი ქართული წერილობითი საბუთები და ის გარკვეული შემთხვევები (ძირითადად ანდაზების ენაში), რომლებშიც დღევანდელი კავშირებითი კილოს ფორმებს გადმონაშთის სახით ნეიტრალური მომავლის გადმოცემის უნარი შერჩათ, ჩვენ ვერდავასკვნიდით, რომ ე. წ. კავშირებითის მწკრივთა პირვანდელი, ძირითადი ფუნქცია ოდესღაც თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემის ფუნქცია იყო. აღსანიშნავია, რომ მთის კავკასიურ ენებში კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის ფორმათა ომონიმის კვალი

დღესაც შემორჩენილია და გამორიცხული არ არის, რომ მათ იმ ენებშიც განვითარების მსგავსი გზა ჰქონდეთ გავლილი. ქართველურ ენათაგან კი დღეს თითქოს მხოლოდ ჭანურის ხოფურ კილოკავს შემორჩა ნაშთის სახით მომავალი დროის გამოხატვის ძველი სისტემის კვალი.

ბერძნული და ლათინური ენების ისტორიულ გრამატიკებში მომავალი დროის ფორმები კავშირებითი კილოს ფორმათაგან მიღებულადაა მიჩნეული. ძველი ბერძნულის სიგმატური ფუტურუმის ფორმების წინაპრად შანტრენის ბერძნული ენის ისტორიულ გრამატიკაში (იხ. А. Шантрен, Историческая морфология греческого языка, 1953, с. 209) კავშირებითი კილოს ფორმებია მიჩნეული. ჩვენი აზრით, ამ ენებშიც ამოსავალი თხრობითი კილოს მომავალი დროის ფორმებია სავარაუდებელი და არა პირიქით (დ. მელიქიშვილი, 1967, 1980) ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავი და ნიშანდობლივია ისიც, რომ ძველ სომხურში მომავალი დრო კავშირებითის ფორმებით გადმოიცემოდა.

შემთხვევითი არ არის, რომ ბრძანებით კილოს ძველშიც (თუ არ ჩავთვლით III პირის სპეციფიკურ მარკერებს და აორისტში მეორე პირის უნიშნო ფორმას) და თანამედროვე ქართულშიც საკუთარი „მწკრივი“ „ნაკვთი“ არ გააჩნია. I და III პირები იყენებენ ე.წ. II კავშირებითის ფორმებს (*გავაკეთოთ, გააკეთოს/-ნ*), ხოლო II პირი კი წყვეტილის ფორმებს (*გაკეთე - გააკეთეთ*), რომელთაც თხრობითი კილოს აორისტისაგან მხოლოდ ინტონაცია და მომავალი დროის გაგება განასხვავებს.

უნდა აღინიშნოს, რომ დრო-კილოთა მოწესრიგებული სისტემის ფორმირების პროცესს დიდად შეუწყო ხელი ბერძნულიდან ინტენსიურმა თარგმნამ: თარგმნის პროცესში ბერძნული ზმნური ფორმების ზუსტი შესატყვისების ძიებამ გამოავლინა ქართული ზმნის მდიდარი შესაძლებლობები, რამაც ლოგიკურად გამართული, მკაცრად სისტემატიზებული უღლების ტიპები ჩამოაყალიბა.

ლექცია № 8

ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფის ტრადიციული (შანიძისეული) კლასიფიკაცია (კლასიფიკაციის საფუძველი – გვარის კატეგორია)

როგორც ვნახეთ, ქართული ზმნის დრო-კილოთა მიხედვით ცვალების სისტემის აღწერას აკაკი შანიძემ საფუძვლად დაუდო მორფო-სინტაქსური პრინციპი.

ქართული ზმნის უღლების ტიპებად კლასიფიკაციისას კი იგი გაჰყვა ქართული ენის პრაქტიკულ გრამატიკებში ევროპული გრამატიკებიდან გადმოღებულ და დამკვიდრებულ ტრადიციას და შემდგომ განავითარა იგი.

კლასიფიკაციის საფუძვლად, **პრინციპად** მან მიიღო **გვარის კატეგორია**, რომელიც მის მიერ განსაზღვრულია **სემანტიკური (სუბიექტის აქტიურობა-პასიურობისა) და სინტაქსური (პირდაპირი ობიექტის არსებობა-არარსებობის) ნიშნით** და გამოყო სამი ტიპი უღლებისა: **I ტიპი** - მოქმედებითი გვარის ზმნათა (აქტივის) უღლება, **II ტიპი** - ვნებითი გვარის ზმნათა (პასივის) უღლება, **III ტიპი** - საშუალი გვარის ზმნათა (მედიუმის) უღლება 2 ქვეტიპით: მედიოაქტივი და მედიოპასივი. თუმცა, ამ შემთხვევაშიც არ უღალატია გრამატიკული პრინციპისათვის: **გვარის სემანტიკური კატეგორიის გვარეობითი ცნების ქვეშ კლასიფიკაციას გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) საფუძველი** მოუძებნა: **მოქმედებით** გვარში გააერთიანა აწმყოს **R- Ø** სტრუქტურის ერგატიული კონსტრუქციის პირდაპირობიექტიანი ზმნები, ხოლო აწმყოს **R-ებ-ი** სტრუქტურის მქონე ნომინატიური კონსტრუქციის ზმნები მიიჩნია აქტივის (მოქმედებითის) კონვერსიით **გზით მიღებული პასივის (ვნებითის) ფორმებად**, რისი დასაბუთებაც წარმოადგინა თავის მოხსენებაში და 1943 წელს „აკადემიის მოამბეში“ გამოქვეყნებულ სტატიაში: „**აქტივი და პასივი ურთიერთის მიმართ მრავალპირიანი ზმნის ჩვენებით**“. მან პასივის გამოყოფას საფუძვლად დაუდო სინტაქსური პრინციპი – **კონვერსია**, რომელსაც თითქოს ქართული მრავალპირიანი ზმნის ჩვენება უჭერდა მხარს. აქტივის კონვერსიული ფორმის (*მალ-ავ-ს ის მას - ი-მალ-ება ის*) აწმყოს „ყალიბი“ (**R-ებ-ი**), მან პასივის **მორფოლოგიურ** მახასიათებლად მიიჩნია, ხოლო **ვნებითი გვარის ნიშნებად** გამოყო **ი-, ე- პრეფიქსი და -დ სუფიქსი**, „**თბება**“ ტიპის ზმნები კი **III ტიპის**, ე.წ. „**უნიშნო ვნებითთა**“ ჯგუფში გააერთიანა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ სტატიაში მოყვანილ საილუსტრაციო მასალაში საკმაოდაა კონვერსიული აქტიურსუბიექტიანი ფორმები, ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, ხოლო შემდეგი კვლევებისასაც ამ ტიპის კიდევ უფრო მომრავლებულ აქტიურსუბიექტიან

მაგალითებს (ე.წ. „დეპონენსების“ ჩათვლით) ქართულ საენატმეცნიერო ლიტერატურაში გამონაკლისებად, წესიდან გადახრად მიიჩნევენ და „ფორმით პასიური და შინაარსით აქტიური“ ზმნების სახელით მოიხსენიებენ. ჩვენ ვნახავთ, რომ სწორედ ქართული „მრავალპირიანი“ ზმნა (რომელშიც სუბიექტი და ობიექტი სინტაქსური თვალსაზრისით თანასწორუფლებიანია) აჩვენებს, რომ ქართული ზმნის კონვერსიული ფორმები არა თუ ყოველთვის არ შეიცავს (გვარის დეფინიციაში აღნიშნულ) პასივის შინაარსს, არამედ უფრო ხშირად და, რაც მთავარია, სისტემურად, აქტიური შინაარსის შემცველია. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა შემჩნეული და და აღნიშნულიცაა სხვადასხვა ავტორის მიერ, ეს კლასიფიკაცია დამკვიდრდა ქართულ სასწავლო (სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში) და სამეცნიერო გრამატიკულ ლიტერატურაში (იხ. „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, 2011, თ. IV, გვარი - ქართული ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეული, გვ. 420-538). მაგ. რ. ასათიანი ვნებითი გვარის ფორმათა სემანტიკურ-კოგნიტურ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ (თავისთავად საინტერესო და მნიშვნელოვან) ექპერიმენტულ გამოკვლევებში აღნიშნავს, რომ „პასიური კონსტრუქცია ყოველთვის არ წარმოადგენს შესაბამისი აქტიური კონსტრუქციის კონვერსიულ ფორმას, ე.ი. ის არ არის მკაცრად სინტაქსური კატეგორია“ (კრებ., მიძღვნილი გურამ კარტოზიასადმი, გვ.79), იგი ხედავს იმასაც, რომ ამ სტრუქტურის ფორმები ხშირად აქტიურსუბიექტიანია და ხაზგასმით აღნიშნავს იმასაც, რომ ვნებითის „მარკერები“ პოლიფუნქციურია, ე.ი. საზიაროა სხვა გვარის ფორმებთან, მაგრამ ამ ფონზე მით უფრო მოულოდნელია მისი კატეგორიული დასკვნა იმის თაობაზე, რომ „**აქტიურ-პასიურ ფორმათა მორფოლოგიური დაპირისპირება აშკარაა**“ (იქვე). იგი, ისევე, როგორც სხვა მკვლევარები, აპრიორი ამოდის იმ დებულებიდან, რომ ქართულ ენაში პასივი მორფოლოგიურად მარკირებული კატეგორიაა თავისი ყალიბითაც და სპეციალური *ი-, ე-, -დ* მარკერებით.

ჩვენ ვნახავთ, რომ აქტიური და პასიური ფორმები მორფო-სინტაქსური კლასიფიკაციის ფარგლებში არ უპირისპირდება ერთმანეთს: ვნებითის (R-[th.suf.-ი) ყალიბად მიჩნეული ფორმები სისტემურად გამოხატავენ როგორც აქტივის, ასევე რეფლექსივის // ავტოაქტივის შინაარსს და, შეიძლება ითქვას, ყველაზე იშვიათად (უსულო სუბიექტის შემთხვევაში, ისიც არა ყოველთვის) - პასივის შინაარსს. ჩვენ ვნახავთ, რომ აქტივ-პასივის გრამატიკული დაპირისპირება ძველსავე ქართულში ჩამოყალიბდა პასივის აღწერითი ფორმების საშუალებით (ბერძნული ენიდან თარგმნის პროცესში).

ბ. ჯორბენაძე ქართული ზმნის მორფო-სინტაქსური ანალიზის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „*მალ-ავ-ს* და *ი-მალ-ებ-ა* „ფაქტობრივ ორივე არის აქტიური მოქმედების გამომხატველი ფორმა, რომ აღარაფერი ვთქვათ ა-

ლაპარაკებ-ს და ე-ლაპარაკებ-ა... და სხვა მისთანა ფორმებზე”... ის ფორმანტები კი, რომლებიც ვნებითის ნიშნებად იწოდებიან (ი-, ე-, -დ) სინამდვილეში სულ სხვა მნიშვნელობების გამომხატველნი არიან. ეგ არის, ოღონდ, ეგ მნიშვნელობები ამ შემთხვევაში ვნებითობის ფუნქციასთან არიან შეუღლებულნი” (ბ. ჯორბენაძე, 1983, გვ.158). ამ ხმოვანპრეფიქსებს ბ. ჯორბენაძე ირიბ ობიექტური პირის „პოვნეირების” ნიშნებს უწოდებს და თავის მონიგრაფიაში ვრცლად მიმოიხილავს მათი კვალიფიკაციის შესახებ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებს, რაზედაც საგანგებო მსჯელობა გვექნება სემინარებზე, მაგრამ აქ აღვნიშნავთ, რომ ტერმინს „ვნებითი” იგი ხმარობს არა სემანტიკური, არამედ საკუთრივ მორფოლოგიური თვალსაზრისით, როგორც „გარკვეული მორფოლოგიური ყალიბის” აღმნიშვნელს, რომელიც უპირისპირდება ზმნური ფუძე+Ø ყალიბს. აქედან ჩანს, რომ იგი ემიჯნება ვნებითი გვარის სემანტიკურ-სინტაქსური კრიტერიუმის მიხედვით დეფინიციას და ყველაზე ახლოს დგას ქართული ზმნური ფორმების მორფოლოგიური კრიტერიუმის მიხედვით კლასიფიკაციასთან, მაგრამ, რადგანაც არ ფლობდა სათანადო სტატისტიკური მონაცემებს, ამიტომ ვერ დააღწია თავი სემანტიკურ კლასიფიკაციას და ვერ მივიდა ზმნურ ფორმათა მორფო-სინტაქსურ კლასიფიკაციამდე: აღნიშნული ფორმებით აქტიური შინაარსის გამოხატვის შემთხვევებს ისიც გამონაკლისთა რიცხვს მიაკუთვნებდა და არა სისტემურ მოვლენას, როგორც ეს დღემდე მიღებულია გრამატიკულ ლიტერატურაში. (თუმცა კი ერთგან წერს, რომ ამ ფორმებს შეიძლება პირობითად ეწოდოს „ვნებითი” გვარის ფორმები)

როგორც ადრეც არვნიშნეთ, არნ. ჩიქობავა „თბება” ტიპის ზმნებს, რომლებიც აშკარად აქტიურსუბიექტიანია (ამიტომაცაა, რომ მათგან მიმღეობა მ-პრეფიქსით იწარმოება) ისტორიულად უგვარო დინამიკურ ზმნებს უწოდებს, და, თუმცა ისინი არ არიან კონვერსიის გზით მიღებულნი, თანამედროვე ქართულის ზმნის გრამატიკულ სისტემაში მათ ვნებითთა ჯგუფში ათავსებს, რადგანაც მასაც -ებ-ი სტრუქტურა პასივის ყალიბად მიაჩნია. არა-და სწორედ მან მიაქცია ყურადღება იმას, რომ ამ ტიპის ზმნები მიმღეობის წარმოების მიხედვით აშკარად ერთპირიანი აქტიურსუბიექტიანი ზმნების (მისი კლასიფიკაციით უგვარო სტატისტიკური ზმნების ჯგუფს, ხოლო ა. შანიძის კლასიფიკაციის მიხედვით „მედიაქტივთა”) რიგს განეკუთვნებიან, რადგანაც მათ მხოლოდ სასუბიექტო (მ-პრეფიქსიანი) მიმღეობის წარმოება შეუძლიათ. ამ საკითხს ეხება ქეთევან ლომთათიძის კლასიკური სტატიაც ე. წ. „თბება” ტიპის ვნებითების შესახებ, რომელშიც იგი ვრცელი ანალიზის შემდეგ ასკვნის, რომ ეს არქაული ისტორიულად გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებამდე გაფორმებული, უგვარო დინამიკური ზმნებია, მაგრამ მისი აზრითაც

თანამედროვე ქართულში ისინი მორფოლოგიური თვალსაზრისით („ებ-ი“ ყალიბის გამო) ვნებითა ჯგუფს განეკუთვნებიან.

რაც შეეხება ე.წ. „მედიუმს“ (საშუალ გვარს): ა. შანიძე ამ შემთხვევაშიც გაჰყვა ტრადიციულ, ევროპული ენების გრამატიკების გზას, გამოჰყო „საშუალი გვარის“ ზმნათა ჯგუფი, ოღონდ ქართული ზმნის ფორმაცვალებისა და კონსტრუქციის თავისებურებათა გათვალისწინებით ამ ჯგუფში გააერთიანა ორი ქვეჯგუფი: 1. **ერგატიული კონსტრუქციის მედიოაქტივთა** (რომელთა მყოფად-წყვეტილის „ნაკლული“ ფორმები, მისი აზრით, ი- პრეფიქსიანი აქტივისაგან აქვთ ნასესხები) და 2. **ნომინატიური კონსტრუქციის მედიოპასივებისა** (რადგანაც ამათ ნაკლული მწკრივები თითქოს „პასივის“ ფორმებით ევსებათ). ამასთან, ეს უკანასკნელი ახლა უკვე ფორმაწარმოების მიხედვით სხვადასხვა (მათ შორის სემანტიკური) თვალსაზრისით კიდევ ორ ქვეჯგუფად აქვს დაყოფილი, რის გამოც დაირღვა კლასიფიკაციის პრინციპი (ფორმალური პრინციპი შეიცვალა სემანტიკურით), რაც ცნების დაყოფის ლოგიკურ წესს ეწინააღმდეგება და კლასიფიკაციის ნაკლზე მიუთითებს.

აკაკი შანიძე ინტუიციით ცდილობს კლასიფიკაციას მოუმძებნოს **გრამატიკული** პრინციპი (კონვერსიის შედეგად მიღებული ვნებითი მორფოლოგიური ყალიბი ი-, ე-, -დ საკუთარი მარკერებით) მაგრამ ეს პრინციპი, როგორც დავინახეთ, მან დაუმორჩილა სემანტიკურ კრიტერიუმს, კერძოდ, კლასიფიკაციის ამოსავალ პრინციპად - „**გვარეობით ცნებად**“ გამოყო „**გვარის გრამატიკული კატეგორია**“, რომლის ქვეშაც თითქოსდა გრამატიკულად განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით დააღაგა აქტივის, პასივის და მედიუმის ჯგუფები. კერძოდ, „**ვნებითი გვარი**“ მიიჩნია R-[th.suf]-Ø სტრუქტურის აქტივის **გრამატიკულად (ხმოვანპრეფიქსებით და -დ სუფიქსით) მარკირებული R-(th.suf.)+**-ი სტრუქტურის („ყალიბის“) ოპოზიციურ ცალად. ამგვარად, ქართული ზმნის უღლების ტიპები ფაქტიურად გვარის სემანტიკური კატეგორიის მიხედვით დაჯგუფდა. ამიტომ ეს კლასიფიკაცია ბევრ დაბრკოლებასა და აუხსნელ კითხვას ბადებს, რომელსაც ამ კლასიფიკაციის ფარგლებში პასუხი ვერ ეძებნება.

პირველ რიგში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას:


არის თუ არა გვარი ზოგადგვარეობითი გრამატიკული კატეგორია, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ქართული ზმნის უღლების ტიპებად კლასიფიკაციას, თუ იგი სემანტიკური ნიშნით განსხვავებული სახეობითი ჯგუფია ზოგადგვარეობითი გრამატიკული კატეგორიისა?

როგორც უკვე ითქვა, ნებისმიერ ემპირიულ მეცნიერებაში (მათ შორის ენათმეცნიერებაშიც, კერძოდ კი – გრამატიკაში), შესასწავლი სიმრავლის კლასიფიკაციის პრინციპის შერჩევას ცნების დაყოფის ლოგიკური წესის დაცვას (ანუ სწორად შერჩევას გვარეობითი ცნებისა, რომლის მიხედვითაც უნდა

მოხდეს კლასიფიკაცია), გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ მეცნიერების შესასწავლი მასალის სწორი კლასიფიკაციისა და შესაბამისად, მისი კატეგორიების სწორი კვალიფიკაციისათვის.

ყველასათვის ნათელია და მისაღები, რომ გრამატიკის (დღევანდელი გაგებით) დარგებია **მორფოლოგია და სინტაქსი**, მაშასადამე, აღსაწერია სიტყვის სტრუქტურა და შესიტყვების კონსტრუქცია. აქედან გამომდინარე ამ დარგში შესასწავლი მასალის კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს სწორედ ფორმა - კერძოდ, **მორფოლოგიური სტრუქტურა და სინტაქსური კონსტრუქცია**. მაგრამ, სამწუხაროდ, გრამატიკულ (და არა მხოლოდ ქართულ) ლიტერატურაში ხშირად კრიტერიუმის შერჩევასას **სწორედ ეს პრინციპია უფულებელყოფილი და გრამატიკულ კლასიფიკაციას სემანტიკური კრიტერიუმი უდევს საფუძვლად**, რაც გრამატიკული მოვლენებისა და კატეგორიების კვალიფიკაციის მცდარობის მიზეზია. სამწუხაროდ, ლოგიციზმისა და ფსიქოლოგიზმის ექპანსია გრამატიკაში დღესაც არ არის დაძლეული და პრობლემად რჩება განსაკუთრებით ქართული მრავალპირიანი ზმნის შემთხვევაში (ევროპული ერთპირიანი ზმნის პირობებში ლოგიკური და გრამატიკული კატეგორიები ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია, თუმცა პრობლემები იქაცაა).

ა . შ ა ნ ი ძ ი ს ს ქ ე მ ა



განვიხილოთ ტრადიციული (ა, შანიძის) კლასიფიკაციის სქემის ის რგოლები, რომლებიც აპორიებს იწვევენ და კითხვებს ბადებენ, მაგრამ ამ კლასიფიკაციის ფარგლებში მათზე პასუხის გაცემა შეუძლებელია.

I. „ვნებითი გვარი“

1. თუ დავტოვებთ საყოველთაოდ მიღებულ უნივერსალურ სემანტიკურ დეფინიციას: „აქტიური გვარისაა ზმნა, თუ მისი სუბიექტი მოქმედია და ეს მოქმედება გადადის პირდაპირ ობიექტზე“, ხოლო „პასიურია, თუ მისი სუბიექტი განიცდის მოქმედებას“, ასეთ შემთხვევაში არის თუ არა ქართულ ენაში მოქმედებითი გვარის ზმნათა კონვერსიული **R-ებ-ი** „ყალიბის“ (სტრუქტურის) ფორმები (*დაიმალა მან ის / იმაღლავს ის მას - დაიმალა ის / იმალება ის*) პასიური შინაარსისა, ან ყოველთვის ასეთი შინაარსისა? ანუ: შეიძლება თუ არა ეს მახასიათებელი მივიღოთ პასივის და მხოლოდ პასივის ნიშნად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონვერსია ამ ფორმით ყოველთვის იძლევა თუ არა პასივის შინაარსს და შეიძლება თუ არა ამ სტრუქტურის ზმნათა უღლებას დაერქვას პასიური, ვნებითი გვარის უღლების ტიპი? უფრო რომ დავაზუსტოთ, არის თუ არა პასივის ფორმალურ მახასიათებლად მიჩნეული **R-ებ-ი** სტრუქტურის ფორმები ერთმანეთთან ტრადიციული გაგებით “გვარის” თვალსაზრისით დაპირისპირებული? თუ ეს სტრუქტურა საზიაროა მოქმედებითისთვისაც, ვნებითისთვისაც და კიდევ რეფლექსივისთვისაც, ხოლო საკუთრივ (და მხოლოდდამხოლოდ) ვნებითის ფორმა, რითიც ის მოქმედებითთან ოპოზიციას ქმნის, აღწერითი წარმოებაა (*ჩანთა დაიმალა მის მიერ “კი არა, არამედ - ჩანთა დამალულ იქნა მის მიერ”*)? აქ კი საქმე გვაქვს არა გვარის კატეგორიასთან (მისი ტრადიციული გაგებით), არამედ რაღაც სხვა, გრამატიკულ კატეგორიასთან, რომლის სემანტიკური სახესხვაობებაა გვარი?

ასეთ შემთხვევაში **R-ებ-ი სტრუქტურაში -ი /-ე** პრეფიქსებს და **-დ** სუფიქსს შეიძლება თუ არა, მიეცეს ვნებითი გვარის მორფოლოგიური მარკერის კვალიფიკაცია? ხომ არ არის **-ი** პრეფიქსი ერთპირიანი ზმნის შემთხვევაში (*როგორცაა: იმალები, იტანჯები, იმანჭები, ილოცები...*) სუბიექტის სფეროში მიმდინარე პროცესის, სუბიექტისკენ მიმართული თვითმოქმედების, ანუ რეფლექსივის გამომხატველი ნიშანი, ხოლო **-ე** პრეფიქსი ორპირიან ზმნებში (*ე-ლაპარაკებ-ი, ე-ჩხუბებ-ი, ე-აღერსებ-ი, ე-ჯახებ-ი, ე-ყუდებ-ი...*) პირთა საკორელაციო, სამიმართებო მარკერი (*ისევე, როგორც -ი -უ და -ა პრეფიქსები მ-ი-წითლდებ-ა, /გ-ი-წითლდ-ებ-ა, / უ-წითლდ-ებ-ა, ვ-ა-ხტ-ებ-ი ი/ ა-ხტ-ებ-ი/ ა-ხტ-ებ-ა, ა-ცხრ-ებ-ა* ზმნებში)?

2. „თბება“ ტიპის ზმნები - ე.წ. „უნიშნო ვნებითები“ და -დ სუფიქსიანი ზმნები („თეთრდება“, „ქვავდება“) ერთპირიანი ზმნები ვნებითის შინაარსისაა, თუ რეფლექსივებია? (აღსანიშნავია, რომ მათი შესატყვისი ზმნები სვანურსა და მეგრულში -ი პრეფიქსიანებია). რა არის -დ სუფიქსის გრამატიკული ფუნქცია? ვნებითის შინაარსის მატარებელია, თუ იგი სახელისაგან ზმნის მაწარმოებელი, მოქმედების ინტენსივობის გამომხატველი სუფიქსია?

II. „საშუალი გვარი“

3. ა. შანიძე ე.წ. „მედიუმის“ ჯგუფში გამოჰყოფს „მედიაოქტივის“ ქვეჯგუფს იმ მიზეზით, რომ ისინი მყოფადსა და წყვეტილში თავის „ნაკლულ“ ფორმებს ივსებენ აქტივის „სათავისო“ ქცევისგან ნასესხები -ი პრეფიქსიანი ფორმებით (რომელიც მათ აწმყოში არ აქვთ (*ტირის – იტირებს – იტირა, კანკალებს – იკანკალებს – იკანკალა*)). ისმის კითხვა: მყოფად-წყვეტილის -ი პრეფიქსიანი ფორმები მართლაც აქტივის „სათავისო ქცევის“ ფორმებისაგანაა ნასესხები, თუ ეს სუბიექტის სფეროში მიმდინარე პროცესის, სუბიექტისკენ მიმართული თვითმოქმედების, ანუ რეფლექსივის გამომხატველი -ი პრეფიქსია, რომელიც R-ებ-ი სტრუქტურის ერთპირიან ზმნებშიც ამავე ფუნქციას ასრულებს? თანაც, ეს პრეფიქსი ძველ ქართულსა და თანამედროვე ქართულის რამდენიმე პარადიგმაში აწმყოს ფორმებშიცაა სისტემურად დადასტურებული (*„ილოცავს, იტყვის“, ისმენს, იძახის, იღვწის, იჩქარის, იღვიძებს, იძინებს*), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ატიპის ზმნებს ის აწმყოშიც ჰქონდათ და დაეკარგათ (და თუ ასეა, ეს საკუთარი ფორმებია და არა ნასესხები. ასეთ შემთხვევაში კი საფუძველი ეცლება „მედიაოქტივის“ გამოყოფას).

4. „მედიუმის“ II ქვეჯგუფად გამოყოფილია ე.წ. „მედიაოპასივები“ – გრძნობა-აქტის (*„მიყვარს“* ტიპის) „აფექტური“, ძირითადად სულიერი მდგომარეობის გამომხატველი არქაული ზმნები, რომელთაც II სერიის ფორმები საერთოდ არა აქვთ. შეიძლება თუ არა ამათ პარადიგმას მივაკუთვნოთ „შემიყვარდა“ ტიპის დინამიკური ფორმა, რომელიც სინამდვილეში „მიყვარდება“ ზმნის პარადიგმას ეკუთვნის და, რადგანაც ა. შანიძის კლასიფიკაციით ვნებითი გვარისაა, ამიტომ „მედიაოპასივის“ კვალიფიკაცია მიეცეს?

5. „მედიაოპასივის“ II ქვეჯგუფში უკვე ფორმალური კრიტერიუმის გარდა შემოდის სემანტიკური კრიტერიუმი და ამის მიხედვით ნაწილდება ყველა ის არქაული ზმნა, რომელიც ვერც ერთ „კალათაში“ ვერ მოთავსდა, ძირითადად თავისი არქაულობის გამო ანომალიურია და სინამდვილეში სისტემის გარეთაა დარჩენილი (*მაგ. ზის, დგას, წევს...*)

განვიხილოთ დასმული კითხვები და ვცადოთ მორფო-სინტაქსური კლასიფიკაციის დახმარებით პასუხი გავცეთ მათ.

I. „ვნებითი გვარი“

1. რამდენად სწორია **R-[th.suf-ებ]-ი** სტრუქტურა მივიღოთ პასივის მახასიათებლად, ხოლო **ი-ე-** პრეფიქსები და **-დ** სუფიქსი ვნებითის მორფოლოგიურ ნიშნებად? რა არის საკუთრივ ვნებითის ფორმა, რომლითაც იგი მოქმედებითს უპირისპირდება, მასთან ოპოზიციას ქმნის?

საზოგადოდ, გვარის კვალიფიკაცია ეძლევა ისეთ ზმნურ ფორმებს, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან სემანტიკისა და სინტაქსის ერთეულებს შორის შესატყვისობის შეზღუდვების შემთხვევაში: კერძოდ, სუბიექტ-ობიექტისა და ქვემდებარე-დმატების ურთიერთშენაცვლების (კონვერსიის) შემთხვევაში: აქტივად კვალიფიცირებულია ზმნის ფორმა, რომლის სუბიექტიც მოქმედია, აგენსია (რეალურად „ქვემდებარის“ შესატყვისია) პასივად კი სახელდებულია ფორმა, რომლის სუბიექტიც მოქმედების განმცდელია, პაციენსია (რეალურად „დამატების“ შესატყვისია). ამრიგად, „გვარის“ ფორმები ერთმანეთის მიმართ კონვერსიულ დამოკიდებულებაში არიან, ანუ ერთის სუბიექტი შეესატყვისება მეორის პირდაპირ ობიექტს (*მხატვარი ხატავს სურათს > სურათი იხატება მხატვრის მიერ*). მაგრამ ქართულში ეს წესი ყოველთვის (და, შეიძლება ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში არ მუშაობს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სუბიექტი სულიერია):

1. აქტივის **R-Ø** სტრუქტურის ოპოზიციური **ი/ე-R-[th.suf]-ი (იმალები), R-ებ-ი (თეთრდები), R-ი (თბები)** ფორმებიდან მხოლოდ I ტიპი („ი/ემალები“) არის მიღებული კონვერსიის გზით. ამასთან, თუ კონვერსიული ფორმის სუბიექტი სულიერია, და მით უფრო - ადამიანი (პერსონა), იგი ყველა შემთხვევაში აქტიური სუბიექტის მქონეა: მაგ. *დედამ ბავშვი და(ი)მალა > ბავშვი დაიმალა (თვითონ). დედა ბავშვს (ი)მალავს > ბავშვი იმალება; დედამ ბავშვი დაუმალა მეზობელს > ბავშვი (თვითონ) დაემალა (ე-მალება) მეზობელს*. კონვერსიული ფორმის სუბიექტი აქტიურია, თვითონ მოქმედებს, **ი-** პრეფიქსიანი ზმნა უკუქცევითი შინაარსისაა, მისი ორპირიანი **ე-** პრეფიქსიანი ფორმა კი მოქმედი, აქტიური სუბიექტის შემცველია: **R[th.suf]-ი** სტრუქტურის **ე-** პრეფიქსიანი რელატიური ზმნების უმრავლესობა, მაგ. *“მეტყველება”* წრის ყველა ზმნა (*ელაპარაკება, ეუბნება, ესაუბრება, ევედრება, ეჩურჩულებს, ებუტბუტება, ებუზღუნება, ეწუწუნება, ელაქლაქება, ეკამათება... ის მას; ასევე, ევაჭრება, ეჯაჯგურება, ეჩხუბება, ებლარძუნება, ედავება, ემუქრება, ემტერება, ეხმარება, ეხუტება, ეაღერსება, ესიყვარულება ეამხანაგება... რომელთაც შესაბამისი ი-* პრეფიქსიანი ფორმები არ ეწარმოებათ და

ნაცვლად ამისა დიათეზის ავტოაქტივები შეესაბამებათ (იხ. დ. მელიქიშვილი, 2001, პარადიგმა №11(45), 350-ზე მეტი ზმნაა)¹, თუ ამათ რიცხვს ი- პრეფიქსიან ე.წ. „დეპონენსებს“ მივუმატებთ (როგორებიცაა *ილანძღება, ილოცება, იგრიხება* და სხვა, რომელთა რაოდენობა 100-ზე მეტია), რომელთა სუბიექტი **ავტოაქტიურია**, „თბება“ ტიპისა და -**დ** სუფიქსიან ერთპირიან ზმნებს, რომელთა სუბიექტიც ასევე, **ავტოაქტიურია** (*თბება, ცხრება, შრება, თვრება, ტყვრება, ძვრება, ძღება, წითლდება, მეფდება, სახლდება... ის*), მთელი რიგი ორპირიანი ზმნებისა, რომელთა სუბიექტიც **აქტიურია** (*ახტება, აცხრება, ადნება, აწვება, აწყდება, აჯდება, ეხება, (მო)ერგება (და)ეგდება, (თავს) (და)ადგება, ეპყრობა...ის მას* სხვა ასეთები (იხ. პარადიგმები: № 14[48],15[49]), ამათ ემატება ასევე, **R-[th.suf]-ი** სტრუქტურის **ი-ე-** პრეფიქსიანი (*იმალება/ემალება* ტიპის) ათასობით ზმნა, რომელთა სუბიექტი **აქტიურია**, თუკი იგი ადამიანია, „პერსონალური პირია“. ასე რომ, ამ ტიპის ზმნათა უმრავლესობა აქტიურსუბიექტიანია, ე.ი. არ არის ვნებითის შინაარსისა და, აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ **ი-ე-** პრეფიქსები **ვნებითი გვარის** გრამატიკული მარკერებია. ამ ხმოვანპრეფიქსების **გრამატიკული** ფუნქცია პირთა კორელაციის აღნიშვნა, პირთა ურთიერთმიმართების მარკირებაა: ერთპირიან ზმნებში **ი-** პრეფიქსი რეფლექსივის, მოქმედების სუბიექტისკენ უკუქცევაზე მიუთითებს, ორპირიან „გარდამავალ“ (პირდაპირობიექტიან) ზმნებშიც ამ **ი-** პრეფიქსის გრამატიკული ფუნქცია სუბიექტისკენ ორიენტირებული მიმართების ჩვენება-მარკირებაა (რამაც შეიძლება კუთვნილება-დანიშნულების ე.წ. „ქცევის“ შინაარსიც გამოხატოს), **ე-** პრეფიქსის **გრამატიკული ფუნქცია**ც, ისევე როგორც **უ-** პრეფიქსისაარის ზმნის აგებულებაში მონაწილე (პარტიციპანტი) პირების, პირმიმართი წევრების, მიმართების მარკირება: *ხელიდან ე-ცლება ის მას/ ხელიდან უ-ვარდება ის მას*. ა. შანიძე, რა თქმაუნდა ხედავს და აღნიშნავს კიდევაც ამას, მაგრამ პრეფიქსს „ვნებითი“ გვარის ნიშნის კვალიფიკაციას აძლევს, ხოლო - პრეფიქსს - „სასხვისო ქცევის“ ნიშნისას, რადგანაც **უ-** პრეფიქსი „აქტივებს“ და „პასივებს“ საერთო აქვთ, ხოლო **ე-** პრეფიქსი კი მხოლოდ **R-ები** სტრუქტურის ზმნებს, რომელთაც **ვნებითი გვარის ფორმებად თვლის**.

2. II და III ტიპი, ანუ **-დ** სუფიქსიანი და უნიშნო დინამიკური ზმნების ფორმები (*თბება, თვრება, წითლდება, ვაჟკაცდება*) არ არის მიღებული **R-[th.suf]-Ø** სტრუქტურის (აქტივის) კონვერსიით: პირიქით, „**თბება**“ ტიპის ფუძე თვითონაა ამოსავალი აქტიურსუბიექტიანი **ა-თბ-ობ** ტიპის კაუზატიური

¹ აღსანიშნავია, რომ ამ **R-ი** სტრუქტურის ორპირიან **ე-** პრეფიქსიან ფორმებს, როგორც წესი, შეესატყვისება **R-Ø** სტრუქტურის ერთპირიანი რეფლექსივები (*ელაპარაკება - ლაპარაკობს, ესაუბრება- საუბრობს, ეჯაჯგურება - ჯაჯგურობს, ეამხანაგება - ამხანაგობს, ედავება - დავობს..*), რაც კიდევ ერთი არგუმენტია ერთი მხრივ იმის სასარგებლოდ, რომ ეს **ე-** პრეფიქსი პირთა რელაციის ისეთივე ნიშანია, როგორც **უ-** და **ი-** პრეფიქსები, ხოლო მეორე მხრივ, **R-Ø** სტრუქტურის ერთპირიანი (ლაპარაკობს, კანკალებს..) ფორმები ისტორიულად **ი-** პრეფიქსიანი რეფლექსივებია: *ელაპარაკები* ისე შეეფარდება *ლაპარაკობ* ფორმას, როგორც *ე-მალები - ი-მალები* ფორმას (მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ).

წარმოებისათვის. ამასთან, ამ ტიპის ზმნები შინაარსით რეფლექსივებია, მათი სუბიექტი თვითმოქმედია, „ავტოაქტიურია“ (*მოხუცი მზეზე / ღუმელთან თბება*). ამ ტიპის ზმნების ფუძიდან მხოლოდ **მ-** პრეფიქსიანი მიმღეობა იწარმოება, რომელიც სუბიექტს მიემართება, სასუბიექტო შინაარსისაა (**თბება-დან > გა-მ-თბ-არ-ი** არის ის, რაც **გათბა** თვითონ. **ათბობს > გათბობ-ილ-ი** - რაც გაათბეს, ანუ **გათბობილ იქნა** სხვის მიერ). როგორც ადრეც ვთქვით, ქეთევან ლომთათიძემ საგანგებო სტატია მიუძღვნა ამ ზმნებს (ე.წ. „III ტიპის ვნებითებს“) და სწორედ იმის საფუძველზე, რომ მათი ფუძიდან ნაწარმოები მიმღეობა კონვერსიის გზით მიღებული ზმნებისაგან განსხვავებული წარმოებისაა (რადგანაც ეს უკანასკნელი იყენებენ შესაბამისი აქტივის საობიექტო მიმღეობის ფორმებს: *მალავს > დამალ-ულ-ი ახმობს > გახმობ-ილ-ი*), არნ. ჩიქოვაძე ამ ტიპის ზმნებს **ისტორიულად უგვარო დინამიკურ** ზმნებად მიიჩნევს, თუმცა კი თანამედროვე ქართული ენის სისტემაში მათ ვნებითი გვარის ზმნათა რიგში ათავსებს, რადგანაც **R-ი** სტრუქტურა მასაც ვნებითის მახასიათებლად მიაჩნია.

ასევე, კონვერსიის შედეგად არ არის მიღებული **-დ** სუფიქსიანი დინამიკური ზმნები. მათი სუბიექტი, ისევე, როგორც „*თბება*“ ტიპის ზმნებისა, თვითმოქმედია (ანუ მისი მოქმედება თავისი თავისკენაა მიმართული, უკუქცევითია). ისინი ძირითადად სახელისგანაა ნაწარმოები **-დ** სუფიქსის დართვით, რომელსაც მადინამიკურებელი, მაინტენსივებელი, პროცესის, მოქმედების დაწყებითობის გამოხატვა აკისრია, ანუ სახელისაგან მოქმედების, პროცესის აღმნიშვნელი სიტყვის წარმოქმნა შეუძლია (იხ. დ. მელიქიშვილი, 2001: პარადიგმა №10[44]). მას ისეთივე ფუნქცია აქვს, როგორც **-ობ** სუფიქსს ერგატიული კონსტრუქციის **ნასახელარი რეფლექსივების, ავტოაქტივების** (*მეფე>მეფობს ტიპის*) წარმოებისას, ხოლო **ა-ებ** კონფიქსს - **ნასახელარი აქტივების** წარმოებისას (*თეთრი > ა-თეთრ-ებ-ს*) შემთხვევითი არ არის, რომ იგივე **-დ** სუფიქსი აწარმოებს აწმყოსაგან „*უწყვეტლისა*“ და „*მყოფადის ხოლმეობითის*“ ფორმებს, რომელნიც აშკარად ინტენსიურ მოქმედების, პროცესს გამოხატავენ.

ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია და აღსანიშნავი ის, რომ თანამედროვე ქართულში **-დ** სუფიქსიანი წარმოება ახასიათებს მთელ რიგს ზმნებისა, რომლებიც ძველ ქართულში **ი-** პრეფიქსით იწარმოებოდა (იხ. ლ. ნოზაძე, 2008, გვ.ნ. მაგ.: *რადთა დაიმარილოს, შეიერთნეს კმანი, შეიზავების ქრისტეს მიერ, დაიმეგობრნეს ურთიერთას...*), რაც დამატებითი საბუთია იმისა, რომ ეს **-დ** სუფიქსი უკუქცევითობის შინაარსითაა დატვირთული.

ე.წ. „დონიანი“ და „უნიშნო“ „ვნებითები“ რომ მართლაც აქტიურსუბიექტიანი რეფლექსივები, ანუ „ავტოაქტივებია“, ამას მხარს უჭერს და ადასტურებს სვანური და მეგრული მასალაც, სადაც ამ ტიპის ზმნებს **ი-**

პრეფიქსიანი ფორმები შეესატყვისება (იხ. ვ. თოფურია, ვ. დანელია, ასევე, ნ. ფუტყარაძისა და თ. ბიკაშვილის სამაგისტრო ნაშრომები: **მეგრული: იჭითარებუ**, „წითლდება“ **იაბრაგებუ** „აბრაგდება“, **იანთასებუ** „ათასდება“, **ისირისტებუ** „ნესტიანდება“ **იჯანყებუ** „ჯანყდება“ **იჯვეშებუ** „ძველდება“; **ირტუაფუ** „ლბება“ **იგემუანებუ** „ტკბება“ **იტბუაფუ** „გათბება“ **სვანური: იბგი** „მაგრდება (ჯიუტდება)“, **იკერძიხ** „ნათესავდებიან, მოყვრდებიან“, **ილლელი** „ფასდება“ **იმბჟი** „ოცდება“, **იმჩი** „ბერდება“, **იფშირი** „მრავლდება“, **ისყი** „კეთდება“, **იხრინი** „ბრაზდება“, **იჭრელი** „ჭრელდება“, **იწრნი** „წითლდება“, **იბზი** „ძლება“, **იგნი** „დგება“, **ინყი** „ცხვება“, **იტბიდი** „თბება“, **იჭკნი** „ჭკნება“ და სხვ.

ამგვარად, თუ ი- / ე- პრეფიქსიანი ფორმებს მივუმატებთ -დ სუფიქსიან და უნიშნო დინამიკურ ზმნათა დიდ რაოდენობას, რომელთა სუბიექტი ასევე, აქტიურია და არა პასიური, აღმოჩნდება, რომ აწმყოს **R-ი** სტრუქტურა არ ყოფილა (ან ყველაზე ნაკლებად ყოფილა) მხოლოდ ვნებითის კუთვნილება, მისი მახასიათებელი. ამ სტრუქტურას იყენებენ ავტოაქტივებიც და აქტივებიც, ხოლო პასიურ შინაარსს იგი ყველაზე იშვიათად გადმოსცემს (კერძოდ, როცა სუბიექტი უსულოა).

ძველ ქართულში ვნებითის შინაარსის გამოხატვის საჭიროება ბერძნულისათვის დამახასიათებელი პასიური კონსტრუქციების ადეკვატურად გადმოსცემის მოთხოვნილებამ გამოიწვია. მაგრამ პირდაპირობიექტიანი სასუბიექტო ვერსიის ზმნების და მათი კონვერსიული ფორმები აორისტში ემთხვევა ერთმანეთს (ომონიმურია) და ამიტომ კონვერსიული ფორმა ყოველთვის ვერ გადმოსცემდა ვნებითის შინაარსს, კონტექსტს რთულად გასაგებს ხდიდა (მაგ.: *იესუ აღმოიყვანა სულისაგან უდაბნოდ*, (=ამოყვანილ იქნა), *დავივიწყე მე*, ვითარცა მკუდარი ფსალ. 30,12 (= *დავიწყებულ ვიქენი*), *დაიყო პირი, რომელი იტყოდა სიცრუვესა*: ფსალ. 62,12; *უფლისა მიერ იქოს სული ჩემი*. ფსალ. 33,1; *სადმრთოდ პური ცხორებისა საშოსა შენსა შეიცხო და დაიცვა უვნებლად, უბიწოლ* (= *გამოცხვა, დაცულ იქნა*) (ლოცვ. გალობა) *შეიწირე, ვითარცა ცხოვარი* (=შეწირულ იქენი, „ლოცვანი“); *წიგნსა შენსა ყოველნივე შთაიწერნეს* (=ჩაწერილ იქენენ); *რამეთუ ფრიად ვსცოდე და შევიგინე* (=შეგინებულ ვიქენი). ამიტომ ძველსავე ქართულში უკვე ჩნდება აღწერითი კონსტრუქციის კონვერსიული ფორმა (მიმღეობა+**იქნა** მეშველი ზმნა): *რადთა არა განგდებულ ვიქმნეთ უდებებითა, არამედ რადთა მღკპარედ ვიპოვნეთ, აღდგომილნი საქმითა კეთილითა*; **ბასილი დიდის ლოცვა**), რომელიც საკუთრივ პასივის გამომხატველია და დღეს სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს (განსაკუთრებით სამეცნიერო და პრესის ენაში). ბერძნულიდან თარგმნის პროცესში ქართულმა ენამ გამოავლინა თავისი პოტენცია და ჩამოაყალიბა ახალი, მეშველზმნიანი ფორმები საჭირო შინაარსის

გადმოსაცემად. ეს გასაგებია, რადგანაც ბევრი ზმნა საერთოდ ვერ გადმოსცემს ვნებითის შინაარსს ორგანული R[th.suf]+-ი ფორმით. ასე რომ, საკურივ ვნებითის ფუნქციას ჯერ კიდევ ძველსავე ქართულში წყვეტილის და მყოფადის ჯგუფში „იქმნა-იქ(მ)ნება მემველზმნიანი აღწერითი წარმოების ფორმები კისრულობენ, ხოლო აწმყოს ჯგუფში კი ორგანულ ფორმებს ვნებითის ფუნქციით საჭიროების შემთხვევაში შეიძლება არს მემველზმნიანი კონსტრუქცია შეენაცვლოს.

ამგვარად, აღმოჩნდა, რომ R-ი სტრუქტურა არ არის მხოლოდ პასიური სემანტიკის მატარებელი, უფრო ხშირად იგი გადმოსცემს როგორც ავტოაქტივის, ისე აქტივის შინაარსსაც, მაშასადამე მას, ისევე, როგორც მის თანმხლებ ი-/ე- პრეფიქსებს და -დ სუფიქსს ვერ ჩავთვლით ვნებითი გვარის გრამატიკულ მარკერებად. მათი გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) ფუნქცია, როგორც ვნახეთ, ზმნაში მონაწილე პირებს შორის მიმართების ჩვენებაა. მათ შეიძლება პირთა საკორელაციო ნიშნები ვუწოდოთ. შინაარსით კი ეს ხმოვნები შეიძლება გამოხატავდნენ როგორც კუთვნილება-დანაშინულებას (*ვიშენებ მე სახლს, მიშენებს ის მე სახლს, უშენებს ის მას სახლს*), ასევე, ლოკალურ (*ეჯახება ის კლდეს, შეაჯდა ის ცხენს, დაახატა მან მას ის*), ან საერთოდ, ნეიტრალურ მიმართებას (*აკეთებს, აშენებს, ამტვრევს*)

მაშ, სადა არის ამ სტრუქტურის ადგილი, როგორც გრამატიკული კატეგორიისა? ანუ, სად უნდა მოთავსდეს ეს სტრუქტურა, როგორც გრამატიკული კატეგორიის ფორმა? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რომელ გრამატიკულ კატეგორიას განეკუთვნება იგი?

II. “საშუალი გვარი”

ახლა შევეხოთ მედიუმის, “საშუალი გვარის” საკითხს ამ სქემაში.

როგორც ვხედავთ, აკაკი შანიძე “საშუალ გვარში” ორ ქვეჯგუფს გამჰყოფს:

I ქვეჯგუფი, ე.წ. მედიაქტივი: სტრუქტურის მხრივ R[th.suf]-Ø არ განსხვავდება აქტივისაგან. კონსტრუქციის თვალსაზრისითაც იგი აქტივის მსგავსია (კონსტრუქცია ამათაც ერგატიული აქვთ), განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ამათ არა აქვთ პირდაპირი ობიექტი, მაგრამ შეიძლება გაუჩნდეთ, და მაშინ ისინი აქტივთა ჯგუფში გადადიან (“*სწავლობს გიგლა ტიტინა*” - *სწავლობს გიგლა გაკვეთილს; გოგონა თამაშობს – გოგონა სახლობანას თამაშობს; ბიჭი კარგად ცეკვავს - ბიჭი “განდაგანას” ცეკვავს; წუხს ის - წუხსის მას: ტირის ის – ტირის ის მას და სხვ.*). ეს ზმნები მყოფად-

რყვეტილის ფორმებში **ი-** პრეფიქსს დაირთავენ: სწავლობს - **ი-**სწავლის - **ი-**სწავლა; თამაშობს - **ი-**თამაშებს - **ი-**თამაშა, წუხს - **ი-**წუხებს - **ი-**წუხა, ტირის - **ი-**ტირებს - **ი-**ტირა, კანკალებს - **ი-**კანკალებს - **ი-**კანკალა..). ა. შანიძის აზრით, ამ ზმნებს მყოფად-წყვეტილის ნაკლული ფორმები შევსებული აქვთ შესაბამისი აქტივის “სათავისო ქცევისაგან”, ე.ი. **ი-** პრეფიქსი ნასესხები აქვთ მოქმედებითი გვარის “სათავისო ქცევისაგან” (ამიტომაც იგი მათ “საშუალ-მოქმედებითებს”, ანუ “მედიაოქტივებს” უწოდებს). მაგრამ ძველ ქართულ ტექსტებში (მათ შორის უძველეს, “ხანმეტ” ტექსტებშიც) მოიპოვება დიდი რაოდენობა მაგალითებისა, სადაც ამ ტიპის ზმნებს აწმყოს ჯგუფშიც აქვთ ეს პრეფიქსი (*ხიტყვ, ხიტყვან, ხიხარებს, ხიტყებს, ხიმარხავს, ხიმოთხებს, ხიტყოდა, ხიღუბებდა, ხილოცვიდა, ვილოცვედით, ისწავებს, ისმენს, იბრდღუნენს, იბრდღუნდა, ისიძავს, ისიძვიდა, იმრუმებდენ, იტყებდა, “ვეფხისტყაოსანშიც”: “ილოცავს, იტყვის”..*) თანამედროვე ქართულშიც ორი პარადიგმა (იხ. დ. მელიქიშვილი, 2001: №3 პარადიგმის ნაწილი: *იკვების, ისწრაფვის, იღვწის, იღიმის, იჩქარის, იმღერის, იურვის..* და №10 პარადიგმა მთლიანად, 50-მდე ზმნა: *იბანაკებს, იბოდიშებს, იბუდებს, იგვიანებს, იძინებს, იღვიძებს, ივაკებს, ითენებს, იზამთრებს, იმორცხვებს და სხვა*). ხოლო, თუ ამ მაგალითებს დავუმატებთ მეგრულ-ჭანურისა და სვანურის მასალას, სადაც ამ ტიპის ზმნების დიდ ნაწილს აწმყოში, როგორც წესი, **ი-** პრეფიქსი დღესაც შენარჩუნებული აქვს (ამის დამადასტურებელი უხვი მასალა აქვს მოხმობილი თავის სპეციალურ ნაშრომებში **ლ. ნოზაძეს, ასევე, იხ. ნ. ფუტყარაძისა და თ. ბიკაშვილის** სამაგისტრო ნაშრომები): მაგ. **სვანური:** *იკლი - “კოჭლობს”, იმზირ „ლოცულობს“, იგენი - „ტირის“, ილმსახვარ „მსახურობს“, ითამად „თამალობს“ ილჭვმი „მარხულობს“, მეგრული: იპიჩვანს - „მარხულობს“, იხვამანს „ლოცულობს“, იბურთანს - „ბურთაობს“, ინგარს „ტირის“, იგანს „ქრის“, იგურუანს - „სწავლობს“; ჭანური: ინჩვირს „ცურავს“, ინგორს „გორავს“, იბურბალს „ბრუნავს“, იგზალს „მგზავრობს“, იპიჩვამს „მარხულობს“ იბირს „მღერის“), ვფიქრობ, ეჭვი აღარ უნდა დარჩეს იმის თაობაზე, რომ ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს ისტორიულად აწმყოს **ი-** პრეფიქსიანი ფორმების პირველადობაზე და იმაზე, რომ ისინი ამოსავალი ფორმებია ამ ტიპის ზმნებისათვის. აქედან კი მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, ეს პრეფიქსი ნასესხები კი არა, არამედ ამ ზმნების საკუთარი, ორგანული პრეფიქსია, რომელიც მყოფადის ჩამოყალიბების პროცესში აწმყოს ფორმებმა დაკარგეს. ეს კი უნდა მომხდარიყო გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე დინამიკურ ზმნათა მყოფადის ზმნისწინიანი ფორმები ჩამოყალიბდებოდა: უზმნისწინო ფორმები აწმყოში დარჩა, ხოლო ზმნისწინიანმა ფორმებმა მომავლის შინაარსი შეიძინეს და მყოფადში გადაირიცხნენ; აქაც ანალოგიურ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე: უპრეფიქსო ფორმები აწმყოს შერჩა, **ი-***

პრეფიქსიან ფორმებს კი უსრულასპექტიანი მყოფადის გამოხატვა დაეკისრათ. სხვათა შორის, *ი-* პრეფიქსის დაკარგვის ტენდენცია დღესაც ძლიერია იმ პარადიგმაში, სადაც ეს პრეფიქსი აწმყოში ჯერ კიდევ ცოცხლობს (იხ. პარადიგმა №3: *ი-მღერის > მღერის, ი-ნატრის - ნატრულობს, ი-კვების - კვებულობს, ი-ნაღვლის - ნაღვლობს, ი-ჩქარის - ჩქარობს, ი-ხარის - ხარობს*). იგი ამ სტრუქტურის ზმნებშიც ისევე, როგორც *R-*ი სტრუქტურის ზმნებში რეფლექსივის ნიშანია. ყოველივე ზემოთქმულს მხარს უჭერს არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ აორისტის მარტივი ფორმები ამოსავალია აწმყო-მყოფადის რთული ფუძისათვის. ასე რომ *ი-* პრეფიქსიანი ფორმები ამ ტიპის ზმნებისათვის წყვეტილის ჯგუფში აქტივის სასუბიექტო ვერსიისაგან ნასესხები ნაკლული ფორმების შემავსებელი კი არ არის, არამედ რეფლექსივის საკუთარი ფორმებია: აორისტის ჯგუფის ფორმები ძირითადი, ამოსავალი ფორმებია აწმყოს თემისათვის, *ი-* პრეფიქსი ამ ტიპის ზმნებისთვის რეფლექსივის მახასიათებელი ორგანული პრეფიქსია.

და, თუკი ეს ასეა და *ი-* პრეფიქსიანი ფორმები არ არის ნასესხები აქტივის “სათავისო ქცევის” ფორმებისაგან, საფუძველი ეცლება “მედიო-აქტივის”, როგორც ასეთის, გამოყოფას.

მაშ, რომელ გრამატიკულ კატეგორიას მიეკუთვნება ზმნების ეს დიდი ჯგუფი?

II ქვეჯგუფი ე.წ. „მედიოპასივებია“: ეს მცირე რაოდენობის ჯგუფი დეფექტური ზმნებისაგან შედგება, რომლებსაც ა. შანიძე სხვადასხვა კრიტერიუმებით აერთიანებს. იგი მათ კიდევ ორ პატარა, მიკროჯგუფად ყოფს, რომელთაგან პირველში ათავსებს მდგომარეობის სემანტიკის ზმნებს, რომელთაც აქვთ აწმყოს ფორმები, მაგრამ აკლიათ უწყვეტელი და I კავშირებითი, II მიკროჯგუფში კი თავს უყრის ერთ გარკვეულ ჯგუფს, გრძნობა-აღქმის გამომხატველ, ე.წ. „აფექტურ“ ზმნებს, რომელთაც აშკარად განსხვავებული კონსტრუქცია აქვთ (მათი ლოგიკური სუბიექტი მიცემითშია) ამავე მიკროჯგუფში გაერთიანებული სხვადასხვა სემანტიკის დეფექტური (ირეგულარული) ზმნებისაგან, რომელნიც ფაქტიურად უღლების სისტემის გარეთ არიან დარჩენილნი და ამ მხრივ გამონაკლისებს წარმოადგენენ. ამ ზმნების გამაერთიანებელ ნისნად მიღებულია ის, რომ მათ აქვთ აწმყოს ფორმები და აკლიათ II სერიის ფორმები. ამასთან, მყოფადის ნაკლულ მწკრივებს ივსებენ „ენიანი ვნებითის“ ფორმებით, ხოლო წყვეტილისას „დონიანით“. მაგრამ, გარდა იმისა, რომ აქ დარღვეულია კლასიფიკაციის პრინციპი, ზემოთ ვაჩვენეთ, *ე-* პრეფიქსი და *დ-* სუფიქსი არ არის პასივის გამომხატველი და, მაშასადამე, შესაბამისად, „მედიოპასივის“ გამოყოფაც საფუძველს მოკლებულია.

მაშ, უღლების რომელ ტიპს განეკუთვნება და რომელ გრამატიკულ კატეგორიაში ჯდება ეს ორი „მიკროჯგუფი“, სად არის მათი ადგილი?

და საერთოდ, არის კი გვარი გრამატიკული კატეგორია, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფას?

სანამ ზემოთ დასმულ კითხვებს ვუპასუხებდეთ, ორიოდე სიტყვით შევეხოთ გვარის გრამატიკული კატეგორიის თეორიის პრობლემებს:

გვარის კატეგორია ზოგადთეორიული გრამატიკის ურთულეს ალსაწერ და შესასწავლ ობიექტს წარმოადგენს. როგორც უნივერსალური კატეგორია, იგი ძირითადად სემანტიკური ნიშნით განისაზღვრება, რასაც, როგორც ვნახეთ, კონვერსიის მოვლენა უდევს საფუძვლად. ზოგადენათმეცნიერულ თუ კერძო ენათა გრამატიკულ ლიტერატურაში გვარის ცნების ერთიანი გაგება არ არის გამომუშავებული. დიდი სირთულეები ახლავს გვარის განსაზღვრასა და აქტივ-პასივის, მედიუმ-რეფლექსივის, როგორც გვარის საოპოზიციო ცალეების გამოყოფის ფორმალური თუ სემანტიკური კრიტერიუმების დადგენას¹ (იხ. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, 2011, გვ.420 და შმდ.)

კონკრეტულ ენებში გვარის განსაზღვრისას თითქოს დაძებნილია გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) კრიტერიუმები (ფუძის განსხვავებული მოდელები, განსხვავებული პირის ნიშნები, პირდაპირი დამატების ქონა-არქონა..). მაგრამ ირკვევა, რომ ენათა ერთ წყებაში (რომელსაც ქართული ენაც მიეკუთვნება), ზმნური ფუძის ესა თუ ის მოდელი სრულიადაც არ არის დაკავშირებული ერთ რომელიმე გვართან და საზიაროა მეორესთან; ენათა მეორე წყებაში (რომელსაც ბერძნული და რუსული ენები მიეკუთვნება) პირის ნიშნები საზიაროა სხვადასხვა გვარისათვის; ასეთ შემთხვევაში ეს საზიარო მოდელები თუ ფორმანტები რამდენად შეიძლება ჩაითვალოს რომელიმე ერთი გვარის მახასიათებლად? გვარის განსაზღვრების არც ერთი კრიტერიუმი (არც სემანტიკური და არც გრამატიკული) არ იძლევა საფუძველს საშუალო გვარის გამოყოფისა. ამის გამო სვამენ გვარის სტატუსის საკითხს სემანტიკურად განსხვავებული, მაგრამ ერთნაირი ფორმის მქონე ზმნათა მიმართ. მაგ. რუსული ენის გრამატიკის აკადემიურ გამცემაში შემოაქვთ ძირითადად სემანტიკურად და არა გრამატიკულად (მორფოლოგიური ნიშნით) განსხვავებული სხვადასხვა სახეობის „გვარი“ (залог) რეციპროკი, რეფლექსივი (встречается / встречаются, ругается / ругаются, вертится, крутится).

აღმოჩნდა, რომ ქართულში გვარი ყოველთვის არ არის გრამატიკულად მარკირებული: ანუ ერთი და იმავე მარკერით გამოხატულია სხვადასხვა

¹ გვარის კატეგორიის ასეთი ბუნდოვანი ინტერპრეტაცია უნდა მომდინარეობდეს დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებიდან“, სადაც დარღვეულია ცნების დაყოფის წესი და მორფოლოგიურ-სემანტიკური კრიტერიუმით სამი დიათეზისა გამოყოფილი: აქტივის, პასივის და მედიუმისა. ასეთი დაყოფა დამკვიდრდა ევროპული ენების აღწერის გრამატიკებში

გვარის სემანტიკა. მაშასადამე, გამოდის, რომ გვარი არის დიათეზის ქვეკატეგორია სემანტიკური ნიშნით გამოყოფილი, და არა გრამატიკული ნიშნით. მისი გრამატიკულ კატეგორიად ფორმირება (აქტივისა და პასივის ფორმალური დაპირისპირება) სხვადასხვა ენაში სხვადასხვა დროს მოგვიანებით ხდება. ქართულშიც, ვნებითი გვარის გრამატიკული ფორმირება, ანუ მოქმედებითის გრამატიკულ საოპოზიციო ცალად აღწერითი კონსტრუქციის ჩამოყალიბება

გვიან მოხდა, მას შემდეგ, რაც (გამოიყენება არა კონვერსიული ფორმები – დაიძალა / დაეძალა, რომლებიც, როგორც ვნახეთ, უფრო ხშირად აქტიურ ან ავტოაქტიურ სუბიექტს გვიჩვენებენ, არამედ აღწერითი კონსტრუქციები: მიმღეობა+მეშველი **ზმნა + მიერ: დამალულ იქნა, აშენებულ იქნა, გახმობილ იქნა + მიერ** (და არა – **გახმა**).

როგორც ვნახეთ, აკაკი შანიძემ სცადა კლასიფიკაციისათვის სემანტიკურთან ერთად ვნებითისათვის მორფოლოგიური კრიტერიუმიც გამოემუშა: ვნებითის მოდელად (ყალიბად) მიიჩნია **R-[th.suf]+ი**, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ მოდელის ზმნურ ფორმათა უმრავლესობაში სუბიექტი აქტიურია და, მაშასადამე ამ კლასიფიკაციაში პასივის დეფინიციასა და ფორმას შორის შესაბამისობა დარღვეულია. რა თქმა უნდა, ეს დაბრკოლებები და შეუსაბამობანი შემჩნეული და აღნიშნულიცაა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში: მაგ. თვითონ ა. შანიძეც აღნიშნავს, რომ ე-პრეფიქსი „სასხვისო ქცევას“ გამოხატავს ისევე, როგორც უ- პრეფიქსი მაგრამ მას მაინც ვნებითი გვარის ნიშნად მიიჩნევს, რადგანაც უ- „მოქმედებითი გვარის“ ზმნებსაც ერთვის ე- კი მხოლოდ **R-[ებ]ი** სტრუქტურაში გვხვდება, რომელსაც იგი “ვნებითი“ გვარისად მიიჩნევს (*ე-რიცხება ის მას - ურიცხვს ის მას მათ - უ-რიცხვება ის მათ*); იმასაც აღნიშნავს, რომ რომ ე- პრეფიქსიან „ვნებითებს“ „ზოგჯერ“ აქტიური სუბიექტიც შეეწყობა (ბ. ჯორბენაძე, მ. სუხიშვილი და სხვ.), რომ „მედიაოქტივებში“ ი- პრეფიქსი ნასესხები არ არის (ლ. ნოზაძე) და სხვ., არნ. ჩიქობავა საერთოდ არ ცნობს „საშუალ გვარის“ არსებობას და ამ ტიპში გაერთიანებულ ზმნებს „უგვარო სტატიკურ“ ზმნებს უწოდებს, ხოლო „თბება“ ტიპის ზმნებს - ისტორიულად „უგვარო დინამიკურებს“, თუმცა თანამედროვე ქართულში შესაძლებლად თვლის მათი ვნებითი გვარის ჯგუფში განხილვას. მაგრამ ასეთი ცალკეული მოსაზრებები პრობლემებს არ ხსნის. რატომ? რა არის ამისი მიზეზი? საქმე ისაა, რომ ყველა ავტორი აპრიორი ეყრდნობა და ცნობს ამ ტრადიციულ სემანტიკურ კლასიფიკაციას და მის ფარგლებში ატარებს ანალიზს. **პრობლემებს კი, როგორც ვნახეთ, სწორედ ეს, ზემოთგანხილული კლასიფიკაცია ქმნის, რომლის საფუძვლადაც (კრიტერიუმიდან) წინასწარ აღებულია დებულება, რომელიც დასასაბუთებელია, კერძოდ: აქტივის კონვერსიის გზით მიღებული R-**

th.suf.[ებ/ევ/ემ/ობ]+ი სტრუქტურის ზმნები მიჩნეულია ვნებითი გვარისად მაშინ, როდესაც ქართული ზმნის ემპირიულმა, სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქართული მრავალპირიანი ზმნის შემთხვევაში აქტივის კონვერსია ხშირად არ იძლევა პასივის შინაარსს, ხოლო ძირეული, ე.წ. „უნიშნო“ და „დონიანი ვნებითები“, რომლებიც არ წარმოადგენენ აქტივის კონვერსიულ ფორმებს, უფრო ხშირად აქტიური და ავტოაქტიური (რეფლექსივური, უკუქცევითი) სემანტიკისაა (იხ. დ. მელიქიშვილი, 2001, იხ. პარადიგმები: №10(44); 10ა; 11(45); 12(46); 14(48); 1[(49)]. ამგვარი კლასიფიკაცია გახლავთ კლასიკური მაგალითი იმისა, რასაც ლოგიკაში ეწოდება „წრე დასაბუთებაში“ და, რაც არისტოტელედან მოყოლებული, სრულიად მიუღებელია ლოგიკური დასაბუთებისას: როგორც ადრეც ვახსენეთ, არისტოტელეს „კატეგორიების“ კომენტატორის, VI საუკუნის ალექსანდრიელი ფილოსოფოსის, ამონიოს ერმიასის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ურთიერთას მჩუენებლობაჲ საგიობელ არს ფილოსოფოსთაგან“ (იხ. ამონიოს ერმიასის თხზულებები ქართულ მწერლობაში, 1986). ამიტომ, ბუნებრივია, ტრადიციულად მიღებული და გაზიარებული კლასიფიკაციის ფარგლებში ამ პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია. ეს კარგად გამოჩნდა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 2011 წელს გამოცემულ კოლექტიურ ნაშრომში „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“, რომელშიც IV თავის, რომლის სათაურია „გვარი – ქართული ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეული“ (გვ. 420 - 538), ასევე, V თავი: „უღლება, უღლების ტიპები“ (გვ. 625 - 790). ამ კოლექტიური ნაშრომის თავებში წარმოდგენილი სხვადასხვა საკითხის საკმაოდ ვრცელი და სკრუპულეზური განხილვის მანძილზე წამოჭრილ კითხვებზე პასუხი ან გაურკვეველია, ან კიდევ არ არსებობს: პრობლემები, რომლებიც გზადაგზა ჩნდება ზმნურ ფორმათა განხილვის პროცესში, გადაუწყვეტელი რჩება.

ჩვენ ვეცდებით, ვიპოვოთ გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ლოგიკურად გამართული კლასიფიკაციის ფარგლებში, რაც თავისთავად გულისხმობს საკლასიფიკაციო კრიტერიუმად გვარეობითი ცნების გრამატიკული თვალსაზრისით შერჩევას, სათანადო ადგილი მივუჩინოთ „გვარის“ ფორმებს.

ლექცია № 9

ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაცია მორფო-სინტაქსური ანალიზის საფუძველზე. დიათეზა და გვარი

სანამ დავიწყებთ ქართული ზმნური ფორმების მორფო-სინტაქსური პრინციპით კლასიფიკაციის განხილვას კიდევ ერთხელ მოკლედ შევაჯამოთ გვარის გრამატიკული კატეგორიის გაგებასა და განსაზღვრებასთან დაკავშირებული პრობლემები:

როგორც აღმოჩნდა, ზოგადენათმეცნიერულ თუ კერძო ენათა გრამატიკულ ლიტერატურაში გვარის ცნების ერთიანი გაგება არ არის გამომუშავებული. დიდი სირთულეები ახლავს გვარის კატეგორიის განსაზღვრასა და აქტივ-პასივის, განსაკუთრებით კი მედიუმის, როგორც გვარის საოპოზიციო ცალების გამოყოფის ფორმალურ-სემანტიკური თუ მორფოლოგიურ-სინტაქსური კრიტერიუმების დადგენას და არა მხოლოდ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში. ამის შესახებ არნ. ჩიქობავა მოკლედ აღნიშნავდა თავის „ენათმეცნიერების შესავალში“, რომ გვარის ფორმათა განხილვისას ფორმა კვალიფიცირებულია იმის მიხედვით, სუბიექტია მიღებული ამოსავლად, თუ ობიექტი: „ივლება განხილვის თვალსაზრისი, პროცესის რეალური შინაარსი კი ერთი და იგივეა“ („ენათმეცნიერების შესავალი“, 1952, §108, გვ.277). ლოგიკურ-სემანტიკური ანალიზის სფეროში ასეთი პრინციპი გამართლებულია, მაგრამ, თუ გრამატიკულ კატეგორიაზეა ლაპარაკი, ასეთი მიდგომა (ყოველ შემთხვევაში ქართული ზმნისათვის) საწყისშივე მცდარია, რადგანაც, „სუბიექტი“ და „ობიექტი“ ლოგიკური ცნება-ტერმინებია და, როგორც ზემოთ ვნახეთ, გვარის ფორმათა ამ კრიტერიუმით კლასიფიკაცია ყოველ რგოლში წინააღმდეგობას და დაბრკოლებას წააწყდა. ამ წინააღმდეგობას აწყდებიან ლენინგრადის სკოლის წარმომადგენლებიც (ხოლოდოვიჩი...). ყველაზე ახლოს რომლებმაც „დიათეზის“ ცნების შემოტანით სცადეს პრობლემის გადაწყვეტა, მაგრამ, რადგანაც მათი გაგებით დიათეზა არის მოცემული სიტყვაფორმის სემანტიკური და სინტაქსური აქტენტების ურთიერთშესაბამისობა

საზოგადოდ, გვარის კვალიფიკაცია ეძლევა ისეთ ზმნურ ფორმებს, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან **სემანტიკისა და სინტაქსის** ერთეულებს შორის შესატყვისობის შებრუნების შემთხვევაში - კერძოდ, სუბიექტ-ობიექტისა და ქვემდებარე-დამატების ურთიერთშენაცვლების (კონვერსიის) შემთხვევაში: აქტივად კვალიფიცირებულია ზმნის ფორმა, რომლის სუბიექტიც **მოქმედია** - **აგენსია** (რეალურად ე.წ. „ქვემდებარის“ შესატყვისია), პასივად კი სახელდებულია

ფორმა, რომლის სუბიექტი მოქმედების **განმცდელია, პაციენსია** (რეალურად ე.წ. „**დამატების**“ შესატყვისია). ამრიგად, „გვარის“ ფორმები ერთმანეთის მიმართ კონვერსიულ დამოკიდებულებაში არიან, ანუ ერთის **სუბიექტი** შეესატყვისება მეორის **პირდაპირ** ობიექტს (მხატვარი ხატავს სურათს (**O_{dir.}**) - სურათი (**S**) იხატება მხატვრის მიერ).

როგორც ზემოთ ვნახეთ, გვარის კატეგორიის ასეთი გააზრებისა და განსაზღვრის შემთხვევაში ქართულში ამ კატეგორიის გარეთ რჩება დიდი რაოდენობა მთელი რიგი ზმნებისა, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას (წუხს, ტირის, კანკალებს, უყვარს, უჭირს და სხვ.). ამ ზმნების მოქმედების **აგენსი იგივე პაციენსია** (წუხს ის - თვითონვეა მწუხარე, კანკალებს ის თვითონ, ტირის ის თვითონ). ამ მხრივ ისინი შინაარსობლივად ძალიან ჰგვანან და ერთიანდებიან «**თბება**» ტიპის ზმნების ჯგუფში, რომელთაც არნ. ჩიქობავა ისტორიულად უგვარო, რადგანაც **ი/ე-R-ები** სტრუქტურა პასივის „ყალიბად“ მიაჩნიათ, როგორც ა. შანიძეს, რომელიც მათ უნიშნო, III ტიპის („თბება“ ტიპის) ვნებითებს უწოდებს. მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ: **რაც თბება და გათბა (განვტეფ - განტფა) სხვის მიერ კი არ არის გათბობილი, არამედ თვითონ გათბა: გა-მ-თბ-არ-ია თვითონ**. არ არის შემთხვევითი, რომ ზმნათა ორივე ამ ტიპისაგან მხოლოდ **მ-** პრეფიქსიანი სასუბიექტო მიმღეობა იწარმოება: გამთბარი არის ის, ვინც ან რაც გათბა (თვითონ), ასევეა, გამხმარი, გამშრალი, მთვრალი და მისთ., (იხ. ქ. ლომთათიძე, ევ. ოსიძე); ასეთივე წარმოებისაა I დიათეზის I ქვეჯგუფის, ერთპირიანი, ავტოაქტიური შინაარსის ზმნების (**წუხს, ტირის, ყვირის**) **მ-წუხ-არე, მ-ტირ-ალ-ი, მ-ყვირ-ალ-ი** არის ის, ვინც **წუხს, ტირის, ყვირის (თვითონ)**. ხოლო **გათბობილი, გახმობილი** არის ის, რაც **გათბეს, გაახმეს**, ისევე, როგორც **შეწუხებული ატირებული და აყვირებული** არის ის, ვინც **შეაწუხეს, აატირეს და ააყვირეს**.

არც ის არის შემთხვევითი, რომ აქტივის **ი-** პრეფიქსიანი სასუბიექტო ვერსიის ფორმათა კონვერსიის გზით აწმყოს დინამიკური **ებ-ი** სტრუქტურის ფორმები სწორედ თბები ტიპის მიხედვით ჩამოყალიბდა : მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ კონვერსიულ ფორმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ გამოხატონ პასივის შინაარსი, როდესაც მათი სუბიექტი არაპერსონალურია, უსულოა. ამ ტიპის ზმნები, თუ შეიძლება ითქვას, მოქმედების მდგომარეობას გამოხატავენ. მათი სუბიექტი თვითმოქმედია, თვითმომრავია, მისი მოქმედება უკუმიმართებისაა, უკუქცევითია (ამ მოქმედების გამოხატვა გრაფიკულად წრით - **O** შეიძლება), ასეთ ზმნებს შეიძლება **ავტოაქტივები** ვუწოდოთ (ცნობილ ბასკოლოგს, ი. ზიცარს აქტივის ანალოგიით ტერმინი **ავტოტივი** აქვს შექმნილი ბასკური უკუქცევითი ზმნებისათვის).

ისინი შინაგანად შეიცავენ პირდაპირ ობიექტს და ამიტომ არასრული კონსტრუქცია აქვთ: **თამაშობს ის - ითამაშა მან, სწავლობს ის - ისწავლა მან**.

ობიექტი შეიძლება გარეთ გამოვიდეს, ასე ვთქვათ, ამოტივივდეს: *თამაშობს ის – თამაშობს ის მას, სწავლობს ის – სწავლობს ის მას, წუხს ის – წუხს ის მას, ტირის ის – ტირის ის მას*. მაშინ ამავე სტრუქტურის ზმნა პირდაპირ გარდამავალ მიმართებას გამოხატავს, სრული კონსტრუქციისად იქცევა და აქტივთა ჯგუფში გადადის. ასეთი ზმნები ლაბილური კონსტრუქციით ხასიათდებიან და მათ შეიძლება ლაბილურ-გარდამავალი ზმნები ვუწოდოთ: წუხს ის, ტირის ის, კანკალებს ის, მეფობს ის, თამაშობს ის და სხვ. ამ ტიპის ზმნები ბაზისური ფორმებია *ა-წუხ-ებ-ს ის მას, ა-ტირ-ებ-ს ის მას, ა-კანკალ-ებ-ს ის მას, ა-მეფ-ებ-ს ის მას, ა-თამაშ-ებ-ს ის მას* და სხვ. ფორმებისათვის, რომელთა სუბიექტის მოქმედებაც მიემართება პირდაპირი ობიექტისაკენ (ამიტომ იგი გრაფიკულად სწორი ხაზით შეიძლება გამოიხატოს ($S \rightarrow O_{dir}$)).

ეს ფორმები ბაზისურია ერთპირიანი (აბსოლუტური) კონსტრუქციის გარდაუვალი დინამიკური ზმნებისათვისაც: წუხს – წუხდება, ზანზარებს – აზანზარდება, ტირის – ატირდება, მეფობს – მეფდება და სხვ.

ამ ტიპის ზმნებს ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში პირობითად „საშუალი გვარის“ (მედიუმთა) ჯგუფში ათავსებენ, როგორც ფორმალურად აქტივის მოდელის მქონეთ (ისინი აწმყოში -ი, -ავ, -ებ, -ობ თემატური სუფიქსის შემდეგ აქტივთა მსგავსად მხოლოდ პირის ნიშანს დაირთავენ, მაშინ, როდესაც ე.წ. „პასივებს“ თემატური ნიშნის შემდეგ -ი მახასიათებელი დაერთვის), ხოლო შინაარსობლივად - როგორც გარდაუვლებს (გარდამავლობის კატეგორია აქ განისაზღვრება პირდაპირი ობიექტის ყოფნა-არყოფნით) – „პასივის“ მსგავსებს. ამავე დროს, თვლიან, რომ ე.წ. „მედიუმებს“ მხოლოდ აწმყოს ჯგუფის ფორმათა წარმოება შეუძლიათ, დანარჩენ მწკრივებს კი აქტივის (სასუბიექტო ვერსიის) ფორმებისაგან სესხულობენო, მაგრამ ეს ფორმები რომ ნასესხები არ არის, ამას ძველი ქართულისა და ქართველური ენების მონაცემები მოწმობენ (რაზედაც წინა ლექციაზე გვექონდა საუბარი). თანამედროვე ქართულშიც შემორჩა მთელი პარადიგმა აწმყოში ი- პრეფიქსიანი ზმნებისა *ი-ძინებს, ი-ღვიძებს, ი-ბანაკებს ტიპის, ასევე, ი-მღერის, ი-ნატრის, ი-ცინის* ტიპის ზმნები, რომლებიც დღესაც იჩენენ ი- პრეფიქსის დაკარგვის ტენდენციას: *მღერის, ნატრობს, ნანობს* (იხ. დ. მელიქიშვილი, 2001, ინდექსი, პარადიგმა № 11; პარადიგმა №3).

ამგვარად, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ პასივის ცალკე გვარად გამოყოფას სემანტიკური კრიტერიუმი უდევს საფუძვლად: კერძოდ, ეს კრიტერიუმი ვნებითი გვარის ზმნების სუბიექტის პასივობას გულისხმობს, მაგრამ ეს კრიტერიუმი ქართულში უმეტეს შემთხვევაში ვერ მუშაობს. მაშინაც კი, როდესაც ეს ფორმები აქტივის სასუბიექტო ვერსიისა და ობიექტური ვერსიის უ-პრეფიქსიანი ი- პრეფიქსიანი ფორმების კონვერსის შედეგადაა მიღებული (*და-ი-მალ-ა მან იგი*; მგრამ - და-ი-მალ-ა იგი თვითონ; *დაუმალა დედამ ბავშვი ავაზაკს*; *მაგრამ - დაემალა ბავშვი ავაზაკს თვითონ*; *გაადევნა ბავშვი დედას მამამ*; *მაგრამ -*

გაედავენა ბავშვი დედას თვითონ), ხშირად აქტივის კონვერსიული ფორმის უსულო სუბიექტიც (განსაკუთრებით პოეზიის ენაში) აქტიურად, მოქმედად წარმოგვიდგება: *მზის სხივები ეფინება დედამიწას; „სამშობლოს ცასა ბნელად გამლილი მწუხრის ზეწარი გადაეფარა (ილია); დედამიწა შეიმოსა თეთრი სამოსელით, თეთრ კარავებს დაემგვანენ ატეხილი მთები; თუმცა დაემზენ გზებზე ბინდები (მირზა გელ.), რომ აღარაფერი ვთქვათ ზემოთნახსენებ პირველადს - „თბება“ ტიპისა და ე.წ. -დ სუფიქსიან ზმნებზე (თეთრდება), რომელთა ერთპირიან („აბსოლუტური აგებულების“) ფორმათა სემანტიკა ავტოაქტივთა მსგავსად უკუქცევითია, რეფლექსიურია (ხმება, შრება, წითლდება, მწიფდება...), ხოლო ორპირიანებში („რელატიურებში“) სუბიექტი არა პაციენსად, არამედ რეალურად ობიექტზე მოქმედ პირად, აგენსად წარმოგვიდგება: *ბავშვი ახტება ღობეს, არწივი აცხრება კურდღელს, დედა უწყრება/ უჯავრდება შვილს, ბავშვი / ბურთი / ეჯახება/ეხლება კედელს...).* აღსანიშნავია, რომ „ვნებითად“ კვალიფიცირებული 360-ზე მეტი ე-პრეფიქსიანი (მათ შორის „მეტყველება“ წრის სემანტიკის) ზმნა, რომელსაც თავისი კანონზომიერი ცალი ი-პრეფიქსიანი ერთპირიანი ფორმა არა აქვს, სისტემურად წყვილება სწორედ ერთპირიან ავტოაქტივის: *ელაპარაკება – ლაპარაკობს, ებაახება – ბაახობს, ეუბნება – უბნობს, ესაუბრება – საუბრობს, ემასხრება – მასხრობს, ეხუმრება – ხუმრობს, ეკამათება – კამათობს, ეჯაჯღანება – ჯაჯღანებს; ემოწმება – მოწმობს, ეთავხედება – თავხედობს, ეჩხუბება – ჩხუბობს, ეჯაჯგურება – ჯაჯგურობს, და სხვ. (იხ. დ. მელიქიშვილი 2001, ინდექსი, პარადიგმა № 11(45); ასევე, სხვადასხვა პარადიგმებში გაბნეული ე-პრეფიქსიანი ზმნები, როგორცაა, მაგ.: *ეხეთქება, ეკვეთება, ეძგერება, ეხუტება, ეზიდება, ექაჩება, ემუდარება, ემუქრება, ემტერება ის მას და სხვ.),* აქტიურსუბიექტიანია; ასევე, „დეპონენსებად“ წოდებული ერთპირიანი (აბსოლუტური) ი-R-ები სტრუქტურის ზმნებიც, რომლებსაც პასივის კვალიფიკაცია ეძლევათ, სუბიექტს ავტოაქტიურად წარმოგვიდგენენ, რაც ასევე ეწინააღმდეგება სემანტიკური ოპოზიციის (აქტიური სუბიექტი - პასიური ობიექტი) მიღებულ კრიტერიუმს. ამიტომ მათ ცალკე ჯგუფადაც - გამოჰყოფენ და „დეპონენსებს“ უწოდებენ (*ილანძლება, ილოცება, იწყევლება, იღრინება, იგრიხება, ილუკმება, იგინება, ისუსხება, იჭმუხნება...* (იხ., დ. მელიქიშვილი, 2001, ინდექსი, პარადიგმა № 12 (46)).**

ე.წ. „ინვერსიული“ წყობის (მანის რიგის) ფორმები აქტივის და ავტოაქტივის ფორმებთან მიმართებით ნებელობა - უნებლიობის სემანტიკურ ოპოზიციას ქმნიან: *ვივიწყებ - მავიწყდება, ვიხსენებ - მახსენდება, ვიგვიანებ - მაგვიანდება, ვამთქნარებ - მემთქნარება, ვამცხიკვებ - მემცხიკვება, ვნანობ - მენანება და სხვ.*

ამგვარად, ე-პრეფიქსი ირიბი ობიექტის სამიმართებო ნიშანია, ისევე როგორც უ-პრეფიქსი, და არა ვნებითი გვარის გრამატიკული მარკერი, და იგი

აწარმოებს **R-ები** სტრუქტურის ირიბი მიმართების ორპირიან აქტიურ სუბიექტიან ზმნას, ისევე, როგორც ა- პრეფიქსი აწარმოებს **ა-R-ებ** სტრუქტურის პირდაპირი მიმართების აქტიურსუბიექტიან ზმნას (*წუხს ის - აწუხებს ის მას*).

ევროპული ზმნის მიხედვით გვარის კატეგორიის განსაზღვრა, როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიისა, რომელიც ზმნის გარკვეული ფორმით აღნიშნავს ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობას ქვემდებარის აქტიურ-პასიურობის თვალსაზრისით, ქართულისათვის მისაღები არ არის R-ებ-ი სტრუქტურის ზმნებისათვის, თუმცა გამოდგება აღწერითი წარმოების (*წაღებულ იქნა, გაკეთებულ იქნა, გაგებულ იქნა*) ვნებითისათვის.

აკაკი შანიძემ თანამედროვე ქართული ზმნის სისტემაში სცადა მოეხდინა ფორმალური დიფერენცირება გვარისა და ვერსიის (ქცევის) კატეგორიებისა და ხმოვანპეფიქსების ფუნქციებისა, მაგრამ ვნებითი და საშუალო გვარის გრამატილული კატეგორიებისა და ქცევის, როგორც კუთვნილება-დანაშინულების გამომხატველი გრამატიკული კატეგორიის გამოყოფისას დარღვეულია ცნების დაყოფის ლოგიკური წესი: გვარეობითი ცნების შერჩევა ორივე შემთხვევაში მომხდარია სემანტიკური და არა გრამატიკული კრიტერიუმით, რის შედეგადაც გვარეობითი ცნების (ფორმის) ადგილას ორივე შემთხვევაში სახეობითი ცნება (სემანტიკა) მოექცა, რამაც გამოიწვია გრამატიკული მარკერების მცდარი კვალიფიკაცია. ამიტომაც, ქართული ზმნის გვარის ტრადიციული კლასიფიკაცია ვერც ფორმალური და ვერც სემანტიკური თვალსაზრისით, ვერ აკმაყოფილებს გვარის კატეგორიის იმ განსაზღვრებას (გაგებას), რომელიც ზოგად ენათმეცნიერებაშია მიღებული და უნივერსალურადაა მიჩნეული.

ევროპულ ენებში გვარის კატეგორიის გამოყოფას მორფოლოგიურთან ერთად (პასივი გამატიკულ/ფორმალურ ოპოზიციას აქტივთან აწლერითი წარმოების წესით ქმნის) სემანტიკური საფუძველიც აქვს. ამიტომაცაა, რომ ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ უცხოელებს უჭირთ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში „**ვნებითის**“ (პასივის) სახელით ცნობილი აქტივის კონვერსიული სინთეზური წარმოების ზმნების გააზრება ევროპული პასივის შესატყვისად.

ყოველივე ამის მიზეზი კი ქართული ენის ზმნის პოლიპერსონალიზმსა და, აქედან გამომდინარე, სახელსა და ზმნას შორის თავისებურ სინტაქსურ სტრუქტურა-მექანიზმში უნდა ვეძიოთ. კერძოდ, აქტანტებისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობის თავისებურ მორფო-სინტაქსურ მოწესრიგებულობაში, რაც რადიკალურად არის განსხვავებული ევროპული ენებისაგან და, რამაც გამოიწვია ქართული და ქართველური ენების ზმნის სტრუქტურის კვლევისას განსხვავებული თვალსაზრისებისა და თეორიების ჩამოყალიბება (მაგ. ქართული ზმნის პასიურობის, ერგატიულობისა თუ აქტიურობისა).

ქართული პოლიპერსონალური ზმნის პირობებში ერთი მხრივ, აქტივისა და პასივისა და, მეორე მხრივ, მედიუმის ფორმების ფუნქციური და ფორმალური გამიჯნვა (*ამასხრებს - მასხრობს - ემასხრება, ალაპარაკებს - ლაპარაკობს - ელაპარაკება, აკანკალებს ის მას - აკანკალებს მას*), ასევე, სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვის საკითხის გადაჭრა (ე.წ. „ინვერსიის“ პრობლემა), რთულდება.

ყოველივე ამის გამო ქართული ზმნის უღლების სისტემის აღწერა უნდა მოხდეს ამ ზმნის სტრუქტურისა და კონსტრუქციის (პირთა რელაციის) გამოხატვის თავისებურებათა გათვალისწინებით, ანუ მორფო-სინტაქსური კრიტერიუმით, ეს კრიტერიუმი უნდა დაედოს საფუძვლად ზმნურ ფორმათა კლასიფიკაციას. კლასიფიკაცია, რომალსაც საფუძვლად დაედება გრამატიკული პრინციპი, თავის ადგილს მიუჩენს რეფლექსივისა და გვარის გაგებას და სინათლეს შეიტანს ქართული ზმნის გრამატიკული და ლოგიკურ-სემანტიკური კატეგორიების ურთიერთმიმართების საკითხში, ასევე, ნათელს მოჰფენს ზმნის ხმოვანპრეფიქსთა გრამატიკული კვალიფიკაციის საკითხს.

ჩვენი კვლევა ემყარება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მთელი ზმნური ბაზის 15.000 ზმნის (9.000-ზე მეტი ზმნური ფუძის) მორფო-სინტაქსურ ანალიზს, რის შედეგადაც გამოვლენილია ქართული ზმნის უღლების ძირითადი, ლოგიკურად გამართული სისტემის სურათი სინქრონიაში, ხოლო დიაქრონიაში - ამ სისტემის რგოლებში ცვლილებების ტენდენციები და ამ ცვლილებათა დინამიკა.

ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციის პრინციპად ვიღებთ მორფო-სინტაქსური კრიტერიუმს, რომლის საფუძველზეც გამოვყოფთ ქართული ზმნის ფორმაცვალების, უღლების სამ ტიპს (ჯგუფს), რომელთაც „დიათეზებს“ ვუწოდებთ. წინასწარვე ვიტყვი, რომ დიათეზა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ქართული ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორია, რომელიც ხასიათდება მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობით.

ტერმინი „დიათეზისი“ (სიტყვასიტყვით $\delta\acute{\iota}\alpha\text{-}\mu\epsilon\tau\acute{\iota}\varsigma$ = „მიმო-დადება“) არისტოტელესთან განმარტებულია, როგორც მთელის ნაწილთა გარკვეული მიმდევრობა, ანუ - რიგი, განლაგება - $\tau\acute{\alpha}\xi\varsigma$, რომელიც ცვალებადია, (ცვალებადობას ემორჩილება, შეიძლება შეიცვალოს), განსხვავებით $\xi\acute{\nu}\tau\iota\varsigma$ -ისაგან, რომელიც თავისი ბუნებით სტაბილურია, უცვლელია მუდმივია (მაგ. კოსმოსური წესრიგი, რომლის დარღვევა კატასტროფას გამოიწვევს). ტერმინი დიათეზა ზუსტად მიესადაგება ენობრივ სისტემაში ელემენტების ცვალებადობის შესაძლებლობას და ალბათ ამიტომაც დიონისე თრაკიელმა თავის „გრამატიკის ხელოვნებაში“ იგი გამოიყენა ბერძნული ზმნის უღლების ცვალებადი ფორმების გარკვეული მიმდევრობის აღსანიშნავად. თრაკიელის „დიათეზის“ გაგება

თანამედროვე ენათმეცნიერულ ლიტერატურში ემთხვევა „გვარის“ (genr, pod) გრამატიკული კატეგორიის გაგებას: ზმნის უღლების ტიპებად დაყოფა მეცნიერულ თუ სასწავლო გრამატიკებში სწორედ „გვარის“ გრამატიკული კატეგორიის მიხედვით ხდება. მაგრამ ბერძნული (//ევროპული) ზმნის გვარის//დიათეზის სემანტიკური და გრამატიკული ჯგუფები ურთიერთშესაბამისია, ანუ აქტივსა და პასივს თავ-თავისი, განსხვავებული ფორმა (პირის მარკერები) შეესაბამება, მაგ.: βλάπτ-ω, ხოლო პასივს - აქტივის ოპოზიციური კონვერსიული ფორმა აქვს: βλάπτω-μαι. ამიტომ ბერძნულსა და საერთოდ, ევროპულ ენებში, სადაც ზმნური შესიტყვების სტრუქტურა მარტივია და ამიტომ სემანტიკასა და ფორმას შორის ძირითადად ურთიერთშესაბამისობაა, სემანტიკური კრიტერიუმის მიხედვით გვარის კატეგორიის დეფინიცია თითქოს არ ქმნის პრობლემებს, თუმცა იქაც გვხვდება წინააღმდეგობები (როდესაც კლასიფიკაციის საფუძვლად სემანტიკურ-სინტაქსური კრიტერიუმია მიღებული და მორფოლოგიური გამორიცხულია). ქართული ზმნის შემთხვევაში კი (რომელიც რთული სინტაქსური მექანიზმისაა, რადგანაც მის ფორმაში სუბიექტურთან ერთად, ობიექტური პირებიც იღებენ მონაწილეობას), როგორც ვნახეთ, ასეთი შესაბამისობა ფორმასა და შინაარსს შორის არ გვაქვს: ერთი და იგივე ფორმა (მოდელი, ყალიბი), როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, შეიძლება გადმოსცემდეს როგორც პასივის, ასევე აქტივისა და ავტოაქტივის შინაარსსაც. ამიტომ სემანტიკური კრიტერიუმით კლასიფიკაცია ქართული ზმნის შემთხვევაში ხშირად არ ემთხვევა გრამატიკულს, ხოლო გრამატიკული კრიტერიუმით კლასიფიკაციის შემთხვევაში გვარი, თავისი უნივერსალური დეფინიციის მიხედვით, როგორც ზემოთ აღმოჩნდა, სემანტიკური კატეგორიაა და არა გრამატიკული; ხოლო აქტივ-პასივის გრამატიკული, ფორმოზომი დაპირისპირება, როგორც ვნახეთ, მოგვიანებით ჩამოყალიბდა - ძველსავე ქართულში, ბერძნული პასიური კონსტრუქციის თარგმნის პროცესში აღწერითი (ანალიზური) წარმოების გზით (*დავივიწყე მე - დავიწყებულ ვიქენი მე, დაიკალ ჩუენ-უღებთათვს - დაკლულ იქენი...*)

ყოველივე ამის გამო ქართული ზმნისათვის გრამატიკული კატეგორია უნდა განისაზღვროს არა სემანტიკური ან სემანტიკურ-სინტაქსური, არამედ მორფო-სინტაქსური კრიტერიუმით, რაც გულისხმობს ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციას სტრუქტურისა (მორფოლოგიის) და კონსტრუქციის (ზმნური შესიტყვების სინტაქსური მექანიზმის). მიხედვით.

ამგვარად, ჩვენ დიათეზას განვსაზღვრავთ, როგორც მორფო-სინტაქსური კატეგორიას, რომელიც მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობით ხასიათდება.

დიათეზა გვარეობითი ცნებაა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ქართული ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციას.

ამ პრინციპით კლასიფიკაცია ნათელს ჰფენს ქართული ზმნის ვალენტობისა და პირიანობის, სინტაქსური კონსტრუქციის, ზმნასა და სახელს შორის სინტაქსური ურთიერთობის (მართვა-შეთანხმების, ე.ი. ზმნის პირისა და რიცხვის მიხედვით ცვლის) საკითხებს; დესტინაციურ სისტემაში აქტანტებს შორის პოსესიური, ლოკალური თუ სხვა დამოკიდებულების მორფოლოგიური გამოხატვის საკითხებს; კონვერსიისა და ინვერსიის (პირის ნიშანთა ლოგიკურ-სემანტიკური ფუნქციების შებრუნების, რაც სინტაქსურად თანასწორუფლებიან აქტანტთა პერსონალურობა - არაპერსონალურობის - ვინ და რა ჯგუფის - სულიერი - არასულიერის მიხედვით დაპირისპირების ნიადაგზეა გაჩენილი) რთულ და დღემდე მოუგვარებელ პრობლემებს.

დიათეზების მიხედვით ქართული ზმნის სტრუქტურისა და კონსტრუქციის ანალიზი ნათლად წარმოგვიდგენს ამ კატეგორიის კერძო გამოვლინებების (კაუზატივი, გვარი, რეფლექსივი, ვერსია) საფეხურებრივი ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესსაც.

ლექცია №10

დიათეზის გრამატიკული კატეგორია ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფის საფუძველი ქართული ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია. უღლების ტიპები დიათეზების მიხედვით

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი კვლევა ემყარება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მთელი ზმნური ბაზის, 15.000 ზმნის (9.000-ზე მეტი ზმნური ფუძის) მორფო-სინტაქსურ ანალიზს. ამ ანალიზის შედეგად ქართული ზმნების უღლებადი ფორმები განაწილდა მორფო-სინტაქსური თვალსაზრისით განსხვავებული დიათეზის სამ ძირითად ჯგუფში.

ქართულ ზმნას აწმყოში ორი ძირითადი მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს:

1. R - Ø (წერ, აკეთებ, დრეკ) და 2. R-ი (იწერებ-ი, თბებ-ი, სახლდებ-ი) და სამი ძირითადი სინტაქსური კონსტრუქცია: 1. ნომინატიური (მღერის ის 2. ერგატიული (იმღერა მან) და 3. დატიური (უმღერია მას) სამი დიათეზისა და სამი სერიის მიხედვით.

● თითოეული ძირითადი სტრუქტურა სხვადასხვა დიათეზაში რამდენიმე ვარიანტით რეალიზდება:

1. I დიათეზაში - სამი ვარიანტით:

1) R - Ø (წერ- Ø, ძგერ- Ø...);

2) R -[th.suf.]- Ø (კანკალ-ებ-Ø, გორ-ავ-Ø, კერ-ავ - Ø, აგორ-ებ-Ø, ათბ-ობ- Ø...);

3) R-[ე/ი]-Ø (დრეკ-Ø - დრიკ- Ø);

2. II დიათეზაში - ორი ვარიანტით:

1) R-ი (წერ-ი-ხარ...);

2) R -[th.suf.]-ი (იწერებ-ი, იელ-ევ-ი, ეც-ემ-ი, ელაპარაკ-ებ-ი, იყურ-ებ-ი, იმუდარ-ებ-ი, იგმ-ობ-ი...).

3. III დიათეზაში - ნარევი სტრუქტურა:

1) R - Ø (მ-ი-ყუარ-Ø, მ-წყინ-/ს);

2) R -[th.suf.]-Ø: (მ-ა-ურჟოლ-ებ-ს, მ-ა-მთქნარ-ებ-ს მე);

3) R -ი/-ა, -[th.suf.]-ი (მ-ვ-ე-ნატრ-ებ-ი, მ-ვ-ე-ცოდ-ებ-ი, მ-ვ-ე-წყალ-ვ-ი, მ-ე-მთქნარ-ებ-ა);

● სამი შესაძლებელი სინტაქსური კონსტრუქცია: ერგატიული, ნომინატიური და დატიური, სამი დიათეზისა და სამი სერიის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

1. I დიათეზაში: ცვალებადი კონსტრუქციაა:

R /L - S - I სერიაში: ნომინატიური, II სერიაში: ერგატიული, III სერიაში: დატიური

გორავს ის, იგორა მან, უგორია მას; აგორებს ის მას, გაავორა მან ის, გაუგორებია მას ის;

2. II დიათეზაში:

R /L - S სამივე სერიაში ნომინატიური, სტაბილური უცვლელი, კონსტრუქციაა *ი-ი/ე-მალება ის/ის მას, და-ი/ე-მალა ის/ ის მას, დამალულა ის, დამალვია ის მას;*

3. III დიათეზაში:

R /L-S სამივე სერიაში დატიური უცვლელი, სტაბილური კონსტრუქცია:


უყვარს მას ის, ჰყვარებია მას ის, სწადს მას ის - ეწადა მას ის.

თითოეული დიათეზის მორფოლოგიურ სტრუქტურას თავისი სინტაქსური კონსტრუქცია შეესაბამება:

I დიათეზა

I დიათეზაში ვაერთიანებთ აწმყოს R-Ø სტრუქტურის (მოდელის) (R/L-S – რეალურ-ლოგიკური სუბიექტის ნომინატიურ-ერგატიულ-დატიური) კონსტრუქციის ზმნებს, რომელთაც ორ ქვეჯგუფად ვყოფთ: ე.წ. „პირდაპირი“ – ბრუნვაცვალებადი (**dat. – nom.**) ობიექტის ქონება-უქონლობის განმასხვავებელი ნიშნის მიხედვით: შესაბამისად, გამოვყოფთ არასრული, ნაკლული კონსტრუქციისა (*ტირის ის - იტირა მან მეფობს ის - იმეფა მან*) და სრული კონსტრუქციის ქვეჯგუფებს - **ავტოაქტივებსა და აქტივებს**, რომელთა R/L-S ბრუნვაცვალებადია სერიების მიხედვით: *ივინის ის, ივინა მან, უვინია მას*. I არასრული კონსტრუქციის დიათეზის – **ავტოაქტივის** (რეფლექსივის) სტრუქტურაცა და კონსტრუქციაც ამოსავალია I სრული კონსტრუქციის მქონე ქვეჯგუფის აქტიურსუბიექტიანი ზმნის თემატურსუფიქსიანი ფორმებისათვის (*კანკალებს ის > ა-კანკალებს ის მას, გორავს ის > აგორებს ის მას, ტირის ის > ატირებს ის მას...*) და ისტორიულად წინ უნდა უსწრებდეს მათ.

*თვლ-ემ შენ – ჟღვლ-ემ შენ მას;
ტირ-ი, კივ-ი შენ – თლ-ი, ჭრ-ი შენ მას;
გორ-ავ, ცოც-ავ შენ – ხატ-ავ, კლ-ავ შენ მას;
კანკალ-ებ, ტრიალ-ებ შენ – ა-კანკალ-ებ, ა-ტრიალ-ებ შენ მას;
ცხოვრ-ობ, მეფ-ობ შენ – ა-ცხოვრ-ებ, ა-მეფ-ებ შენ მას*



I. ამ, პირველი დიათეზის სტრუქტურის ზმნებს, როგორც წესი, შეესაბამება ცვალებადი კონსტრუქცია (ბრუნვაცვალებადი სუბიექტი: სახელობითი - მოთხრობითი - მიცემითი) და ამ ნიშნით ისინი ერთ დიათეზაში ერთიანდებიან, რომელიც ორ ქვეჯგუფად იყოფა. ამ ქვეჯგუფების განმასხვავებელი ნიშანი ბრუნვაცვალებადი პარტიციპანტის („პირდაპირი ობიექტის“) ქონა-არქონაა.

I დიათეზის პირველი ქვეჯგუფის ზმნების სუბიექტი მოქმედია, მაგრამ მას არა აქვს სამოქმედო ბრუნვაცვალებადი (ე.წ. პირდაპირი) ობიექტი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ისინი ამ „პირდაპირ“ ობიექტს თავის თავში, შინაგანად შეიცავენ, მათი სუბიექტი **თვითმოქმედია - ავტოაქტიურია**. აკაკი შანიძე მათ „საშუალო გვარის მედიოაქტივთა ქვეჯგუფში“ ათავსებს. მაგრამ, როგორც ვნახეთ, საშუალო გვარის გამოყოფის საფუძველი არ არსებობს. არნ. ჩიქობავა მათ უგვარო სტატიკურ ზმნებად მიიჩნევს. მაგრამ, რაც შეეხება სტატიკურობას, ამ თვალსაზრისით მათ გარდამავალი საფეხური უჭირავთ აბსოლუტური სტატიკიდან, უძრაობის მდგომარეობიდან, მოქმედების პროცესამდე: ისინი ფიზიკური ან სულიერი მოქმედების მდგომარეობას გამოხატავენ (კანკალებს, კივის, ტირის, წუხს..) რაც, როგორც წინა ლექციებში აღვნიშნეთ, გრაფიკულად შეიძლება წრეწირით გამოიხატოს: [o], განსხვავებით აბსოლუტური სტატიკისაგან, რომელიც შეიძლება გრაფიკულად წერტილით გამოვხატოთ:[.]. წრე იწყება იმ წერტილიდან, რომელშიც სრულდება; ამ ზმნათა მოქმედებაც იწყება და სრულდება ერთსა და იმავე წერტილში, ანუ **უბრუნდება თვითმოქმედ პირს** (სუბიექტს). მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ზმნებს **რეფლექსიური, უკუქცევითი** შინაარსი აქვთ, მათი მოქმედების ობიექტი იგივე სუბიექტია, მათი სუბიექტის მოქმედება შიგნითაა მიმართული, ცენტრისკენულია, სუბიექტის სფეროში მიმდინარეობს, „მდგომობს“. შესაბამისად, მათ სათანადო მარკერიც, **o-** პრეფიქსი დაერთვის, რომელიც ერთპირიან კონსტრუქციაში რეფლექსივის ნიშნად მიგვაჩნია (და არა “ნასესხებად” აქტივის “სათავისო” ქცევისაგან). ამ ფუნქციას ფრანგულ ენაში უკუქცევითი ნაცვალსახელები (**me, te, se**) ასრულებენ, რუსულში - უკუქცევითი ნაცვალსახელის “გაცვეთის” გზით მიღებული სუფიქსი (**себя > ся**). იგივე **o-** პრეფიქსი სასუბიექტო ორიენტაციის (ვერსიის) გამომხატველია პირდარდაპირობიექტიან (ორპირიან) კონსტრუქციაში. როგორც ვთქვით, ავტოაქტივებს პირდაპირი ობიექტი არა აქვთ,

მაგრამ თუ ზმნის სემანტიკა ამის საშუალებას იძლევა, შეიძლება გაუჩნდეს იგი: „სწავლობს გიგლა ტიტინა..” - მაგრამ: „გიგლა სწავლობს გაკვეთილს” „გიგლა კარგად ხატავს, კარგად წერს”, მაგრამ: „გიგლა ხატავს პორტრეტს, წერს ლექსს”; ბავშვი ეზოში თამაშობს, მაგრამ: ბავშვი ფეხბურთს თამაშობს ასეთი ზმნები ლაბილური (ცვალებადი, არამდგრადი) კონსტრუქციით ხასიათდებიან. (აღსანიშნავია, რომ ასეთი ლაბილური კონსტრუქციის მქონე ზმნათაგან -**ობ** თემისნიშნის ზმნები მოფად-წყვეტილში ავტოაქტივების მსგავსად ი- პრეფიქსიან ფორმებს ინარჩუნებენ: *თამაშობს ის - ითამაშებს/ ითამაშა მან ბურთი; სწავლობს ის მას - ისწავლის/ ისწავლა მან ის.*

2) მეორე ქვეჯგუფის ზმნების სუბიექტიც აქტიურია, მოქმედია, ბრუნვაცვალებადია (nom. - erg.- dat.), მაგრამ, განსხვავებით პირველი ქვეჯგუფისაგან, ისინი მოქმედების პროცესს გამოხატავენ, მათი მოქმედება გამოდის სუბიექტის სფეროდან და მიემართება ე.წ. “პირდაპირი”, ბრუნვაცვალებადი (dat.-nom.) ობიექტისაკენ; მათ შეიძლება მეორე, ბრუნვაცვლელი (dat.- dat.), ე.წ. „ირიბი” ობიექტიც შეეწყოს. კონსტრუქცია ამთავცვალებადი აქვთ - სუბიექტის ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი, პირდაპირი ობიექტისა - მიცემითი და სახელობითი, ირიბისა - მიცემითი: *აშენებს ის მას - ააშენა მან ის - აუშენებია მას ის; უშენებს ის მას მას, აუშენა მან მას ის, აუშენებია მას ის მისთვის.*

ამგვარად, I ჯგუფი, რომელსაც თემა და კონსტრუქცია აერთიანებს, I დიათეზას ქმნის, რომელიც შეიცავს არასრული და სრული კონსტრუქციის ქვეჯგუფებს, რომელთაგან პირველი მოქმედების მდგომარეობას გამოხატავს და, ამდენად, აბსოლუტურ სტატიკასთან მიმართებით ნაწილობრივი სტატიკურობის შინაარსს შეიცავს, II კი მოქმედების პროცესს გამოხატავს და, ამდენად, დინამიკური შინაარსისაა; I ქვეჯგუფი ძირეულია, ამოსავალია II ქვეჯგუფისათვის როგორც სტრუქტურის, ასევე კონსტრუქციის თვალსაზრისით (*კანკალებს ის > ა-კანკალებს ის მას, ცხოვრობს ის > ა-ცხოვრობს ის მას*).

ამ ჯგუფს შეიძლება ერგატიული კონსტრუქციის დიათეზა ეწოდოს სუბიექტის სპეციფიკური ბრუნვის მიხედვით.

I დიათეზის I ქვეჯგუფის ერთპირიანი (ერთვალენტისანი) ზმნები „გვარის” სემანტიკური თვალსაზრისით რეფლექსივებია, მათ არ შეეწყობა ბრუნვაცვალებადი (ე.წ. პირდაპირი) ობიექტი, ისინი „გარდაუვლებია”, ავტოაქტივებია, (*კანკალებს ის, წუხს ის, იძინებს ის, იძახის ის*). ორპირიანები კი ირიბგარდამავლებია (შეხედა მან მას).

II ქვეჯგუფის ზმნები სემანტიკით, შინაარსით - აქტივებია. გარდამავლობის მიხედვით ესენი პირდაპირგარდამავალი ზმნებია.

II დიათეზა

სტრუქტურა: თემა + ი (R+ი, R -th.suf.+ი): ხატ+ი-(ხარ) (< ხატ-ი-ე) - ხატ-ი-ა (< ხატ-ი-ე-ს), იხატებ+ი, თბებ+ი, თეთრ-დ-ებ+ი).

კონსტრუქცია - ნომინატიური

II დიათეზაში გაერთიანებულია ორი ქვეჯგუფი:

1) [R+ი] სტრუქტურის აბსოლუტურ-სტატიკური ნომინატიური კონსტრუქციის ზმნები:

წმყო - ანთია ცეცხლი; მყოფადი - ენთება ცეცხლი; წყვეტილი - ენთო ცეცხლი; რეზულტატივი - ნთებულა ცეცხლი; მინთია მე ის - გინთია შენ ის - უნთია მას ის; მენთება მე ის, გენთება შენ ის, ენთება მას ის; მნთებია მე ის, გნთებია შენ ის, ჰნთებია მას ის.

2) [R -th.suf.+ი] სტრუქტურის დინამიკური ნომინატიური კონსტრუქციის ზმნები: იმაღლება ის - დაიმაღლა ის - დამაღლულა ის; ემაღლება ის მას - დაემაღლა ის მას- დამაღვია ის მას.

1) არასრული კონსტრუქციის არქაული უგვარო აბსოლუტურ-სტატიკურ ზმნები (რომელთაც ა. შანიძე "სტატიკურ ვნებიტებს" უწოდებს), რომელთა აწმყოს თემა ასევე -ი სუფიქსიანია, ოღონდ მარტივი, მადინამიკურებელი თემატური სუფიქსის გარეშე: ვწერ-ი-ვარ- წერ-ი-ხარ, წერ-ი-ა. ფორმით ესენი წარმოშობით ორპირიანებია, მაგრამ დღეს კონსტრუქცია არასრული აქვთ: ზმნის ფორმაში ორი პირია აღნიშნული (ზოგჯერ პირთა მიმართების კორელაციური ხმოვანპრეფიქსით): ს-წერი-ა - ეწერ-ა ის (მას > მას-ზე); ა-ფენია - ე-ფინა ...

2) სრული კონსტრუქციის მქონე ერთპირიანი (აბსოლუტურგარდაუვალი) და ორპირიანი, რელატიური (ირიბგარდამავალი) დინამიკური ზმნები, რომელთა S_{nom.} და S_{ind.dat.} ბრუნვაუცვლელია სერიების მიხედვით. მათი აწმყოს სტრუქტურაა Ø-R-ებ-ი, Ø-/ი/ე-R-ებ-ი.

ამათგან ერთი ჯგუფის სტრუქტურა ძირეულია („თბება" ტიპის ზმნები) და მისგან კაუზატიური წარმოების გზით მიღებულია ატივის, პირდაპირგარდამავალი ზმნების ფორმები (თბ-ებ-ა - ა-თბ-ობ-ს, ხმ-ებ-ა - ა-ხმ-ობ-ს); მეორე ჯგუფის ზმნები მაინტენსივებელი (მადინამიკურებელი) დერივაციული -დ სუფიქსის დართვითაა ნაწარმოები სახელის ფუძიდან ან მასდარიდან: მეფე - მეფ-დ-ება, თეთრი - თეთრ-დ-ება, მშვიდ-ი - მშვიდ-დ-ება; მესამე ჯგუფი კი წარმოქმნილია აქტივის ფორმათა კონვერსიის გზით, მაგრამ, როგორც ვნახეთ, კონვერსია ყოველთვის ვერ იძლევა, და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე იშვიათად იძლევა პასივის გაგებას: მხოლოდ მაშინ, როდესაც სუბიექტი უსულო საგანია და ასეთ შემთხვევებშიც ხშირად ქართულისათვის არაბუნებრივი

შესიტყვება მიიღება (მაგ. ჩანთა იმალება / დაიმალა ბავშვის მიერ ან: ჩანთა ემალება/ დაემალა ბავშვს ამხანაგის მიერ). ასეთ შემთხვევებში აქტიური ზმნის შემცველი კონსტრუქციის ჩანაცვლება სჯობს (ამიტომაც აღნიშნავს ა. შანიძე თავის სპეციალურ ნაშრომში კონვერსიის შესახებ, რომ „ქართული ძირითადად აქტიური კონსტრუქციების ენააო“ (ა. შანიძე, 1943). სამპირიანი ზმნის კონვერსია, თუ მისი პირდაპირი ობიექტი პერსონალური პირია, იძლევა ირიბგარდამავალი ზმნის აქტიურსუბიექტიან ფორმას (*აჩხუბებს ის მას მას - ეჩხუბება ის მას, უმაღლავს ის მას ბავშვს – ბავშვი ემალება მას.* (დ. მელიქიშვილი, 2001, ინდექსი, პარადიგმა № 11); ასევე, ორპირიანი პირდაპირგარდამავალი ზმნის კონვერსიული ფორმაც, შესაბამისად - აქტიურსუბიექტიანია კერძოდ, ავტოაქტიურია (*დედა მალავს ბავშვს - ბავშვი იმალება თვითონ*)

ამგვარად, **Ø-R-ებ-ი, Ø-/ი/ე-R-ებ-ი** სტრუქტურის ზმნები სუბიექტის აქტივობა-პასივობის თვალსაზრისით უფრო ხშირად ავტოაქტიური და აქტიური შინაარსისაა, უფრო იშვიათად - პასიური შინაარსისა. ე.ი **R-ებ-ი სტრუქტურა** („ყალიბი“) არ არის მხოლოდ პასივის მახასიათებელი: საკუთრივ პასივის ფორმა აღწერითი წარმოებისაა : *ჩანთა დამალულია - ჩანთა დამალულ იქნა ბავშვის მიერ; სახლი აშენებულ იქნა ხუროს მიერ...* ამგვარი კონსტრუქციები ძველსავე ქართულში გაჩნდა როგორც ბერძნული ენიდან თარგმანებში, ასევე ორიგინალურ ტექსტებში, სწორედ იმის გამო, რომ კონვერსიულმა ფორმებმა, რამდენადაც ისინი აქტივის სასუბიექტო ვერსიის ფორმებს ემთხვეოდნენ, პოლისემიურობის გამო ვერ შეძლეს პასიური შინაარსის გამოხატვა (მაგ. *ფრიად ვცოდე და შევიგინე (შეგინებულ ვიქმენ მე); რადთა არა განგდებულ ვიქმნნეთ (ჩუენ) უდებებითა, არამედ, რადთა მღვდარედ ვიპოვნნეთ (პოვნილ ვიქმნნეთ ჩუენ), აღდგომილნი საქმითა კეთილითა; ჯორცნი შეიმოსენ (შენ იგინი), და ჯუარს-ეცვ და დაიკალ (= დაკლულ იქმენ შენ), ჩუენ, უმაღლოთა და ძვრისმოქმედთათვს; შეიწირე (=შეწირულ იქმენ შენ), ვითარცა ცხოვარი; მოიკალ (შენ) ჩუენტვს; საღმრთო ← პური ცხორებისა საშოსა შენსა, ღმრთისა დედაო, ჭემმარიტად შეიცხო (=შემცხვარ იქმნა იგი) და დაიცვა (=დაცვულ იქმნა იგი) უვნებელად, დავივიწყე მე, ვითარცა მკუდარი ...)*

ამგვარად, **II დიათეზა** შეიცავს არასრული და სრული კონსტრუქციის ქვეჯგუფებს, რომელთაგან I ქვეჯგუფი სტატიკურია (*წერია, აფენია*) და II კინინამიკური *ეწერებ-ი/ა, ეფინებ-ი/ა*; ქვეჯგუფი აქაც II-ის საფუძველია როგორც სტრუქტურულად, ასევე კონსტრუქციულად (*ფენია ის. აფენია ის მას, წერია ის. აწერია ის მას*) ამ სტრუქტურის ზმნების კონსტრუქცია სტაბილურია: R/L-S (სუბიექტი) სამსავე სერიაში სახელობითშია, R/L-O (ობიექტი) მიცემით ბრუნვაში.

ამ დინამიკურ ორპირიან ზმნებს შეიძლება ირიბგარდამავალი ზმნები ვუწოდოთ. ეს ჯგუფი ნომინატიური კონსტრუქციის დიათეზას ქმნის.

გვარის თვალსაზრისით ამ დიათეზის I ქვეჯგუფის ზმნები ნეიტრალურია, უგვაროა. II ქვეჯგუფის ზმნები კი სუბიექტის აქტიურობა-პასიურობის მიხედვით შეიძლება ავტოაქტივებიც იყვნენ და ირიბგარდამავალი აქტივებიც, რადგანაც, თუ ამოვალთ ვნებითი გვარის უნივერსალური სემანტიკური განსაზღვრებიდან, რომლის მიხედვითაც ვნებითი გვარისაა ზმნა, რომლის სუბიექტიც თვითონ კი არ მოქმედებს, არამედ განიცდის მოქმედებას, **R-ი, R-ებ-ი** სტრუქტურა არ არის აუცილებლობით დაკავშირებული ვნებით გვართან: 1) როგორც ადრევე ვაჩვენეთ, 300-ზე მეტი ე- და ა- პრეფიქსიანი ზმნა (*ელაპარაკება, ეჩხუბება, ეჯიბრება, აცხრება, ახტება..*) აქტიურსუბიექტიანია. ამასთანავე, შემთხვევითი არ არის, რომ ამ ჯგუფის ორპირიან ე- პრეფიქსიან ფორმებს ამავე დიათეზის (**R-ებ-ი სტრუქტურის**) მოსალოდნელი ი- პრეფიქსიანი ერთპირიანი ფორმების ნაცვლად შეესაბამებათ I დიათეზის (**R -[th.suf.] - Ø სტრუქტურის**) ავტოაქტივები: *ეჩხუბება- ჩხუბობს, ელაპარაკება -ლაპარაკობს...;* 2) 100-ზე მეტი ი- პრეფიქსიანი ე.წ. „დეპონენსური ვნებითი“ - ავტოაქტივია (რეფლექსივია); 3) ასევე ათასობით ი- /ე- პრეფიქსიანი კონვერსიული ავტოაქტიური და აქტიურსუბიექტიანი პერსონალური აქტანტის შემცველი ზმნები (*იმალება ბავშვი, ემალება ბავშვი დედას*); 4) „თბება“ ტიპისა და -დ სუფიქსიანი ნასახელარი დინამიკური ზმნები შინაარსით ავტოაქტივებია (იხ. დ. მელიქიშვილი, 2001, გვ.61-70; პარადიგმები: №№ 10 (44), 11(45), 12(46), 14(48), 15(49), 16(50).

რაც შეეხება პასივს, ამ სემანტიკას ძირითადად **R-ებ-ი** სტრუქტურის უსულო სუბიექტიანი ზმნები გამოხატავენ, ისიც - არა ყოველთვის: ამგვარი ზმნების სუბიექტიც შეიძლება აქტიურ აქტანტად წარმოგვიდგეს: „სამშობლოს ცასა ბნელად გამლილი მწუხრის **ზეწარი გადაეფარა**“ (ილია) „*გადაეფინა ტყეებს ფოთლის შრიალი ნაზად...*“, ან: „*როცა ძილი შენს წამწამებს მიეპარება...*“, „*დედამიწა შეიმოსა თეთრი სამოსელით,/ თეთრ კარავებს დაემსგავსა ატეხილი მთები...*“ „*ხის ტოტების მწვანე წყება იმზირება ფანჯრიდან...*“ „*ღამე შიშისგან გაიწურება...*“ (მირზა გელოვანი).

ამ ჯგუფს შეიძლება „ნომინატიური“ კონსტრუქციის დიათეზა ეწოდოს (RL-S) სუბიექტის ბრუნვის მიხედვით.

III დიათეზა

III დიათეზაში ვაერთიანებთ დატიური კონსტრუქციის ძირეული, ი/უ-R-Ø სტრუქტურის („მიყვარს“ ტიპის) ზმნებს და მეორეული, I დიათეზის ა-R-ებ (აკანკალებს) სტრუქტურისა და II დიათეზის - ე-R-ებ-ი სტრუქტურის ზმნების კონვერსიისა და ინვერსიის გზით მიღებულ ზმნებს.

III დიათეზაშიც ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

I ქვეჯგუფის ზმნების მნიშვნელოვანი ნაწილი უძველესი სტრუქტურისა და კონსტრუქციის, უძველესი ფორმაციის მქონე ძირეული სტატიკური ზმნებია, რომლებიც ვერ აწარმოებენ ყველა დრო-კილოს და, ამ თვალსაზრისით, სხვადასხვა ქვეტიპს ქმნიან. მათი რაოდენობა დაახლოებით ოთხი ათეულით განისაზღვრება (იხ. მელიქიშვილი, III დიათეზა, ინდექსი, პარადიგმები: # 3,4,5,6).

შინაარსით ისინი არამატერიალური, სულიერი მდგომარეობის გამომხატველი სტატიკური ზმნებია, რომელთა სუბიექტი სულიერი მდგომარეობის განმცდელი, ანუ **სუსტი ნებელობის მქონე, ინაქტიური პირია: მიყვარს - უყვარს მას ის, მომწონს - მოსწონს მას ის, მიჭირს, უჭირს მას /ის/, მში-ი-ს>მში-ი-ა, მწყურ-ი-ს>მწყურ-ი-ა, მეში-ი-ს>მეშინ-ი-ა...) ამ ტიპის „აფექტური“ ზმნების სახელით ცნობილი ზმნები სხვა ენებშიც ორდინალური უღლების მქონე ფიზიკური მოქმედების გამომხატველი ზმნებისაგან განსხვავებული, თავისებური წყობით ხასიათდებიან, მათაც ინაქტიური რეალური სუბიექტი აქვთ, მაგრამ ეს სუბიექტი, განსხვავებით ქართულისაგან, არ მონაწილეობს ზმნის მორფო-სინტაქსურ სტრუქტურაში, არ გააჩნია თავისი მარკერი.**

ამ ზმნათა სუბიექტის სწორედ ეს უძველესი, მანის რიგის ნიშნით მარკირებული დატიური კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო ამოსავალი ნიმუში ქართული ენის პოლიპერსონალურ ზმნაში არსებული პოტენციის (შესამღებლობის) განხორციელებისათვის: კერძოდ, დინამიკური ზმნების - როგორც I დიათეზის კაუზატიური სტრუქტურის ზმნათა, ასევე II დიათეზის სტრუქტურის ზმნათა პირის კლების შედეგად კონვერსიისა და კაუზატიური წარმოების ზმნის მიცემითში დასმული ეკზეკუტორის ფუნქციის მქონე პირის სუბიექტად გადააზრიანების ანუ **ინვერსიის** შედეგად მიღებულ იქნა არამატერიალური, სულიერი მოქმედების განმცდელი სუსტი ნებელობის სუბიექტის მქონე ზმნების ახალი ქვეჯგუფი, რომელის მიცემითში დასმული პირი დღეს (RL-S) სუბიექტადაა გააზრებული: *აკანკალებს შიში, სიცივე მას, - მაგრამ: ა-კანკალებს მას შიშ/ისაგან/, სიცივე/ისაგან/ მას, ა-მცხიკვებს ის (მას); ა-მცხიკვებს მას; ა-ცემ-ინ-ებ-ს ის მას მას, მაგრამ: - ეცემინებ-ა მას ის, ანატრებს ის მას მას - ენატრება მას ის..*)* ამ ტიპის ზმნებში მიცემით ბრუნვას მანის

რიგის მარკერი შეესაბამება (იხ. დ. მელიქიშვილი, 2001, III დიათეზა, გვ. 225-255; ინდექსი, პარადიგმები: 1 (53) -14(65)).

III დიათეზის *მენატრება, მეჩვენება, მეძინება, მემძიმება, მეხალისება* და მისთ. ტიპის ზმნები, რომელთა ინაქტიური სუბიექტი მანის რიგის მარკერთაა აღნიშნული, მიღებული ჩანს I დიათეზის *მანატრებს ის მე მას, მაჩვენებს ის მე მას, მაძინებს ის მე, მემძიმებს, მახალისებს ის მე* კაუზატიური ფორმების **კონვერსიის** გზით: კონვერსიისას იკარგება მაკაუზირებელი პირი - აგენსი (სუბიექტი), ხოლო პირდაპირი ობიექტი, რომელიც მისი გავლენით მოქმედებდა ან რომელიც განიცდიდა ამ მოქმედებას, გადააზრებულია სუბიექტად, რომელიც მიცემით ბრუნვაში დგას და ზმნაში მანის რიგის ფორმანტითაა აღნიშნული. სემანტიკურად იგი განმცდელი, სუსტი, ინაქტიური სუბიექტია, რომელიც სტაბილურად მიცემით ბრუნვაშია: *ანატრებს ის მას მას - მოანატრა მან მას ის -> ენატრება მას ის - მოენატრა მას ის; აჩვენებს ის მას მას -> ეჩვენება მას ის - მოეჩვენა მას ის; აზიზღებს ის მას მას - ეზიზღება მას ის - შეეზიზღა მას ის; აჯავრებს ის მას მას - ეჯავრება მას ის - შეეჯავრდა//შეეჯავრა მას ის; აწონებს ის მას მას - მოაწონა მან მას ის - > მოსწონს /მოეწონება მას ის - მოეწონა მას ის; აძინებს ის მას - დააძინა მან ის - >ეძინება მას - დაეძინა მას...*

***შენიშვნა:** ვფიქრობთ, ახსნა არ სჭირდება იმას, თუ როგორ ჩაიძირა ცნობიერებაში კაუზატიური ფორმის „მაიძულებელი“ პირი, ანუ „ინიციატორი“ და როგორ ამოტივტივდა და სუბიექტად გაცნობიერდა „ეკზეკუტორი“, პირი, რომელიც რეალურად მოქმედებდა, „მოსდიოდა“ კანკალი, ანუ რეალურად კანკალებდა არა თავისი ნებით, არამედ სხვისი ზემოქმედებით.

როგორც ცნობილია, იმის გამო, რომ გრამატიკაში (ქართული ზმნური შესიტყვების აღწერისას) ლოგიკური ცნება-ტერმინების, **სუბიექტ-ობიექტის** შემოტანამ ბევრი შეუსაბამობა და გაუგებრობა გამოიწვია (რის გამოც იძულებულნი არიან ტერმინებს „სუბიექტი და ობიექტი“ ლოგიკური და გრამატიკული ფუნქციების ერთმანეთისგან გასარჩევად დაამატონ ატრიბუტები „**ლოგიკური სუბიექტი / გრამატიკული სუბიექტი**“. არნ. ჩიქობავამ შემოიტანა სინტაქსური ცნება-ტერმინები: „**კოორდინაცია**“ და „**კოორდინატები**“, რაც საშუალებას იძლევა ზუსტად აღიწეროს ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმი.

სწორედ სუბიექტის აქტიური (ფიზიკური) და პასიური (სულიერი) ნებელობის მიხედვით უპირისპირდება ერთმანეთს იდენტური სტრუქტურის, მაგრამ სხვადასხვა კონსტრუქციის ფორმები: *ამცხიკვებს ის (მას) > ამცხიკვებს მას, აცემინებს ის (მას) > აცემინებს მას, ახველებს ის (მას) > ახველებს მას...* და აქედან შემდეგ, I დიათეზის ზმნათა ანალოგიით ვრცელდება II დიათეზის სტრუქტურის ზმნებშიც: *მამთუნარებს მე-მემთუნარება მე - ამთუნარებს მას -*

ემთხარება მას; ეცემინება მას, ემცხიკვება მას, ეხველება მას და ა.შ. და ასე, იქმნება მთელი სისტემა, რომელიც გენერაციის დიდი უნარით ხასიათდება (იხ. დ. მელიქიშვილი, 2001, III დიათეზა, პარადიგმები №7 (59) - №14 [66]).

ყველა ამ შემთხვევაში დაკარგული („ჩაძირული“) III პირის აგენსის მარკერი ზმნის ფორმაში უფუნქციო, რუდიმენტის სახითაა შემორჩენილი.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ I დიათეზის ზმნათა III სერიის ფორმების ინვერსიის თაობაზე, რამაც **უნებლიობისა და უნახაობის** სემანტიკა შესძინა ამ ფორმებს სწორედ იმის გამო, რომ მიწერია/მიგდია ტიპის სტატიკურ ზმნათა გადინამიკურების (>დამიწერია/დამიგდია) შედეგად ამ ფორმებში სუბიექტის გაგება შეიძინა მიცემითში დასმულმა პირმა და შესაბამისად, სუბიექტის მარკერის ფუნქცია დაეკისრა მ-ს რიგის პრეფიქსს, რომელიც ისტორიულად უძველესი ფორმაციის “აფექტურ”, **მიყვარს** ტიპის ზმნებში იმთავითვე სულიერი მოქმედების განმცდელი **სუსტი ნებელობის მქონე ინაქტიური სუბიექტის** მარკერი იყო.

ამგვარად, უნებლიობის სემანტიკის გამოხატვა III სერიაშიც და, საზოგადოდ, ქართული ზმნის უღლების სისტემაში დაკავშირებულია მ-ს რიგის პრეფიქსთან, ანუ მიცემითში დასმული პირის (რომელიც ლოგიკურად - ფუნქციით სუბიექტია, სუსტი ნებელობის, ინაქტიური სუბიექტია) მარკერთან (*ვ-ი-ხსენ-ებ - მ-ა-ხსენდ-ებ-ა, ვ-ი-გვიან-ებ - მ-აგვიანდება, ვ-იცინი- მ-ეცინება, ვ-ი-ღიმ-ებ-ი - მ-ე-ღიმ-ებ-ა, ვ-იღვიძ-ებ - მ-ე-ღვიძ-ებ-ა, ვ-ტირი - მ-ეტირება, ვ-ი-ნდომებ - მ-ი-ნდე-ბ-ა / მ-ე-ნდომ-ებ-ა, ვ-ნანობ - მ-ე-ნან-ებ-ა, ვ-ნატრობ-მ-ენატრება, ვ-იფხან - მ-ეფხანება, ვ-ი-ქავ-ებ - მ-ექავ-ებ-ა...*).

III დიათეზას შეიძლება **დატიური კონსტრუქციის დიათეზა ვუწოდოთ**, რადგანაც მასში შემავალი ზმნების სუბიექტი სტაბილურად მიცემით ბრუნვაში დგას.

დიათეზების სურათი შეიძლება შემდეგი დიაგრამით წარმოვადგინოთ:

დიათეზების სქემა

I დიათეზა (ერგატიული)	
<p>სტატიკური, (ნაწილობრივი, რელატიური სტატიკა) გვარი: ავტოაქტივი//რეფლექსივი</p> <p>სტრუქტურა: R-Ø; o-/უ-R[ე/ი]-Ø; prev.-R- ა-/o-/უ-R-th.- Ø</p> <p>კონსტრუქცია არასრული: [ის – მან; ის მას – მან მას]</p>	<p>დინამიკური</p> <p>გვარი: აქტივი</p> <p>სტრუქტურა: ა-/o-/უ-R-Ø; ა-/o-/უ-R [ე/ი]-Ø; ა-/o-/უ-R-th.suf.-Ø</p> <p>კონსტრუქცია სრული: [ის მას – მან ის; ის მას მას – მან მას ის]</p>

II დიათეზა (ნომინატიური)	
<p>სტატიკური (აბსოლუტური სტატიკა) უგვარო</p> <p>სტრუქტურა: Ø-/o-/უ-R-ი</p> <p>კონსტრუქცია არასრული: [ის – ის]</p>	<p>დინამიკური</p> <p>გვარი: ავტოაქტივი, აქტივი, პასივი</p> <p>სტრუქტურა: Ø-/უ-R-ებ-ი; Ø-/უ-R-დ-ებ-ი; ა-R-ებ-ი; ე-R-ებ-ი; o-/ე-R-ებ-ი</p> <p>კონსტრუქცია სრული: [ის –ის; ის მას – ის მას]</p>

III დიათეზა (დატიური)	
<p>სტატიკური (განმცდელი სუბ.)</p> <p>სტრუქტურა ძირეული: o-/უ-R-Ø o-/უ-R-ი</p> <p>კონსტრუქცია: [მას – მას; მას ის – მას ის]</p>	<p>სტატიკური, დინამიკური. (განმცდელი სუბ.)</p> <p>სტრუქტურა წარმოქმნილი: ა-R-ებ-Ø ე-R-ებ-ი</p> <p>კონსტრუქცია: [მას – მას; მას ის – მას ის]</p>

სქემიდან ჩანს, რომ „დიათეზა“ წარმოადგენს მორფო-სინტაქსურ დონესა და სემანტიკურ დონეს შორის შესაბამისობის სურათს. გვარი - დიათეზასთან მიმართებით სემანტიკური კატეგორიაა, იგი დიათეზის ქვესახეა, რომელსაც სემანტიკური დატვირთვა აქვს და გრამატიკულად არ არის მარკირებული: ავტოაქტივისა და აქტივის ახასიათებს როგორც **R-Ø**, ისე **R-ი** სტრუქტურა და როგორც ერგატიული, ისე ნომინატიური კონსტრუქცია: პასივისათვის აქედან **საზიაროა R-ი** სტრუქტურა ხოლო სპეციფიკურია **ნომინატიური** კონსტრუქცია. ამგვარად, როგორც ჩატარებული ანალიზიდან გამოჩნდა, **ავტოაქტიური და აქტიური სემანტიკის** სუბიექტი შეიძლება ჰქონდეს ერთი და იმავე მორფოლოგიური სტრუქტურის, მაგრამ განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციის მქონე I და II დიათეზის ზმნებს, ხოლო **პასიური /სუსტი, განმცდელი „ინაქტიური“ შინაარსის** სუბიექტი კი II და III დიათეზის განსხვავებული სტრუქტურისა და კონსტრუქციის ზმნებს. მაშასადამე, I დიათეზაში საერთო მორფოლოგიური სტრუქტურისა და ერგატიული სინტაქსური კონსტრუქციის მხოლოდ აქტიურსუბიექტიანი (მათ შორის ავტოაქტიური, რეფლექსივური) ზმნები თავსდება, II დიათეზაში - საერთო მორფოლოგიური სტრუქტურისა და ნომინატიური სინტაქსური კონსტრუქციის როგორც აქტიურსუბიექტიანი (მათ შორის ავტოაქტიური, რეფლექსივური) ისევე **პასიურსუბიექტიანი** ზმნები, ხოლო III დიათეზაში კი **ნარევი მორფოლოგიური სტრუქტურისა და დატივური სინტაქსური კონსტრუქციის განმცდელი, „ინაქტიური“ სუბიექტის** შემცველი ზმნები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქართული ზმნისათვის **დიათეზა გრამატიკული კატეგორიაა**, ხოლო მის ფარგლებში - **გვარი** სემანტიკური კატეგორია. აქტივ-პასივს შორის მორფოლოგიური (გრამატიკული) ოპოზიცია დიათეზების ფარგლებში არ არის, მაგრამ ეს ოპოზიცია, როგორც ვნახეთ, მოგვიანებით, ბერძნულიდან თარგმნის პროცესში ჩამოყალიბდა პერიფრასტული, აღწერითი საშუალებით (**„ყოფნა“ და „ქმნა“** მეშველი ზმნების დახმარებით).

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: ე.წ. **R-ებ-ი** სტრუქტურა საერთოა სამივე გვარისთვის: აქტივის, ავტოაქტივისა და პასივისათვის) აქტივ-პასივის ფორმალური, მორფოლოგიური ოპოზიცია უფრო გვიან ჩამოყალიბდა, მას მერე, რაც ბერძნულიდან პასიური კონსტრუქციების თარგმნისას აქტივის კონვერსიულმა ომონიმურმა ფორმამ აორისტში ბუნდოვანი გახადა კონტექსტის გაგება და ენამ გამოსავალი აღწერით წარმოებაში მოიპოვა: **„რომლითა ბოროტითა არა შევიპყარ! (=შეპყრობილ ვიქმენ); ფრიად ვცოდე და შევიგინე (შეგინებულ ვიქმენ); შეიწირე (შეწირულ იქმენ), ვითარცა ცხოვარი, ცოდვათათვის კაცთათა; დაიკალ (დაკლულ იქმენ) ჩუენ, უმადლოთა დაძვრის-მოქმედთათჳს; სღმრთოჲ პური ცხორებისა საშოსა შენსა, ღმრთისა დედაო, ჭეშმარიტად შეიცხო (შეცხოვილ იქმნა) და დაიცვა (დაცულ იქნა)**

უწინებლად, უბიწო; ... რაღათ არა განგდებულ-ვიქმნეთ, უღებებითა, არამედ, რაღათ მღკპარე ვიპოვნეთ, აღდგომილნი საქმითა კეთილითა...

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ: დიათეზა არის ქართული ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორია, რომელიც ხასიათდება მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობით. გვარი კი მისი ქვესახეა, რომელსაც სემანტიკური დატვირთვა აქვს და დიათეზების ფარგლებში გრამატიკულად არ არის მარკირებული.

არისტოტელეს ზოგადი კონცეფციიდან გამომდინარე, დიათეზის გრამატიკული კატეგორია არის ზმნური შესიტყვების სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის ორგანიზაციისა და ზმნური აქტანტების სინტაქსური რელაციის მორფოლოგიური გამოხატვის წესების ერთობლიობის სისტემა, რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა ენაში, მათ შორის, ქართულსა და ევროპულ ენებში: კერძოდ, ქართული ენის ზმნური შესიტყვების სისტემა ევროპულისაგან განსხვავებით, რთულია, მაგრამ მკაცრად ორგანიზებული და ლოგიკურად გამართულია აქტანტთა სუბორდინაცია-კოორდინაციის საფუძველზე.

ეს სისტემა საერთოა ქართველური ზმნური შესიტყვებისათვის, რომელმაც მეგრულსა და ლაზურში გარკვეული ცვლილება განიცადა, რაც მეტყველების ეკონომიურობის ტენდენციითა და ენობრივი მოვლენებისათვის დამახასიათებელი სისტემური ანალოგიის პროცესებით აიხსნება, რაც ერთგვაროვანია ქართველურ ენა-კილოებში (იხ. ნ. ფუტკარაძე, სამაგისტრო ნაშრომი: „I და II დიათეზის ავტიაქტივების შესატყვისი ზმნები მეგრულში“; თ. ბიკაშვილი სამაგისტრო ნაშრომი: „I და II დიათეზის ავტიაქტივების შესატყვისი ზმნები სვანურში“).

საბოლოოდ, შეგვძლია შევაჯამოთ:

1. ნაწილობრივი სტატიკის, შეფარდებით (მიმართებით)-სტატიკური ავტიაქტივები და დინამიკური აქტივები პირველი დიათეზის ორი განშტოებაა, უსრული და სრული კონსტრუქციით. აქვე შედის ლაბილური კონსტრუქციის ავტიაქტივთა ფორმები, რომელთა შინაგანი პირდაპირი ობიექტი ხან ამოტივტივდება, ხან იკარგება (თამაშობს ის - თამაშობს ის მას, ლაპარაკობს ის - ლაპარაკობს ის მას, სწავლობს ის - სწავლობს ის მას, უჩხიკინებს ის მას - უჩხიკინებს ის მას მას და სხვ.).

2. R-ი სტრუქტურის უგვარო სტატიკური და R-ებ-ი სტრუქტურის დინამიკური ზმნები, შესაბამისად უსრული და სრული ნომინატიური კონსტრუქციით, მეორე დიათეზის ორი განშტოებაა აწმყოს -ი სუფიქსური საერთო მახასიათებლით.

3. მესამე დიათეზაშიც ორი ქვეჯგუფია: I ქვეჯგუფი *მიყვარ-ს, მძულ-ს და მში-ი-ს, მწყურ-ი-ს* (> *მში-ი-ა, მწყურ-ი-ა*) ტიპის R-Ø და R-ი სტრუქტურის ძირეული დატიური კონსტრუქციის არქაული ზმნებისა და II ქვეჯგუფი: *ნარევი, ა-R- ებ-Ø და R-ებ-ი* სტრუქტურის ინვერსიული დატიური კონსტრუქციის მქონე ზმნებს შეადგენს.

ამგვარად, როგორც ანალიზმა დაგვანახა, თითოეულ დიათეზა წარმოადგენს მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობას ისევე, როგორც თითოეული სერია წარმოადგენს ერთგვარი მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობას.

დიათეზასა და გვართან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის მიზნით გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ლენინგრადის ენათმეცნიერულ სკოლაში დაიწყო დიათეზისა და გვარის უნივერსალურ-ტიპოლოგიური კონცეფციის დამუშავება, რასაც არაერთი კოლექტიური თუ ინდივიდუალური შრომა და კრებული მიეძღვნა. მუშაობაში მოსკოვისა და სსრკ-ს სხვა ქალაქების, საზღვარგარეთის ლინგვისტებიც ჩაებნენ, მაგრამ პრობლემა მოუგვარებელი დარჩა, რასაც თვით ამ კონცეფციის მონაწილენიც აღიარებდნენ. ვფიქრობთ, რომ ამ გაურკვევლობის და ბუნდოვანების მიზეზი კლასიფიკაციის პრინციპების დარღვევა და კრიტერიუმების აღრევაა: აღნიშნული კონცეფციის მიხედვით გვარი განსაზღვრულია (გაგებულია), როგორც „ზნაში გრამატიკულად მარკირებული დიათეზა“. ხოლო დიათეზის გაგება კი ეფუძნება სემანტიკური (სუბიექტ-ობიექტის) პლანისა და სინტაქსური (ქვემდებარე-დამატების) პლანის ურთიერთშესაბამისობას. მაგ. ა. ხოლოდოვიჩის განსაზღვრებით, დიათეზა - ეს არის სინტაქსურ დონესა და სემანტიკურ დონეს შორის შესაბამისობის სქემა, ხოლო გვარი - გრამატიკულად მარკირებული კატეგორია (უნდა აღინიშნოს, რომ ამავე სემანტიკურ დეფინიციას ეყრდნობა ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ნაშრომში „დიათეზა და გვარის კატეგორია ქართულში“ ზ. ბარათაშვილი (ენათმეცნიერების საკითხები, 2013, გვ.66-80), რის გამოც ავტორი იმავე შეუსაბამო სურათს იღებს: ერთმანეთში აღრეულია გრამატიკული და სემანტიკური კატეგორიები. თუმცა ასკვნის, რომ ქართულში გვარის გრამატიკული კატეგორია არ არსებობს, მაგრამ არ ჩანს, საიდან გამომდინარეობს ეს დასკვნა. დიათეზის, როგორც გრამატიკული კატეგორიის ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი სქემა მართლაც აჩვენებს სინტაქსურ დონესა და სემანტიკურ დონეს შორის შესაბამისობას, მაგრამ ამ სქემაში სემანტიკური დონე ექვემდებარება დიათეზის გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც განსაზღვრულია მორფო-სინტაქსური თვალსაზრისით, სხვაგვარად: ამ სქემაში დიათეზა გრამატიკული ნიშნით განსაზღვრული კატეგორიაა (რომელიც მარკირებულია მორფო-სინტაქსური

ნიშნებით: სტრუქტურითა და კონსტრუქციით) გვარი კი დიათეზების მიხედვით კლასიფიკაციის ფარგლებში სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც არ არის გრამატიკულად მარკირებული: აქტიური სემანტიკა გადმოიცემა როგორც I დიათეზის R[th.suf]-Ø სტრუქტურით, ასევე II დიათეზის R[th.suf]-ი სტრუქტურითაც, ხოლო პასიური სემანტიკა კი მხოლოდ II დიათეზის R[th.suf]-ი სტრუქტურით. ამ მხრივ ცალკე დგას „დატიური კონსტრუქციის“ III დიათეზა, რომელიც შერეული სტრუქტურისაა: ამ ჯგუფში ძირითადად ე.წ. „აფექტური“, სულიერი და მენტალური მოქმედება-მდგომარეობის ზმნებია გაერთიანებული, რომელთა სუბიექტი სუსტი ნებელობის, განმცდელი, ინაქტიური პირია, რომელიც უგამონაკლისოდ მ-ს რიგის პირის მარკერით აღინიშნება. ამ თვალსაზრისით III დიათეზას შეიძლება „ინაქტიური“ დიათეზაც ეწოდოს.

ლექცია № 11

პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემა

პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ, რა არის პირის ნიშანთა გრამატიკული ანუ მორფო-სინტაქსური ფუნქცია:

1. პირის ნიშანთა გრამატიკული ანუ მორფო-სინტაქსური ფუნქცია არის პირის რომელობის აღნიშვნა; ობიექტსა და სუბიექტზე მითითება პირის ნიშანთა ლოგიკური ფუნქციაა და არა გრამატიკული: მანის რიგის ნიშანს ისევე შეუძლია სუბიექტის მარკირება, როგორც ობიექტისა; ასევე, ვინის რიგის ნიშანიც შეიძლება გამოხატავდეს როგორც სუბიექტურს, ასევე ობიექტურ პირსაც.

2. ზმნის ფორმაში მონაწილე პირების (აქტანტების, პარტიციპანტების) ბრუნვის მარკერების პირის ნიშნებთან შესაბამისობის მითითება, რაც ქართული ზმნური შესიტყვების სტრუქტურაში ისტორიულად მყარი და უცვლელია:

1. nom. / nom. (გ-)
2. nom. / nom. (გ-) + dat. / dat.(მ-)
3. nom. / erg. (გ-)+dat. / nom. (მ-)
4. nom. / erg. (გ-) +dat. / nom. (მ-)+ dat. / dat. (Ø-ა)
5. nom. / erg. (გ-) +dat. / nom. (Ø) + dat. / dat. (მ-ა)

პირის მარკერების ბრუნვის ნიშნებთან შესაბამისობა მყარია, მაგრამ გარკვეულ პირობებში შეიძლება შეიცვალოს მარკერის ლოგიკურ-სემანტიკური ფუნქცია, რაც მეტყველის ცნობიერებაში ზმნური შესიტყვების მონაწილე პირთა ლოგიკურ-სემანტიკური ფუნქციის გადააზრიანების (რეინტერპრეტაციის) შედეგია და, რასაც შეიძლება თვალი გავადევნოთ ქართული ზმნური შესიტყვების განვითარების მანძილზე ძველიდან თანამედროვე ქართულამდე (სტატიკური ზმნების დინამიკურ პარადიგმაში მოქცევა და დრო -კილოთა ახალი, III სერიის ჩამოყალიბება პირის ნიშანთა ლოგიკური ფუნქციების შებრუნების, ინვერსიის შედეგად (*მიკეთია, მეკეთა ის მე > გამიკეთია > გამიკეთებია, გამეკეთა > გამეკეთებინა მე ის*); ასევე, III დიათეზის II ქვეჯგუფის ჩამოყალიბება პირის ნიშანთა სემანტიკური ფუნქციის გადააზრიანების შედეგად (*მაცემინებს მაცახცახებს, მაჟოლოებს, მაციებს, მენატრება, მენანება და სხვ.*).

ამგვარად, ქართულ ზმნაში, განსხვავებით ინდოევროპული ზმნისაგან, მარკირებულია ე.წ. პირმომართი აქტანტები (პირები) როგორც სუბიექტის ფუნქციით, ისე ობიექტის სემანტიკურ-ლოგიკური ფუნქციით დატვირთული პირიც, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სუბიექტს თავისი საკუთარი ნიშანი აქვს და ობიექტს - თავისი: ქართული ზმნა მარკირების თვალსაზრისით არ განარჩევს სუბიექტ-ობიექტს: ამ ფუნქციით დატვირთული ორივე პირი სინტაქსურად თანასწორუფლებიანია, ზმნას ორივე ფუნქციის მქონე პირთან, სუბიექტურთანაც და ობიექტურთანაც შეიძლება კოორდინაციული დამოკიდებულება ჰქონდეს.

სწორედ ამგვარად აღწერს და განიხილავს არნ. ჩიქობავა სინტაქსურ ურთიერთობის მექანიზმს ქართული ზმნური შესიტყვების წევრებს შორის, როდესაც ლაპარაკობს სინტაქსის საგანსა და მიზანზე: „*ამა თუ იმ ენის სინტაქსის მიზანია გამოარკვიოს: 1. რა ფორმები შეიძლება შეახამოს ენამ... და 2. როგორია მის შესიტყვებათა სტრუქტურა-მექანიზმი*“ (იხ. არნ ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1968წ., გვ.109-127).

ამგვარად, მ-ს რიგის მარკერმა შეიძლება სუბიექტიც აღნიშნოს ზმნაში და ობიექტიც; ამ მხრივ გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება: **ფიზიკური, სივრცული, მატერიალური** მოქმედების გამომხატველ ზმნებში სუბიექტს ძირითადად ვ-ს რიგის მარკერი მიემართება, **არამატერიალური, სულიერი, მენტალური** შინაარსის ზმნებში კი მ-ს რიგისა. ამ მხრივ გამონაკლისს I დიათეზის III სერიის ფორმები წარმოადგენენ, რომლებიც ისტორიულად II დიათეზის ფლობა-ქონების შინაარსის სტატუკური ზმნების ინვერსიის შედეგად არიან ჩამოყალიბებულნი და დიათეზის ზმნების პარადიგმაში მოექცნენ: **ვ-აკეთებ მე/აკეთებს ის - გა-მ-იკეთებია (<გამიკეთია<მიკეთია) მე/ გაუკეთებია მას**, ამიტომ სერიების სისტემაში ისინი **ვაკეთებ** ფორმის ინვერსიული წყობისად აღიქმებიან.

მორფოლოგიური ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ქართული ზმნა ძირითადად აგლუტინაციური აგებულებისაა, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველ კატეგორიას თავისი ნიშანი აქვს, თუმცა, არის ფლექსიური ტიპის ნიმუშებიც.

პირის გამოხატვის პრინციპი ქართულ ზმნაში ძირითადად პრეფიქსულია, რიცხვისა კი - სუფიქსური. თუმცა არის გამონაკლისები, რასაც თავისი მიზეზები აქვს და ახსნაც მოეპოვება, რისთვისაც დაგვჭირდება ქართული ენის ისტორიიდან სათანადო საკითხების მოკლე განხილვა.

მაგრამ, სანამ საკითხის განხილვაზე გადავალთ, წინასწარ საჭიროა შევთანხმდეთ, რომ **სუბიექტი და ობიექტი ლოგიკური ცნებებია** და არა გრამატიკული: შესაბამისად, ამ ტერმინებს ლოგიკური გაგებით ვიყენებთ.

შენიშვნა: როდესაც ზმნური ფორმების მორფოლოგიური აღწერა ხდება (განსაკუთრებით ენათა მანქანური, კომპიუტერული დამუშავებისას) ცხადია, არ არის მიზანშეწონილი ლოგიკური ცნება-ტერმინების გამოყენება: ეს არის პრინციპული მეთოდოლოგიური საკითხი, რომლის დასაბუთებასაც მიეძღვნა არნ. ჩიქობავას ფუნდამენტური ნაშრომი სინტაქსში - “მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში” (1928; 1968).

თუ ამოვალთ დინამიკური ზმნების აგებულებიდან (ვ-თბები, ვ-ათობი, ვ-უთობი, ვ-იმალები, ვ-მალავ, ვ-უმალავ), მაშინ ლოგიკურ ფუნქციასა და გრამატიკულ ელემენტთა, პირთა „რომელობის“ მარკერებს შორის ურთიერთმიმართების ცხრილი (ანუ I, II და III პირის გრამატიკული მარკერების ცხრილი) დიათეზების მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება (გამონაკლისის გარეშე):

ლოგიკურ-სემანტიკური ფუნქცია	პირთა როლულობა	I დიათეზა: (LS-nom.-erg.) I და II სერიებში		I დიათეზა: (LS-dat.) III სერიაში	
		II დიათეზა: (LS-nom.-nom) I, II და III სერიებში		III დიათეზა: (LS-dat.) I, II, III სერიებში	
		მხოლობითი	მრავლობითი	მხოლობითი	მრავლობითი
სუბიექტი [L-S]	1	ვ-	-თ	მ-	გვ-
	2	∅-, ხ-	-თ	გ-	-თ
	3	-ს, -ა, -ო	-ენ, -ან, -ნენ, -ნ, -ეს	∅-, ჰ-, ს-	-თ
ობიექტი [L-O]	1	მ-	გვ-	ვ-	-თ
	2	გ-	-თ	∅-	-თ
	3	ირიბი ობიექტი ∅-, ჰ-, ს-	- ∅, -თ	-ს, -ა	-∅
		პირდაპირი ობიექტი ∅-, ჰ-, ს-	-∅		

როგორც ვხედავთ, ცხრილში მოცემულია პირის გრამატიკული მარკერების ფუნქციები დიათეზების მიხედვით, რაც შეიძლება ასეც წარმოვადგინოთ:

სუბიექტის [L-S] ფუნქციის მქონე პირების მარკერების ტაბულა
III დიათეზისათვის და I დიათეზის III სერიის ფორმებისათვის

მხ.რ.	მრ.რ.
I მ-	გვ-
II გ-	გ---თ
III ∅-	∅----თ*

ობიექტის [L-O] ფუნქციის მქონე პირების მარკერების ტაბულა
III დიათეზისათვის და I დიათეზის III სერიის ფორმებისათვის

მხ.რ.	მრ.რ.
I ვ-	-თ
II ∅-	-თ
III -ა, -ს	- ∅

სუბიექტის [L-S] ფუნქციის მქონე პირების მარკერების ცხრილი
II დიათეზისათვის

მხ.რ.	მრ.რ.
I ვ-	-თ
II Ø-, (ს-, ჰ-)*	-თ
III -ს, -ა, -ო	-ენ/-ან, -ნ, -ეს

ობიექტის [L-O] ფუნქციის მქონე პირების მარკერების ტაბულა
II დიათეზისათვის

მხ.რ.	მრ.რ.
I მ-	გვ-
II გ-	-თ
III ჰ-, ს-, Ø-	-თ*

როგორც ტაბულებიდან ჩანს, ზმნაში პირის გამოხატვის ძირითადი პრინციპი პრეფიქსულია, რიცხვისა კი სუფიქსური. გამონაკლისი ორივე შემთხვევაში გვაქვს:

პირის გამოხატვის პრინციპი დარღვეულია ვინის რიგის უღლების III პირში, რიცხვის გამოხატვისა კი მანის რიგის უღლების ობ. I პირში. III პირის ნიშნებში [L-S]-ის შემთხვევაში ორი დარღვევაა: ჯერ ერთი, პრეფიქსის ნაცვლად პირის ნიშნად სუფიქსია, მეორეც, დარღვეულია აგლუტინაციის პრინციპი. ერთი პირისათვის სამი ნიშანია: მათგან -ა და -ო აორისტში (წყვეტილში) იხმარება. -ო მიღებულია ა-სგან ფონეტიკური ცვლილებების შედეგად ძირითადად უხმოვნო ძირიან ფორმებში (ვა>ო) აქევ-ა --> აქვა --> აქო (სადაც -ევ წყვეტილის თემის უძველესი სუფიქსია, რომელიც დღესაც ცოცხალია ქართლ-კახურ დიალექტში: გავაკეთევი, წავიღევი...). მაგრამ -ს და -ა სუფიქსების ხმარება განაწილებულია სხვადასხვა დრო-კილოს მიხედვით, ე.ი. პრინციპი ფლექსიურისას ჰგავს. გარდა ამისა, მრავლობით რიცხვშიც რამდენიმე სუფიქსია, რომელიც ჩაენაცვლება ჩამოცილებულ პირის ნიშნებს და მათი ხმარება განაწილებულია დრო-კილოებისა და გვარების მიხედვით (იხ. უღლების ტაბულები), დაახლოებით ისე, როგორც ეს ფლექსიურ (ევროპულ) ენებშია.

ერთი შესაძლებელი ახსნა ამ ანომალიისა არის ის, რომ ისტორიულად [L-S₃]-ის მარკერს სხვა ფუნქცია უნდა ჰქონოდა. კერძოდ, ჩრდილო კავკასიური ენების (მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე ქართული შერეული დიალექტის, წოვა-თუშურის) მაგალითის მიხედვით ჩანს, რომ კლასოვანი უღლებიდან პირიან უღლებაზე გადავლისას პირის ნიშნებით (ნაცვალსახელოვანი ელემენტების გაცვეთის შედეგად) ფორმდება პერსონალური I და II პირები. III პირი

გაუფორმებელია. კლასის კატეგორიის გამომხატველი სუფიქსი, მას შემდეგ, რაც კლასოვანი უღლება პირიანმა შეცვალა, გაგებულ იქნა L-S₃ პირის ნიშნად. მიზეზი პირის გამომხატვის პრეფიქსული პრინციპის დარღვევისა ეს უნდა იყოს.

რაც შეეხება ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის პრეფიქსით გამომხატვას (რაც აგრეთვე ანომალიაა), ეს გამოწვეულია იმით, რომ გვ- (<გუ-<გმ-) პრეფიქსი წარმოშობით ინკლუზივის (გ+მ = L-O₂ + L-O₁) ნიშანია, რომელიც თავისთავად ერთზე მეტ პირს გამომხატავდა და სწორედ ამის გამო ქართული ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ქართული ზმნის პირთა გამომხატვის სისტემაში მრავლობითი რიცხვის ნიშნად იქნა გაგებული, რაც სტატიკურ ზმნებში სახელობითბრუნვიანი პასიური აქტანტის სინტაქსური ძალის დასუსტებასა და მიცემითბრუნვიანი აქტანტის, რომელიც ამგვარ ზმნებში, ჩვეულებრივ, პერსონალური პირია, ლოგიკურ (რეალურ) სუბიექტად (აგენსად) გადააზრიანებას ანუ ინვერსიას მოჰყვება (ამ საკითხზე ცალკე გვექნება საუბარი).

**I და II დიათეზის ზმნათა უღლების ნიმუშები
სერიებისა და მწკრივების მიხედვით**

I სერია		
აწმყოს ჯგუფი		
აწმყო (რას ვშვრებ?) ვვორავ - გორავს ვაგორებ - აგორებს ვვორდები - გორდება	უწყვეტილი (რას ვშვრებოდი?) ვვორავდი - გორავდა ვაგორებდი - აგორებდა ვვორდებოდი - გორდებოდა	აწმყოს კავშირებითი (რას ვშვრებოდე?) ვვორავდე - გორავდეს ვაგორებდე - აგორებდეს ვვორდებოდე - გორდებოდეს
მყოფადის ჯგუფი		
მყოფადი (რას ვიზამ?) ვიგორებ - იგორებ გავაგორებ - გააგორებს გავვორდები - გაგორდება	ხოლმეობით-პირობითი¹ (რას ვიზამდი?) ვიგორებდი - იგორებდა გავაგორებდი - გააგორებდა გავვორდებოდი - გაგორდებოდა	მყოფადის კავშირებითი (რას ვიზამდე?) ვიგორებდე - იგორებდა, გავაგორებდე - გააგორებდეს გავვორდებოდე - გაგორდებოდეს

II სერია		
წყვეტილი (რა ვქენი?) ვიგორე - იგორა გავაგორე - გააგორა გავვორდი - გაგორდა	II კავშირებითი (რა ვქნა?) ვიგორო - იგოროს გავაგორო - გააგოროს გავვორდე - გაგორდეს	ბრძანებითი² (რა ვქნათ?) ვიგოროთ - იგორე/თ - იგო-როს/ნ გავაგოროთ - გააგორე/თ - გააგოროს/ნ გავვორდეთ - გაგორდი/თ - გაგორდეს/ნენ

III სერია		
I რეზულტატივი (რა მიქნია?) მიგორია - უგორია გამიგორებია - გაუგორებია გავგორებულვარ- გაგორებულა	II რეზულტატივი (რა მიქნა?) მეგორა - ეგორა გამეგორებინა - გაე-გორებინა გავგორებულიყავ(ი) - გაგორებულიყო	III კავშირებითი (რა მიქნას?) მეგოროს - ეგოროს გამეგორებინოს - გაეგორებინოს გავგორებულიყო - გაგორებულიყოს

¹ ხოლმეობით-პირობითი მწკრივის ფორმებს თხრობით წინადადებაში ხოლმეობითის გაგება და წარსული დროის მნიშვნელობა აქვთ, პირობითი კილოს გაგება და მომავალი დროის მნიშვნელობა კი პირობით-შედეგობით წინადადებაში.

² პარადიგმებში თავისუფალი ადგილის შემთხვევაში II სერიის გრაფაში ბრძანებითის ფორმებსაც ვუჩვენებთ.

პირთა კომბინაციების ტაბულები

ტაბულა №1 ვეზრდები მე მას

O S	1. მე	2. შენ	3. მას	1. ჩვენ	2. თქვენ	3. მათ
1. მე	-	ვეზრდები	*ვეზრდები	-	ვეზრდებით	ვეზრდები
2. შენ	ვეზრდები	-	*ვეზრდები	ვეზრდები	-	ვეზრდები
3. ის	ვეზრდება	ვეზრდება	*ვეზრდება	ვეზრდება	ვეზრდებათ	ვეზრდება
1. ჩვენ	-	ვეზრდებით	ვეზრდებით	-	ვეზრდებით	ვეზრდებით
2. თქვენ	ვეზრდებით	-	ვეზრდებით	ვეზრდებით	-	ვეზრდებით
3. ისინი	ვეზრდებიან	ვეზრდებიან	ვეზრდებიან	ვეზრდებიან	ვეზრდებიან	ვეზრდებიან

ტაბულა №2 ვზრდი მე მას

O S	1. მე	2. შენ	3. მას	1. ჩვენ	2. თქვენ	3. მათ
1. მე	-	ვზრდი	*ვზრდი	-	ვზრდით	ვზრდი
2. შენ	ვზრდი	-	*ვზრდი	ვვზრდი	-	ვზრდი
3. ის	ვზრდის	ვვზრდის	*ვვზრდის	ვვვზრდის	*vzrdion	ვვზრდის
1. ჩვენ	-	ვვზრდით	ვვვზრდით	-	ვვვზრდით	ვვვზრდით
2. თქვენ	ვვზრდით	-	*ვვზრდით	ვვვზრდით	-	ვვვზრდით
3. ისინი	ვვზრდიან	ვვვზრდიან	*ვვვზრდიან	ვვვვზრდიან	ვვვვზრდიან	ვვვვზრდიან

შენიშვნა: წარმოდგენილ ტაბულებში* ვარსკვლავით აღნიშნულია ფორმები, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევა.

კომბინაცია L-S1 → L-O1, L-S2 → L-O2, L-S3 → L-O3 საობიექტო მიმართებიდან სასუბიექტო (რეფლექსივის) მიმართების ფორმად იქცევა:

მიზრდი მე შენ მას, ვუზრდი მე მას მას, მაგრამ: მე (ჩემთვის) ვიზრდი მას, შენ (შენთვის) იზრდი მას; იზრდის ის მას.

ტაბულა №3 ვუზრდი მე მას მას

O S	1. მე 3. მას/მათ	2. შენ 3. მას/მათ	3. მას 3. მას/მათ	1. ჩვენ 3. მას/მათ	2. თქვენ 3. მას/მათ	3. მათ 3. მას/მათ
1. მე	-	ვიზრდი	*უვზრდი	-	ვიზრდით	უვვზრდი
2. შენ	ვიზრდი	-	*უვზრდი	ვივზრდი	-	უვვზრდი
3. ის	ვივზრდის	ვივვზრდის	*უვვვზრდის	ვივვვზრდის	ვივვვვზრდით	უვვვვზრდის
1. ჩვენ	-	ვივვზრდით	უვვვვზრდით	-	ვივვვვზრდით	უვვვვვზრდით
2. თქვენ	ვივვვზრდით	-	*უვვვვზრდით	ვივვვვვზრდით	-	უვვვვვზრდით
3. ისინი	ვივვვვზრდიან	ვივვვვვზრდიან	*უვვვვვვზრდიან	ვივვვვვვვზრდიან	ვივვვვვვვვზრდიან	უვვვვვვვვზრდიან

ტაბულა №4 მომამსგავსა მან მე ის

O S	1. მე 3. ის/ისინი	2. შენ 3. ის/ისინი	3. მას 3. ის/ისინი	1. ჩვენ 3. ის/ისინი	2. თქვენ 3. ის/ისინი	3. მათ 3. ის/ისინი
1. მე	-	მოვამსგავსე	*მოვამსგავსე	-	მოვამსგავსეთ	მოვამსგავსეთ
2. შენ	მოვამსგავსე	-	*მოვამსგავსე	მოვავამსგავსე	-	მოვამსგავსე
3. მან	მოვამსგავსა	მოვავამსგავსა	*მოვამსგავსა	მოვავამსგავსა	მოვავამსგავსათ	მოვამსგავსა
1. ჩვენ	-	მოვავამსგავსეთ	*მოვავამსგავსეთ	-	მოვავამსგავსეთ	მოვავამსგავსეთ
2. თქვენ	მოვავამსგავსეთ	-	*მოვავამსგავსეთ	მოვავავამსგავსეთ	-	მოვავამსგავსეთ
3. მათ	მოვავამსგავსეს	მოვავავამსგავსეს	*მოვავამსგავსეს	მოვავავამსგავსეს	მოვავავამსგავსეს	მოვავამსგავსეს

ტაბულა №5 მიმამსგავსა მან მე მას

O S	1. მე 3. მას/მათ	2. შენ 3. მას/მათ	3. ის 3. მას/მათ	1. ჩვენ 3. მას/მათ	2. თქვენ 3. მას/მათ	3. ისინი 3. მას/მათ
1. მე	-	მივამსგავსე	*მივამსგავსე	-	*მივამსგავსეთ	მივამსგავსე
2. შენ	მივამსგავსე	-	*მივამსგავსე	მივავამსგავსე	-	მივამსგავსე
3. მან	მივამსგავსა	მივავამსგავსა	*მივამსგავსა	მივავამსგავსა	*მივავამსგავსათ	მივამსგავსა
1. ჩვენ	-	მივავამსგავსეთ	*მივავამსგავსეთ	-	მივავამსგავსეთ	მივავამსგავსეთ
2. თქვენ	მივავამსგავსეთ	-	*მივავამსგავსეთ	მივავავამსგავსეთ	-	მივავამსგავსეთ
3. მათ	მივავამსგავსეს	მივავავამსგავსეს	*მივავამსგავსეს	მივავავამსგავსეს	*მივავამსგავსეს	მივავამსგავსეს

როგორც ტაბულებიდანაც ჩანს, S_1O_2 და S_2O_1 კომბინაციების დროს ზმნაში წარმოდგენილია ობიექტური პირის მარკერი. ხოლო S_3O_1 , S_3O_2 და S_3O_3 კომბინაციების დროს კი ორივე პირის - L-სუბიექტისა და L-ობიექტის აღნიშვნის (მარკირების) შესაძლებლობაა, რადგანაც L- S_3 -ის მარკერი სუფიქსია და ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი პირის ნიშნები პრეფიქსებია. ამავე დროს, ადვილი შესამჩნევია, რომ მოთხრობითში დასმული აქტანტი (აქტიური ზმნის აგენსური L-სუბიექტი) სტაბილურად ვ-ს რიგის ნიშნებით გამოიხატება (L- S_1 - ვ-; L- S_2 - Ø; L- S_3 - ს, -ა, -ო); მიცემითში დასმული აქტანტი მ-ს რიგის ნიშნებით (L- O_1 - მ-; L- O_2 - გ-; L- O_3 - ჰ-, ს-, Ø-); სახელობითში დასმულ აქტანტს კი ორივე რიგის ნიშანი გამოხატავს ფუნქციის შესაბამისად: როცა სახელობითში დასმული აქტანტი L-სუბიექტის როლს (ფუნქციას) ასრულებს, იგი ვ-ს რიგის ნიშნითაა გამოხატული და ასეთ შემთხვევაში ის კომბინაციაშია მიცემითბრუნვიან აქტანტთან, ხოლო სახელობითში დასმული აქტანტი, რომელიც კომბინაციაშია მოთხრობითბრუნვიან აქტანტთან (წყვეტილში), ყოველთვის L-ობიექტია და გამოხატულია მ-ს რიგის ნიშნებით. პირობითად ეს შეიძლება ასეთი ფორმულით წარმოვადგინოთ:

1. nom. / nom. (ვ-)
2. nom. / nom. (ვ-) + dat. / dat. (მ-)
3. nom. / erg. (ვ-)+dat. / nom. (მ-)
4. nom. / erg. (ვ-) +dat. / nom. (მ-)+ dat. / dat. (Ø-ა)
5. nom. / erg. (ვ-) +dat. / nom. (Ø) + dat. / dat. (მ-ა)

III დიათეზის გარკვეული სემანტიკის (სულიერი მდგომარეობის, მენტალური შინაარსის...) ზმნებში ფორმასა და [L] ფუნქციას შორის პირდაპირი შესაბამისობა დარღვეულია ინვერსიის პროცესის შედეგად. ამათგან, მეორე ფორმულაში მარტივი წინადადების ევოლუციის პროცესში (იხ. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1968წ. დამატება II: მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, გვ. 269-280). გარკვეული სემანტიკის ზმნებში მოხდა ცვლილება: დაირღვა პირდაპირი შესაბამისობა სემანტიკასა და მორფოლოგიურ ელემენტებს შორის და მოხდა პირის ნიშანთა ფუნქციების შენაცვლება, რასაც ჩვენ ინვერსიას ვუწოდებთ.

ლექცია №12

ინვერსია ქართულ ზმნაში დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტით

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ინვერსიის საკითხი განიხილება პირის ნიშანთა ტრადიციული ცხრილიდან ამოსვლით, რომელშიც L-სუბიექტის [L-S] მარკერებად აპრიორი კვალიფიცირებულია „ვინის რიგის“ ფორმანტები, ხოლო L-ობიექტის [L-O] ნიშნებად კი „მანის რიგისა“. ამ თვალსაზრისიდან ამოსვლით პირის ნიშანთა ინვერსია ქართულ ზმნაში სხვადასხვაგვარად გაიაზრება: ა. შანიძე ინვერსიას თანამედროვე ქართული ენის სინქრონულ, ჭრილში განიხილავს და ინვერსიულად მხოლოდ III სერიის ფორმებს მიიჩნევს (რომლებშიც [L-S]-ის ფუნქციას მანის რიგის მარკერები ასრულებენ) I სერიის ფორმებთან მიმართებით (სადაც ვინის რიგის ნიშნები [L-S]-ის ფუნქციას ასრულებენ). არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია ამოსავლად ამავე ცხრილს იღებენ, ოღონდ ინვერსიას დიაქრონიულ ჭრილში განიხილავენ და მარტივი წინადადების ევოლუციის შეგებად თვლიან. (იხ. არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ.93-94) მესამე თვალსაზრისით, რომელიც ინვერსიას მხოლოდ სინქრონიულ ჭრილში განიხილავს, პირის ნიშანთა ინვერსია ქართულ ზმნაში **საერთოდ უარყოფილია** იმ მიზეზით, რომ რეალური სუბიექტის ნიშანი თანაბრად შეიძლება იყოს ვ-ს რიგის მარკერიც და მ-ს რიგისაც (თ. უთურგაიძე, ქ. დათუკიშვილი).

მართლაც, ჩვენ ვნახეთ, რომ ქართულ ზმნაში პირის მარკერების გრამატიკული ფუნქცია პირის რომელობის აღნიშნვაა: პირის ნიშნები არ განარჩევენ სუბიექტისა და ობიექტის ლოგიკურ კატეგორიებს, ვ-ს რიგის მარკერს შეუძლია გამოხატოს როგორც სუბიექტური პირი, ასევე ობიექტურიც, ასევე მ-ს რიგის მარკერით ორივე პირი შეიძლება აღინიშნოს. და ეს ხდება არა მხოლოდ III სერიის ფორმებში, არამედ, როგორც ვნახეთ, მოიცავს მთელ III დიათეზას.

როდესაც ამ საკითხს სინქრონიაში განიხილავს, ა. შანიძე, გამომდინარე იქიდან, რომ იგი წინასწარ შემუშავებული, ტრადიციული ცხრილიდან ამოდის, რომელიც აქტიურსუბიექტიანი დინამიკური ზმნების მიხედვითაა შედგენილი და, რომელშიც [L-S]-ის მარკერი ვ- პრეფიქსია, ხოლო [L-O]-ისა მ-, ცხადია, იგი აქტივის III სერიის ფორმებს (*გა-მ-ი-კეთება*), რომლებშიც [L-S]-ის მარკერი მ-ს რიგის პრეფიქსია, I სერიის ფორმებთან (*ვ-აკეთებ*) მიმართებით ინვერსიულად მიიჩნევს. მაგრამ ინვერსიულად არ თვლის „*მიყვარს*“ ტიპის ზმნებს, რადგანაც მიაჩნია, რომ ამ ტიპის ზმნებში [L-S]- სუბიექტი სახელობითი დასმული აქტანტია, რომელიც ამ გრძნობის გამომწვევი პირია. ამავე აზრისაა თ.

უთურგაიბეც, თუმცა, იგი არ ცნობს პირის ნიშანთა ტრადიციულ ცხრილს, მაგრამ გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებსაც არ მიიჩნევს ინვერსიულად.

არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია ინვერსიას განიხილავენ როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულ ენობრივ მოვლენას, რომელიც მეტყველის ცნობიერებაში მომწიფდა და მარტივი წინადადების ევოლუციის პროცესის შედეგად გრამატიკულად იქნა ასახული ქართული ზმნური შესიტყვების მექანიზმში. მაგრამ ისინიც, ისევე, როგორც ა. შანიძე, ამოდიან სუბიექტური და ობიექტური პირების ნიშანთა წინასწარ მიღებული ტრადიციული ცხრილიდან, რომელშიც ვ-ს რიგის ნიშნები აპრიორი [L-S]-სუბიექტის ნიშნებადაა კვალიფიცირებული და მ-ს რიგისა - [L-O]-ობიექტური პირის ნიშნებად. ამიტომ III დიათეზის ორივე ქვეჯგუფის (ერთი მხრივ *მიყვარს* ტიპისა და მეორე მხრივ *მაკანკალებს* და *მენტარება* ტიპის) ზმნებს ინვერსიულად თვლიან, რადგანაც [L-S] (რეალურ) სუბიექტად მიცემითში დასმული პირი მიაჩნიათ.

ამ ბოლო დროს, ენათმეცნიერების ინსტიტუტის კოლექტიურ კრებულში (თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თ. IV, 1.2.8. „ინვერსია“, 2011, გვ. 296-301) მოცემულია ცდა ინვერსიის საკითხის სინქრონიულ ჭრილში გადაჭრისა (აგტორი ა. არაბული) შესაბამისი ზმნური ფორმების ურთიერთშეპირისპირების საშუალებით, „პირთა მორფოლოგიის სინქრონიული ურთიერთმიმართების საფუძველზე“ რაც მეთოდოლოგიურად სწორია, მაგრამ პირის ნიშანთა ფუნქციების საყრდენ, ამოსავალ სქემად კვლავ ტრადიციული ცხრილია აღებული, რომლის მიხედვითაც ვ-ს რიგის ნიშნები სუბიექტური პირის მარკერებადაა კვალიფიცირებული, ხოლო მ-ს რიგისა კი – ობიექტური პირის ნიშნებად, შესაბამისად, დასკვნებიც არასისტემურია, მიუხედავად იმისა, რომ ნაცადია ე.წ. ინვერსიული ზმნების ცალკეულ ჯგუფებად დაყოფაც (რაც აშკარად III დიათეზის სისტემიდანაა ამოგლეჯილი დამოწმების გარეშე).

ინვერსიის საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ განვიხილოთ ნიკო მარის თვალსაზრისი: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ნიკო მარმა თავის რუსულ ენაზე გამოცემულ „ძველი ქართული ენის ტაბულებსა“ (1908წ.) და „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკაში (1925), ასევე, ფრანგულ ენაზე მორის ბრიერთან ერთად გამოცემულ ნაშრომში „ქართული ენა“ (1931წ., რომელიც ძირითადად ძველი ქართული მასალის ანალიზზეა აგებული), ცალკე გამოყო „ობიექტური სტრუქტურის“ ზმნების ჯგუფი. ობიექტურისტრუქტურის ზმნების ჯგუფში მას შეაქვს ე.წ. „აფექტური ზმნები“, სულიერი (გრძნობა-აღქმის) და მენტალური მოქმედება-მდგომარეობის გამომხატველი ზმნები, რომლებიც გრამატიკული კლასიფიკაციის მიხედვით III დიათეზის I ქვეჯგუფს განეკუთვნებიან და, როგორც ვნახეთ, წარმოშობით ძირეული, არქაული სტრუქტურისა და კონსტრუქციისანი არიან. ამ ზმნების აქტანტი, რომელიც „საზოგადოდ, განიხილება როგორც სუბიექტი“ (le mot q'on concidère communement

comme le sujet du verbe) და, რომელსაც მარი „მოჩვენებით, შესაძლებელ(?)“ სუბიექტს უწოდებს (le sujet apparent), დგას არა „პირდაპირ ბრუნვაში“, ანუ სახელობითში, არამედ „ირიბ“ ბრუნვაში, ანუ „ნათესაობითსა ან „მიცემით-აკუზატივში“, ასევე წრფელობით ბრუნვაში (le cas absolu), რომელსაც თეორიულად შეიძლება შეენაცვლოს ნებისმიერი ბრუნვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, "საგულვეთელი სუბიექტი" (le sujet presumé) დგას ბრუნვაში, რომელიც აღნიშნავს "რეალურ წყობას, კერძოდ, ობიექტს" (le regime reel, a savoir, l'objet). დავიმოწმებთ მარის განმარტებას სრულად: "Definition la conjugaison selon la structure objective: Dans la conjugaison selon la structure objective, le mot q'on concidère communement comme le sujet du verbe - on appellera desormais "le sujet apparent" - est non pas au cas direct, c'est-à-dire au nominatif, mais au cas oblique, c'est-à-dire au genitif ou au datif-accusatif, ou même au cas absolu qui pourrait theoretiquement remplasser tous les cas de la declination, en d'autres terms, le sujet presumé se trouve a un cas qui indique le regime reel, a savoir l'objet" (იხ. Marr, Brier, გვ.112 § 140, ასევე, იხ. მაგალითები: § 161). მართალია ნ. მარი არ ლაპარაკობს „ინვერსიის“ მოვლენის შესახებ, მაგრამ, როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარეობს, მას „*მაქუს, მიყვარს, მშია, მწყურია, მგონია, მსურს...*“ ტიპის ზმნები პირის ნიშანთა სუბ. და ობ. ცხრილთან მიმართებით „ინვერსიულად“ მიაჩნია.

როგორც ვხედავთ, ერთი და იმავე საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთის გამომრიცხავი დასკვნებია გაკეთებული იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამოსავალი, საყრდენი კრიტერიუმი ერთია: პრობლემის გადაწყვეტა ნაცადია ობიექტური და სუბიექტური პირის ნიშნების ტრადიციული ცხრილიდან ამოსვლით, რომლის მიხედვითაც, აპრიორი ვ-ს რიგის ფორმანტები მიიჩნევა სუბიექტური პირის ნიშნებად, ხოლო მ-ს რიგისა კი ობიექტური პირისად.

შევეცადოთ, გავერკვეთ ამ რთულ საკითხში.

„ინვერსის“ საკითხი ქართულ ზმნაში შეიძლება სინქრონიულ ასპექტივად განვიხილოთ და დიაქრონიულითაც, მაგრამ დიაქრონიული ანალიზის გარეშე ინვერსიის არსის გაგება გაჭირდება. ამიტომ დაგვჭირდება მცირე ისტორიული ექსკურსი ამ საკითხთან დაკავშირებით.

ინვერსიის პროცესს ქართულ ზმნაში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს მოვლენა ქართული ენის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია. ინვერსიის პროცესი ქართული ზმნის ბუნებიდან, კერძოდ, მისი პოლიპერსონალიზმიდან გამომდინარე კანონზომიერი პროცესია. სწორედ ინვერსიის პროცესი გახდა ერთ-ერთი მიზეზი და საფუძველი ქართული ენის სინტაქსში იმ დიდი ძვრებისა, რომლებმაც ენის სისტემაში სხვა ცვლილებებთან ერთად გამოიწვია მიცემით ბრუნვაში დასმული პერსონალური პირის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარის მოპოვება და, მამასადამე, რიცხვში შეთანხმების ფორმალური პრინციპის სემანტიკურით შეცვლა. ამ ცვლილებამ (ასპექტის

კატეგორიის გამოხატვის პრინციპის შეცვლის შედეგად თხრობითი კილოს მომავალი დროის ზმნისწინით გამოხატვასთან ერთად) ძველ და ახალ ქართულს შორის მკვეთრი ზღვარი გაავლო.

რა არის ინვერსია? აკაკი შანიძემ ამ საკითხს ვრცელი წერილი მიუძღვნა „გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნსთან ქართულში“ რომელშიც საკითხი სინქრონიულ ასპექტში აქვს განხილული და გადაჭრილი: მისი აზრით, ინვერსია მდგომარეობს ზმნის პირის ნიშანთა ფუნქციების შებრუნებაში, კერძოდ, გარდამავალი ზმნის I-II სერიისა და III სერიის ზმნურ ფორმებში „**ვინის** რიგისა“ და „**მანის** რიგის“ ნიშნების ფუნქციათა შებრუნებაში: *ვაკეთებ მე მას – გავაკეთე მე ის – გამიკეთებია მე ის*. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი ამოდის სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნების ტრადიციული ცხრილიდან და ამ, წინასწარ მიღებულ ცხრილთან მიმართებით განიხილავს ინვერსიის საკითხს.

ნებისმიერ შემთხვევაში, რაც არ უნდა ავიღოთ ამოსავლად, „ინვერსია“ გამოხატულებაა გარკვეული პროცესისა და არა საფუძველი, მიზეზი, არსი. ინვერსიას ქართულ ზმნაში ისტორიული პროცესი უდევს საფუძველად, რაც გამოწვეულია ქართული ზმნის პორიპერსონალური აგებულებით.

როგორც უკვე ვთქვით, სწორედ ამგვარად, ისტორიული განვითარების კუთხით განიხილავენ ინვერსიას არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია. მაგრამ ისინიც ამოდიან სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნების ცხრილიდან.

პასუხი უნდა გავცეთ კითხვებს: რა არის ინვერსიის საფუძველი? რაში მდგომარეობს ინვერსიის პროცესის არსი? არის თუ არა ინვერსია გრამატიკული მოვლენა?

ნებისმიერი სტატიკური ზმნის ერთპირიან ფორმაში, მაგ. „*ვ-წერივარ მე /წერი-ა ის, ან ვ-გდივარ მე/ გდი-ა ის*“, რომელიც სახელობითში დასმული პირის მდგომარეობას გამოხატავს, ეს პირი აღნიშნულია „**ვინის** რიგის“ მარკერით. ამავე ზმნათა რელატიური ფორმაც (დავუშვათ,

მ-იწერი-ა ის მე /უწერია ის მას მგ.: *მ-იწერიეს იგი მე /ხ-უწერიეს იგი მას, მ-იგდი-ა ის მე, უგდი-ა ის მას*“) ზმნის ფორმაში „მონაწილე“ (პარტიციპანტი) როგორც სახელობითში დასმული პირის, ასევე მიცემითში დასმული პირის მდგომარეობას გამოხატავს და არა მოქმედებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რადგანაც ეს ზმნა მდგომარეობას გამოხატავს და არა მოქმედებას, მას არ გააჩნია არც რეალურად მოქმედი პირის ([L-S]-ლოგიკური სუბიექტის, მოქმედების აგენსის) გაგება, და არც ლოგიკური, რეალური, სამოქმედო პირის ([L-O]-ლოგიკური ობიექტის) გაგება: ვიმეორებთ: **სტატიკური ზმნა ორივე პირის მდგომარეობას გადმოსცემს, და არა მოქმედებას, ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ იგი შეიცავს მოქმედ სუბიექს ან სამოქმედო ობიექტს**. მაგრამ, ამავე დროს, რელატიური (ორპიანი) სტატიკური ზმნის სახელობითში დასმული პირი რეგულარულად მფლობელი პირია, ხოლო მიცემითში დასმული პირი კი ფლობის

საგანი, ფლობის ობიექტია. სახელობითში დასმული აქტანტი გამოხატულია დინამიკურ-აქტიური, I დიათეზის ზმნების სუბიექტის - აგენსის ნიშნით ([L-S₁]-ვ [L-S₂]-ა), ხოლო მიცემითში დასმული პირი – I დიათეზის ზმნების ობიექტის ნიშნით (O₁-მ-). მაგრამ ამ ზმნებში ვ- პრეფიქსით გამოხატული პირი რეალურად უმოქმედოა, ანუ იგი არ არის „აგენსი“.

ამრიგად, სტატიკურ ზმნათა სახელობითბრუნვიანი პარტიციპანტი (ზმნურ შესიტყვებაში მონაწილე) პირი, ანუ „პარტიციპანტი“ (რომელიც „გრამატიკულ სუბიექტადაა“ კვალიფიცირებული) რეალურად უმოქმედოა. ქართულ ზმნურ შესიტყვებაში მიცემითბრუნვიანი (ე.წ. `გრამატიკული ობიექტი“) სინტაქსური თვალსაზრისით მასთან არა თუ თანასწორუფლებიანია, ისიც მმართავია, მასაც საკუთარი მარკერი აქვს ზმნაში, არამედ კიდევ მეტიცაა, განსხვავებით სახელობითბრუნვიანი პარტიციპანტისა, ქართული ენის ისტორიის მანძილზე მან ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარიც შეიძინა: თანამედროვე ქართულში მას მეტი სინტაქსური ძალა აქვს, ვიდრე სახელობითში დასმულ ე. წ. „გრამატიკულ სუბიექტს“, იგი დიდი კოორდინატია: ჩვენ გვ-იწერია დავალებები, გვ-ინთია სანთლები, გვ-იხარია წარმატებები; თქვენ გიწერია-თ, გინთია-თ გიხარია-თ, მათ უწერია-თ უნთია-თ, უხარია-თ; ამავე დროს, ეს ე.წ. „ობიექტი“ ყოველთვის აღმქმელია, მქონებელია, მგრძნობელია, განმცდელია, მოლაპარაკეა, მოაზროვნეა და ამიტომ ხშირად სულიერ, კერძოდ კი – პერსონალურ პირს, ადამიანს გამოხატავს (იხ.: II და III დიათეზის პარადიგმები: #52, # 53: მაცვია, მახურია, მიპყრია, არ გამაჩნია, არ მაბადია, მგონია, შემძლია, მირჩვენია), მაშინ, როდესაც მასთან კომბინაციაში მყოფი სახელობითბრუნვიანი პირი (ე.წ. `გრამატიკული სუბიექტი“), ჩვეულებრივ, აღქმის, ქონების, გრძნობის, განცდის საგანია, ობიექტია (ე.წ. „რეალური ობიექტია“), ამიტომ ხშირად უსულოა (ცხადია, ამ თვალსაზრისით გადამწყვეტია თავად ზმნის სემანტიკა). სწორედ ამის გამო მიცემითბრუნვიანი პირი, როგორც რეალურად აქტიური, `მფლობელი“, განმცდელი, აღმქმელი, მგრძნობელი პირი, მეტყველის ცნობიერებაში წინ იწევს და თავისი აქტიურობით აკარბებს სახელობითბრუნვიან პირს.

ამგვარად, ისტორიულად ამ პროცესს საფუძვლად უდევს ფსიქოლოგიური ფაქტორი: ცნობიერებაში ხდება ორპირიანი სტატიკური ზმნის სინტაქსურად თანასწორუფლებიანი აქტანტების (ორივე მართავს ზმნას, ე.ი. აჩენს მის ფორმაში თავის ნიშანს) ფუნქციების გადააზრება:

ორპირიან სტატიკურ ზმნაში მოლაპარაკის ცნობიერებაში მიცემითში დასმული პირი, რომელიც ზმნაში მ-ს რიგის მარკერთაა აღნიშნული, რეალურად სუბიექტად გაიაზრება, სახელობითბრუნვაში დასმული პირი კი ლოგიკურ (რეალურ) ობიექტად. როგორც კი ჩნდება სუბიექტის გაგება, ზმნა სტატიკის სფეროდან გამოდის და დინამიკურ შინაარსს იძენს, ამის შესაბამისად, იგი ექცევა დინამიკური ზმნის პარადიგმაში და დაირთავს დინამიკური ზმნისთვის

დამახასიათებელ შესაბამის ფორმანტებს: ზმნისწინებსა და მადინამიკურებრლ სუფიქსს, ე. წ., თემის ნიშანს": *მიკეთია > გა-მიკეთია > გა-მიკეთ-ებ-ია; მეკეთა > გა-მეკეთა > გა-მეკეთებია > გა-მეკეთებ-ი-ნ-ა*. ეს ფორმები მოექცნენ და აგრძელებენ დინამიკური „*გ-აკეთებ*“ პარადიგმაში და, რადგანაც ამ პარადიგმის I და II სერიებში *გ-* ს რიგის მარკერები სუბიექტურ პირს აღნიშნავენ (*გ-აკეთებ _ გა-გ-აკეთე მე*), ხოლო *გა-მ-იკეთებია* ფორმაში კი, რომელიც მათი გაგრძელებაა, სუბიექტს *მ-*ს რიგის მარკერი აღნიშნავს, ამიტომ ერთმანეთის მიმართ ეს ფორმები ინვერსიულ დამოკიდებულებაში არიან სუბიექტური და ობიექტური პირების მარკირების თვალსაზრისით. ა. შანიძე სწორედ ამ თვალსაზრისით მიიჩნევს მათ ერთმანეთის ინვერსიულ ფორმებად. ფუნქციების ინვერსიის მიზეზი არის ბიპერსონალურ სტატიკურ ზმნებში რეალურად პასიური არაპერსონალური სუბიექტისა და რეალურად აქტიური პერსონალური ობიექტის არსებობა; ინვერსიის პროცესის არსი მდგომარეობს მოლაპარაკის ცნობიერებაში შინაარსობლივი მხარის წინ წამოწევაში და შესაბამისად აქტიური პირის სათანადო ფორმალურ (გრამატიკულ) გააქტიურებაში, რამაც გამოიწვია მიცემითში დასმული პირის მრავლობითის აღნიშვნაც შესაბამისი - *თ* სუფიქსით (მვ. *აღმიშენებთ ჩვენ იგი, აღუშენებთ მათ იგი*; ახ. *ა-გვ-იშენებია, აუშენებია-თ მათ ის*)

ეს პროცესი შეიძლება შემდეგი ცხრილით წარმოვადგინოთ:

აბსოლუტური სტატიკა		
აწმყო	ნამყო	მყოფადი
<i>მიკეთია / მიხატა მე ის</i>	<i>მეკეთა / მეხატა მე ის</i>	<i>მეკეთება / მეხატება (მე ის)</i>
<i>უკეთია / უხატა მას ის</i>	<i>ეკეთა / ეხატა მე მას</i>	<i>ეკეთება / ეხატება (მას მე)</i>

დინამიკა		
I რეზულტატივი	II რეზულტატივი	III კავშირებით
<i>*(გა)მიკეთ-ი-ა → (გა)მიკეთ-ებ-ი-ა</i>	<i>(გა)მეკეთა → (გა)მეკეთ-ებ-ი-ა → (გა)მეკეთ-ებ-ი-ნ-ა</i>	<i>(გა)მეკეთო-ს → (გა)მეკეთ-ებ-ი-ო-ს → (გა)მეკეთ-ებ-ი-ნ-ო-ს</i>

როგორც ვნახეთ, ინვერსიის პროცესი ისახება ცნობიერების სფეროში და იგი ლოგიკის სფეროში რჩება მანამ, სანამ არ მოხდება მისი ფორმალური გამოხატვა, მორფოლოგიზაცია. როდესაც ეს ლოგიკური პროცესი ფორმალურ გამოხატულებას პოვებს, მაშინ იგი უკვე შეიძლება ჩაითვალოს გრამატიკულ მოვლენად¹.

¹ მიცემითში დასმული სახელის სუბიექტად გაგების ტენდენცია გრძობა-აღქმის გამოხატველ ზმნებში თავს იჩენს ევროპული ენების ზმნებშიც: მხედველობაში გვაქვს შემდეგი მაგალითები: *мне кажется, мне нравится* და სხვ. ასევე შეიძლება მოვიყვანოთ ფრანგული ზმნის მაგალითებიც: *il me semble, il me plait*. მაგრამ ინვერსია აქ არ შეიძლება იყოს გრამატიკული მოვლენა, რადგანაც რუსულში, ისევე როგორც ფრანგულში, დატივში დასმული აქტანტი მოკლებულია სინტაქსურ უფლებებს: მას არა აქვს ზმნის პირში მართვისა და რიცხვში შეთანხმების უნარი. ინდოევროპული ზმნა

როდის უნდა მომხდარიყო ინვერსიის პროცესის მორფოლოგიზაცია (გრამატიზაცია)?

ვნახოთ ეს პროცესი სტატიკური წერ-ი-ა (< წერ-ი-ე-ს) ტიპის ზმნის რელატიური (მიწერია < მიწერიეს / მიკეთია < მიკეთიეს) ფორმების შინაარსის განვითარების მაგალითზე. ამ ტიპის ზმნა სტრუქტურის მიხედვით (R-ი-ე) ქართული ენის განვითარების იმ ეტაპის ამსახველი ჩანს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული დროთა სამწევრა სისტემა და ზმნურ ფორმათა დაპირისპირება ასპექტურ სისტემას ეყრდნობოდა: განგრძობითი (დიურატიული) -ი მარკერით - წყვეტილი (მომენტობრივი) -ე მარკერით. მაშასადამე, ისტორიულად იგი II სერიის მარტივ თემას უნდა განეკუთვნებოდეს. სანამ ამ ტიპის ზმნაში რეალურად აქტიური პირის გაგება არ არსებობდა, იგი სტატიკური შინაარსისა იყო. მიცემითში დასმული „მფლობელი“ პერსონალური პირის (ადამიანის) რეალურად გააქტიურებასთან ერთად ეს ფორმა დინამიკურ შინაარსს იძენს: რეალურად აქტიური პირის არსებობა დინამიკური ზმნის მთავარი ლოგიკური მახასიათებელია. ამგვარად, **განსხვავებით სტატიკური შინაარსის მიწერიეს / მიკეთიეს (იგი მე) ფორმისაგან**, რეალურად აქტიური პირის შემცველი **მიწერიეს / მიკეთიეს (მე ის)** იძენს დინამიკურ შინაარსს. იგი უკვე გამოხატავს არა მდგომარეობას, არამედ მოქმედებას. მაგრამ როგორ მოქმედებას? თავდაპირველად იგი ითავსებს ორ შინაარსს: თავისი ამოსავალი ფორმისას - სტატიკურს და ახალს - დინამიკურს, კერძოდ, გამოხატავს დინამიკას წარსულში და სტატიკას აწმყოში ანუ: *წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს აწმყოში*.

ამგვარად, სტატიკურ ზმნათა ინვერსიაქმნილ ფორმებში ისახება პერფექტული შინაარსის გაგება და დასაბამი ეძლევა პერფექტულ დროთა ფორმების განვითარებას ქართული ზმნის უღლების სისტემაში.

სტატიკურ ზმნათაგან განვითარებულმა დინამიკურმა შინაარსმა თანდათან ფორმალური გამოხატულებაც ჰპოვა: „**მიწერიეს**“ ტიპის ფორმებს დაერთო ზმნისწინი, **და-მიწერიეს**, რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ტიპის ზმნების მიცემითში დასმული „მფლობელი“ პირი (პარტიციპანტი, აქტანტი) შედეგად დინამიკური შინაარსი შეიძინეს. ზმნისწინის დართვა, დინამიკურობის მაჩვენებელი ერთ-ერთი ფორმალური მახასიათებლის (ნიშნის) გაჩენა ამ ფორმებს კიდევ უფრო უმკვიდრებს დინამიკურ შინაარსს პერფექტულობის ნიუანსით — იგულისხმება დინამიკა წარსულში; ეს ფორმები გამოხატავენ წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს, რეზულტატს. ამიტომ მათ შეიძლება **რეზულტატიური (შედეგობითი) ფორმები** ეწოდოს. ამგვარად, მას შემდეგ, **რაც დაუწერიეს (მას იგი)** ზმნაში მიცემითში დასმული „მფლობელი“ პირი (გააზრებულ იქნა მოქმედების

მონოპერსონალურია, ხოლო ინვერსიის ლოგიკური სფეროდან გრამატიკულ სფეროზე (გამოხატულების პლანზე) გავრცელება შესაძლებელია მხოლოდ პოლიპერსონალური აგებულების ზმნებში, სადაც ირიბი ობიექტი ზმნაში გრამატიკული მარკირების თვალსაზრისით სუბიექტის თანასწორუფლებიანია: მმართავია, შემთანხმებელია და, ამდენად, მას აქვს უნარი ზმნაში თავისი თავის პირისა და რიცხვის ფორმანტი (მარკერით) აღნიშვნისა.

აგენსად და თვით ზმნამ კი მიიღო დინამიკური შინაარსი, იგი ბუნებრივად იქცა გაგრძელებად იმ დინამიკური გარდამავალი ზმნის პარადიგმისა, რომელშიც სახელობითში დასმული შესაბამისი პირი, რომელიც ზმნაში ვ-ს რიგის მარკერთაა აღნიშნული, არის ლოგიკური (რეალური) სუბიექტი, აგენსი. პარადიგმა გაუსწორდა აწმყოს თემას: აწმყოს თემატური ნიშნები, რომელთა ამოსავალი ფუნქცია დინამიკურობის, მოქმედების პროცესის გამოხატვა იყო, დაერთო სტატიკური ზმნების შესაბამის ფორმებს და აწმყოს ჯგუფის ძირითადი ფორმის `ვაკეთებ მე მას` ანალოგიით მივიღეთ პერფექტული ჯგუფის ძირითადი ფორმა – *გა-მიკეთიეს> გამიკეთ-ებ-იეს (მე იგი)*, რომელიც გამოხატავს წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს აწმყოში (აწმყოს რეზულტატივი). აქედან განვითარდა ამ ფორმათა ერთ-ერთი ძირითადი (დღეს ყველაზე გამოკვეთილი) შინაარსობლივი ნიუანსი უნებლიობა-უნახაობა, თურმეობითობა, ე.წ. უნახავი ან უნებლიე აქტის გაგება: აწმყოში ვხედავთ შედეგს იმ მოქმედებისას, რომელიც წარსულში მომხდარა. და ასე გაგრძელდა მთელს სისტემაში კანონზომიერად: იმავე სტატიკური ზმნის წყვეტილის ფორმამ მოგვცა დინამიკურად გადააზრებული ფორმა *გა-მ-ე-კეთ-ა>გა-მ-ე-კეთ-ებ-ი-ა> გა-მ-ე-კეთ-ებ-ი-ნ-ა (მე იგი)*, რომელმაც გამოხატა წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგი წარსულ დროში (აქედან - ნამყოს რეზულტატივი, ანუ ნამყო წინარეწარსული plusquamperfect-ი); შესაბამისად - იმავე სტატიკური ზმნის II კავშირებითის ფორმის ინვერსიისა და გადინამიკურების გზით მივიღეთ მესამე ფორმაც – *„გა-მ-ე-კეთ-ო-ს>გა-მე-კეთ-ებ-ი-ო-ს> გა-მე-კეთ-ებ-ი-ნ-ო-ს“*, სადაც წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგი ჩანს მომავალში (მყოფადის რეზულტატივი - ე.წ. III კავშირებითი).

ყველა ამ ფორმაში „ვინის რიგის“ მარკერები ობიექტს აღნიშნავენ, ხოლო „მანის რიგისა“ -სუბიექტს.

ამგვარად, სტატიკურ ზმნათა გადინამიკურებულმა (დინამიკურად გადააზრებულმა) ფორმებმა გააგრძელეს აქტიურ დინამიკურ ზმნათა პარადიგმა და შეავსეს ის ხარვეზი, რომელიც ქართული ზმნის უღლების სისტემას ჰქონდა: კერძოდ, წარმოიშვა პერფექტულ დროთა ფორმები: გამიკეთებიეს = ვაკეთებულნი მაქვს. მაგრამ პარადიგმის გაგრძელება და შევსება ასე მარტივად არ დასრულებულა. ჯერ ერთი, ეს შეეხო არა მხოლოდ გარდამავალ ზმნებს, არამედ მოიცვა ქართული ზმნის უღლების მთელი სისტემა: კერძოდ, ანალიზური, აღწერითი წარმოების სტატიკურმა ფორმებმა: *„დახატულ ვარ – დახატულ ვიყავ – დახატულ ვიყო“* ტიპისა მოგვცა გარდაუვალი დინამიკური ზმნის აწმყოს, ნამყოს და მყოფადის რეზულტატიური სინთეტური ფორმები: *„დავხატულვარ, დავხატულ ხარ, დავხატულ არს > დავხატულა“*, საიდანაც შემდგომ იმავე მიზეზით, რაც ზემოთ, განვითარდა უნებლიობის, „თურმეობითის“, უნახაობის შინაარსი რამაც, სხვათა შორის, წყვეტილის ფორმებს შეუწარმოა არსებობა (ფრანგულ ენაში აორისტის

passee simple-ის დაკარგვა, როგორც ჩანს, გამოიწვია იმან, რომ passee compose-ს და plueparfait-ს ფორმებში ამგვარი დამატებითი ფუნქციები არ განვითარებულა).

ხოლო, რაც შეეხება დინამიკურ გარდამავალ (პირდაპირგარდამავალ) ზმნათა პარადიგმის გაგრძელებას, როგორც მოსალოდნელი იყო, შენაცვლებულმა სტატიკურმა ფორმებმა (*მიხატის, მიკეთის...*) აწმყოს თემის ანალოგიით პარადიგმა გაასწორეს (გააწონასწორეს) და დაირთეს დინამიკურობის კიდევ ერთი ნიშანი - აწმყოს ფორმების მახასიათებელი შესაბამისი თემატური სუფიქსები (*ცხატ-ავ - დამიხატ-ავ-ს, ვაკეთ-ებ - გამიკეთ-ებ-ის*), რითაც ფორმალურადაც დაემსგავსნენ მათ. ეს პროცესი უფრო შორს წავიდა და ანალოგიით გავრცელდა ე.წ. II თურმეობითის (იგივე II რეზულტატივის) ფორმებზეც: ძვ. *გამეკეთა* --> *გამეკეთ-ებ-ია* --> *გამეკეთ-ებ-ინ-ა* (ამ ფორმათა ჩამოყალიბების შესახებ იხ. ქვემოთ).

ამგვარად, სტატიკურ ზმნათა მიცემითსი დასმული პირის სუბიექტად გადააზრების შედეგად ქართული ზმნის უღლების სისტემაში თანდათან ჩამოყალიბდა დრო-კილოთა სრულიად ახალი ჯგუფი, რომელიც დღეს III სერიის სახელითაა ცნობილი. ამ ჯგუფის ფორმები ისტორიულად წარმოადგენენ არა შესაბამის დინამიკურ გარდამავალ ზმნათა ინვერსიულ ფორმებს, არამედ თავიანთი წინაპარი, ამოსავალი სტატიკური ზმნებისა - *მიწერია (ის მე) > (და)მიწერია (მე ის). მიწერია (ის მე)* ფორმის ინვერსიულად გააზრებამ მოგვცა *(და)მიწერია (მე ის)* შებრუნებული კონსტრუქციის დინამიკური ზმნა, რომელიც დღეს დინამიკური *ვწერ (მე მას)* ფორმის გაგრძელებას წარმოადგენს, მაგრამ არა მისი ინვერსიის გზით მიღებულ ფორმას. დინამიკურ გარდამავალ ზმნებს აქტიური სუბიექტი აქვთ. აქედან ცხადია, რომ დინამიკურ აქტიურსუბიექტიან ზმნებში ინვერსიის პროცესისათვის ისტორიული თვალსაზრისით საფუძველი არ არსებობს. იგი საკმაოდ აქტიურია იმისათვის, რომ არ დაუთმოს ზმნაში თავისი ადგილი ობიექტს. ამ ზმნათა სუბიექტი I და II სერიაში ყოველთვის ვინის რიგის მარკერითაა გამოხატული, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ **დამიწერია** ზმნის ახალი კონსტრუქცია მოგვცა **მიწერია** ზმნის პირების ფუნქციათა გადააზრებამ (რეინტერპრეტაციამ), რელატიურ სტატიკურ ზმნებში პირთა შორის არსებული დესტინაციური მიმართება დაირღვა (*მიწერია ის მე > დამიწერია მე ის*) და I რეზულტატივის რელატიურმა საობიექტო ქცევის ფორმებმა (დაუწერია, გაუკეთებია) დაკარგეს ქცევის (ვერსიის) კატეგორიის გაგება. ამიტომვე, რომ III სერიაში სამპირიანი ფორმები არ არსებობს: III სერიაში სამპირიანმა ფორმებმა კი არ დაკარგეს პირი და იქცნენ ორპირიანებად, როგორც ამას ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოების ავტორები მიიჩნევენ, არამედ მათ არასოდეს ჰქონიათ მესამე პირი, რადგანაც ისინი წარმოშობით ორპირიანი სტატიკური ზმნებია, რომელთაც პირებისა და, შესაბამისად, მათი ნიშნების ფუნქციათა ინვერსია განიცადეს.

ამას სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ დღეს სტატიკურ ფორმათა ინვერსიის გზით მიღებული გარდამავალი ზმნების რეზულტატივის ფორმების (*მეწერა, გამეკეთებინა*) გვერდით ჩამოყალიბდა ისეთი ინვერსიული ფორმებიც, რომლებიც მიღებულია გარდამავალ სამპირიან, ჩვეულებრივ, კაუზატიურ ფორმათა ინვერსიის შედეგად: მხედველობაში გვაქვს განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციის მქონე, მაგრამ მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით ომონიმური წყვილები: *გამაგებინა მან მე ის - რომ // ნეტავი გამაგებინა მე ის; ჩამაგდებინა (ორმოში) მან მე ის - რომ // ნეტავი (ხელში) ჩამაგდებინა მე ის; გამაკეთებინა მან მე ის - რომ // ნეტავი გამაკეთებინა მე ის; მაჩვენა მან მე ის - რომ // ნეტავი მაჩვენა მე ის ; ასევე, მაკანკალებს, მაჟრჟოლებს, მზარავს ის მე // მაკანკალებს, მაჟრჟოლებს, მზარავს მე...*

როგორ მივიღეთ მეორე რიგის ფორმები? ორ და სამპირიან კაუზატიურ ფორმებში (*მაკანკალებს ის მე, გამაგებინა მან მე ის*) დაიკარგა, თუ შეიძლება ითქვას, ცნობიერებაში „ჩაიძირა“ **სუბიექტი - აგენსი**, მაკაუზირებელი პირი, რომელიც მოქმედების გამომწვევი, „მაიძულებელი“ „პირია, მაგრამ მოქმედებას თვითონ კი არ ასრულებს, არამედ ასრულებინებს ობიექტს („ეკზეკუტორს“), რომელიც, როგორც მოქმედების რეალურად შემსრულებელი, **სუბიექტად იქნა გაგებული**. თუმცა ამგვარად ტრანსფორმირებული **სუბიექტი სუსტი ნებელობის სუბიექტია**, „ინაქტიური“ **სუბიექტია**. კაუზატიურ ფორმათა ინვერსიის ეს ფაქტი არ ეწინააღმდეგება არც იმ აზრს, რომ ინვერსიის საფუძველი პასიური და არა აქტიური სუბიექტის მქონე ზმნებშია, რადგანაც კაუზატიური ფორმების სუბიექტი მოქმედების რეალური შემსრულებელი კი არ არის, არამედ ხელმძღვანელია, ინიციატორია, ხოლო მოქმედების რეალური, ფაქტიური, უშუალო შემსრულებელი კი ირიბი ობიექტია. ამგვარად, ინვერსიის ძირითადი პირობა აქაც დაცულია. სახელობით- მოთხრობითში დასმული პირის დაკარგვას და ინვერსიის პროცესის განვითარებას ამ ფორმებში, ვფიქრობთ, ხელი შეუწყო პირდაპირგარდამავალ ზმნათა II რეზულტატივის ფორმებმა (*გამეკეთებინა მე ის*), რომელთაც, როგორც ცნობილია, კავშირებითი (||ნატვრითი) კილოს გაგება შეიძინეს. სწორედ მათი გავლენით უნდა მიეღო კაუზატიურ *გამაკეთებინა* ფორმასაც კავშირებითი (||ნატვრითი) კილოს გაგება და პირის დაკარგვის შედეგად ინვერსიული შინაარსიც. ამგვარად, II რეზულტატივის (რომ) *გამეკეთებინა (მე ის)* ფორმის გვერდით თხრობითი კილოს სამპირიანი გამაკეთებინა (*მან მე ის*) ფორმისაგან პირის კლებით მივიღეთ ნატვრითი კილოს შინაარსის (*რომ, ნეტავი*) *გამაკეთებინა (მე ის)* შინაარსის ფორმა, რომელიც, განსხვავებით პირველისაგან, განმარტოებით დგას: არ გააჩნია სხვა მწკრივის ფორმები და არც L-S პირის მიხედვით ცვალების უნარი¹. ანალოგიური ვითარება

¹ ინვერსიული შინაარსი აქვს მხოლოდ ობიექტური პირების მიხედვით მონაცვლე ფორმებს: გამაკეთებინა, გაგაკეთებინა, გააკეთებინა.

გვაქვს ნატვრითი, მოჩვენებითობის, მიჩნევითობის, უნებლიობის სემანტიკის აქტივის ა-R-ებ მოდელის ზმნებში, რომელთაც, დაკარგეს რა სუბიექტი, ინვერსიული შინაარსი შეიძინეს: *რა გაყვირებს, რა გატირებს, რა გამღერებს, „ურემო, რა გაჭიჭინებსო“ (= ნეტავ რატომ ყვირი, რატომ/(რას ტირი, რას ძღერი, რას ჭიჭინებ) და სხვ. აქ „რა“ ნაცვალსახელს დაკარგული აქვს ფუნქცია (შდრ. რას ყვირი = რატომ ყვირი ერთპირობიანია)*

როგორც ვნახეთ, სტატიკურ ფორმებს თანდათან ემატებოდა ახალი ფორმალური ნიშნები. დინამიკურობისა და მათი ინვერსიის პროცესი საბოლოოდ დასრულდა მაშინ, როდესაც მიცემითში დასმულმა სახელმა, როგორც რეალურად აქტიურმა, მოქმედმა პირმა, ფორმალურადაც გაამყარა თავისი უფლებები: თავისი არსებობა სუბიექტის მრავლობითის -თ სუფიქსით აღნიშნა ზმნაში;¹ მაშინ, როდესაც სახელობითში დასმულმა სუბიექტმა საბოლოოდ დაკარგა ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი, როგორც ლოგიკურად პასიურმა პირმა. დღეს გვაქვს *დაუწერია-თ მათ ისინი* და *არა დაუწერი-ან მათ იგინი*, როგორც ძველ ქართულში იყო. ამგვარად, შეთანხმების **ფორმალური** პრინციპი, რაც ძველი ქართული ენისათვის იყო დამახასიათებელი, ახალში შეცვალა **სემანტიკურმა** პრინციპმა - შინაარსობლივად, ლოგიკურად საფუძველდებულმა წესმა: ზმნას რიცხვში ითანხმებს რეალურად აქტიური (რომელიც, ჩვეულებრივ, სულიერია, ადამიანია) პირი, ლოგიკური სუბიექტი, რომელსაც, როგორც მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ სახელს, ძველ ქართულში ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი არ ჰქონდა და ვედარ ითანხმებს სუბიექტი, რომელსაც, როგორც სახელობითში დასმულ სახელს, ისტორიულად ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი ჰქონდა (იგი ზმნაში აჩენდა მრავლობითის იმავე -ნ (<ენ) ნიშანს, რომელსაც თვითონვე შეიცავდა: *მე წავიკითხ-ენ წიგნ-ნ-ი, მან წავიკითხ-ნ-ა წიგნ-ნ-ი*).

I ობ. პირმა ამისათვის ადრევე, ძველ ქართულშივე გამოიყენა ზმნაში არსებული ყოფილი ინკლუზივის კატეგორიის ნიშანი **გუ**-². II ობიექტური პირის მრავლობითის გამოხატვა ზმნაში უფრო მოგვიანებით, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გარდამავალ პერიოდში დასრულდა, ხოლო III პირისა ჯერაც არ დასრულებულა.

ამგვარად, მას შემდეგ, რაც *დამიწერია, გამიკეთებია, დამიხატავს//დამიხატია* ფორმებში მიცემითში დასმულმა სახელმა თავისი მრავლობითობა აღნიშნა ზმნაში, ფორმალურად დასრულდა ამ ზმნათა ინვერსიის

¹ იგულისხმება II და III MO პირი.

² **გვ** (<გუ) პრეფიქსი წარმოშობით ინკლუზივის კატეგორიის ნიშანია, რომელიც მრავლობითობის გაგებას შეიცავდა (O_1+O_2 **გუ**<გმ). ამ კატეგორიის მოშლის შემდეგ **გუ**-პრეფიქსის რუდიმენტის სახით არსებობამ ზმნაში რამდენადმე ხელი შეუწყო მიცემითში ნაგულისხმევი I ობ. პირის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების უფლების გაძლიერებას და ამ გზით სტატიკურ ზმნათა ინვერსიის პროცესის დაჩქარებას, პროცესისა, რომელიც სწორედ O_1 ფორმებში უნდა ჩასახულიყო თავდაპირველად. *გან-ძ-ახლ-ნ-ა||გან-გუ-ახლ-ნ-ა* ფორმათა თანაარსებობა ძველ ქართულში (ზოგჯერ ერთსა და იმავე ხელნაწერში) მიუთითებს იმ პერიოდში ამ პროცესის ლაბილურობაზე, ისევე, როგორც დღეს -თ / მ-ის მონაცვლეობა უსულო O_3 ირიბი ობიექტის შემთხვევაში: *ეკვეცება მათ (სახელებს) ბოლო// ეკვეცება-თ მათ ბოლო*.

პროცესი და, შეიძლება ითქვას, მოხდა ამ პროცესის მორფოლოგიზაცია. დღეს ამ ფორმებში ისტორიული სუბიექტის ნიშნები გამოხატავენ ობიექტს და პირიქით, ობიექტის ნიშნებს სუბიექტურ პირთა გამოხატვის ფუნქცია აკისრიათ.

ამგვარად, ინვერსიის პროცესი ისტორიულად ჩაისახა სტატიკურ ზმნებში, მიცემითბრუნვიანი მფლობელი პირის გააქტიურებისა და რეალურ სუბიექტად გადააზრიანების შედეგად. ასე რომ I დიათეზის (აქტიურსუბიექტიანი ზმნის) თანამედროვე პარადიგმის III სერიაში ასახულია ქართული ზმნის დრო-კილოთა ფორმების ისტორიული განვითარების შედეგი.

ამ ტიპის ზმნათა ჩამოყალიბების პროცესის არსის გაგება მყარი მეცნიერული არგუმენტა-ციით და უხვი ენობრივი მასალის საფუძველზე მოგვცა არნოდ ჩიქობავამ თავის ფუძემდებლურ ნაშრომებში `მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში` და `მარტივი წინადადებების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში`. ამ ნაშრომებში საკითხი გაცილებით უფრო ფართოდ ისმის: ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელ მანძილზე მიცემითი ბრუნვის სინტაქსური როლის გაძლიერება და შესაბამისად - სახელობითში დასმული ობიექტის სინტაქსური როლის შესუსტება, რაც მოიცავს ჩვენთვის საინტერესო ზმნებსაც და, საერთოდ, ინვერსიის პროცესის ჩასახვასა და განვითარებას ქართულ ზმნაში. ქართული ენის გრამატიკის ამ მეტად საჭირობოროტო და სადავო საკითხს ვარლამ თოფურია მ სპეციალური წერილი უძღვნა, რომელშიც ინვერსიის ფაქტი აღიარებულია არა მარტო გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებში, არამედ პასიურსუბიექტიან გარდაუვალ ზმნებშიც და გრძნობა-აღქმის გამომხატველ „ობიექტური წყობის მქონე“ ზმნებშიც.

ზემოთქმული ეხებოდა სტატიკურ ზმნათა ინვერსიის გზით მიღებულ გარდამავალ ზმნათა მესამე სერიის ფორმებს, სადაც ქართული ზმნის დრო-კილოთა (სერიათა) როგორც დიაქრონიულ, ისე სინქრონიულ სისტემაში ეს ფორმები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთმანეთის მიმართ ინვერსიული. ნებისმიერ შემთხვევაში ფაქტია, რომ გარდამავალ ზმნათა III სერიაში მანის რიგის ფორმანტებით სუბიექტია აღნიშნული და პირიქით, ვინის რიგის ნიშნებით - ობიექტი. ასეთ შემთხვევაში, რა ისტორიაც არ უნდა ჰქონდეს ამ ფაქტს, თანამედროვე ქართული ზმნის პირის ნიშანთა სისტემის ცხრილში იგი უნდა აისახოს.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ინვერსიის პროცესისათვის ხელსაყრელი პირობებია სწორედ რელატიური აგებულებების (ორპირიან) სტატიკურ ზმნაში, რომელთანაც შეწყობილი მიცემითში დასმული აქტანტი, ჩვეულებრივ, სულიერია, ადამიანია მფლობელია (*მიწერია, მიხატია, მიფენია, მიგდია, მიყრია, მიცვია*) და, ამდენად, სუბიექტადაა აღქმული. ქართული ზმნის პოლიპერსონალური ხასიათი (რაც გულისხმობს აქტანტების თანასწორ სინტაქსურ ძალას) და, ამავე დროს, სტატიკური ზმნის სუბიექტის პასიურობა

იწვევს რეალურად აქტიური პირის ფორმალურ გააქტიურებასაც, რაც მიცემითი ბრუნვის რიცხვში შეთანხმების ძალის მოპოვებასა და საბოლოოდ, I დიათეზის ზმნების პარადიგმაში პირის ნიშანთა ფუნქციების შებრუნებაში ვლინდება.

ახლა ვნახოთ, ანალოგიურია თუ არა ვითარება აფექტურ, გრძნობა-აღქმის გამომხატველ *მ-ი-ყვარ-ს - გ-იყვარ-ს -უ-ყვარ-ს* ტიპის სტატიკურ ზმნებში, რომლებშიც „მანის რიგით“ გამოხატული პირი რეალურად განმცდელი, აღმქმელი, მგრძნობელი, მქონებელი (პოსესორი) სუსტი ნებელობის მქონე სუბიექტია და არა ობიექტი: *მიყვარს, მძულს მე ის / უყვარს, სძულს მას ის* ტიპის ზმნების სახელობითში დასმული პირი სიყვარულის, სიძულვილის ობიექტია და არა სუბიექტი. როგორც ადრევე შევთანხმდით, ცნება-ტერმინები სუბიექტი - ობიექტი ლოგიკურია და არა გრამატიკული. ჩვენ ვარკვევთ პირის მარკერების ლოგიკურ-სემანტიკურ ფუნქციებს: პირის მარკერის გრამატიკული ფუნქცია, როგორც არაერთხელ განგვისაზღვრავს, ზმნის პირის რომელობის (I, II, III) აღნიშვნაა და ამ პირის (აქტანტის) ბრუნვასთან შსაბამისობის ჩვენებაა (მარკირება).

გასარკვევია, *მიყვარს* ტიპის ზმნებშიც ისტორიულად ინვერსიის პროცესთან, პირის ნიშანთა ფუნქციების შებრუნებასთან გვაქვს საქმე, თუ ამ ტიპის ზმნებში მიცემითი ბრუნვით გამოხატული სულიერი მდგომარეობის განმცდელი აქტანტი (პარტიციპანტი), იმთავითვე სუბიექტად იყო გააზრებული? სულიერი მოქმედების // მდგომარეობის გამომხატველი (ე.წ. აფექტური) ზმნები ყველა ენაში უძველესი ფორმაციის ზმნებია. ისინი ქართული ენის ისტორიაშიც იმ ეტაპის ამსახველია, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული გრამატიკული კატეგორიები, ჯერ კიდევ არ იყო დიფერენცირებული სტატიკა და დინამიკა, არ იყო ჩამოყალიბებული დროთა სამწევრა სისტემა, რომელმაც დინამიკურ ზმნათა ფორმების განვითარება გამოიწვია, რასაც, თავის მხრივ, აქტანტების ფუნქციათა დიფერენცირებასთან ერთად მათი მარკერების დიფერენცირებაც უნდა მოჰყოლოდა. „*მიყვარს, მომწონს*“ ტიპის აფექტური ზმნები ქართულში, ისევე, როგორც ბევრ სხვა ენაშიც (მაგ. რუს. мне нравится; ფრანგ. *Il me plait*), არქაულ ვითარებას გვიჩვენებენ და დინამიკური ზმნების უღლების სისტემისაგან განკერძოებით დგანან. ქართული პოლიპერსონალური ზმნა ამ მოვლენის ახსნის საშუალებას იძლევა: როგორც ჩანს, მიცემითი ბრუნვა, რომელიც ზმნაში მანის რიგის მარკერით აღინიშნებოდა, განმცდელი, სუსტი ნებელობის, „ინაქტიური“ (ირ. მელიქიშვილი) სუბიექტის ბრუნვა იყო. ამ ტიპის ზმნების სულიერი მდგომარეობის განმცდელი სუსტი ნებელობის ინაქტიური სუბიექტი (რომელიც სწორედ ამ, სულიერი და არა ფიზიკური მდგომარეობით თუ მოქმედებით არსებითად განსხვავდება ფიზიკური მოქმედების ჩამდენი გრამატიკულად ვინის რიგით გამოხატული აქტიური დინამიკური ზმნის სუბიექტისაგან, გრამატიკული თვალსაზრისით გათანაბრებული უნდა ყოფილიყო არააქტიურ პირთან და

ქართულ ზმნაში იმთავითვე პასიური, განმცდელი, არააქტიური პირის მარკერით უნდა ყოფილიყო აღნიშნული.

ის ფაქტი, რომ გრძნობა-აღქმის გამომხატველ ზმნებთან ქართულში მიცემითში დასმული სახელია გაგებული სუბიექტად, თავის დროზე კარგად შენიშნა ნიკო მარმა. თავის „ძირითად ტაბულებში“ მან ცალკე ადგილი მიუჩინა და გამოყო განსაკუთრებული, ე.წ. „ობიექტური წყობის“ მქონე ზმნების ჯგუფი, რომელიც არსებითად განსხვავდება დანარჩენი ზმნებისაგან. ასეთივე ინტერპრეტაცია მისცა ამ ტიპის ზმნებს მორის ბრიერმაც, მარის თანაავტორობით 1931 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოცემულ ნაშრომში „ქართული ენა“.

არის თუ არა დღეს *მაქვს, მიყვარს, მძულს, მწამს, მომწონს*, და სხვ. (ა. შანიძის კლასიფიკაციით ე.წ. „მედიოპასივი“, ხოლო ჩვენი კლასიფიკაციით III დიათეზის) ზმნებში **მანის** რიგის ფორმანტები განმცდელი სუბიექტის მარკერები და, პირიქით **ვინის** რიგისა – ობიექტის გამომხატველი? როგორც ა. შანიძე აღნიშნავს „ქართული გრამატიკის საფუძვლების“ 240-ე პარაგრაფში, „პირის ნიშანთა კვალიფიკაცია სათანადო პირთა **მოქმედების როგორობაზეა** დამყარებული“. თუ ამ განსაზღვრას დავეყრდნობით, საკითხი მარტივად უნდა გადაწყდეს: *მიყვარს (მე ის) მომწონს (მე ის), მიჭირს (მე ის), მაქვს (მე ის)* ტიპის ზმნებში **მანის** რიგის ფორმანტით გამოხატულია **სიყვარულის, სიძულვილის, მოწონების** თუ სხვა სულიერი მდგომარეობის/მოქმედების განმცდელი პირი. თუ ასეა, ზემოთ მოყვანილი განსაზღვრების მიხედვით გამოდის, რომ „*მიყვარს*“ ტიპის ზმნაში **მ-** პრეფიქსი მიცემითში დასმული განმცდელი პირის (**ლოგიკურ-სემანტიკურად სუბიექტის**) ნიშანია, რადგანაც სათანადო პირი (მე) რეალურად განიცდის სულიერ მდგომარეობას/მოქმედებას. და პირიქით, **-ს** სუფიქსი სიყვარულის, სიძულვილის, მოწონების და სხვა – საგნის, ობიექტის, სახელობითში დასმული პირის (**ლოგიკურ-სემანტიკურად ობიექტის**) ნიშანია. ამგვარად, ამ ტიპის ზმნებში **მ-** პრეფიქსს, როგორც ისტორიულად, ისე თანამედროვე ქართულში სემანტიკური მარკერების თვალსაზრისით უნდა მიეცეს სუბიექტური პირის ნიშნის კვალიფიკაცია, ხოლო **-ს** სუფიქსს კი – ობიექტური პირის ნიშნისა და, შესაბამისად, თანამედროვე ქართული ზმნის პირის ნიშანთა სისტემის ცხრილში ამ ზმნათა სუბიექტის მარკერებად უნდა შევიტანოთ **‘მანის რიგის ‘ მარკერებიც**, ისევე, როგორც ობიექტური პირის ნიშნების ცხრილში – **ვინის რიგის მარკერები**.

ამგვარად, **განსხვავებით** ფიზიკური, სივრცული, ლოკლური მიმართების რელატიურ-სტატიკური ზმნებისაგან, „*მიყვარს*“ ტიპის ზმნებში „**ვინის რიგის**“ ნიშანი იმთავითვე მათი განმცდელი, სუსტი ნებელობის მქონე, არააქტიური („ინაქტიური“) სუბიექტის მარკერი უნდა ყოფილიყო.

გრძნობა-აღქმის გამომხატველ ზმნებში მიცემითში დასმული აქტანტის (ლოგიკური სუბიექტის) მრავლობითობა ფორმალური თვალსაზრისით

სათანადოდ არის აღნიშნული. მის აღნიშვნას ისევე დიდი ხნის ისტორია აქვს, როგორც *დამიწერია* ტიპის ზმნებში. ინვერსიის პროცესი I პირიდან, აქტიური პირიდან დაიწყო: *მაქვს, მიყვარს...* ტიპის ზმნებში მიცემითში დასმულმა I პირმა ძველსავე ქართულში მოიპოვა ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი, ამის აღსანიშნავად მას ჰქონდა ინკლუზივის ნიშანი *გუ-*; ძველ ქართულში *გუაქუს ჩუნ* და *მაქუს ჩუნ* ფორმათა პარალელურ ხმარებაში ასახული უნდა იყოს მიცემითში დასმული სახელის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების ძალის მოპოვებისა და მისი უფლებების დამკვიდრებისთვის ბრძოლის სურათი, დაახლოებით ისეთივე ჭიდილისა, როგორც არის დღეს ინვერსიულობისაკენ გადახრილი ზმნების *ოპ* პირის მრავლობითის ფორმებში: *ეკვეცება მათ ის//ეკვეცება-თ მათ ის: ეკარგება მათ ის//ეკარგება-თ მათ ის*. ხოლო XII საუკუნის გელათის სალიტერატურო სკოლის ძეგლებში (დღეს კი იმერულსა და რაჭულ დიალექტებში) აფექტურ, გრძნობა-აღქმის გამომხატველ ზმნებში მიცემითში დასმული II და III პირების მრავლობითობა -ყე სუფიქსით აღნიშნება (*გესმის-ყე თქუნ, გიყვარს-ყე თქუნ, უყვარს-ყე მათ, გძინავს-ყე თქუნ, ძალ-გიც-ყე თქუნ, ძალ-უც-ყე მათ...*), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სტატიკურ ზმნებში მიცემითში დასმული პერსონალური პირის გააქტიურების, ე.ი. ინვერსიის პროცესის ფაქტს ქართული ენის ისტორიაში. უფრო გვიან, საშუალო ქართულში კი მიცემითში დასმული აქტანტის (*LS₂* და *LS₃*)-ის მრავლობითობა ზმნაში აღნიშნულ იქნა ისტორიული *L-*სუბიექტის მრავლობითის -თ სუფიქსით: *გაქვ-თ თქვენ ის, ისინი, გიყვარ-თ თქვენ ის, ისინი* (შდრ. ძვ. *გქონ-ან შენ / თქუნ, იგინი, გიყვარ-ან შენ / თქუნ, იგინი*).

ამგვარად, ამ ტიპის ზმნებში, ზუსტად ისევე, როგორც *მიწერია* ტიპის ზმნებში, მიცემით ბრუნვაში დასმული რეალურ, ლოგიკურ სუბიექტად გააზრებული პირი (ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში - ე.წ. 'გრამატიკული ობიექტად მიჩნეული'), როგორც აქტიური პირი, იძენს ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარს. და, თუ ძველ ქართულში სახელი ზმნას ფორმალური ნიშნების მიხედვით ითანხმებდა (*დაწერ-ნ-ა მან წიგნ-ნ-ი, უყვარ-ან მას იგინი*), თანდათან შეთანხმების სინტაქსური მექანიზმი იცვლება - დღეს სახელი ზმნას ითანხმებს უკვე შინაარსობლივი, ლოგიკური და არა ფორმალური თვალსაზრისით. ამიტომაც მიცემითის სინტაქსური როლი ძლიერდება, სახელობითისა კი სუსტდება.

ამ, *მიყვარს* ტიპის ზმნებს საშუალო ადგილი უჭირავთ *მიწერია* ტიპის სტატიკურ ზმნებსა და დინამიკურ ზმნებს შორის. ისინი გამომხატავენ არა ფიზიკურ მდგომარეობას, არამედ, თუ შეიძლება ითქვას, გარკვეული სულიერი მოქმედების (*სიყვარულის, სიძულვილის, წყენის, გაჭირვების, რაც პერსონალური პირის, ადამიანის დამახასიათებელია*) მდგომარეობას და, ამდენად, ფორმაწარმოებითაც არქაულ ვითარებას გვიჩვენებენ და ცალკე დგანან ფიზიკური, მატერიალური მოქმედების გამომხატველი ზმნებისაგან.

ამ (მიყვარს, მიკვირს, მიმბიძს, მიჭირს, მინებს, მომწონს, მწამს, მწყინს, მბუღს, მშურს, მწადს, მსურს, მნებავს, მღვიძავს, მძინავს...) ტიპის ზმნების სტრუქტურაში მონაწილე მიცემითში დასმული პირი, რომელიც იმთავითვე გაიაზრებოდა „განმცდელ“ (და არა ფიზიკურად მოქმედ) სუბიექტად, ისტორიულად მოქმედი წესის თანახმად (რომლის მიხედვითაც მიცემითი ბრუნვას ზმნაში მანის რიგის მარკერი შეესაბამება) მანის რიგის მარკერთაა დაკავშირებული ზმნასთან. ისტორიულად მანის რიგის მარკერები (პრეფიქსები) გამოხატავდნენ სულიერი მდგომარეობის (მოქმედების) სუსტ, განმცდელ სუბიექტს, ინაქტიურ სუბიექტს.

ამ (მიყვარს) ჯგუფის ზმნები მეტად მცირე რაოდენობისაა, დაახლ. 40-მდეა (იხ. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, 2001: გვ. 344, III დიათეზა, პარადიგმები: №3/55/,4/56/, №5/57/,6/58/). ვფიქრობ, სწორედ ამ ზმნათა მოდელი უნდა დასდებოდა საფუძვლად III დიათეზის II ჯგუფის ჩამოყალიბებას ინვერსიის გზით I და II დიათეზის ზმნათაგან: ასე, მაგ. მაკაუზირებელი პირის ცნობიერებაში ჩაძირვის, გაუჩინარებისა (კონვერსიისა), ხოლო ეკზეკუტორის, მოქმედების რეალურად განმცდელ-შემსრულებლის სუბიექტად გადააზრებით, (ინვერსიის) გზით იქნა მიღებული: *მაკანკალებს, მაციებს ის (სიცივე, ქარი მე > მაციებს, მაკანკალებს, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს მე; მანატრებს, მაზარებს ის მე მას > მენატრება, მეზარება მე ის; მამცხიკვებს - მემცხიკვება; მაცემინებს - მეცემინება; მათენარებს - მემთენარება*. ამ ჯგუფის ზმნებიც მცირე რაოდენობისაა (დაახლოებით 180-მდეა), თუმცა კი სამეტყველო პროცესში საკმაოდ ხშირად გამოიყენება და მათი რაოდენობა საჭიროების შემთხვევაში მარტივად იმატებს. ამ ტიპის ზმნებს შეიძლება სამივე რიგი ჰქონდეს: II და III რიგი I რიგს უნებლიობის შინაარსით უპირისპირდება: *ვამთენარებ - მამთენარებს - მემთენარება; ვაცემინებ - მაცემინებს - მეცემინება; ვახველებ - მახველებს - მეხველება; ვამღერებ - (რა) მამღერებს - რა მემღერება; ვაფიქრებ - მაფიქრებს - მეფიქრება...* ამ რიგებში ნებელობისა და უნებლიობის, ნახული და უნახავი (დასწრებული და დაუსწრებელი) აქტის სემანტიკური ოპოზიცია ვინისა და მანის რიგის მარკერებითაა გამოხატული.

ირ. მელიქიშვილმა თავის მნიშვნელოვან სტატიაში, რომელიც ეხება სემანტიკურ მარკირებას მორფოლოგიაში და აქტიურობა-ინაქტიურობის კატეგორიას ქართველურ ენებში, ამ ტიპის ზმნების მიცემითბრუნვიან აქტანტას მარჯვე ტერმინი - **ინაქტიური ქვემდებარე** - მოუძებნა (იხ ი. მელიქიშვილი, 2011, გვ.325). ამ მხრივ ჩვენი თვალსაზრისები თანხვდება ერთმანეთს (III დიათეზის I ქვეჯგუფისათვის) იმ განსხვავებით, რომ ი. მელიქიშვილი საერთოდ არ ცნობს ინვერსიის პროცესს ქართულ ზმნაში, ამავე დროს, მისთვის **„ქვემდებარე“-სუბიექტი** და **„დამატება“-„ობიექტი“** ტრადიციისამებრ

მორფოლოგიური და სინტაქსური ცნება-ტერმინებია და ამიტომაც, შესაბამისად - „სუბიექტი“ არ მიაჩნია უნივერსალურ კატეგორიად.

მიყვარს ტიპის სტატიკური ზმნები პერსონალური პირის გქმნობა-განწყობას, ადამიანის სულიერ მდგომარეობას გამოხატავენ. ლოკალური მიმართების ორპირიანი (*მიწერია, მიგდია, მიფენია*) სტატიკური ზმნებისაგან განსხვავებით, ისინი შეიცავენ განმცდელ, სუსტი ნებელობის სუბიექტურ პირს, რომელიც მიცემითი ბრუნვითაა გადმოცემული და ზმნაში სათანადოდ `მანის რიგის` მარკერითაა აღნიშნული; დინამიკურ ზმნათაგან ისინი განსხვავდებიან იმით, რომ მათი განმცდელი სუბიექტი გამოხატულია `მანის რიგის` მარკერით „*მიყვარს მე იგი, მომწონს მე იგი*“, მაშინ, როდესაც დინამიკური ზმნის განმცდელი, ანუ პასიური სუბიექტი, რომელიც, ჩვეულებრივ არაპერსონალური პირია, გამოხატულია „*ვინის რიგის*“ მარკერით (*იწერება მოხსენება, იხატება სურათი, იგრიხება თოკი... ვიღაცის მიერ*: ლოგიკურ-სემანტიკურად, რეალურად, სუბიექტი სწორედ ეს მიერ თანდებულისანი სახელია). სწორედ ეს პრობლემაა გადასაჭრელი გრამატიკულ ლიტერატურაში: ორივე ტერმინი - სუბიექტი (ლათ.) და იგივე ქვემდებარე (ქართ.) ბერძნული ἰπτοκείμενον-ის თარგმანია, ორივე ლოგიკური ცნება-ტერმინებია და მათი გამოყენება გრამატიკული ტერმინის ფუნქციით სუბიექტისა - მორფოლოგიაში, ხოლო ქვემდებარისა - სინტაქსში ბევრ შეუსაბამობასა და გაუგებრობას იწვევს. ჩვენთვის `სუბიექტი` და `ქვემდებარე`, ერთი და იმავე მნიშვნელობის უნივერსალური ლოგიკური კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინებია და არა გრამატიკული კატეგორიისა. სუბიექტი ნებისმიერ ენაზე მოლაპარაკე პირისათვის ერთია, მაგრამ სხვადასხვა ენაში იგი სხვადასხვაგვარად არის გაფორმებული და სინტაქსური თვალსაზრისით ზმნასთან დამოკიდებულებაც (მართვა-შეთანხმება, კოორდინაცია-სუბორდინაცია) სხვადასხვაგვარია. ლოგიკური და გრამატიკული სფეროების გამიჯვნა კვლევისას სწორედ იმისათვის არის აუცილებელი, რომ გამოვავლინოთ ქართული ზმნისა და ზმნური შესიტყვების გრამატიკული თავისებურებანი.

ზემოთ არაერთხელ მოგვიხდა აღნიშვნა, რომ ინვერსიის საფუძველი და პირობები სტატიკურ ზმნებშია, რადგანაც მათ რეალურად სუსტი, პასიური არააქტიური სუბიექტი აქვთ. რომ მართლაც პასიური, სუსტი სუბიექტის არსებობა იწვევს ინვერსიას, ეს იქიდანაც, ჩანს, რომ დღეს დინამიკური ზმნებიც კი, რომელთაც პასიური (ხშირად არაპერსონალური) სუბიექტი აქვთ, ტენდენციას იჩენენ ინვერსიისაკენ (მაგ. *ეხატებათ ადამიანებს მომავალი, ეკვეცებათ სახელებს ბოლო, ეკითხებათ სტუდენტებს ლექციები - მაგრამ: ეკითხებიან ლექტორები სტუდენტებს...*)¹, მაშინ როდესაც ამ ტენდენციისაგან თავისუფალია ირიბგარდამავალი (ირიბობიექტიანი) დინამიკური, ოღონდ აქტიურსუბიექტიანი

¹ ამ გზაფარს მიეკუთვნება ე.წ. „შესაძლებლობის“, „გუნების“, „მიჩნევის“, სემანტიკის ზმნები (მეადვილება, მემღერება, მეჭმევა, მეცოტავება).

ზმნები, როგორცაა: *ემალემა ის მათ, ეშველება ის მათ, ეტმასნება ის მათ, აცხრება ის მათ, ახტება ის მათ, ეჩხუბება ის მათ...* (იხ. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, 2001., ინდექსი, გვ.337, პარადიგმა №11 (45)).

ამგვარად, ინვერსიის პროცესი დღესაც მოქმედი პროცესია და სულ უფრო იფართოებს მოქმედების არეს. იგი მოიცავს სულ უფრო ფართო ჯგუფს საერთოდ პასიურსუბიექტიანი (არაპერსონალურსუბიექტიანი) ზმნებისას და თანამედროვე ქართული ენის ზმნის უღლების სისტემაში მტკიცედ იმკვიდრებს თავის ადგილს. ეს პროცესი ენის განვითარების შინაგან კანონზომიერებათა ერთ-ერთი გამოვლინებაა და ქართული ენის განვითარების ძირითად ხაზს მიჰყვება: ასე ჩამოყალიბდა ახალი, დატიურსუბიექტიანი ზმნების ჯგუფები **R-th.suf.-O** და **R-th.suf.-ი** სტრუქტურის ზმნათა ინვერსიის საფუძველზე: „*მაკანკალებს სიცივე მე > მაციებს, მაკანკალებს, მაჭრიალებს; მაცემინებს ის მე ცხვირს > მაცემინებს ის მე > მაცემინება მე; მამცხიკვებს > მემცხიკვება; მანატრებს ის მე მას > მენატრება მე ის*“ და სხვ.

ქართული ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ტენდენცია ისეთია, რომ შესაძლებელია (თუ ეს პროცესი ნორმებმა არ შეაფერხა), ინვერსიის ყველა ლაბილური შემთხვევა სტაბილური გახდეს, მაშინ ამ ფორმათა ინვერსიის საკითხი, ალბათ, მხოლოდ ისტორიულ გრამატიკას შემორჩება.

ზემოთ შევხებით III დიათეზის II ქვეჯგუფში პირის ნიშანთა ფუნქციების ისტორიულ შენაცვლებას, **ინვერსიას**, რაც გარკვეული ტიპის ზმნებში მიცემითბრუნვიანი პირის გააქტიურებამ გამოიწვია. შეიცვალა პირთა ლოგიკურ-სემანტიკური (რეალური) ფუნქციები, ხოლო, რაც შეეხება ფორმალურ გამოხატულებას - პირის ნიშანთა მიმართებას ბრუნვის ნიშნებთან, ეს მიმართებები მყარია და უცვლელია:

1. nom. / nom. (ვ-)
2. nom. / nom. (ვ-)+ dat. / dat.(მ-)
3. nom. / erg. (ვ-)+ dat. / nom. (მ-)
4. nom. / erg. (ვ-)+dat. / nom. (მ-)+ dat. / dat. (**Ø-a**)
5. nom. / erg. (ვ-)+dat. / nom. (**Ø**) + dat. / dat. (მ-ა)

პირისა და ბრუნვის ნიშანთა ეს ფორმულები ქართული ზმნური შესიტყვების მდგრადობის გარანტიაა, ქართული ენის თვითარსებობის უნიკალური ფორმაა, საიდანაც ცხადი ხდება, რომ - ზმნა ქართული ენის გრამატიკული სისტემის მდგრადობის მცველი და ბურჯია.

ლექცია № 13

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში

როგორც ცნობილია, მ- და გუ- პრეფიქსები ძველ ქართულში პარალელურად გვხვდება ზმნაში I პირის (პირდაპირი და ირიბი) ობიექტის აღმნიშვნელად. აქედან მ- პრეფიქსი ორსავე რიცხვში (*გან-მ-აძლიერა მან მე. გან-მ-აძლიერ-ნ-ა მან ჩ უ ე ნ, მაქუს მე იგი, მ-აქუს ჩ უ ე ნ იგი*); ხოლო გუ- პრეფიქსი კი მხოლოდ მრავლობითში (*გან-გუ-აძლიერ-ნ-ა მან ჩ უ ე ნ; გუ-აქუს ჩ უ ე ნ იგი*).

ამ პარალელურ ფორმათა შესახებ გამოთქმული მოსაზრებები ცნობილია. ის ფაქტი, რომ მ- და გუ- პრეფიქსები მრავლობითს რიცხვში დასმული I ობიექტური პირის აღნიშვნისას ძველ ქართულში ენაცვლება ერთმანეთს, ორი ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას იძლეოდა: 1. მათი ფუნქციები წარმოშობით სხვადასხვაა: კერძოდ, მათ ოდესღაც ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ფუნქცია ეკისრებოდათ ზმნაში (1, გვ. 25, § 6. 3, გვ. 335 შნშ. 1; 4, გვ. 373-4; გვ. 185, § 224; 5, გვ. 223); 2. ისტორიულად ისინი სინონიმური ფორმანტებია (როგორც I ობიექტური პირის აღმნიშვნელი ზმნაში) და სხვადასხვა დიალექტური წრიდანაა შემოსული სალიტერატურო ქართულში (6, გვ. 114).

მეორე მოსაზრება დამტკიცებულია იმ წანამდღვრიდან ამოსვლით, რომ მრავლობითისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ერთია და, ამდენად, ინკლუზივის (გუ-) ფორმანტი, როგორც, ამავე დროს, მრავლობითის ნიშანი, არ შეიძლება თანაარსებობდეს მრავლობითის (-ენ→-ნ) სუფიქსთან ერთად. ხოლო რადგან გუ- პრეფიქსი სახელობითში დასმული ობიექტის მრავლობითობის -ნ სუფიქსთან ერთადაა წარმოდგენილი ზმნაში (*გან-გუ-ახლ-ნ-ა*), ამიტომ ძველ ქართულში იგი არ შეიძლება იყოს მრავლობითის ნიშანი. პრეფიქსი გუ-, ისევე როგორც მ-, I ობიექტური პირის გამომხატველი ფორმანტია როგორც სახელობითში დასმულ ობიექტიან ფორმებში (*და-გუ-ამდაბლ-ნ-ა მან ჩუენ*), ასევე მიცემითში დასმულ ობიექტთან (*გუ-აქუს ჩუენ* არნ. ჩიქობავა, 6, გვ. 100). ამას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ქართულში მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპი სუფიქსურია და გამონაკლისს მხოლოდ გუ- პრეფიქსი წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ამ მოსაზრებისათვის ერთადერთი დამაბრკოლებელი ფაქტი ისაა, რომ ძველ ქართულში გუ- პრეფიქსი მხოლოდითი რიცხვის I პირის ობიექტის გამომხატველად არასოდეს არ გვხვდება. იგი იხმარება მხოლოდ მრავლობითს რიცხვში დასმული ობიექტის აღსანიშნავად.

მაგრამ პირველი მოსაზრება განმტკიცებულ იქნა იმ ამოსავალი დებულებით, რომელიც გულისხმობს, რომ მრავლობითი რიცხვისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიები სხვადასხვაა და, ამდენად, ისინი ზმნაში სხვადასხვა მორფემებით უნდა ყოფილიყო აღნიშნული¹. ნაშრომში `ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისთვის ქართველურ ენებში` (2, გვ. 233) სვანური ენის მასალაზე დაყრდნობით ალ. ონიანმა დაასაბუთა, რომ ინკლუზივ-

¹ იგივე მოსაზრება დამოუკიდებლად გამოთქვა დ. ნინუამ სადისერტაციო ნაშრომში „ბრძანებითი კილო ქართულში“.

ექსკლუზივის პრეფიქსებს არ აკისრია მრავლობითის გამოხატვის ფუნქცია. მრავლობითის ფორმანტები სუფიქსებია, ხოლო პრეფიქსები – სულ სხვა, **ინკლუზივ-ექსკლუზივის** კატეგორიის გამომხატველია ზმნაში (*ხუ-არი-დ – ლ-არი-დ*).

ასეთ შემთხვევაში **გუ-** პრეფიქსისა და მრავლობითის **-ენ (-ნ)** სუფიქსის თანაარსებობა ზმნის ფორმაში წინააღმდეგობას აღარ შეიცავს და თითქოს მართლდება ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ძველ ქართულში **მ-//გუ-** პრეფიქსთა პარალელური ხმარება და მათი ურთიერთშენაცვლება I L-O პირში გადმონაშთია ოდესღაც ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გარჩევისა ქართული ზმნის პირიან ფორმებში. ამ მოსაზრების ავტორთა აზრით, **გუ-** პრეფიქსი უნდა ყოფილიყო ინკლუზივის აღმნიშვნელი, **მ-** კი ექსკლუზივისა. მაგალითად, ალ. ონიანი წარმოგვიდგენს ვარაუდს, რომ `ძველ ქართულში დადასტურებული ფორმები (*მაქუს ჩუენ და დამიდგინნა ჩუენ*) ექსკლუზივის ოდინდელი გამოხატვის ნაშთია, ხოლო **მ-** ფორმანტი ამ კატეგორიის ოდინდელი ნიშანი (2, გვ. 234), ასევე **გუ-** პრეფიქსი - ინკლუზივის ოდინდელი ნიშანი. თუ დასახელებული მოსაზრება გამართლებულია **გუ-** პრეფიქსის მიმართ (რომელიც ინკლუზივის გამომხატველი უნდა ყოფილიყო ოდესღაც), იგი ვერ გავრცელდება **მ-** პრეფიქსზე, რომელიც აშკარად I ობიექტური პირის ნიშანია ზმნაში და ვერ შეითავსებდა სხვა ფუნქციას (მით უფრო, ექსკლუზივისას, რომელიც მრავლობითის გაგებას შეიცავს), თუ გავითვალისწინებთ ქართული ზმნის აგლუტინაციურ პრინციპს (რაც დღესაც ძირითად პრინციპად რჩება).

ამის ნათელ საბუთს ისევ სვანური ზმნა წარმოადგენს; მასში აგლუტინაციის პრინციპი ისტორიულად L-S₁ პირშიც კი არის გატარებული: *ლ-ი - ლ-ი-ხ, სადაც ლ < *ნ*.

უნდა ვიფიქროთ, რომ **გუ-** პრეფიქსის (როგორც ინკლუზივის გამომხატველი ფორმანტის) ცალი - ექსკლუზივის ფორმანტი უნდა ყოფილიყო არა **მ-** პრეფიქსი, რომელიც ძველ ქართულში **გუ-** პრეფიქსის პარალელურად იხმარება, არამედ სულ სხვა აფიქსი, რომლის კვალიც უკვე გამქრალია ძველ ქართულში. თუ სვანურის მონაცემებს მივხედავდით, სადაც ობიექტურ უღლებაში L-O₁ = **მ-**, L-O_i = **გუ-**, ხოლო L-O_e = **ნ-**, მაშინ ქართულისათვის ობიექტური უღლებისას ეს სქემა ასე წარმოგვიდგებოდა, ოღონდ **ნ-** პრეფიქსის ადგილს უცნობი x აფიქსი დაიჭერდა: L-O₁=**მ-**, L-O_i=**გუ-**. O_e = **x**.

მაგრამ საკითხი ასე იოლად ვერ გადაწყდება. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის მოსაზრება, რომელიც ა. ონიანს აქვს განვითარებული სვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმისა და მრავლობით რიცხვის L-O₁ და L-S₁ პირთა ფორმების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით.

საქმე ისაა, რომ სვანურში ამ მხრივ განსხვავებაა სუბიექტურსა და ობიექტურს უღლებაში. I სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვისა და ექსკლუზივის ფორმები პრეფიქსებით არ განსხვავდება ერთმანეთისგან (S მხ. - ხუათური; L-Se - ხუ-ათური-დ) ინკლუზივი კი **ლ-** პრეფიქსითაა გამოხატული (L-Si - ლ-ათური-დ).

განსხვავებით სუბიექტური უღვლილებისაგან, ობიექტურს უღვლილებაში პირველ პირს თავისი ნიშანი აქვს - L-O₁ **მ-**; ინკლუზივს თავისი: L-O L-O_i **გუ-**; ექსკლუზივს კი თავისი - L-O_e **ნ-**.

ამიტომ ბუნებრივია, დაისვა კითხვა: ამოსავალი ვითარება სუბიექტურს უღვლილებაშია დაცული თუ ობიექტურში? ა. ონიანის აზრით, ამოსავალი ვითარება დაცული უნდა იყოს სუბიექტურს უღვლილებაში, ე.ი. იქ, სადაც S_1 და შე ფორმები ემთხვევა ერთმანეთს. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ჩამოყალიბების პერიოდში მხოლოდითისაგან განსხვავებული ის ფორმა უნდა ყოფილიყო, რომელიც ორ პერსონალურ პირს აერთიანებდა (I და II). ექსკლუზივი კი, რომელიც პირველ პირთან ერთად 'არაპერსონალურ' III პირსაც შეიცავდა (ხოლო II-ს გამორიცხავდა), მხოლოდითი რიცხვის ფორმასთან ისე მკვეთრად არ უნდა ყოფილიყო დაპირისპირებული (2, გვ. 230).

მაგრამ ამ სავესებით ლოგიკური ვარაუდის საფუძველზე ავტორი სრულიად მოულოდნელად დაასკვნის, რომ 'I ობიექტური პირის პრეფიქსი ისტორიულად ექსკლუზივის ნიშნადაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული'. ასეთი ნიშანი კი არის ყველა ქართველურ ენაში, ესაა მ-, რომელიც სვანურში ამჟამად მხოლოდ მხოლოდითს რიცხვშია დადასტურებული. ექსკლუზივის ნიშანი ნ- პრეფიქსი, რომელსაც ქართველურ ენებში შესატყვისი არ მოეპოვება, მეორეული ჩანს და მიღებული უნდა იყოს მ-სგანო.

საბოლოოდ სვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვის ა. ონიანის მიერ წარმოდგენილი სქემა ასეთია:

ვინის რიგი	მანის რიგი
L-S ₁ ხუ-	L-O ₁ მ-
L-Se ხუ-	L-Oe *მ--->ნ-
L-Si ლ-	L-Oi გუ-

როგორც ვხედავთ, L-S₁ და L-Se გამოხატულია ერთი და იმავე პრეფიქსით (ხუ-); L-O₁ და L-Oe ამოსავალში გამოიხატება ერთი და იმავე (მ-) პრეფიქსით, დღეს კი მათი გამოხატულება სხვადასხვაა (L-O₁ - მ-; L-Oe - ნ-).

თუ ამგვარი სქემა სინქრონიულ ასპექტში გამართლებულია (მას შემდეგ, რაც ობიექტურ უღვლილებაში L-O₁ და L-Oe-ის პრეფიქსები განსხვავდა და, ამგვარად, ექსკლუზივს თავისი საკუთარი ნიშანი გაუჩნდა (და ამის მიხედვით შეიძლება სუბიექტურს უღვლილებაშიც ექსკლუზივის ნიშნად ხუ- პრეფიქსი ვიგულისხმოთ, ე. ი. იგივე L-S₁ პირის პრეფიქსი), ამოსავალში ამგვარი სქემის დაშვება შეუძლებელია. L-O₁-ის პრეფიქსი მ-, ისევე, როგორც L-S₁-ის ვ-(ხუ-) ისტორიულად (ამოსავალში) არ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ექსკლუზივის ნიშნადაც (რომელსაც მრავლობითის გაგება უნდა ჰქონოდა, თუ გავითვალისწინებთ ქართული (/სვანური) ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის აგლუტინაციურ პრინციპს (ცნობილია, რომ ფლექსიური ტიპის გამოვლების გამონაკლისი შემთხვევები ქართულ ზმნაში მეორეულია და ამოსავალში სტრუქტურული თვალსაზრისით აგლუტინაციურ ტიპს გვიჩვენებს. მხედველობაში გვაქვს სვანურში L-S₃-ს პრეფიქსული წესით გამოხატვის გადმონაშთი, ქართულში L-S₂ მრავლობითი რიცხვის სუფიქსები, რომელთაც დღეს პირის გამოხატვის ფუნქციაც აკისრიათ, დაბოლოს, L-O₁ მრავლობითის გუ-პრეფიქსი, რომელიც, როგორც გამოირკვა, ისტორიულად ორი ფუნქციის გამომხატველი არ ყოფილა).

ინკლუზივის ფორმაში I პირთან ერთად აღსანიშნი II პირიცაა. ინკლუზივის კატეგორია I პირთან ერთად აუცილებლად ჩარიცხავს II პირსაც, III პირი კი შეიძლება იგულისხმებოდეს, შეიძლება არა. ექსკლუზივის ფორმა II პირს გამორიცხავს, იგი I და III პირს გულისხმობს. ამგვარად, III პირის არსებობა ორივე ფორმაშია შესაძლებელი - ინკლუზიურშიც და ექსკლუზიურშიც. მნიშვნელობა ენიჭება იმას, არის თუ არა ჩარიცხული II პირი. თუ არის - ამას გამოხატვა ესაჭიროება, თუ არ არის - არა. აქედან ცხადია, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია განსაკუთრებული აფიქსით II პირის აღნიშვნას მოითხოვდა მისი არსებობის შემთხვევაში (ინკლუზივი), ხოლო მისი (II პირის) არყოფნის აღნიშვნა კი ცხადია, საჭირო აღარ იყო (ექსკლუზივი).

აქედან ლოგიკურია დასკვნა, რომ ინკლუზივს უნდა ჰქონოდა ნიშანი, ექსკლუზივს კი არა.

ამგვარად, ისტორიულად ერთმანეთს უკავშირდება ორი ფორმა: ნიშნისანი - ინკლუზივისა და უნიშნო - ექსკლუზივისა. ეს უკანასკნელი, ცხადია, დაემთხვეოდა მხოლოდითი რიცხვის ფორმას ორსავე უღლებაში (ობიექტურშიც და სუბიექტურშიც).

სქემა შემდეგი სახისა იქნებოდა:

მანის რიგი	ვინის რიგი
L-Oe Ø	L-S ₁ ვ-(ხუ)
L-Oi გუ-	L-S ₁ (ლ-)
L-Oe მ-	L-Se Ø

რა პრინციპი უნდა დასდებოდა საფუძვლად ინკლუზივის კატეგორიის გამოხატვის წესს? პრინციპი მეტად მარტივი იყო: ფორმაში იგულისხმებოდა I და II პირი - ნიშნებიც ორივე პირისა იყო წარმოდგენილი (საქმე ეხება მხოლოდ ობიექტურს უღვლილებას: შემთხვევითი არ არის, რომ ქართულში სუბიექტურს უღლებაში კვალაც კი არ არის დარჩენილი ამ კატეგორიის არსებობისა, მაშინ, როდესაც გუ- პრეფიქსი ობიექტურს უღლებაში დღესაც ცოცხალია, თუმცა სხვა ფუნქციით). სქემა ასეთი იქნებოდა: L-O₂ + L-O₁ > *გ-მ--> გ-უ, სადაც გ-ს მომდევნო პოზიციაში, თავდაპირველად თანხმობების წინ (გ-მ-C), შემდეგ კი ანალოგიით ხმობების წინაც (გ-მ-V) მ გადადიოდა უმარცვლო უ-ში (შდრ. ქმრივი ქურივი ქვრივი)¹.

ამგვარი დაშვება ლოგიკურად სავსებით გამართლებულია და ეს ჰიპოთეზა, როგორც ცნობილია, ადრევე იქნა გამოთქმული (1, გვ. 26), ოღონდ მის აღიარებას ხელს უშლიდა ის ფაქტი, რომ სვანურში ვინი რიგის (L „სუბიექტურ“) უღლებაში ექსკლუზივის ნიშნად მიჩნეული ხუ- პრეფიქსი, რომელიც ზემოთ მიღებული წესის მიხედვით L-S₃ L-S₁-ს უნდა გულისხმობდეს, შედგენილობის მიხედვით L-S₂ (b) L-S₁ (ვ>უ)-ს შემცველი გამოდიოდა, რაც ფუნქციის მიხედვით შეუძლებელია.

მაგრამ ისმის კითხვა: არის თუა არა სვანური ზმნის სუბ. უღლებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმა ისეთივე აგებულებისა, როგორიც ობიექტურ

¹ L-O₃ პირის ნიშნად სვანურში დღეს ჯ-ს არსებობა დაბრკოლებად ვერ ჩაითვლება, რადგანაც „მისი პირვანდელი სახე გ-უნდა ყოფილიყო“ (1, გვ. 26).

უღლებაში? დღევანდელი სურათის მიხედვით ამას ვერ ვიტყვით: ინკლუზივის ნიშანი არის **ლ-**, ერთი ბგერა (რომელსაც ვერავითარი ლინგვისტური მანიპულაციით ვერ ჩავთვლით მიღებულად ორი პრეფიქსისაგან).

სუბიექტურ უღლებაში, ვფიქრობთ, საქმე სულ სხვაგვარად უნდა ყოფილიყო. აქ არც ინკლუზივის ნიშანი არის შედგენილი ორი შესაბამისი ნიშნისაგან და არც ექსკლუზივის ნიშანი უნდა ჩაითვალოს ამგვარი წარმოშობისად. ლოგიკურად ორი დაშვების შესაძლებლობა გვაქვს: ან ამ უღლებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია უფრო გვიანდელი ჩამოყალიბებულია, ვიდრე ობიექტურ უღლებაში, და მაშინ გასაგებია, რატომ არ დაედო საფუძვლად მის გამოხატვას ძველი წესი: კატეგორიას უკვე აბსტრაქტული გაგება ჰქონდა და ნიშანიც აბსტრაქტული მიიღო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სვანურში ამ ფუნქციით დაიტვირთა უფუნქციოდ დარჩენილი **L-S₃**-ის პრეფიქსი **ლ-**, მას შემდეგ, რაც **L-S₃**-ის გამოხატვა ზმნურ სისტემაში სუფიქსებს დაეკისრა. ხოლო ექსკლუზივს კი, ისევე, როგორც ობიექტურ უღლებაში, ნიშანი არ ჰქონდა. **ხუ-** პრეფიქსი, სადაც ძირითად ელემენტად **უ** მიაჩნიათ, **L-S₁**-ის ნიშანია (1, გვ. 7). არ არის გამორიცხული, რომ **L-S₁**-ის თავდაპირველი პრეფიქსის – **ვ-**ს წინ **ხ** ფონეტიკურად იყოს განვითარებული (შდრ. *ქვიშა, ღვინო*). შემდეგ კი **ხ-**ს მომდევნო პოზიციაში **ვ** → **უ** (შდრ. ძვ. ქართ. *ხყავ; მეხუაბთ; შევხაბ>შეხვაბ>მეხუაბ*).

ამგვარად, სვანურში ექსკლუზივის ფორმის **ხუ-** არის არა ამ კატეგორიის ნიშანი, არამედ **L-S₁**-ის ნიშანი (სადაც **უ-**ს წინ **ხ** განვითარებულია).

ამ დაშვებას მხარს უჭერს ის, რომ ქართულში სუბიექტურს უღლებაში არავითარი კვალი არ ჩანს ამ კატეგორიის გარჩევისა მაშინ, როცა ობიექტურ უღლებაში **მ-** და **გუ-** პრეფიქსთა პარალელური არსებობა ძველ ქართულში გვაპირადებინებს ამ კატეგორიის ოდინდელ გარჩევას ზმნის ფორმაში (რასაც მხარს უჭერს სვანურის დღევანდელი ვითარებაც **მ-** მხოლოდით რიცხვის **L-O₁**; **გუ-** ინკლუზივი).

ან, ის დაგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ჩამოყალიბებისას სვანურ **L-S₁** პრეფიქსს უკვე მიღებული ჰქონდა **ხუ** კომპლექსის სახე და, ამგვარად, ინკლუზივის ნიშნად ვეღარ მიიღებდნენ **L-S₁L-S₂** (*ვხ>ხვ>ხუ*) ნიშანთა კომბინაციას, რადგანაც ინკლუზივის ფორმა ასეთ შემთხვევაში დაემთხვეოდა **L-S₁**-ისას და აქედან - ექსკლუზივის ფორმას. ამიტომ, ენაში ინკლუზივის გამოსახატავად გამოიძებნა სულ სხვა საშუალება, კერძოდ **ლ-** ნიშანი, რომელიც, სრულიად შესაძლებელია, წარმოშობით სწორედ **L-S₃** პირის ფუნქციადაკარგული პრეფიქსი იყო და ისევე განაგრძობდა არსებობას (უფუნქციოდ), როგორც ოდესღაც ქართულში **გუ-** პრეფიქსი (მანამ, სანამ ამ უკანასკნელს არ მოუსწრო ძვრებმა სინტაქსის სფეროში და მრავლობითის გამოხატვა არ დააკისრა).

ასეა თუ ისე, ობიექტური და სუბიექტური უღლება ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიისა და მრავლობითი რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით სვანურში სტრუქტურულად განსხვავდება ერთმანეთისაგან:

1. მანის რიგის (L-„ობიექტური“) უღლება	
ძველი:	ახალი
L-Oe Ø-	—
L-Oi გუ-	L-Oi გუ-
L-O ₁ მ-	L-Oe ნ-

2. ვინის რიგის (L-„სუბიექტური“) უღლება	
	მრ. რ.სუფიქსი
L-S ₁ ხუ-	
L-Si ლ-	-დ
L-Se -Ø- (L-S ₁ - ხუ)	-დ

ისტორიულად არც „ობიექტურ“ უღლებაში და არც „სუბიექტურ“ უღლებაში ექსკლუზივს ნიშანი არ უნდა ჰქონოდა და არც ჰქონია. ამიტომ ობიექტურ უღლებაში იგი ემთხვეოდა მხოლოდითი რიცხვის ფორმას. სუბიექტურ უღლებაში კი ექსკლუზიური ფორმა არ ემთხვეოდა მხოლოდითისას (თუმცა L-S₁ პრეფიქსი ხუ- ახლდა), რადგანაც მას ბოლოში მრავლობითი რიცხვის სუფიქსი ერთვოდა: ხუ-არი - ხუ-არი-დ, რომელიც მას მხოლოდითისაგან განასხვავებდა, მეორე მხრივ კი იგი ინკლუზივის ფორმისგანაც განსხვავდება L-S₁ პრეფიქსის გამო: ხუ-არი-დ - ლ-არი-დ. შესაძლებელია სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ობიექტურ უღლებაში ექსკლუზივის ფორმის განსხვავება მხოლოდითისაგან: მი მ-აყა - ნაჲ მ-აყა>ნაყა. მორფოლოგიურმა საჭიროებამ გზა გაუხსნა შესაძლებელი ფონეტიკური პროცესების განხორციელებას: როგორც ალ. ონიანი უშვებს, ობიექტურ უღლებაში მხოლოდითისაგან ექსკლუზივის ფორმის განსხვავება უნდა მომხდარიყო მ-ს ნ-ში გადასვლის გზით. ამის მიზეზი კი უნდა ყოფილიყო მრავლობითი რიცხვის ნაჲ ნაცვალსახელი, რომელიც აუცილებელი თანამდევნი იქნებოდა მრავლობითი რიცხვის გაგებით ნახმარი რომელიმე მაყა ფორმისა (რომელიც მხოლოდითი რიცხვის ფორმას ემთხვეოდა, რადგანაც მიცემითში დასმული ობიექტის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნებოდა). მეორე გარემოება, რომელსაც მ>ნ გადასვლაზე შეეძლო ემოქმედა, გივი მაჭავარიანის აზრით, მისი მხოლოდითის წყვილთან (მი მაყა) ტიპოლოგიური დამსგავსების, ანალოგიის გავლენა უნდა ყოფილიყო: ნაჲ მ-აყა>ნაჲ ნ-აყა: გავიხსენოთ, რომ ძველ ქართულში ექსკლუზივის შემთხვევაში, რომელიც მხოლოდითის ფორმას ემთხვეოდა, ზმნურ ფორმას მხოლოდითისაგან განსასხვავებლად აუცილებლად ახლდა „ჩუენ“ ნაცვალსახელი: მო-მ-ეც ჩუენ მე და მას/მათ, მო-მ-იტევენ ჩუენ მე და მას/მათ, წმიდა მ-ყუენ ჩუენ მე და ის/იგინი: ასევე უნდა ყოფილიყო სვანურშიც, ასე რომ ამ ფაქტის ტიპოლოგიური ანალოგიით გივი მაჭავარიანისეული ახსნა სრულიად დამაჯერებელია.

ასე განსხვავდა „ობიექტურ“ უღლებაში მხოლოდითის ფორმისაგან ექსკლუზივის ფორმა ზემო სვანურში. ქვემოსვანურში, როგორც ცნობილია, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია არ არსებობს. თუ ვიგულისხმებთ, რომ იქ ეს კატეგორია არსებობდა და მოიშალა, ამისთვის ხელი იმას უნდა შეეწყო, რომ იქ, როგორც ჩანს, ექსკლუზივის ფორმაში არ მომხდარა მ>ნ გადასვლა, ე.ი. არ

მომხდარა ექსკლუზივის ფორმის მხოლოდობისაგან განსხვავება, ხოლო, რადგანაც არ არსებობდა ინკლუზივთან მკვეთრად დაპირისპირებული ექსკლუზივის ფორმა (ეს უკანასკნელი მთლიანად ემთხვეოდა მხოლოდობის ფორმას), აზრობრივი დაპირისპირებაც თანდათან მოიშალა. ამიტომ გახდა შესაძლებელი ამ პროცესზე გავლენა მოეხდინა ქართულს, სადაც ინკლუზივის კატეგორია ძველსავე ქალტულში მოიშალა.

ამგვარად, სვანურში ობიექტურ უღლებაში ექსკლუზივის კატეგორიის ნიშნით გაფორმება მეორეული მოვლენაა. სუბიექტურ უღლებაში კი დაცულია ამოსავალი ვითარება: ექსკლუზივს ნიშანი არ აქვს, მაგრამ სვანურში იგი მაინც განსხვავდება მხოლოდობის ფორმისაგან მრავლობითი რიცხვის სუფიქსით: **L-S₁** – **ხუ-აშხი**, **L-Si_{აგ.}** – **ლ-აშხი-დ** **L-Se_{აგ.}** – **ხუ-აშხი-დ**, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ინკლუზივი და მრავლობითი სხვადასხვა კატეგორიებია.

თუ ზემოთქმულს თავს მოვუყრით, შეიძლება დავასკვნათ:

1. **გუ-** პრეფიქსი, ისტორიულად ინკლუზივის ნიშანი, **L-O₂+L-O₁** პრეფიქსთა კომბინაციითაა შედგენილი: **გმ>გუ-**.

2. ექსკლუზივს ნიშანი ისტორიულად არ ჰქონია, რადგან განსაკუთრებულ აფიქსს მხოლოდ II პირის არსებობის აღნიშვნა საჭიროებდა. სვანურში ობიექტურ უღლებაში მხოლოდობის ფორმისაგან განსხვავების საჭიროებამ გზა გაუხსნა ფონეტიკურ-ფსიქოლოგიური პროცესის განხორციელებას: **ნაჲ მაყა - ნაჲ ნ-აყა** და, ამგვარად, ობიექტურ უღლებაში ექსკლუზივის ნიშნად საბოლოოდ გაფორმდა **ნ-** პრეფიქსი.

3. სვანურში სუბიექტურ უღლებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გარჩევა სავარაუდოდ, შედარებით გვიანდელი მოვლენა ჩანს. ამიტომ მისი გამოხატვის წესს არ დასდებია საფუძვლად ორი პირის ნიშნის კომბინაცია. ინკლუზივი საგანგებო **ლ-** პრეფიქსითაა აღნიშნული, რომელიც შეიძლება ისტორიულად **L-S₃** პრეფიქსს დავუკავშიროთ. ექსკლუზივი კი აქაც არ აღინიშნება.

4. ქართულში, როგორც ჩანს, სუბიექტურ უღლებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის დაპირისპირების გაჩენამდე ეს კატეგორია ობიექტურმა ურლებამაც დაკარგა, განსხვავებით ზემოსვანურისაგან, სადაც ეს კატეგორია კიდევ უფრო გაძლიერდა და სუბიექტურ უღლებაშიც მოხდა ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმალური გარჩევა.

5. ქვემო სვანურში, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ექსკლუზივის ფორმა არ დაპირისპირებია ერთი მხრივ - მხოლოდობისა და მეორე მხრივ - ინკლუზივის ფორმას, ე.ი. არ მიეცა გასაქანი ზემოთ დასახელებულ ფონეტიკურ პროცესს (**ნაჲ მაყა - ნაჲ ნაყა**). ინკლუზივ-ექსკლუზივის დაპირისპირება აღარც სუბიექტურ უღლებაში მომხდარა. შემდგომ კი ქართულის გავლენით ეს დაპირისპირება ობიექტურ უღლებაშიც შესუსტდა და საბოლოოდ მოიშალა.

6. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის სქემა ისტორიულად ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

მანის რიგის უღლებაში სვანურში	
მხოლოებითი	მრავლობითი
მ-	გუი < გ-მ- ნე- < მე- < Ø

ვინის რიგის უღლებაში სვანურში	
მხოლოებითი	მრავლობითი
ხუ-	Øე- (-დ) ლ i-

მანის რიგის უღლებაში ქართულში	
მხოლოებითი	მრავლობითი
მ-	Øე გუ i- < გ-მ-

ქართულში სუბიექტურ უღლებაში ამგვარი დაპირისპირება არ განვითარებულა. როგორც ვნახეთ, ძველსავე ქართულში მიცემითში დასმულმა პირმა ინვერსიის შედეგად მრავლობითში შეთანხმების ძალა მოიპოვა და **გუ->გვ-** პრეფიქსი, რომელიც ზმნაში I და II პირს, ანუ ერთზე მეტ პირს აღნიშნავდა, თანდათან ზოგადად მრავლობითის გამოხატვის ფუნქცია შეიძინა.

ძველი ქართული და სვანური მასალის ანალიზის საფუძველზე გაირკვა ისიც, რომ ინკლუზივის კატეგორია მრავლობითისაგან დამოუკიდებელი კატეგორიაა (დ. ნინუა, ალ. ონიანი) და საწყის ეტაპზე **გუ-** ქართულშიც პირველთან ერთად მეორე პირის არსებობაზეც მიუთითებდა და არა ზოგადად სიმრავლეზე და, მაშასადამე ზმნაში ორი პირის მარკერი იყო. ამგვარად, ლოგიკური თვალსაზრისით სწორი აღმოჩნდა არნ. ჩიქობავას ვარაუდი, რომ ამოსავალში **გუ-** პირის ნიშანი უნდა ყოფილიყო (მაგრამ არა ერთი პირის, არამედ ორისა) და არა მრავლობითი რიცხვისა და, რომ მრავლობითი რიცხვის ფუნქცია მას გვიან დაეკისრა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი რეინტერპრეტაცია შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ **გუ-** ერთზე მეტი პირის არსებობაზე მიუთითებდა.

ყოველივე ამის შემდეგ მოეხსნა დაბრკოლება იმ ვარაუდს, რომ ინკლუზივის კატეგორია **საერთო ქართველური ზმნური სისტემის დამახასიათებელი** უნდა ყოფილიყო. დღეს იგი ცოცხალია სვანურში, მაგრამ უკვალოდაა გამქრალი მეგრულ-ჭანურში; ძველ ქართულში მისი კვალი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ თანდათან, მიცემითში დასმული პირის სინტაქსური ძალის გაძლიერების შედეგად (რამაც ზმნის ფორმაში ამ ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითი რიცხვის აღნიშვნა გამოიწვია), იგი ზოგადად მრავლობითი რიცხვის ნიშნად იქნა გააზრებული. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა დარღვეული I პირის ფორმაში მრავლობითი რიცხვის გამოხატვის პრინციპი: ინკლუზივი გამოიხატებოდა **ორი პირის** ნიშნის - **გმ->გუ->გვ-** კომბინაციით.

ლექცია №14

პირიანობა, ვალენტობა, გარდამავლობა, კაუზაცია, პირთა მიმართების სახეები

(ვერსია: დეიქსისი, დესტინაცია-პოსესიურობა, ლოკაცია)
ზმნური ხმოვანპრეფიქსების გრამატიკული ფუნქცია და „ქცევის“
კატეგორია

ქართული ზმნა, სტატიკურია ის თუ დინამიკური, შეიძლება იყოს აბსოლუტური აგებულებისა: ე.ი. შეიწყობდეს მხოლოდ ერთ პირს და რელატიური - შეიწყობდეს ერთზე მეტ პირს. სტატიკური: *ხატია ის - მიხატია ის მე - უხატია ის მას, წუხს ის - უწუხს ის მას. დინამიკური: ვიხატები მე, ვხატავ მე მას, ვიხატავ მე მას, ვუხატავ მე მას მას, ვახატვინებ მე მას მას; ვწუხდები მე, ვაწუხებ მე მას - ვაწუხებინებ მე მას მას.*

სტატიკური ზმნა ორზე მეტ პირს ვერ შეიწყობს და ვერც გამოხატავს. დინამიკურმა შეიძლება შეიწყოს ორი, სამი და იშვიათად ოთხი პირიც. მაგრამ პირის ნიშნით ერთდროულად შეუძლია გამოხატოს მხოლოდ ორი, ხოლო ხმოვანპრეფიქსით – კორელაცია მესამე პირთანაც *მ-ხატავ-ს ის მე, მ-ი-ხატავ-ს ის მე მას, და-მ-ი-ჭირ-ა მან მე, და-მ-ი-ჭირ-ა მან მე ის, მი-მ-ა-მსგავს-ა მან მე მას, მო-მ-ა-მსგავს-ა მან მე ის; მი-მ-ა-გდ-ო მან მე მას, მო-მ-ა-გდ-ო მან მე ის, მ-ი-ჭმი-ა მან მე მას ის.*

გამოხატულ პირთაგან ერთი სუბიექტია, ორი ობიექტი - პირდაპირი ან ირიბი.

იმის მიხედვით, თუ რამდენი აქტანტის შეწყობა შეუძლია ზმნას, განისაზღვრება მისი ვალენტობა. იგი შეიძლება იყოს ერთ, ორ, სამ ან ოთხვალენტოანიც კი. მაგრამ ევროპული ზმნისაგან განსხვავებით, ქართულ ზმნაში სათანადო ნიშნებით, გარდა მოქმედი აქტანტისა ანუ აგენსისა („სუბიექტური“ პირისა), გამოიხატება სამოქმედო ანუ პაციენსი (როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ობიექტური პირი) აქტანტიც. ამ მხრივ (ე.ი. სინტაქსური ძალის თვალსაზრისით) ქართული ზმნის პირმიმართი აქტანტები - სუბიექტი და ობიექტები თანასწორუფლებიანებია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ზმნა იუღლის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირების მიხედვით და, აქედან გამომდინარე, განსხვავებით ევროპული ზმნისაგან, მაგალითად, ორპირიან ზმნას, რომელიც იცვლება სუბიექტური და ობიექტური პირების მიხედვით, ნაცვლად მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ექვსი ფორმისა (როგორც ეს ერთვალენტიან / ერთპირიან ზმნაშია), აქვს 18 განსხვავებული ფორმა (ე.ი. სამჯერ მეტი, ვიდრე ერთპირიანს). ამდენივე განსხვავებულ ფორმას იძლევა სამვალენტიანი ზმნაც, რადგანაც ერთდროულად პირის მარკერით მასში გამოიხატება სუბიექტთან ერთად მხოლოდ ერთ-ერთი ობიექტი - პირდაპირი ან ირიბი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მესამე (ირიბი ან პირდაპირი ობიექტი) ხმოვანპრეფიქსებით გამოიხატება, რომელთა ფუნქცია პირთა კორელაციის მარკირებაა.

გარდამავლობა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში განისაზღვრება ზმნაში **ბრუნვაცვალბადი**, „პირდაპირი ობიექტის“ **არსებობით**. პირდაპირი ობიექტი სემანტიკურად უახლოესი ობიექტია, რომელზეც პირდაპირ გადადის სუბიექტის მოქმედება (ზმნით გამოხატული მოქმედება). ფორმის თვალსაზრისით კი გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტიც და სუბიექტიც ბრუნვაცვალბადია. სუბიექტის ბრუნვებია: **სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი**; პირდაპირი ობიექტის ბრუნვები კი **სახელობითი და მიცემითი**.

შენიშვნა: ტერმინი **გარდამავალი / გარდამავლობა** სემანტიკური თვალსაზრისით დეზინფორმაციულია და მოხერხებული არ არის, რადგანაც მოქმედება არა მარტო 1„პირდაპირ ობიექტზე“, არამედ ბრუნვაცვლელ „ირიბ ობიექტზეც“ „პირდაპირ“ გადადის: *არწივი აცხრება კურდღელს, ეჯახება კლდეს, და სხვ.*

ამ განსაზღვრების თანახმად, გარდაუვალი ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანიც (აბსოლუტური) და ორპირიანიც (რელატიური). ერთპირიანში შესაბამისად გამოხატება ერთი პირი - სუბიექტი, ტერმინი **გარდამავალი / გარდამავლობა** სემანტიკური თვალსაზრისით დეზინფორმაციულია და მოხერხებული არ არის, რადგანაც მოქმედება არა მარტო 1„პირდაპირ ობიექტზე“, არამედ ბრუნვაცვლელ „ირიბ ობიექტზეც“ „პირდაპირ“ გადადის: *არწივი აცხრება კურდღელს, ეჯახება კლდეს, და სხვ.*

ორპირიანში კი სუბიექტი და ობიექტი, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბიც. გარდამავალი სამვალენტიანი ზმნა, რომელთანაც შეწყობილია სამი პირი, პირდაპირი ობიექტის გარდა შეიძლება შეიცავდეს ირიბ ობიექტსაც, რომელიც გამოხატულია იმავე ნიშნით, რითაც პირდაპირი ობიექტი (მ-ხატავს ის მე - მ-ი-ხატავს ის მე მას), რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული ზმნის სისტემაში მორფო-სინტაქსური თვალსაზრისით სუბიექტი და ორივე ობიექტი თანასწორუფლებიანია, მაგრამ სამივე პირის შემცველი ზმნების უმრავლესობა ერთდროულად სამივე პირის მიხედვით ცვლის უნარს მოკლებულია (როგორიცაა მაგალითად, საობიექტო მიმართების, ვერსიის ფორმები: მიშენებს ის მე მას - ვუშენებ, მითბობს - ვუთბობ და სხვ.). ასეთ ზმნებში პირდაპირი ობიექტი ყოველთვის III პირია, ანუ ზმნას მხოლოდ ირიბი ობიექტის მიხედვით შეუძლია ცვალება. მეორე ჯგუფის ზმნები უფრო ხშირად ლოკატიური (ე.წ. საზედაო) მიმართებისაა. ისინი პირდაპირი ობიექტის მიხედვითაც იცვლებიან და ირიბი ობიექტის მიხედვითაც და ამ ობიექტებს სათანადო მარკერით აღნიშნავენ, მაგრამ არა ერთდროულად:

იცვლება **მანის** რიგის (ბრუნვაცვლელი, „ირიბი ობიექტის“) მიხედვით: *მომცა მან მე ის, მომგვარა მან მე ის, მომაჩეჩა მან მე ის, მომართვა მან მე ის, მომახმარა მან მე ის, მიმაგდო მან მე ის, დამავიწყა მან მე ის, მომამსგავსა მან მე ის, მომაწერა მან მე ის, და/მომახატა მან მე ის, მომაჭყლიტა მან მე ის, მომასრისა მან მე ის, მომაკარა მან მე ის, გამატანა მან მე ის, დამალაპარაკა მან მე ის, წამაჩხუბა მან მე ის, შემატოვა მან მე ის, შემატყუა მან მე ის და სხვ.*

იცვლება **მანის** რიგის (ბრუნვაცვალბადი, „პირდაპირი ობიექტის“) მიხედვით: *მიმცა მან მე მას, მიმგვარა მან მე მას, მიმაჩეჩა მან მე მას, მიმართვა მან მე მას, მიმახმარა მან მე მას, მიმაგდო მან მე მას, დამავიწყა მან მე მას, მიმამსგავსა მან მე მას, მიმაწერა მან მე მას, მიმახატა მან მე მას, მიმაჭყლიტა მან მე მას,*

მიმასროსა მან მე მას, მიმაკარა მან მე მას, გამატანა მან მე მას, დამალაპარაკა მან მე მას, წამაჩხუბა მან მე მას, შემატოვა მან მე მას, შემატყუა მან მე მას... პირდაპირი და ირიბი ობიექტი ერთი და იმავე ნიშნებით გამოიხატება ზმნაში, მაგრამ ერთდროულად სამივე აქტანტის მიხედვით ზმნა ვერ იცვლება: როცა ირიბი ობიექტის მიხედვით ხდება ცვლა, გამოიხატება ირიბი ობიექტი, ხოლო პირდაპირი არა, და პირიქით. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ირიბი ობიექტის არსებობაზე ლოკატიური მიმართების დროს მიუთითებს ა- პრეფიქსი, ასე რომ მეორე შემთხვევაში (ე.ი., როცა უღლება ხდება პირდაპირი ობიექტის მიხედვით, საკორელაციო ხმოვანპრეფიქსით ირიბის არსებობაცაა მითითებული: მი-მ-ა-ჰყლიტა მან მე მას, შე-მ-ა-ტოვა მან მე მას, სადაც მ- I ობ. პირის ნიშანია, ა- კი ზოგადად ირიბისა. პირველ შემთხვევაში კი (მო-მ ა-ჰყლიტა მან მე ის) ორივე პრეფიქსი ირიბის მარკერია, ოღონდ მ-, გ- ჰ-/ს/Ø კონკრეტულად I, II და III პირის რომელობას აღნიშნავს, ხოლო ა- ზოგადად ირიბისას. ამგვარად, ირიბის არსებობა ორივე შემთხვევაშია გამოხატული, პირდაპირისა კი მხოლოდ II შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ირიბი ობიექტის სამიმართებო (საკორელაციო) ა- პრეფიქსი ყოველთვისაა წარმოდგენილი ა-R-ებ სტრუქტურის ძველი კაუზატივის ფორმებში, სადაც ხშირად ირიბი ობიექტი გაუჩინარებულია: ალაპარაკებს ის მას მას მას(თან), (გა)ასაუბრებს ის მას(თან), აჩხუბებს ის მას მას(თან), აომებს ის მას მას(თან), ათანხმებს ის მას მას(თან) და სხვ. ამ კაუზატივებს, ჩვეულებრივ, II დიათეზის ე-პრეფიქსიანი აქტიურსუბიექტიანი (ირიბგარდამავალი) ზმნები შეესაბამებათ: ელაპარაკება ის მას, ესაუბრება ის მას, ეჩხუბება ის მას, ეთანხმება ის მას და სხვ.

ამგვარად, ევროპული გარდამავალი ზმნის მარტივ ფიქსირებულ კონსტრუქციას (L-S - ნომინატივში და L-O პირდაპირი - აკუზატივში) ქართულში გარდამავალი ზმნის რთული, აწმყო-წყვეტილში ცვალებადი კონსტრუქცია შეესაბამება (L-S სახელობითი-მოთხრობითი; L-Oპ. მიცემითი-სახელობითი, L-O ირ. მიცემითი): I სერიაში (აწმყო-ყოფადის ჯგუფში) სუბიექტი სახელობითშია, პირდაპირი ობიექტი კი - მიცემითში; წყვეტილის ჯგუფში (II სერია) სუბიექტი მოთხრობითშია (რომელსაც ერგატივსაც უწოდებენ), ხოლო პირდაპირი ობიექტი - სახელობითში. რეზულტატივების ჯგუფში (III სერიაში) სუბიექტი მიცემითშია, პირდაპირი ობიექტი კი - სახელობითში: ზრდის დედა შვილს - გაზარდა დედამ შვილი - გაუზრდია დედას შვილი.

რამდენადაც ქართულ ზმნაში პირდაპირ და ირიბ ობიექტს თანაბარი სინტაქსური უფლებები აქვს და ისინი ერთიდაიმავე მარკერებით აღინიშნებიან,, ამდენად, ვარჩევდით გველაპარაკა ქართულ რელატიურ ზმნებში ირიბ და პირდაპირ გარდამავლობაზე. ასეთ შემთხვევაში ერთპირიანი აბსოლუტური აგებულების ზმნა გარდაუვალია, ორვალენტისანი / ორპირიანი რელატიური აგებულებისა - შეიძლება ირიბგარდამავალი და პირდაპირგარდამავალიც იყოს იმის მიხედვით, თუ როგორ ობიექტს შეიცავს - პირდაპირს, თუ ირიბს. სამვალენტისანი ზმნა კი ერთდროულად - პირდაპირ და ირიბგარდამავალი. ეს უკანასკნელი შეიწყობს სამ პირს (სუბიექტურს, პირდაპირსა და ირიბ ობიექტებს). მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ერთდროულად სამივე პირის მიხედვით ცვლის უნარი არა აქვს: როცა იცვლება პირდაპირი ობიექტური პირის მიხედვით, მასთან ერთად ირიბი უცვლელია და პირიქით (იხ. ტა-ბულა № 4,5), ოღონდ, ირიბის

არსებობას, “პოვნირებას” (ბ. ჯორბენაძე). ზმნაში საკორელაციო ხმოვანპრეფიქსი მაინც აფიქსირებს.

ამგვარად, ქართული ზმნა პირთა გამოხატვის თვალსაზრისით შეიძლება იყოს ერთ ან ორპირიანი, თუმცა მასში გამოხატვის უნარი ორივე ობიექტს აქვს, მაგრამ არა ერთდროულად. გარდაუვალი ზმნა შეიწყობს ერთ პირს (სუბიექტს), ირიბგარდამავალი - ორ პირს (სუბიექტს და ირიბ ობიექტს). მას ორივე პირის მიხედვით ცვლის უნარი აქვს. ამგვარად, ქართული ზმნა შეიძლება შეიწყობდეს ერთ პირს - მაშინ იგი აბსოლუტური აგებულებისაა და აუცილებლად გამოხატავს მასში შემავალ სუბიექტურ პირს (ვიხატები); რელატიური შეიძლება იყოს ორვალენტიანი ან სამვალენტიანი: ორპირიანი || ორვალენტიანი - ირიბგარდამავალი - *ვეძალები მე მას*, ან პირდაპირგარდამავალი - *ვძალავ მე მას*, *მძალავს ის მე*, *სამვალენტიანი - ერთდროულად (პირდაპირ და ირიბგარდამავალი - ვუმალავ მე მას მას, მიმგვარა მან მე მას, მომგვარა მან მე ის)*.

სამვალენტიანი ფორმა მიიღება ა) საობიექტო მიმართებით: კუთვნილება-დანნიშნულებითი (დესტინაციურ-პოსესიური) სემანტიკით, რაც L-O₁ და L-O₂-ში ი- პრეფიქსით არის აღნიშნული, ხოლო L-O₃-ში უ- პრეფიქსით (*მიხატავს ის მე მას*, *გიხატავს ის მენ მას*, *უხატავს ის მას მას*; *მიძალავს ის მე მას*); ბ) ლოკატიური სემანტიკით ირიბი ობიექტის სამიმართებო ა- პრეფიქსის დართვით (*მიმაჟყლიტა მან მე მას - მომაჟყლიტა მან მე ის*, *მიმაზარა მან მე მას - მომაზარა მან მე ის*; *მიმაჯახა მან მე მას - მომაჯახა მან მე ის*, *წამაჩხუბა მან მე მას წამაჩხუბა მან მე მასა*, *დამალაპარაკა მან მე მას*, *დამალაპარაკა მან მე ის*) ან ოდენ შესაბამისი პირის ობიექტური ნიშნით: *მიმგვარა მან მე მას - მომგვარა მან მე ის*, *მიძცა მან მე მას - მომძცა მან მე ის*; გ) კაუზაციური მიმართების ა-ინ-ებ, ა-ევ-ინ-ებ, კონფიქსებით: *გრეხს ის მას - აგრეხინ-ებ-ს ის მას მას*, *წერს ის მას - აწერინ-ებ-ს ის მას მას*; *ხატავს ის მას - ახატვინ-ებ-ს ის მას მას*, *შლის ის მას - აშლევინ-ებ-ს ის მას მას*, *აკეთებს ის მას - აკეთებინებ-ს ის მას მას*).

ორპირიანი კონსტრუქციის გარდაუვალი (ირიბგარდამავალი) ფორმები იქმნება საობიექტო მიმართების (ვერსიის) საშუალებით საკორელაციო ა- ე-, ი-, უ- პრეფიქსების დართვით (*ვ-ა-ხტები მე მას*, *ვეზუბებიმე მას*, *ვეზრდები მე მას - მეზრდება ის მე*; *ვუჩერდები მე მას - მიჩერდება ის მე*), ასევე სტატიკური ზმნების, საობიექტო მიმართების ი-/უ- პრეფიქსიანი ფორმებით (*მიყვარს მე ის*, - *ვუყვარვარ მას მე*, *მიგდია მე ის - ვუგდივარ მე მას*).

ორპირიანი კონსტრუქციის გარდამავალ (პირდაპირგარდამავალ) ფორმებს ქმნიან სასუბიექტო მიმართების (ვერსიის) აქტივები (*ვივარცხნი მე თმას*, *ვიშენებ მე სახლს*). სასუბიექტო მიმართების ფორმებში ი- პრეფიქსით გამოიხატება პირდაპირი ობიექტის კუთვნილება-დანნიშნულება სუბიექტისადმი. ამდენად, სასუბიექტო ვერსიის ზმნა ყოველთვის შეიცავს პირდაპირ ობიექტს, ყოველთვის ორვალენტიანია და ყოველთვის გარდამავალია (პირდაპირგარდამავალი). ასეთ ზმნებს, ჩვეულებრივ, პირდაპირი ობიექტის მიხედვით ცვლის უნარი არა აქვთ (ე.ი. ისინი, ჩვეულებრივ, ვინის რიგის წყობისანი არიან). პირდაპირი ობიექტის მიხედვით ცვლა შეუძლიათ სასუბიექტო ვერსიის მცირერიცხოვან გარკვეული სემანტიკის ზმნებს (როგორცაა, მაგ. *დამიჭირა მან მე*, *წამიყვანა მან მე*, *მომიშორა მან მე*, *მიმიკარა მან მე* და სხვ.). ასეთ შემთხვევაში მათი L-O₁ და L-O₂ პირის

ფორმები ემთხვევა საობიექტო ვერსიის ფორმებს, რადგანაც საობიექტო მიმართებას L-O₁ და L-O₂ პირებთან იგივე ი- პრეფიქსი გამოხატავს, O₃-სთან მიმართებას კი აღნიშნავს უ- პრეფიქსი, რითიც განსხვავდებიან კიდევ საობიექტო ვერსიის ფორმები სასუბიექტო ვერსიისაგან (დამიჭირა მან მე ჩანთა, დაგიჭირა მან შენ ჩანთა, დაუჭირა მან მას ჩანთა); ხოლო სასუბიექტო მიმართებას სამივე პირთან გამოხატავს ი- პრეფიქსი (დამიჭირა მან მე, დაგიჭირა მან შენ, დაიჭირა მან ის). განსხვავება შეწყობილ პირთა რაოდენობაშიც არის: სასუბიექტო მიმართების ფორმები ორვალენტიანია, საობიექტო მიმართების კი სამვალენტიანი:

სასუბიექტო მიმართება	საობიექტო მიმართება
და-მ-ი-ჭირა მან მე	და-მ-ი-ჭირა მან მე ის (ჩანთა)
და-გ-ი-ჭირა მან შენ	და-გ-ი-ჭირა მან შენ ის
და-ი-ჭირა მან ის	და-უ-ჭირა მან მას ის
ასევე:	ასევე:
წამილო მან მე (ფიქრმა) ამიგდო მან მე (მასხარად)	წამილო მან მე ის (ტვირთი)
მომიგდო მან მე (ქვეშ)	ამიგდო მან მე ის (ქული)
ჩამიგდო მან მე (ხელში)	მომიგდო მან მე ის (ბავშვი)
მომიკითხა მან მე	ჩამიგდო მან მე ის (ბურთი)
მიპოვა მან მე	მომიკითხა მან მე ის (საჭმელი)
მომიყვანა მან მე	მიპოვა მან მე ის (წიგნი)
	მომიყვანა მან მე ის (ბავშვი)

სასუბიექტო მიმართების შემთხვევაში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ზმნებისა, პირდაპირი ობიექტის მიხედვით იცვლება შემდეგი ზმნები: (ჩა)მიბარებს, (მო/გა)მიტაცებს, (მო)მიშორებს, (მო)მიცილებს, (და)მიფარავს, (მო/და)მიხმარს... ამ ზმნათა რაოდენობა განსაზღვრულია.

ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ ა-, ი-, უ-, ე- ხმოვანპრეფიქსების ძირითადი ფუნქცია ზოგადად ობიექტური პირის არსებობაზე მითითებაა, კერძოდ კი სუბიექტის ობიექტურ პირებთან გარკვეული (კუთვნილება-დანაშინულების, ლოკატიური და სხვა სემანტიკის) მიმართების გამოხატვაა, ხოლო, თუ რომელია კონკრეტულად ობიექტური პირი, რომელსაც მიემართება სუბიექტის მოქმედება, ამაზე სათანადო პირის ნიშანი (მარკერი) მიუთითებს. ხმოვანპრეფიქსებს ერთი და იმავე ზმნის III ობიექტური პირის სხვადასხვა ფორმაში შეიძლება სათანადო ობიექტური პირის ნიშანი შეენაცვლოს, რადგანაც ხმოვნის წინ O₃ -ის მარკერი იკარგება: ძვ.: ა-ქუს - ა-ქუნდა, მაგრამ ახ.: ა-ქვს - ჰ-ქონდა; ა-ფენია - ჰ-ფენია - ე-ფინა; ჰ-პატრონობს - უ-პატრონებს. მაგრამ I და II ობიექტური პირის ნიშნები ამ **სამიმართებო (საკორელაციო) პრეფიქსების წინ შენარჩუნებულია: მაქუს (>მაქვს) - მაქუნდა - მქონდა; მაფენია - გაფენია; მეფინა - გეფინა; მპატრონობს - გპატრონობს; მიპატრონებს - გიპატრონებს.** ამ ხმოვანპრეფიქსებს ბ. ჯორბენაძე ობ. პირის პოვნირების პრეფიქსებს უწოდებს.

ქართული ზმნური შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის აღწერა¹

ევროპული ზმნის „მონოპერსონალური“ და ქართული ზმნის „პოლიპერსონალური“ კონსტრუქცია ამ ენათა სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის განსხვავების მთავარი მიზეზია. მონოპერსონალური ზმნის მქონე ენებში მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტის გარჩევა სინტაქსური ქვემდებარე-დამატებისაგან საჭირო არ არის, რადგანაც აქ მორფოლოგიური უდრის სინტაქსურს და, მაშასადამე, საზოგადოდ, გრამატიკულს. მაგრამ იმ ენებში, სადაც ზმნაში ორივე აქტანტის პირია წარმოდგენილი, მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტი ყოველთვის არ უდრის სინტაქსურ ქვემდებარე-დამატებას და ამიტომ არ შეიძლება განზოგადდეს, როგორც გრამატიკული. გრამატიკული ანალიზის პრინციპები ჩამოყალიბებული იყო იმ გრამატიკაში და იმ მეცნიერთა მიერ, რომელთაც საქმე ჰქონდათ მონოპერსონალური ზმნის მქონე ენების მასალასთან. ქართული პოლიპერსონალური ზმნისა და სახელების სინტაქსური დამოკიდებულების, შესიტყვების როგორც დიაქრონიულმა, ისე სინქრონიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ისტორიული განვითარების გზაზე აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის ფუნქციური თვალსაზრისით შებრუნება (ინვერსია) მოხდა. ამას კი, თავის მხრივ, შედეგად მოჰყვა მიცემითში დასმული სახელის პირთან ერთად მრავლობითი რიცხვის აღნიშვნაც ზმნაში, ამიტომ, ჯერ კიდევ 1928 წელს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, არნ. ჩიქობავამ დასვა საკითხი სინტაქსის საგნის შესახებ და სტრუქტურული და ფუნქციური ცნებებისათვის განსხვავებული ტერმინების შემოღება-შემუშავების თაობაზე და ამავე ნაშრომში ძირითადად გადაწყვიტა კიდევ იგი: **სინტაქსის საგანი შესიტყვებაა, მისი “მიზანია გამოარკვიოს: 1. რა ფორმები შეიძლება შეახამოს ენამ, ანუ რაგვარი სესიტყვებანი მოეპოვება ენას და 2. როგორია მის შესიტყვებათა სტრუქტურა-მექანიზმი”** (არნ. ჩიქობავა, „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“. 1968, § 67, 68, გვ. 114 -117). **შესიტყვების შესწავლა ნიშნავს - სიტყვათა დამოკიდებულების შესწავლას და იმის გამორკვევას, თუ რა როლს თამაშობს ესა თუ ის სიტყვა ამ დამოკიდებულებაში: არის იგი გაბატონებული თუ**

¹ როგორც ცნობილია, იმის გამო, რომ ქართული ზმნის ლოგიკური სუბიექტ-ობიექტი ყოველთვის არ უდრის რეალურს, არნ. ჩიქობავამ შემოიტანა სინტაქსური ცნება-ტერმინები: “კოორდინაცია” და “კოორდინატები”, რაც საშუალებას იძლევა ზუსტად აღიწეროს ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმი. ფორმალური ანალიზის დროს და კომპიუტერული დამუშავებისას დღეს უფრო მოსახერხებლად თვლიან “ნეიტრალური” ტერმინის – “აქტანტის” გამოყენებას (იხ. ქ. დათუკიშვილი, პირის ნიშანთა სისტემა ქართულში, კრებ. “ზურაბ ჭუმბურიძეს”, თბ. 1997, გვ.63). ჩვენც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ტერმინის საჭიროების მიხედვით გამოყენება (დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ. 2001, გვ.19)

დამოკიდებული,, თუ გაბატონებულია, მმართველია თუ შეთანხმებული? ხოლო, თუ დამოკიდებულია, არის შეთანხმებული თუ მართული?... (არნ ჩიქობავა, „რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?“ შენიშვნები შესიტყვების შესახებ, გვ.52).

ამგვარად, სინტაქსური ურთიერთობის აღწერა, ანუ ზმნასთან შესიტყვების წევრი სახელების დამოკიდებულება უნდა აღვწეროთ სინტაქსური ურთიერთობის წესების შესაბამისი ცნება-ტერმინებით, ესენია: **სუბორდინაცია**, **კოორდინაცია**, **დომინანტი**, **დეპენდენტი**, **კოორდინატი**, **დიდი**, **მცირე და უმცირესი კოორდინატი** და **ბოლოს**, **კოორდინაციის ღერძი**, **ძირითადი კოორდინატი** - **ზმნა**. თუ ამ თვალსაზრისს ბოლომდე განვავითარებთ, თავისთავად იგულისხმება, რომ ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის აღწერისას მოიხსნება **სუბიექტ-ობიექტისა და ქვემდებარე-დამატების ცნება-ტერმინების გამოყენება**, რაც თავისთავად ნონსენსია, რადგანაც ლათინური ტერმინი „**სუბიექტი**“, რომელიც ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მორფოლოგიური ანალიზისას გამოიყენება, და ქართული ტერმინი - „**ქვემდებარე**“, რომელსაც სინტაქსური ანალიზისას იყენებენ, ერთიდაიმავე ბერძნული ტერმინის, $\text{\u03c0\u03b1\u03c1\u03b5\u03bc\u03b5\u03bd\u03bf\u03bd}$ -ის თარგმანს წარმოადგენს.

სწორედ ამ სინტაქსური ცნება-ტერმინებით აღწერა წარმოაჩენს ქართული შესიტყვების სპეციფიკას, მის განსხვავებას სხვა მორფო-სინტაქსური ტიპის ენათა შესიტყვებისაგან: ქართული ზმნისა და სახელის სინტაქსური ურთიერთობა მართვისა და შეთანხმების სახეს იღებს. განსხვავებით ევროპული ენებისაგან, ეს ურთიერთობა არ არის მხოლოდ ცალმხრივი (ე.ი. სუბორდინაციული, როდესაც სახელი ოდენ მმართველია და ზმნა ოდენ მართული (ან პირიქით), არამედ უფრო ხშირად **საურთიერთოა ე.ი. კოორდინაციული**. ერთსა და იმავე დროს, სახელიც მართავს ზმნას პირში და შეიძლება ითანხმებდეს რიცხვში (ასეთ შემთხვევაში სახელი დიდი კოორდინატია) და ზმნაც მართავს სახელს ბრუნვაში, ე.ი. მოითხოვს მისგან გარკვეულ ბრუნვას.

ზმნა კოორდინაციის ღერძია, **ძირითადი კოორდინატია**; მასთან შეწყობილი სახელი - აქტანტი, ფუნქციით, ლოგიკურად, აგენსი იქნება იგი (A) თუ პაციენსი (P), სუბიექტი (შ) თუ ობიექტი (O), კოორდინაციის **მონაწილე** წევრია. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ცვლის, მართავს ზმნას პირის მიხედვით და თვითონაც იცვლება ბრუნვების მიხედვით.

თუ სახელი კოორდინაციის წევრია (ე.ი. ერთსა და იმავე დროს მმართველიცაა და მართულიც) და, ამავე დროს, ითანხმებს კიდევ ზმნას რიცხვში, იგი **დიდ** კოორდინატად იწოდება. ყოველთვის დიდი კოორდინატია S₁, და S₂, ხოლო S₃ კი მხოლოდ მაშინ, როცა სულიერია, ადამიანია, პიროვნებაა (ან განპიროვნებულია); თუ სახელი კოორდინაციის წევრია, მაგრამ ვერ ითანხმებს ზმნას რიცხვში, იგი **მცირე კოორდინატად** იწოდება (ყოველთვის მცირე

კოორდინატია O_3 პირდაპირი ობიექტი, O_3 ირიბი კი მცირე კოორდინატია სამვალენტიან ზმნებში).

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის სრული აღწერა სინტაქსურ ტერმინებში არნოლდ ჩიქობავას მიერ მეთოდოლოგიური იმანენტიზმის საფუძველზე შემუშავებული ცნებებისა და ტერმინების გამოყენებით ქართული ზმნის ყველა სახეობისათვის ისე, რომ თავიდან ავიცილოთ ტრადიციულ აღწერითს გრამატიკებში მიღებული მორფოლოგიურ-ლოგიკური ცნება-ტერმინების - სუბიექტ-ობიექტის გამოყენება. ან უკეთ - გამოვიყენოთ ისინი მხოლოდ ლოგიკურ-სემანტიკური აზრით, ფუნქციური დანიშნულების ინდექსებად.

სახელსა და ზმნას შორის სინტაქსური დამოკიდებულების სუბორდინაცია-კოორდინაციული ურთიერთობის აღწერისას გამოიყოფა შემდეგი სახეობები¹:

I სახეობა: აბსოლუტური აგებულების ზმნის შემცველი შესიტყვება. აქ გამოიყოფა სამი ქვეჯგუფი:

I.1. II დიათეზის ერთპირიანი ავტოაქტივები (*იმალება ბავშვი, თბება მოხუცი, წყრება, ჯავრდება მამა, წითლდება ცა*), (*იმალება ჩანთა, იხატება სურათი*), რომელთა სუბიექტი მუდამ სახელობით ბრუნვაში დგას, სინტაქსური თვალსაზრისით ოდენ მმართველია და არ არის მართული ზმნისაგან. ე.ი. ზმნასა და სახელს შორის სუბორდინაციაა: სახელობითში დასმული სახელი ($N_{nom.}$) დომინანტია, მთავარია, ზმნა კი დეპენდენტი, დამოკიდებული. სახელი ზმნას მართავს (აჩენს თავის პირის ნიშანს ზმნაში); ზმნა სახელს ვერ მართავს ბრუნვაში. აქვე შეიძლება განვიხილოთ სისტემის გარეთ დარჩენილი უგვარო ირეგულარული ზმნები (*დგას, ზის, წევს*), რომლებიც ავტოაქტივების მსგავსად, ი-პრეფიქსს ირთავენ მყოფადსა და წყვეტილის ჯგუფში (*დგას ის, ი-დგება ის, ი-დგა ის*).

$$N_{nom.} \rightarrow V$$

ამ სქემაში სახელი სუბიექტის ფუნქციას ასრულებს, იგი ლოგიკური, რეალური სუბიექტია (RS / LS). სინტაქსურად მმართველია, შესიტყვების, სინტაგმის დომინანტი წევრია აქტანტაა ან, უკეთ - პარტიციპანტია = ზმნაში მონაწილე პირია, შესიტყვების პირმიმართი წევრია, რომელიც ზმნაში წარმოდგენილია შესაბამისი პირის (რომელობის მიხედვით: I, II ან III პირის) მარკერით.

I.2. აბსოლუტური აგებულების ავტოაქტივები (*მეფობს, ტირის, გორავს, ცახცახებს*):

$$N_{nom. - erg.} \leftrightarrow V$$

¹ აღწერისას მხედველობაში გვაქვს III პირის ნაცვალსახელის ბრუნვა, რადგანაც I და II პირის ნაცვალსახელები არ იბრუნვის. მათი ბრუნვა განისაზღვრება შესაბამისი პირის სახელისა და მესამე პირის ნაცვალსახელის ფორმების მიხედვით

სადაც სახელი არის კოორდინაციის წევრი. ლოგიკური თვალსაზრისით იგი ასრულებს სუბიექტის ფუნქციას, იგი ლოგიკურად სუბიექტია (RS /LS). ამ ტიპის ზმნათა სემანტიკიდან გამომდინარე, იგი თითქმის ყოველთვის პერსონალური პირია, რომელიც ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში და, ამდენად, **სინტაქსური თვალსაზრისით** - დიდი კოორდინატია.

I.3. III დიათეზის მეორეული, I დიათეზის აქტივისაგან პირის დაკარგვით მიღებული **ინვერსიული ზმნები, ნაკლული კონსტრუქციისა, რომელთა ლოგიკური/რეალური სუბიექტი (RS/LR) მიცემითშია და ყოველთვის დიდი კოორდინატია** (საურთიერთი მართვაშია ზმნასთან და, ამავე დროს, ითანხმებს მას რიცხვში:

$$N_{dat.} \leftrightarrow V$$

$N_{nom.}$ გაუჩინარებულა, ზმნა ამ, ყოფილი სუბიექტური პირის მიხედვით არ იცვლება, ამიტომ შერჩენილ -ს პირის ნიშანს ფუნქცია დაკარგული აქვს: *მაკანკალებს მე; აკანკალებს მას; გვაკანკალებს ჩვენ; აკანკალებთ მათ.* მოხდა პირის ფუნქციის **შენაცვლება, ინვერსია**: ყოფილი **ობიექტური პირი** რეალურად, ფიზიკურად განმცდელი, „ინაქტიური“ **სუბიექტური პირის ფუნქციით** დაიტვირთა, პირისა და ბრუნვის მარკერების ურთიერთმიმართება კი იგივე დარჩა.

ასეთივე პირნაკლი, ინვერსიული სინტაქსური კონსტრუქცია აქვთ III დიათეზის **R-ი** სტრუქტურის **ე-** პრეფიქსიან ზმნებს: „*მემთქნარება, მემცხიკვება, მემღერება*“ ტიპისა. მათაც შერჩენილი აქვთ ნომინატივში მდგარი დაკარგული სუბიექტური პირის მარკერი (ე.ი. ამ პირის მიხედვით ზმნა არ იცვლება) და შესაბამისად - **-ა** სუფიქსს დაკარგული აქვს ფუნქცია, ხოლო **მანის** რიგის მარკერის რეინტერპრეტაცია (გადააზრიანება) მოხდა და მან განმცდელი, **სუსტი ნებელობის** მქონე სუბიექტის გამოხატვის ფუნქცია შეიძინა, ხოლო მთლიანად ზმნურმა ფორმამ - **უნებლობის შინაარსი**, რაც დაკავშირებულია სწორედ **მ-** პრეფიქსთან.

II სახეობა: რელატიურ გარდაუვალი (=ირიბგარდამავალი ზმნების შემცველი შესიტყვება. აქ გამოიყოფა სამი ქვეჯგუფი:

I.1. II დიათეზის ორპირიანი (||ორვალენტიანი) ირიბობიექტიანი აქტივები და პასივები (აქტ. - *ემალება/ემალებიან ბავშვი/ბავშვები მას/მათ*; მაგრამ: პას. - *ემალება ჩანთა/ ჩანთები მას/მათ*; აქტ. - *ელაპარაკება/ელაპარაკებიან, ეხეთქება/იან, ეჯახება/იან, ახტება/ახტებიან, უწყრება, უწყრებიან, უჯავრდება/უჯავრდებიან ის/ისინი მას/მათ*; მაგრამ: *უშენდება/თ ის/ისინი (სახლი/ები) მას/მათ, უთბება /უთბებიან ის/ისინი (ბავშვები) მას/მათ*), მაგრამ: *უთბება/უთბებათ ხელი/ ხელები მათ.*

სახელი ნომინატივში - ფუნქციურად უდრის ლოგიკურ/რეალურ სუბიექტს - R/LS_{nom} . იგი ცვლის (მართავს) ზმნას პირის მიხედვით, თვითონ კი უცვლელია, ე.ი. არ იმართვის ზმნისაგან ბრუნვაში, ხოლო დატივში დასმული სახელი კი კოორდინაციის წევრია: ცვლის, მართავს ზმნას პირის მიხედვით და თვითონაც იცვლება, იმართვის ზმნისაგან მიცემით ბრუნვაში. პირობითად ითანხმებს ზმნას რიცხვში: როდესაც

$$N_{nom. - nom.} \rightarrow V \leftrightarrow N_{dat. - dat.}$$

II. 2. III დიათეზის „მიყვარს“ ტიპისა და II დიათეზის ($R[th.suf.ებ]-ი$) სტრუქტურის ინვერსიული ზმნები (*მეძნელება, მეჩვენება, მემღერება, მეტკბილება მე ის...*), სადაც სახელი ნომინატივში ($N_{nom.}=RO$) არ არის კოორდინაციის წევრი, იგი დომინანტია (მართავს ზმნას პირში, მაგრამ არ იმართვის ზმნისაგან ბრუნვაში), ხოლო სახელი დატივში ($N_{dat.}=RS$) კოორდინაციის წევრია და დიდი კოორდინატია (რადგანაც ითანხმებს კიდევაც ზმნას რიცხვში).

$$N_{nom. - nom} \rightarrow V \leftrightarrow N_{dat. - dat.}$$

II. 3. I დიათეზის ნაკლული კონსტრუქციის ორპირიანი ზმნები: *მიცქერს-გვიცქერს გიცქერს-გიცქერს, უცქერს ის მას/მათ - უცქირა მან მას/მათ, უკივის ის მას/მათ - უკივლა მან მას/მათ...*

$$N_{nom. - erg.} \leftrightarrow V \leftrightarrow N_{dat. - dat.}$$

ორივე აქტანტთან კოორდინაციაა. $N_{nom. - erg.}$ ყოველთვის დიდი კოორდინატია. $N_{dat.}$ I პირი ყოველთვის დიდია, II ძირითადად დიდი, III - მცირე.

III სახეობას ქმნის რელატიური ორვალენტიანი პირდაპირ-გარდამავალზმნიანი შესიტყვება, რომელშიც ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

III. 1. ნეიტრალური ვერსიის ზმნის შემცველი შესიტყვება (*აკეთებს, აშენებს, ხატავს, წერს...* ტიპისა), სადაც $N_{nom. - erg.} = R/LS$, სინტაქსურად დიდი კოორდინატია. რაც შეეხება $RO_{dir.}$ პირებს - O_1 დიდი კოორდინატია, O_2 - პირობითად დიდია, O_3 კი ყოველთვის მცირე კოორდინატია.

$$N_{nom. - erg.} \leftrightarrow V \leftrightarrow N_{dat. - nom.}$$

III. 2. სასუბიექტო ვერსიის ისეთი ორვალენტიანი ზმნის შემცველი შესიტყვება, რომელსაც პირდაპირი ობიექტის მიხედვით ცვლის უნარი არა აქვს (ანუ პირის გამოხატვის თვალსაზრისით ერთპირიანია: *ვიკეთებ, იკეთებ, იკეთებს, ვიცვამ, იცვამ ის მას*).

$$N_{nom. - erg.} \leftrightarrow V \rightarrow N_{dat. - nom.}$$

III. 3. სასუბიექტო ვერსიისავე გარკვეული სემანტიკის ზმნები, რომელთაც პირდაპირი ობიექტის მიხედვით ცვლის უნარი აქვთ. ასეთებია: *მომიშორა მან მე (თავიდან), დამითხოვა მან მე (სამსახურიდან), მომიცილა მან მე (თავიდან), დამიახლოვა მან მე, მომიტაცა მან მე, დამიჭირა მან მე, შემიფარა მან მე, მომიკითხა მან მე, ამიგდო მან მე (მასხრად), მომიგდო მან მე (ქვეშ), დამიყენა მან მე (მოსამსახურედ), დამივიწყა, მომიგონა, მომიწონა, დამიწუნა, შემინდო, შემიწყალა, შემიწყნარა, მომიხსენია, შემიკედლა, მიმიკარა, შემიპირა* და სხვა ამგვარი. ამათ სამივე ობიექტური პირის ფორმაში სასუბიექტო დესტინაციის (ვერსიის) პრეფიქსი ი- აქვთ: *მომ-ი-შორა, მოგ-ი-შორა, მო-ი-შორა; შემ-ი-ფარა, შეგ-ი-ფარა, შე-ი-ფარა; მ-ი-პოვა, გ-ი-პოვა, ი-პოვა.*


ამ ტიპის ზმნების სინტაქსური ურთიერთობის სქემა ასეთ სახეს მიიღებს:

$$N_{\text{nom. - erg.}} \leftrightarrow V \leftrightarrow N_{\text{dat. - nom.}}$$

შენიშვნა: იმავე ფორმებმა შეიძლება საობიექტო ვერსიის მიმართებაც გამოხატონ. მაშინ ისინი სამპირიანებად იქცევიან და O_3 პირში ი- პრეფიქსის ადგილს უ- დაიჭერს: *დამიყენა მან მე ის - დაუყენა მან მას ის (მოჯამაგირედ), მომიგდო მან მე ის - მიუგდო მან მას ის, დამივიწყა მან მე წყენა - დაუვიწყა მან მას ის, მომიწონა, დამიწუნა მან მე საქციელი - მოუწონა მან მას ის, დამიჭირა მან მე ის (ჩანთა) - დაუჭირა მან მას ის, მიპოვა მან მე ის - უპოვა მან მას ის, დამივიწყა მანმე ის, მომიშორა მან მე ის* და სხვ. ესენი სინტაქსური კონსტრუქციის IV ტიპს მიეკუთვნებიან.

IV სახეობა: რელატიურ-სამვალენტიანი პირდაპირგარდამავალი ზმნის შემცველი შესიტყვება, რომელშიც სინტაქსური მექანიზმის თვალსაზრისით ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

IV. 1. სამვალენტიანი ზმნების შემცველი საობიექტო ვერსიის და შუალობითი კონტაქტის (მეორადი კაუზატივის) ფორმები (*გამიკეთა მან მე ის - გაუკეთა მან მას ის - გამაკეთებინა მან მე ის, ამიშენა მან მე ის - აუშენა მან მას ის - ამაშენებინა მან მე ის*). მათ ერთდროულად მხოლოდ ორი პირის მიხედვით ცვლის უნარი აქვთ: კერძოდ, სუბიექტისა და ირიბი ობიექტის მიხედვით. შესაბამისად - ორი პირის გამოხატვის შესაძლებლობა აქვთ, კერძოდ, სუბიექტისა და ირიბი ობიექტისა:




აქ S (nom. - erg.) და $O_{\text{ind.}}$ (dat.- dat.) კოორდინაციის წევრებია, $O_{\text{dir.}}$ (dat. - nom.) კი სუბორდინაციისა (დეპენდენცია, ოდენ მართულია ზმნისაგან, თვითონ კი ვერ მართავს ზმნას).

ასეთი სემანტიკის ზმნებში პირდაპირი ობიექტი მხოლოდ მესამე პირი შეიძლება იყოს.


III. 2. მეორე ქვეჯგუფში შედის ისეთი სამვალენტიანი ზმნები, რომლებსაც ერთდროულად ასევე, მხოლოდ ორი პირის მიხედვით შეუძლიათ ცვალონ ზმნა, ოღონდ ერთ (2a შემთხვევაში სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის მიხედვით (მიმაბარა მან მე მას, მიმცა მან მე მას) ($N_{nom.} - erg. - N_{dat.} - nom.$), მეორე (2b) შემთხვევაში კი ირიბი ობიექტის მიხედვით (მომგვარა მან მე ის, მომცა მან მე ის, დამალაპარაკა მან მე ის, შემარიგა მან მე ის).

2a (მიმგვარა მან მე მას, მიმცა მან მე მას, მომაშორა მან მე მას, მიმასრისა მან მე მას, დამალაპარაკა მან მე მას, შემარიგა მან მე მას).



სადაც $N_{nom.} - erg.$ სუბიექტი, სინტაქსურად დიდი კოორდინატია, $N_{dat.} - dat.$ ირიბი ობიექტი სინტაქსურად დეპენდენტია (არ არის კოორდინაციის წევრი, ზმნასთან სუბორდინაციაშია, ე.ი. ვერ ცვლის ზმნას პირების მიხედვით, თვითონ კი მართულია ზმნისაგან მიცემით ბრუნვაში), $N_{dat.} - nom.$ კი - მორფოლოგიური პირდაპირი ობიექტი სინტაქსურად კოორდინატია: O_1 -დიდი, O_2 პირობითად დიდი, O_3 - მცირე.

2b (მომგვარა მან მე ის, მომცა მან მე ის, მომაშორა მან მე ის, მომასრისა მან მე ის, დამალაპარაკა მან მე ის)



ამ შემთხვევაში კი ზმნა იცვლება სუბიექტისა და ირიბი ობიექტის მიხედვით. ზმნასთან კოორდინაციაში ირიბი ობიექტია და, შესაბამისად, მისი ნიშნებია წარმოდგენილი: მო-მ-აჩეჩა მან მე ის, მო-მ-გვარა მან მე ის. პირდაპირი ობიექტი არ არის კოორდინაციის წევრი, რადგანაც ამ შემთხვევაში იგი ზმნას ვერ ცვლის პირების მიხედვით.

ასეთი სემანტიკის ზმნათა რიცხვს მიეკუთვნება:

იცვლება პირდ. ობიექტი	იცვლება ირ. ობიექტი
მიმაბარა მან მე მას	მომახმარა მან მე ის
მიმამაგრა მან მე მას	მომახატა მან მე ის
მიმცა მან მე მას	მომაჩეჩა მან მე ის
მიმაგდო მან მე მას	მომაწერა მან მე ის
მიმამსგავსა მან მე მას	მომაჭყლიტა მან მე ის
მიმგვარა მან მე მას	მომასრისა მან მე ის
მიმასრისა მან მე მას	მომგვარა მან მე ის
მიმაჭყლიტა მან მე მას	მომამსგავსა მან მე ის
მიმაწერა მან მე მას	მომაგდო მან მე ის

მიმაჩეჩა მან მე მას მიმახატა მან მე მას მიმახმარა მან მე მას მი/დამაწერა მან მე მას დამალაპარაკა მან მე მას გამასაუბრა მან მე მას წამაჩხუბა მან მე მას დამავიწყა მან მე მას შემატოვა მან მე მას დამაკისრა მან მე მას შემატყუა მან მე მას მომაცილა მან მე მას მომაშორა მან მე მას მიმაკარა მან მე მას მომწყვიტა მან მე მას	მომცა მან მე ის მომამაგრა მან მე ის მომაბარა მან მე ის მო/დამაწერა მან მე ის დამალაპარაკა მან მე ის გამასაუბრა მან მე ის წამაჩხუბა მან მე ის დამავიწყა მან მე ის შე(მო)მატოვა მან მე ის დამაკისრა მან მე ის შემომატყუა მან მე ის მომაცილა მან მე ის მომაშორა მან მე ის მომაკარა მან მე ის მო/დამწყვიტა მან მე ის
---	--

როგორც ვხედავთ, ამ ტიპის ზმნებში, ერთი მხრივ, I და II ირიბი ობიექტური პირების და, მეორე მხრივ, III ირიბი ობიექტური პირის ფორმათა განსხვავება ორ ქვეჯგუფს შორის ძირითადად მი- და მო- ზმნისწინების ოპოზიციით მყარდება (მი-ს შემთხვევაში ზმნა იცვლება პირდაპირი ობიექტის O_{dat. - nom.}-ის მიხედვით. მო-ს შემთხვევაში კი ირიბის O_{dat. - dat.}-ის მიხედვით).

ამგვარად, სამვალენტიან ზმნებში კოორდინაცია ერთდროულად შესაძლებელია მხოლოდ ორ აქტანტთან: ერთ შემთხვევაში N_{nom. - erg.} (S)-თან და N_{dat. - nom.} (O_{dir.})-თან, მეორე შემთხვევაში კი N_{nom. - erg.} (S)-Tan da N_{dat. - dat.} (O_{ind.})-თან.

აქტანტების ზმნასთან შეთანხმება რიცხვში

S₁ - ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში, დიდი კოორდინაცია: **ჩვენ ვხატავ-თ მას/მათ.**

S₂ - ყოველთვის დიდი კოორდინაცია: **თქვენ ხატავ-თ მათ/მათ**

S₃ - პირობითად დიდი კოორდინაცია: პერსონალური (სულიერი ან გასულიერებული) დიდია, არაპერსონალური (უსულო) - მცირეა: **ბავშვები ხატავ-ენ სურათს, მგლები ყმუო-ან**

როცა ზმნა გამოხატავს სულიერისათვის დამახასიათებელ მოქმედებას:

თვითმფრინავები დაფრინავენ, მანქანები დაქრო-ან

მაგრამ: **სახლები შენდება, საქმეები კეთდება...**

O₁ პირდაპირი და ირიბი - (N_{dat. - nom.}; dat. - dat.) ყოველთვის დიდი კოორდინაცია:

ისინი გვ-ხატავენ ჩვენ

ისინი გვ-იხატავენ ჩვენ სურათს

O₂ პირდაპირი (**N_{dat.} - nom.**) - პირობითად დიდი კოორდინატია. მცირეა, როცა მასთან კომბინაციაში მყოფი სუბიექტი მრავლობითშია, დიდია, როცა სუბიექტი მხოლოდობითშია:

ის გიხატავ-თ თქვენ მას/მათ

ისინი გიხატავ-ენ თქვენ მას/მათ

O₂ ირიბი (**N_{dat.} - dat.**) - ორვალენტთან (ორპირიან) ირიბგარდამავალ (გარდაუვალ) აქტიურ ზმნებში პერსონალური სუბიექტის მრავლობითობის შემთხვევაში მცირე კოორდინატია:

მასწავლებლები გეკითხები-ან თქვენ

ბავშვები (თვითონ) გემალებია-ან თქვენ

მაგრამ, თუ **S** უსულოა, **O₂** დიდი კოორდინატია:

ლექციები გეკითხება-თ თქვენ

ჩანთები (ვილაცის მიერ) გემალება-თ თქვენ

ასევე: **O₂** დიდი კოორდინატია, თუ **L-S** სულიერი მხოლოდობითშია:

ბავშვი გემალება-თ თქვენ

O₂ ირიბი (**N_{dat.} - dat.**) – სამვალენტთან ზმნაში პირობითაა დიდი კოორდინატი: მაშინ, როცა სუბიექტი მხოლოდობითშია:

ის გიხატავ-თ თქვენ მას

თუ სუბიექტი მრავლობითშია, მცირე კოორდინატია:

ისინი გიხატავ-ენ თქვენ მას

O₃ პირდაპირი (**N_{dat.} - nom.**) – ყოველთვის მცირე კოორდინატია: *ხატავს ის მათ - უხატავს ის მას მათ (სურათებს)*

O₃ ირიბი (**N_{dat.} - dat.**) – სამვალენტთან, ე.ი. (პირდაპირ) გარდამავალ ზმნებში ყოველთვის მცირე კოორდინატია:

უხატავს ის მათ სურათს/სურათებს

დაუხატა მან მათ სურათი

O₃ ირიბი (**N_{dat.} - dat.**) – ორვალენტთან ზმნაში დიდი კოორდინატია, თუ **L-O₃** პერსონალური პირია, ხოლო **L-S** უსულო პირია:

ლექციები ეკითხება-თ მათ

ჩანთები ემალება-თ მათ

თუ **S** პერსონალური პირი მხოლოდობითშია:

მასწავლებელი ეკითხება-თ მათ

ბავშვი ემალება-თ მათ

მაგრამ:

მასწავლებლები ეკითხები-ან მათ

ბავშვები ემალები-ან მათ

$N_{\text{dat. - dat.}} = \mathbf{RS}_3$ III დიათეზაში დიდი კოორდინატია, როცა მასთან კომბინაციაშია $N_{\text{nom. - nom.}} = \mathbf{RO}_3$:

უყვართ მათ ის/ისინი.

მცირე კოორდინატია, როცა მასთან კომბინაციაში არის

$N_{1-2\text{nom. - nom.}} = \mathbf{RO}_{1-2}$:

ვუყვარვარ მათ მე უყვარხარ მათ შენ

ვუყვარვარ-თ მას ჩვენ უყვარხართ მას თქვენ

ვუყვარვარ-თ მათ ჩვენ უყვარხარ-თ მათ თქვენ

მაგრამ: *უყვარ-ს მას ის/ისინი*

უყვარ-თ მათ ის/ისინი.

ამგვარად, აქტანტების ზმნასთან რიცხვში შეთანხმებისას მუშაობს ძირითადი პრინციპი: თუ აქტანტი სულიერია (პერსონალურია), მაშასადამე, აქტიურია და ზმნაში ასახულია მრავლობითი რიცხვის სათანადო მარკერით; თუ არაპერსონალურია (უსულო), მაშასადამე - პასიურია, ასეთ შემთხვევაში პირთა კომბინაციებში სინტაქსური ძალით I პირი ყოველთვის აჭარბებს II-ს, ორივე კი III პირს.

ქვემოთ წარმოდგენილი აქტანტთა სტრუქტურა-მექანიზმის ცხრილები დიათეზების მიხედვით შეადგინა ქართველური ენათმეცნიერების პროგრამის I კურსის მაგისტრანტმა მაგული მარგველაშვილმა

ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმი დიათეზების მიხედვით

I დიათეზა (ერგატიული)	
<p>სტატიკური (რელატიური სტატიკა) გვარი: ავტოაქტივი/ რეფლექსივი სტრუქტურა: R- Ø; R-ებ- Ø კონსტრუქცია არასრული: [ის-მან; ის მას- მან მას] სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმი:</p> <p>$N_{nom-erg-dat} \longleftrightarrow V$ (მეფობს, თოვს, გორავს, ტირის ის)</p> <p>$N_{nom-erg-dat} \longleftrightarrow V \longleftrightarrow N_{dat}$ (უცქერს ის მას)</p>	<p>დინამიკური გვარი: აქტივი სტრუქტურა: R-Ø; R-ებ- Ø კონსტრუქცია სრული: [ის მას-მან ის; ის მას მას-მან მას ის] სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმი:</p> <p>$N_{nom-erg-dat} \longleftrightarrow V \longleftrightarrow N_{dat-nom-nom}$ 1. ვიკეთებ მე მას; 2. მომიკითხა მან მე</p> <p>$N_{nom-erg-dat} \longleftrightarrow V \begin{matrix} \nearrow N_{dat-dat} \\ \searrow N_{dat-nom} \end{matrix}$ (მიმგვარა, მიმასრისა მან მე მას)</p> <p>$N_{nom-erg-dat} \longleftrightarrow V \begin{matrix} \nearrow N_{dat-dat} \\ \searrow N_{dat-nom} \end{matrix}$ (1.გამაკეთებინა მან მე ის, 2.მომგვარა მან მე ის)</p>

II დიათეზა (ნომინატიური)	
<p>სტატიკური (აბსოლუტური სტატიკა) უგვარო სტრუქტურა: R-ი კონსტრუქცია არასრული: [ის-ის] სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმი:</p> <p>$N_{nom} \longrightarrow V$ (გდია ის, წერია ის)</p>	<p>დინამიკური გვარი: ავტოაქტივი, აქტივი, პასივი სტრუქტურა: R-ებ-ი კონსტრუქცია სრული: [ის - ის; ის მას - ის მას] სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმი:</p> <p>$N_{nom} \longrightarrow V$ (იმალება, თბება, შავდება ის)</p> <p>$N_{nom} \longrightarrow V \longleftrightarrow N_{dat}$ (ემალემა,უთბემა, უშავდება ის მას)</p>

III დიათეზა (დატიური)	
<p>სტატიკური სტრუქტურა ძირეული : R- Ø; R-ი კონსტრუქცია: [მას-მას ; მას ის- მას ის] სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმი:</p> <p>$N_{dat} \longleftrightarrow V$ (სცივა მას)</p> <p>$N_{dat} \longleftrightarrow V \longrightarrow N_{nom}$ (უყვარს, სძულს მას ის)</p>	<p>დინამიკური სტრუქტურა წარმოქმნილი: R-ებ-ი; R-ებ-Ø კონსტრუქცია: [მას-მას ; მას ის- მას ის] სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმი:</p> <p>$N_{dat} \longleftrightarrow V$ (აკანკალებს, ეძლერება მას; ენატრება მას, ის)</p> <p>$N_{dat} \longleftrightarrow V \longrightarrow N_{nom}$ (უგდია მას ის)</p>

აქტანტთა რიცხვში შეთანხმების ცხრილი დიათეზების მიხედვით

I დიათეზა (ერგატიული)	
<p>დიდი კოორდინატი — $N_{\text{nom-erg-dat}} \leftrightarrow V$</p> <p>(მეფობს, გორავს, ტირის ის; იმეფა, იგორავ, იტირა მან)</p> <p>$N_{\text{nom-erg-dat}} \leftrightarrow V \leftrightarrow N_{\text{dat}}$</p> <p>დიდი კოორდინატი მცირე კოორდინატი</p> <p>(უცქერს ის მას - უცქირა მან მას; უცქერენ ისინი მას - უცქირეს მათ მას)</p>	<p>1. $N_{\text{nom-erg-dat}} \leftrightarrow V \leftrightarrow N_{\text{dat-nom-nom}}$</p> <p>(დიდი კოორდ.) (I და II-დიდი, III- მცირე)</p> <p>a. აკეთებს ის მას; b. ა/მო-იგდებს ის მას</p> <p>2. $N_{\text{nom-erg-dat}} \leftrightarrow V \rightarrow N_{\text{dat-nom-nom}}$</p> <p>(დიდი კოორდ.)</p> <p>a. იშენებს, b. იკეთებს ის მას;</p> <p>3. (I და II-დიდი, III- მცირე)</p> <p>$N_{\text{nom-erg-dat}} \leftrightarrow V \rightarrow N_{\text{dat-nom}}$ $N_{\text{dat-dat}}$</p> <p>(დიდი კოორდ.) (სუბორდინაცია)</p> <p>(a. გამოიკეთა, გამაკეთებინა მან მე ის, b. მომგვარა, ა/მო-მიგლო მან მე ის -ამოუგლო მან მას ის)</p> <p>4. $N_{\text{nom-erg-dat}} \leftrightarrow V \leftrightarrow N_{\text{dat-nom}}$ $N_{\text{dat-dat}}$</p> <p>(დიდი კოორდ.) (I და II-დიდი, III- მცირე)</p> <p>(a. მიმგვარა, წამახსუბა მან მე მას)</p>

II დიათეზა (ნომინატიური)	
<p>$N_{\text{nom}} \rightarrow V$ (გდია ის, წერია ის)</p> <p>(სუბორდინაცია)</p>	<p>1. $N_{\text{nom}} \rightarrow V$ (იმალება, თბება, შავდება ის)</p> <p>(სუბორდინაცია, სულიერთან რიცხვში შეთანხმება)</p> <p>2. (სულიერი) $N_{\text{nom}} \rightarrow V \leftrightarrow N_{\text{dat}}$</p> <p>(სულიერთან (მცირე კოორდ.) რიცხვში შეთანხმება)</p> <p>(ემალება ის მას - ემალება ის მათ);</p> <p>(უსულო) $N_{\text{nom}} \rightarrow V \leftrightarrow N_{\text{dat}}$</p> <p>(დიდი კოორდ.)</p> <p>(უშავდება ის/ისინი მას - უშავდებათ ის/ისინი მათ)</p>

III დიათეზა (დატიური)

$N_{\text{dat}} \longleftrightarrow V$ (სცივა მას)
 (დიდი კოორდინატი)

$N_{\text{dat}} \longleftrightarrow V \longrightarrow N_{\text{nom}}$
 (დიდი კოორდ.)
 (სუბორდინაცია)
 (უყვარს, სძულს მას ის)

$N_{\text{dat}} \longleftrightarrow V$ (ემღერება, აკანკალებს მას)
 (დიდი კოორდ.)

$N_{\text{dat}} \longleftrightarrow V \longrightarrow N_{\text{nom}}$ (უგდია მას ის)
 (დიდი კოორდ.) (სუბორდინაცია)

I დიათეზა (ერგატიული) R-th.suf-Ø	
$N_{\text{nom-erg-dat}} \longleftrightarrow V$ (მეფობს, თოვს, გორავს, ტირის ის)	$N_{\text{nom-erg-dat}} \longleftrightarrow V \longleftrightarrow N_{\text{dat-nom-nom}}$ 1. ვიკეთებ მე მას; 2. მომიკითხა მან მე
$N_{\text{nom-erg-dat}} \longleftrightarrow V \longleftrightarrow N_{\text{dat}}$ (უცქერს ის მას)	$N_{\text{nom-erg-dat}} \longleftrightarrow V \longleftrightarrow N_{\text{dat-nom}}$ (მიმგვარა, მიმასრისა მან მე მას)
{ვ-} - I და I I სერიაში = S ; III სერიაში = O {მ-} - III სერიაში = S; I და I I სერიაში = O	$N_{\text{nom-erg-dat}} \longleftrightarrow V \longleftrightarrow N_{\text{dat-nom}}$ (1.გამაკეთებინა მან მე ის, 2.მომგვარა მან მე ის) {ვ-} - I და I I სერიაში = S; III სერიაში = O {მ-} - III სერიაში = S; I და I I სერიაში = O

II დიათეზა (ნომინატიური)	
R-ო	R-th.suf-ო
$N_{\text{nom}} \longrightarrow V$ (გდია ის, წერია ის)	$N_{\text{nom}} \longrightarrow V$ (იმალება, თბება, შავდება ის)
$N_{\text{nom}} \longrightarrow V \longleftrightarrow N_{\text{dat}}$ (ემალება, უთბება, უშავდება ის მას)	$N_{\text{nom}} \longrightarrow V \longleftrightarrow N_{\text{dat}}$ (ემალება, უთბება, უშავდება ის მას)
{ვ-} - I, I I, III სერიაში = S {მ-} - I, I I, III სერიაში = O	{ვ-} - I, I I, III სერიაში = S {მ-} - I, I I, III სერიაში = O

III დიათეზა (დატიური)	
R-Ø // R-ო	R-th.suf-Ø // R-th.suf-ო
$N_{\text{dat}} \longleftrightarrow V$ (სცივა, შია მას)	$N_{\text{dat}} \longleftrightarrow V$ (აკანკალებს, ენატრება, ემღერება, მას)
$N_{\text{dat}} \longleftrightarrow V \longrightarrow N_{\text{nom}}$ (უყვარს, სძულს მას ის)	$N_{\text{dat}} \longleftrightarrow V \longrightarrow N_{\text{nom}}$ (უგდია მას ის)
{მ-} - I, I I, III სერიაში = S {ვ-} - I, I I, III სერიაში = O	{მ-} - I, I I, III სერიაში = S {ვ-} - I, I I, III სერიაში = O

ლექციების ეს ციკლი მინდა დავასრულო ვრცელი ამონარიდით ისევ და ისევ არნოდდ ჩიქობავას ნაშრომიდან: **“გვჭირდება თუ არა სინტაქსში წინადადება, ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება, გარემოებანი? - სკოლის სინამდვილეში ამ ცნებებს გარკვეული შინაარსი ჰქონდათ და აქვსთ; მაგ.: “წინადადება არის აზრი, გამოთქმული ზეპირად ან დაწერილი; ქვემდებარე არის ის, რის შესახებაც არის ლაპარაკი წინადადებაში; შემასმენელი არის ის, რაც ითქვა ქვემდებარის შესახებ და სხვ. ასეთი გაგებით ამ ტერმინების ხმარება სინტაქსში (და, საერთოდ, გრამატიკაში) ისევე შეუწყნარებელია, როგორც, მაგალითად, გეოგრაფიაში იმის მტკიცება, რომ დედამიწა კი არ ტრიალებს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, არამედ მზე ამოდის აღმოსავლეთიდანო.**

ეს ტერმინები შიძლება დავტოვოთ სინტაქსში, თუ მათ გარკვეული სინტაქსური შინაარსი განეკუთვნებათ, ესე იგი, თუ ისინი გამოყენებულნი იქნებიან სიტყვათა დამოკიდებულების აღსანიშნავად, სიტყვათა როლის დასახასიათებლად შესიტყვებაში. თუ ეს **აუცილებელი პირობა** არ შესრულდება, ამ ტერმინების ხმარება მხოლოდ იმის მომასწავებელი იქნება, რომ სინტაქსი “არასინტაქსურად” შეისწავლება, რომ სინტაქსი ირევა სხვა რაღაცაში, რაც, ყოველ შემთხვევაში, გრამატიკის სახელით არ მოინათლება.

თუ ეს აუცილებელი პირობა არ შესრულდება, ეს ტერმინები იქნება გაუგებრობათა მუდმივი წყარო. მეცნიერულ აზროვნებაში ტერმინის ერთადერთი დანიშნულებაა თავიდან აგვაცილოს ყოველგვარი გაუგებრობა. ვერ იქნება გამართლებული ისეთი ტერმინის არსებობა, რომელიც ამ დანიშნულებას არ შეეფერება. ასეთი ტერმინები უნდა აღიკვეთოს. ასეთ შემთხვევაში ტრადიცია (თუ “მეცნიერული პროტექციის” სხვა ყოველი სახე) უძლური იქნება შეუნარჩუნოს მავნე ტერმინს არსებობა.

შემოგვეკითხებიან: განა წარმოსადგენია სინტაქსი, რომელშიც არ მოიპოვება “წინადადება”, “ქვემდებარე”, “შემასმენელი”, “დამატება”, “განსაზღვრება”, “გარემოებანი”?

ჩვენი პასუხი მარტივი იქნება: სინტაქსი, როგორც მოძღვრება წინადადებისა და მისი ნაწილების შესახებ, სინტაქსი, ზემოხსენებული ტერმინებით აწ ცნობილი სასკოლო ტრადიციული გაგებით (ასე ვთქვათ, “წინადადებიანი სინტაქსი”) ჩვენში დამკვიდრდა ამ ორცმოცდაათი წლის წინათ, გასული საუკუნის (იგულისხმება XIX საუკუნე) მეოთხმოცე წლებში... [ძველი ტრადიცია კი] ანტონ პირველის გრამატიკიდან (1767 წლ.) მომდინარეობს... მის სინტაქსში ჭაჭანებაც არ ისმის „ქვემდებარის“, „შემასმენლის“, „დამატების“, „განსაზღვრების“ და „გარემოების“ - იმ ტერმინების, ურომლითოდაც სინტაქსი ბევრს დღეს წარმოუდგენლად მიაჩნია; არც წინადადების განსაზღვრებაა ამჟამად გავრცელებულივით უკუღმართი; სინტაქსის მიზანს არ შეადგენს წინადადებისა და მისი ნაწილების ძიება. სინტაქსის საგნად გამოცხადებულია **“ლექსთა შეთხზვა”**. ე.ი. “სიტყვათა შეკავშირება”; სინტაქსი სიტყვათა დამოკიდებულებას იძიებს და ამისდაკვალად ანტონ პირველის სინტაქსს შეუდარებელივ მეტი უფლება აქვს “სინტაქსად” იწოდებოდეს, ვიდრე იმ

ფსევდოლოგიკურ ანალიზებს, ახლანდელი ტრადიციით სინტაქსის მაგივრობას რომ ეწევიან.

რასაკვირველია, სინტაქსის ზემოხსენებული გაგება ანტონ პირველით არ იწყება გრამატიკის სიტორიაში, მაგრამ ქართული ენის მასალაზე პირველად ანტონ პირველმა მოიხმარა იგი; ეს იყო მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში (ანტონ პირველს ორი ქართული გრამატიკა ეკუთვნის: პირველი 1753 წ. არის დაწერილი, მეორე - 1767 წ.; ეს უკანასკნელი რაფ. ერისთავმა გამოსცა 1885 წ.). იქიდან მოყოლებული, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ქართულს გრამატიკაში (გაიოზისა, ვარლამისა, ჩუბინიშვილისა, სოლ. დოდაშვილისა და პლატ. იოსელიანისაშიც კი!) ქართული ენის სინტაქსი ანტონ პირველის მიერ დამკვიდრებული გაგებით შეისწავლებოდა.

“წინადადებიან სინტაქსს” ქართულს გრამატიკაში ორმოცდაათი წლის ისტორიაც არა აქვს, “უწინადადებო” სინტაქსი კი (თუ შეიძლება ასე ითქვას) ქართულს გრამატიკულს სინამდვილეში თითქმის მთელი საუკუნე არსებობდა. “უწინადადებო სინტაქსი” არა თუ წარმოსადგენია, არამედ ფაქტია კიდევ, ფაქტი ორჯერ უფრო ხანგრძლივი ისტორიის მქონე ჩვენში, ვინემ ეს “წინადადებიან სინტაქსს” გააჩნია.

ძველი ტრადიცია ანტონის ქართულმა სინტაქსმა უცხოეთიდან მიიღო, “წინადადებიანი სინტაქსიც” ქართულს გრამატიკაში უცხოურ გრამატიკათა გავლენით გაჩნდა. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ უფრო ახალი (“წინადადებიანი სინტაქსი”) უფრო უმართებულო აღმოჩნდა, სინტაქსის საკითხები ვერ მოაგვარა და უწინდელი, უფრო მართებული გაგება კი იმდენად დაგვაფიქსა, რომ დღეს მისი არსებობაც კი არავის წარმოუდგენია, დასამტკიცებელი ფაქტი გამხდარა!” (არნ. ჩიქობავა, რათავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?”, გვ. 70-73).

არნ. ჩიქობავას ეს ნაშრომები წინა საუკუნის (იგულისხმება მეოცე საუკუნე) 30-იან წლებში იწერებოდა. მას მერე 85 წელი გავიდა, მაგრამ მისი ეს ყოველმხრივ დასაბუთებული და დამტკიცებული დებულებები გრამატიკის (და ამ შემთხვევაში სინტაქსის) სფეროში, სამწუხაროდ, დღესაც დასამტკიცებელია.

განსახილველი სამეცნიერო ლიტერატურა

ლექცია №1

ცვლადი და მუდმივი ქართული ენის მორფოსინტაქსურ სისტემაში

ლიტერატურა:

- ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, შრომები, ტ. III გვ.175 -183.
- ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, თსუ შრ.,ტ.III,თბ. 1936წ.
- დ. მელიქიშვილი, „ქართული ზმნის უღლების სისტემა“: შესავალი, გვ. 5-9, „ლოგოს პრესი“, თბ. 2001.
- ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ. 1984.
- ზ. ჭუმბურიძე, -ავ და -ამ თემისნიშნოან ზმნათა უღლებისათვის პირველ თურმეობითში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრ., 19, 1976.
- ბ. ჯორბენაძე, ცვლადი და მუდმივი ენაში, წიგნში: “ქართული ზმნის ფორმოზრევი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, გვ. 46-71.
- არნ. ჩიქობავა, “მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში”, წიგნში “მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში”, დანართი II, გვ. 269-280.
- არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის სძველესი აგებულება ქართველურ ენებში,
- არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში, იკე, ტ.1, 1946
- არნ. ჩიქობავა, მორფოლოგიური ფაქტის რეინტერპრეტაციისათვის (ქართული ზმნის უღვლილების მასალაზე), იკე-ს წელიწდ., X, 1983.

ლექცია №2

ქართული ენის გრამატიკული სისტემის ანალიზის პრინციპები და

კვლევის მეთოდოლოგია

(მეთოდოლოგიური პრობლემები ქართული ენის გრამატიკულ ლიტერატურაში)

ლიტერატურა:

- დ. მელიქიშვილი, ზმნურ მორფემათა კვალიფიკაციის საკითხისათვის თანამედროვე ქართული ენის სინქრონულ გრამატიკულ სისტემაში, ფილ. ფაკ. სამეცნ. სესია, არნ. ჩიქობავას 100 წლის საიუბილეოდ, მოხს. მასალები, 1998.
- დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპებისათვის I, ენათმეცნიერების საკითხები, №1-2, 2008, გვ.129.

დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპებისათვის II, ენათმეცნიერების საკითხები, I-II, 2009, გვ. 78.

ირ. მელიქიშვილი „სემანტიკური მარკირება მორფოლოგიაში და პასიურობა-აქტიურობის კატეგორია ქართველურ ენებში“, კრებ. „ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი“, ბათუმი, 2011, გვ. 325-334.

თ. უთურგაძე, გრამატიკული კატეგორირებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ. 2002.

ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ. 1954.

არნ. ჩიქობავა, „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, 1928; 1968:

II გამოცემის წინასიტყვაობა: 010 -020;

თავი I, ლოგიციზმი: §§ 11,12,13, გვ. 104-109;

თავი II, აღწერის მეთოდოლოგიისა და მეთოდოლოგიური იმანენტიზმისათვის:

1. იმანენტიზმის დახასიათებისთვის ზოგადად: §§62,63,64,65;

2. წინადადების საკითხი მეთოდოლოგიური იმანენტიზმის თვალსაზრისით: §§66,67, 68,69,70,71, გვ. 109-127.

ლექცია №3

პრობლემების დაძლევის გზები. ენის ფორმოზრივი და ფუნქციური კვლევის სფეროები; გრამატიკის შესწავლის საგანი; გრამატიკულ ფორმათა საკლასიფიკაციო პრინციპი (ქართული ზმნის მაგალითზე)

ლიტერატურა:

დ. მელიქიშვილი, „ქართული ზმნის უღლების სისტემა“: შესავალი, გვ. 5-9; „ლოგოს პრესი“, თბ. 2001.

D. Melikishvili, J. D. Humphries, M. Kupunia, The Georgian Verb: A Morphosyntactic Analysis, Dunwoody Press, 2008.

დ. მელიქიშვილი, მეთოდოლოგიური პრობლემები ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში და მათი გადაჭრის გზები, კრებ. „ქართველური მემკვიდრეობა“, ქუთაისი, 2013, გვ. 194-212.

არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1968; თ. I: 1) საკითხის დასმისათვის: \$1-2, გვ. 1-3; 2) ლოგიციზმი, \$ 3-16, გვ. 3-25; დამატება I, გვ. 258-266.

არნ. ჩიქობავა, „ენათმეცნიერების შესავალი“, თბ., 1953.

არნ. ჩიქობავა, „Проблема языка как предмета языкознания“, 1959.

არნ. ჩიქობავა, რა თავისებურება ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?, თბ., 1998.

ბ. ჯო რ ბ ე ნ ა ძ ე, "ქართული ზმნის ფორმოზრები და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თსუ გამომც., 1980: თავი III, „ენის ფორმოზრები და ფუნქციური კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები", გვ.72-117

ლექცია №4
ქართული ზმნის ზოგადი დახასიათება
ქართული ზმნის ძირითადი სტრუქტურები
სტატიკა და დინამიკა

ლიტერატურა:

„თანაქმედროვე ქართული ენის მორფოლოგია: სალიტერატურო ენა (გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), "მერიდიანი", თბ. 2011, გვ.266.
დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, "ქართული ზმნის უღლების სისტემა": შესავალი, გვ. 5-9; "ლოგოს პრესი", თბ. 2001.
არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ, 1, 1950. იხ. ასევე, გამომც. „ქართული ენა“, თბ. 1998
ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; 1973.

ლექცია №5
ქართული ზმნის დრო-ვილოთა ფორმების სერიებად და მწკრივებად გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) კლასიფიკაციის პრინციპი

ლიტერატურა:

გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ. 1988.
„თანაქმედროვე ქართული ენის მორფოლოგია: სალიტერატურო ენა (გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), "მერიდიანი", თბ. 2011, თ. III, დრო-ვილოთა სისტემა,, გვ.317 -420.
ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.
არნ, ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ზმნის ნაკვეთელთა დაჯგუფების პრინციპისათვის, იკე, XIII, 1962.
M a p p H.Я., Основные таблицы к грамматике древнелитературного грузинского языка, СПб, 1908.
M a p p H.Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925.
M a r r N., B r i e r e M. La langue Georgienne, Paris, 1931.
V o g t H. Grammaire de la langue georgienne, Oslo, 1971.

ლექცია №6
დრო-კილოთა სამწევრა სისტემის ჩამოყალიბების
ისტორიისათვის ქართულში

ლიტერატურა:

- დ. მელიქიშვილი, "II კავშირებითის" ფუნქციები ძველ ქართულში.
- დ. მელიქიშვილი, მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ისტორიული ურთიერთობის საკითხისათვის ქართულში. იკე-ს წელიწადეული, VII, 1980.
- გ. როგავა, „აორისტისა და კავშირებითი II-ის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში“: სმამ VI №8, თბ., 1945.
- არნ. ჩიქობავა, „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“, თბ. 1949.
- ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ. 1968.

ლექცია №7
III სერიის ფორმათა დიაქონიული და სინქრონიული
ანალიზი

ლიტერატურა:

- დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, "ლოგოს პრესი", თბ. 2001.
- ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მემველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., №9, 1964.
- ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები, თბ. 2008.
- თ. უთურგაიძე, გვარისა და ქცევის ფორმები III სერიაში, წიგნში: გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, გვ.103-108.
- ზ. ჭუმბურიძე, -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნათა უღლებისათვის I თურმეობითში, თსუ ძვ. ქართ. ენის კათედრის შრ., 19, თბ. 1976.

ლექცია №8
ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფის ტრადიციული
კლასიფიკაცია
(კლასიფიკაციის საფუძველი - გვარის კატეგორია)

ლიტერატურა:

- რ. ასათიანი, წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: ვნებითი გვარის კონსტრუქციათა პრაგმატიკული თავისებურება ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების საკითხები, №I-II, 2010, გვ.135.
- რ. ასათიანი, გვარის მორფოლოგიური კატეგორია ქართულსა და ქართველურ ენებში, ტიპოლოგიური ძიებანი, თბ. 1990.
- თ. გიორგობიანი, უკუქცევითობა, სამუალო გვარი ბერძნულში და სათავისო ქცევა ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, VI, 1997წ.

"თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია: სალიტერატურო ენა", "მერიდიანი", თბ. 2011. თ. V, "უღლების ტიპები", გვ. 624 და შმდ.

დიენ ჰოლისკი, ასპექტი და ქართული მედიალური ზმნა, თბილისი, 2000.

ვ. თოფურია, III ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III (9), თბ. 1942წ.

ვ. თოფურია, ზმნის სადავო საკითხები. წიგნში: ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ. 1965წ.

მ. ივანოვილი, ე. სოსელია, ქართული პასიური კონსტრუქციის ზოგიერთი მორფო-სინტაქსური და სემანტიკური თავისებურება ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 4, თბ. 2002.

ქ. ლომთათიძე, "თბება" ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში", იკე, ტ. IV, 1953 წ.

გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, (საკანდ. დისერტ. ავტორეფ.) 1953წ.

გ. მაჭავარიანი, უნიშნო ვნებითი ქართველურ ენებში, ქესს, I, 1959წ.

გ. მაჭავარიანი, ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში, მაცნე №1, 1973წ.

დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, "ლოგოს პრესი", თბ. 2001.

დ. მელიქიშვილი, ზმნურ მორფემათა კვალიფიკაციის საკითხისათვის თანამედროვე ქართული ენის სინქრონულ გრამატიკულ სისტემაში, ფილ. ფაკ. სამეცნ. სესია, არნ. ჩიქობავას 100 წლის საიუბილეოდ, მოხს. მასალები, 1998.

დ. მელიქიშვილი, ინვერსია ქართულ ზმნაში დიაქრონიული და სინქრონული აპსექტით, არნ. ჩიქობავა, საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998.

დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, "ლოგოს პრესი", თბ. 2001.

დ. მელიქიშვილი, ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია ქართულ ენაში დიათეზებისა და გვარების თეორიის კონტექსტში, კრებ. ვარლამ თოფურია, 100, 2001 .

დ. მელიქიშვილი, არის თუ არა გვარის კათეგორია ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაციის საფუძველი, გელათის მეცნ. აკად. ჟურნ, 2010, № 1-2, გვ. 39-44.

ლ. ნოზაძე, 1) მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, (წინასწარი მოხსენება); 2) ისევ მედიოაქტიური ზმნების შესახებ ქართულში, იხ. ლ. ნოზაძე, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, "უნივერსალი", თბ., 2008, გვ. 65 -127.

ლ. ნოზაძე, პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითის ურთიერთობისათვის ქართულში, იხ. ლ. ნოზაძე, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, "უნივერსალი", 2008წ., გვ. 17

მ. სუხიშვილი, გვარი - ქართული ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეული, წიგნში: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თ. IV, გვ. 420 - 624

მ. ქარქაშაძე, ობიექტჩართული ზმნები და მედიოაქტივები თანამედროვე ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, I-II, 2010, გვ. 123-133.

მ. ქარქაშაძე, ი- პრეფიქსის ფუნქცია ქართულ მედიოაქტიურ ზმნებში, კრებ. ტიპოლოგიური ძიებანი, თბ. №5.

თ. ღვინაძე, ქართული ზმნის ვნებითი გვარის ფრმათა სტილისტიკა, 1989.

ა. შანიძე, აქტივისა და პასივის ურთიერთმიმართება ქართული მრავალპირიანი ზმნის ჩვენების მიხედვით, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, 1943 წ.

- ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.
 დ. ჰოლოსკი, ასპექტი და ქართული მედიალური ზმნა, თბ., 2000.
 М а р р Н.Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925.
 M a r r N., B r i e r e M., La langue Georgienne, Paris, 1931.
 V o g t H., Grammaire de la langue georgienne, Oslo, 1971.

ლექცია № 9

ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაცია მორფო-სინტაქსური ანალიზის საფუძველზე.
 დიათეზა და გვარი

ლიტერატურა:

- დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, “ლოგოს პრესი”, თბ. 2001.
 დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დიათეზის, გვარისა და ქცევის ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, კრებ. შ. მიძიგური, 2002
 D. Melikishvili, J. D. Humphries, M. Kupunia, The Georgian Verb: A Morphosyntactic Analysis, Dunwoody Press, 2008.
 დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, მეთოდოლოგიური პრობლემები ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში და მათი გადაჭრის გზები, კრებ. “ქართველური მემკვიდრეობა”, ქუთაისი, 2013, გვ. 194- 212.
 ზ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, დიათეზა და გვარის კატეგორია ქართულში.ენათმეცნიერების საკითხები, თსუ გამომც., 2013, გვ.66-81.

ლექცია №10

დიათეზის გრამატიკული კატეგორია
 ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფის საფუძველი
 უღლების ტიპები დიათეზების მიხედვით

- დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, ნაწ. II, გვ83-269; “ლოგოს პრესი”, თბ. 2001.
 დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია ქართულ ენაში დიათეზებისა და გვარების თეორიის კონტექსტში, კრებ. ვარლამ თოფურია, 100, 2001
 დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპებისათვის I, ენათმეცნიერების საკითხები, №1-2, 2008, გვ.129.
 დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპებისათვის II, ენათმეცნიერების საკითხები, №I-II, 2009, გვ. 78.
 D. M e l i k i s h v i l i, J. D. Humphries, M. Kupunia, The Georgian Verb: A Morphosyntactic Analysis, Dunwoody Press, 2008.
 D. M e l i k i s c h w i l i, Das System der Konjugation des transitiven Verbs im modernen Georgisch, GEORGICA, № 1. 1978, 17-23.
 S t e f f i C h o t i v a r i- J u n g e r, Damana Melikischwili, Lia WitteK, Georgische Verbtabelle, BUSKE, Hambourg, 2010.

ლექცია №11

ინვერსია ქართულ ზმნაში დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტით

ლიტერატურა:

- ა. ა რ ა ბ უ ლ ი, „ინვერსია“, წიგნში: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (ავტორთა კოლექტივი, გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), „მერიდიანი“, თბ. 2011. ნაწ. IV, 1.2.8. გვ. 296,-301.
- დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, „მიჭირს~ ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი, (ინვერსია ქართულ ზმნაში), ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 4, 1978.
- დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.
- ირ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, სემანტიკური მარკირება მორფოლოგიაში და აქტიურობა-არააქტიურობის კატეგორია ქართველურ ენებში, კრებ. ლინგვოკულტუროლოგიური ძირბანი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, , 2011წ. გვ. 325
- თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, „ინვერსია.“, „გვარისა და ქცევის კატეგორიები III სერიაში“, წიგნში: თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002, გვ. 89 -116.
- ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, №7, 1961; იხ. მისივე, თხზ. ტ. II, 1981.
- M a p p H.Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925.
- M a r r N., B r i è r e M., La langue Georgienne, Paris, 1931.

ლექცია № 12

პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემა ქართულ ზმნაში

ლიტერატურა:

- ნ. ა ნ დ ლ უ ლ ა ძ ე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1968.
- თ. გ ა მ ც რ ე ლ ი ძ ე, ზმნის პირიანობა და „ვალენტობა“, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ. 2000წ.
- ქ. დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი, პირის ნიშანთა სისტემა ქართულში, კრებ. ზ. ჭუმბურიძე, თბ. 1997წ.
- „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია: სალიტერატურო ენა“, „მერიდიანი“, თბ. 2011.
- დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, „ლოგოს პრესი“, თბ. 2001, გვ. 268 - 305

დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპებისათვის I, ენათმეცნიერების საკითხები, №1-2, 2008, გვ.129.

დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპებისათვის II, ენათმეცნიერების საკითხები, №I-II, 2009, გვ. 78.

თ. უთურგაიძე, პირი და პირიანობა ქართული ზმნისა, წიგნში: ~გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში", თბ., 2002, გვ. 10-44

ა. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, 1. ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში. 2. ჰაემეტობა ადიშის ოთხთავში, იხ. ასევე, მისივე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1957 წ. გვ. 282-301

ა. შანიძე, ნაშთები მესამე ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, იქვე, გვ. 267-281

ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, თსუ მოამბე, 11, გვ. 365-367.

არნ. ჩიქობავა, მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში, იკე, ტ. VI, 1954

არნ. ჩიქობავა, მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იკე, ტ. I, 1946.

М а р р Н.Я., Основные таблицы к грамматике древнелитературного грузинского языка, СПб, 1908.

М а р р Н.Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925.

М а r r N., B r i è r e M., La langue Georgienne, Paris, 1931.

ლექცია № 12

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში

ლიტერატურა:

დ. მელიქიშვილი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში, აკად."მაცნე", ენისა და ლიტ. სერია, 4, 1977.

თ. მეტრეველი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიისათვის ძველ ქართულში, ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., №23, 1980.

გ. ნინუა, ბრძანებითი კილო ქართულ ენაში, საკანდ. დისერტაცია, 1968.

ალ. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ. 1978.

ალ. ონიანი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, "მაცნე", 1965, № 1.

არნ. ჩიქობავა, მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იკე, ტ. I, 1946.

ლექცია №13

პირიანობა, ვალენტობა, გარდამავლობა, პირთა მიმართების სახეები ზმნური ხმოვანპრეფიქსების გრამატიკული ფუნქცია და ქცევის კატეგორია (კაუზაცია, ვერსია: დესტინაცია-პოსესიურობა, ლოკაცია)

ლიტერატურა:

- თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ. 2000
- ლ. ე ნ უ ქ ი ძ ე, ვალენტობის ცნება ენათმეცნიერებაში, კრებ. ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ. 1978
- თ მახარობლიძე, დესტინაციურ სისტემათა ტიპოლოგია, თბ 2005.
- მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, გარდამავლობა, ერგატიულობა და გვარი ქართულში (სადოქტ. დისერტ. ავტორეფ.) თბ., 1999.
- მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, გარდამავალი ზმნები ქართულში, (სისტემისა და ისტორიის ზოგი საკითხი), თბ., გამომც., „მეცნიერება“ 1986.
- თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი, ირიბი ობიექტი, როგორც დამოუკიდებელი კატეგორიები, წიგნში: ~გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში“, თბ., 2002, გვ.44-65.
- არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? თბ.1998.

ლექცია № 14

ქართული ზმნური შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის აღწერა

ლიტერატურა:

- დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ზმნის სინტაქსური მექანიზმის აღწერისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, IV, თბ., 1995.
- დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, „ლოგოს პრესი“, თბ. 2001., §9, შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის არწერა ქართულში, გვ.70-79.
- არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1968, .წინადადების საკითხი მეთოდოლოგიური იმანენტიზმის თვალსაზრისით: §§66,67, 68-,71, გვ. 109-127.
- არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? თბ, 1998: IV. შენიშვნები შესიტყვების შესახებ, გვ. 52-73; V. შენიშვნები ქართული შესიტყვების აგებულების შესახებ, გვ. 74 -122.

ლექცია № 15

ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმი დიათეზების მიხედვით

ლიტერატურა:

- დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, „ლოგოს პრესი“, თბ. 2001.

კურიკულუმი

სასწავლო კურსის დასახელება	ქართული ზმნისა და ზმნური შესიტყვების სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი
სასწავლო კურსის კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	საგანი გათვალისწინებულია ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართველური ენათმეცნიერების სპეციალობის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. კურსი სავალდებულოა.
სასწავლო კურსის ხანგრძლივობა	
ECTS	5 კრედიტი
ლექტორი	პროფ. დამანა მელიქიშვილი , თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ფილოლოგიის მიმართულება ტელ.: 2-39-69-93. mail.: damanamel@yahoo.com
სასწავლო კურსის მიზანი	კურსი მიზნად ისახავს ქართული ენის მორფოლოგიის, კერძოდ, ქართული სახელისა ზმნის მორფოლოგიის საკვანძო საკითხების გაღრმავებულ დამუშავებას, განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული ქართული გრამატიკული ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს და, საერთოდ, ლინგვისტური ანალიზის ლოგიკურად გამართული ჩვევების გამომუშავებას, ენის ლოგიკის, განვითარების შინაგანი კანონების ხედვის გამომუშავებას; ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სისტემაში დანახვასა და შესწავლას; მორფო-სინტაქსური მოვლენების ერთიანობაში დანახვას; სახელისა და ზმნის ძირითადი კატეგორიებისა და ბრუნებისა და უღლების სისტემის ისტორიული თვალსაზრისით (დიაქრონიაში) შესწავლას; ლინგვისტური ანალიზის ისტორიულ-შედარებითი და აღწერითი მეთოდების პრაქტიკულად დაუფლებას; ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციის პრინციპებში გარკვევას და არსებული თვალსაზრისების მიმართ კრიტიკულ მიდგომას; ქართული ზმნური მოდელებისა და უღლების ტიპების ანალიზს, ისეთი სპეციფიკური საკითხების გარკვევას, როგორცაა ზმნის პირიანობა და ვალენტობა, პირთა გამოხატვის სისტემა ქართულში და მის სპეციფიკასთან დაკავშირებული საკითხების შედარებითი ანალიზი; გვარისა და ქცევის გრამატიკული

კატეგორიების სადავო საკითხებში გარკვევა და სხვ. კურსის მიზანია საერთოდ, ლინგვისტური ანალიზის ჩვევებისა და პრინციპების დაუფლება, კვლევის დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტით ხედვის გამომუშავება.

კურსი ასევე, მიზნად ისახავს ქართული სახელისა და ზმნური შესიტყვების სინტაქსური ურთიერთობის მექანიზმში გარკვევას: პირისა და ვალენტობის მიხედვით სუბორდინაციული და კოორდინაციული სქემების აგებას და ზმნის დიათეზების ჯგუფებში ჩასმას; ქართული ზმნისა და სახელის სინტაქსური ურთიერთობის არსებითი განსხვავებების ჩვენებას ინდოევროპული ენების შესიტყვების სინტაქსურ მექანიზმისაგან.

ნებისმიერ ემპირიულ მეცნიერებაში და, კერძოდ, ენათმეცნიერებაში, საგნის ან მოვლენის დეფინიციისას დაცული უნდა იყოს ცნების დაყოფის ლოგიკური წესები, კლასიფიკაციის პრინციპის ერთიანობა; საგნის ან მოვლენის აღწერისას თუ დახასიათებისას - იმანენტიზმის პრინციპი; კვალიფიკაციისას - გამიჯნული უნდა იყოს დიაქრონიული (ისტორიული) და სინქრონიული ასპექტები. კლასიფიკაციისა თუ კვალიფიკაციის ამ, თავისთავად ცხადი, პრინციპების გაუთვალისწინებლობა და დარღვევა ენობრივი ფორმებისა თუ მოვლენების კვალიფიკაციისა და დეფინიციის გაურკვევლობას, ხშირ შემთხვევაში მცდარობას, დეზინფორმაციას იწვევს.

ამ მხრივ ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სერიებად და მწკრივებად დაყოფის აკაკი შანიძისეული პრინციპი იდეალური მაგალითია იმისა, როდესაც კლასიფიკაციის მორფოლოგიური, სინტაქსური და ისტორიული პრინციპების დაცვა ერთსა და იმავე შედეგს (კლასიფიკაციას) იძლევა. მაგრამ ქართულ (და არა მარტო ქართულ) გრამატიკულ ლიტერატურაში რთული მდგომარეობაა ზმნის ისეთი მნიშვნელოვანი კატეგორიების კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის სფეროში, როგორცაა პირი /ვალენტობა/ და რიცხვი, გვარი და “ქცევა”: კერძოდ, პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემა და პირის ნიშანთა ფუნქციების განსაზღვრა და ამასთან დაკავშირებული „ინვერსიის“ საკითხი; გვარისა და „ქცევის“ კატეგორიების ფორმისა და ფუნქციის საკითხი და ამასთან დაკავშირებით ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სისტემური კლასიფიკაციის პრობლემა.. სახელთა ბრუნების სისტემის აღწერისას არ არის დაცული დესკიფციული ანალიზის პრინციპები და სხვ.

არნ. ჩიქობავამ აჩვენა, თუ როგორ უნდა ყალიბდებოდეს

გრამატიკული (სინტაქსური) ცნება-ტერმინები (ეს არის პრინციპული მეთოდოლოგიური საკითხი, რომელსაც ეძღვნება მისი „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, 1928, 1968), თუ რა შესაბამისი მოსდევს იმანენტიზმის პრინციპის დარღვევას (უგულვებელყოფას) გრამატიკაში: ქართულ ზმნაში ინვერსიის მოვლენისადმი დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტით მიდგომის აღრევამ ისტორიული მოვლენის სინქრონიული თვალსაზრისით კვალიფიკაციამ, ამავე დროს, ლოგიკური ცნება-ტერმინებით (სუბიექტი - ობიექტი) ოპერირებამ შედეგად მოგვცა პირის ნიშანთა ცხრილში ამ ნიშანთა რეალური ფუნქციის არაადეკვატური ასახვა; გვარ-სახეობითი დამოკიდებულების არასწორმა განსაზღვრამ დეფინიციისა და რეალური ვითარების შესაბამისობა გამოიწვია გვარისა და ე.წ. „ქცევის“ გრამატიკული კატეგორიების კლასიფიკაცია-კვალიფიკაციის სფეროში: გვარი განსაზღვრულია სემანტიკური თვალსაზრისით, კლასიფიკაცია კი ხდება მორფოლოგიური პრინციპით, რის შედეგადაც ზმნური მოდელები არასწორადაა მიკუთვნებული გვარის ამა თუ იმ სახეს; ხმოვანპრეფიქსები, სუფიქსები, რომლებიც სხვა ფორმალურ-გვარეობით ცნებებს განეკუთვნება, მიჩნეულია ამ „გრამატიკული“ კატეგორიების ნიშან-მახასიათებლებად და სხვ.

წინამდებარე კურსის მოსმენის პროცესში სტუდენტები განიხილავენ ლექციებზე და სემინარებზე დასმულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებულ საენათმეცნიერო ლიტერატურას, ავტორთა ამოსავალ დებულებებსა და არგუმენტაციას, ემპირიული მასალის კვლევისას ეუფლებიან მეთოდოლოგიური იმანენტიზმის პრინციპებს, რის შედეგადაც უმუშავდებათ დამოუკიდებელი კრიტიკული აზროვნება და მეცნიერული კვლევის ჩვევები.

ბოლოთქმა

ბოლოს, მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს სხვადასხვა თაობის სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, მსმენელებს, რომელთა ინტერესმა ამ კურსში დასმული საკითხების მიმართ წამახალისა და სტიმული მომცა იმისათვის, რომ ქაღალდზე გადამეტანა და გამომეცა ეს სალექციო კურსი.

ამას მავალებდა ასევე, პასუხისმგებლობა და მადლიერების გრძნობა ჩემი დიდი მასწავლებლებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების – აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, ფარნაოზ ერთელიშვილის, ივანე გიგინეიშვილის, ივანე იმნაიშვილის წინაშე, რომლებთან ურთიერთობამაც, საუბრებმა და ლექციებმა ღრმა და წარუშლელი კვალი დატოვეს ჩემს ცნობიერებაში.